

ჩვენი მსოფლიო

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

9 ივნისი 2006 №12



ქვის ღიმილი
კრავი – ზვარაკად
პოლიტიკა და კულტურა
ტრამვაი დაეჯახა ცენზურას
პირველად, პირველად, პირველად...
რომიდან მომავალი გზები
დასაბამიდან იყო ტექსტი
ნინას კარნავალი ჰქონდა



შინაარსი

რედაქტორის გვირგვინი	2	პირველად საქართველოში
ქვეყნის-ინტერვიუ	3	ნახევარი გულით საქმე არ კეთდება (საუბარი სოსო ჭუმბურიძესთან)
პენიტენცია	4	ერმილე მალრადე სულხან-საბა ორბელიანი დღეიწმინდის შანის სათავეში
ჩვენი ყოფა, წითლოვანი	5	მიგელ დე უნამუნო პოლიტიკა და კულტურა
პროზა	7	თამაზ ხმალადე ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა
პოეზია	15	ელა გოჩიაშვილი აჰა, სარკე!
პირველი შთაბეჭდილება	16	გიორგი ლობჯანიძე პოეტის გული – პურის მარცვალნი
პოეზია	17	გიორგი გამსახურდია წყალი და ცეცხლი
პირველი შთაბეჭდილება	18	ერეკლე ხატისკაცი მოსალოდნელი მოულოდნელოა
პოეზია	19	სალომე ბენიძე ერთი გაფიქრებით
უხსოვთის სხოვრებიდან	22	გაბრიელ გარსია მარკესი გასართობი სოფიზმები
ენისტიკა	24	როსტომ ჩხეიძე ქვის ღიმილი (ტომას მური)
ფილოზოფია	29	რომიდან მომავალი გზები (ეკა ბუჯიაშვილს ესაუბრება მერაბ ლალანიძე)
ლიტერატურული ზღაპარი	32	ზაზა აბზიანიძე ორი ზღაპარი
დღეიწმინდა	34	რუალ დალი პრაპი – ზვარაკად
რეპორტაჟი	38	თამარ კოტრიკაძე დასაბამიდან იყო ტექსტი...
დავითწმინდა სხეულები	41	თამაზ ლეჟავა ვინ იყო ივანე მარგინი?
კრიტიკა	45	ზაზა გოგია ახალი „კრიტიკის“ დაბადება
ფიქრები	49	ვახტანგ დავითაია ცხოვრების ფურცლები
თეატრალური სიხალისე	52	ლელა ოჩიაური სადაც ჩვენი ფესვებია, ჩვენი გულიც იქ არის
პოეზიის მერიდიანები	54	XX საუკუნის არაბი პოეტები
უხსოვარი ნოველა	58	უილიამ კაფი, ნაჯაფ დარიაბანდარი კლეოპატრა
ნაქვესები	61	მასვილსიტყვაობის ნიმუშები
მოზაიკა	63	ტრამვი დაჯანსა ცენზურას

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: რომი, მდინარე ტიბრის შემოგარენი

ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 23 ივნისს

პირველად საქართველოში

ეს ათი წელია გაუთავებლად ჩამესმის ჯერ ერთი, ტრიუმფალური ტელევიზიის ეკრანიდან, მერე და მერე კი სხვა ტელევიზიების ეკრანიდანაც, და რადიოარხებიდანაც, და გაზეთების ფურცლებიდანაც, და სახელოვნო და პოლიტიკური თავყრილობებიდანაც, რომ რაღაცები პირველად ხდება საქართველოში.

მანამდე ასეთი რამ ჩვენს მინა-წყალზე არსად გაჭაჭანებულა, მაგრამ, აი, დადგა ჟამი კურთხეული და სვებედნიერი, როდესაც იმ სასწაულებრივმა რაღაცებმა აქაც შემოაღწია.

თავიდან, ჩემი გულუბრყვილობით, შემონებმა დავინწყე, ნეტა მართლა პირველია თუ არა-მეთქი, ვიდრე მწარედ ვინანებდი ამ უმნიშვარ ნაბიჯს და თანდათან გამოვერკვეოდი და მივხვდებოდი, რომ ამ საყოველთაო მოძრაობისათვის ფეხის აწყობა სჯობდა და მარაქაში გარევა რაღაც უხედავ კირკიტასა და ჩაძიებას.

ჯერ მარტო რარიგ შთამავგონებლად ხშიანებს: პირველად საქართველოში.

მითუმეტეს, თანდათან გავაცნობიერებდი, რომ რაღაცები კი არ მომხდარიყო პირველად, არამედ თითქმის ყველაფერი, ყველა-ფე-რი! გრანდიოზული პროექტი ხორციელდებოდა ამ სახელწოდებით – „პირველად საქართველოში“, და ვისაც ალღო და მარიფათი გვექონდა, უნდა მოგვესწრო ამ პროექტის შუაგულში შეღწევა და იქ საიმედოდ მოკალათება. ვისაც არა და – საკუთარი თავისათვის დაგვებრალეზინა.

რაღაც დიადის შეგრძნება გითრთოლებს სულს და ჟრუნტელად ედება სხეულს და აღგაფრთოვანებს იმ უჩვეულო მისიის შეგნებით, რომ თუნდ პირადად შენ არ აღმოჩნდე რომელიმე პირველობის მამა, მაგრამ შენს თვალწინ ხომ ხორციელდება ეს გრანდიოზული მიღწევა და შენც გიდეგს წილი შთამომავლობის თვალში ამ გრანდიოზულობის აღსრულებაში.

და მხოლოდ წილიც, ასეთი წილი – უკვდავების სანინდარია.

და გიხარია, და კიდევ უფრო ძალიან გიხარია და, რომ უკვირდება, სულ ძალიან და ძალიან გიხარია, რომ ქართული მოდგომის არსებობის მანძილზე მხოლოდ ახლა, ახლა და პირველად ამ ათწლეულში –

ტელევიზია დაარსდა, დაარსდა რადიო, გაზეთი დაიბეჭდა და ჟურნალიც გვერდით ამოიყენა, და წიგნი, ხალხნი, ნაბეჭდი წიგნი გამოჩნდა. თეატრიც, კინოც აგერ, აგერ მოგვევლინა და ესტრადაც ისე ავარსკვლავდა, სიცოცხლეს ძლევაამოსილი აზრი და შინა-არსი მიეცა.

პირველად საქართველოში!!!

საქართველოში პირველად გაჩნდა ქალაქი, სოფელიც გაჩნდა, და, არ დაიჯერებო, მაგრამ სიტყვაზე მაინც უნდა ირწმუნოთ, რომ სახლი აიგო, სახლი, დიახ! ოთახებიან-ბუხრიან და სკამ-მაგიდიანა, და გზაც გავიდა იქამდეც და იმის იქითაც – პირველად საქართველოში.

პირველად საქართველოში ასფალტი მოესხა გზას და ხალხს გამოუჩნდა ახალი პროფესია – ასფალტის დამგებისა, და მასთან ერთად ზეციდან ჩამოგვიცვივდა ახალ სხვადასხვაგვარი ხელობანი, პირველად, ცხადია! და სულ ახალთახალ ხელობებს მწყემსისა თუ სოფლის მეურნისა ფეხდაფეხ მოჰყვა სოფლის შენება და სოფლის შენებას მინდორი და ტყე და მდინარე. მდინარეც, აბა! – თანაც ტალღებიანად – პირველად საქართველოში.

საქართველოში პირველად ამოვიდა ხე და ბალახი, დაჩნდნენ ყვავილები და ახალმობილებმა პირველად წარმოთქვეს „ალუ“. არა, ასეთი რამ იქნებ ადრეც ხდებოდა, მაგრამ ასეთ კილოზე, ასეთი გზებითა და ფიქსაციით – ნამდვილად არა, და ეს მაინც პირველი ალუა, და ლიტერატურაც პირველად ახლა, მხოლოდ ახლა მოგვევლინა საქართველოში.

ამბობენ მხატვრობაცო, თეატრალური და კინოხელოვნებაცო, მუსიკაცო, არქიტექტურაცო, მაგრამ იმ დარგებს მე რას ვაქნევ, როდესაც ღვთის წყალობამ მწერლური მადლითაც აღგვავსო და შევხარით პირველ მწერლებს, ხალხნი, სულ, სულ პირველებს, და თუ აქა-იქ სკეპტიკოსთა ჩურჩულ-ტუტუნს მოჰკარით ყური, ვითომდა ლიტერატურა ადრეც გვექონდეს, აბა, რა დასაჯერებელია რეტროგრადთა, უსაზომოდ ჩამორჩენილთა ამო ფართხალი, რადგანაც, ჩემო ძვირფასებო, რაღაც კი არსებობდა, როგორ არ არსებობდა, მინამგვანი, მაგრამ მინამგვანი მაინც მინამგვანია, მკვდარი ტექსტი მაინც მკვდარი ტექსტია, და ჩვენ ცოცხალი უნდა გვერჩივნოს ყველაფერი, გარდა სიმღერისა.

ცოცხალი კი ისაა, რაც ასე საამოდ ელამუნება ყურს ჩვენს თვალწინ შობილი მწერლობის ბაგეთაგან. დაახლოებით შვიდ-რვა წლისა ჩვენი ლიტერატურა, მაგრამ ეს ისეთი შვიდ-რვა წელია, სხვათა ათასწლეულებსაც რომ თამამად გადასწონის, რამდენიმე საუკუნეს ხომ სულ სიმღერ-სიმღერით. და ნულა მომაცდენთ წერილმანებზე ყურადღების გამახვილებით, იმ გრანდიოზული პროექტის უკვე შიდა შრეებში შემღწევი და აღფრთოვანებისაგან მუხლიც მეკეცება, რომ განათლებაც უკვე ჩაისახა და სკოლებიც გაჩნდა, მარტო უნივერსიტეტის ანაბარა ხომ არ ვიქნებოდი, და მოსწავლეებმაც სახელმძღვანელოები უკვე გაბედულად გადაშალეს – პირველად საქართველოში.

საქართველოში პირველად გაჩნდა სახელმწიფო ინსტიტუტები, აგერ პარლამენტიც აღმოგვიცენდა და პირველად გახდა საქართველო სახელმწიფო და საქართველო პირველად გახდა სულ საქართველო – პირველად აქ, საქართველოში, და წელთაღრიცხვის ათვლაც პირველად დაიწყო, და პირველად გამოჩნდა ქართველი კაცი, და ქართველი ქალიც პირველად გამოგვეცხადა, და პირველად ახლა გადაწყვიტეს საკუთარი ბედის დაკავშირება ერთმანეთთან – პირველად საქართველოში.

საქართველოში პირველად შევიმოსეთ ტანთ და ფეხსაცმელიც, ფეხსაცმელიც მოგვევლინა – პირველად საქართველოში.

საქართველოში პირველად ამობრწყინდა მზე და აჟიკვიდნენ ვარსკვლავები და გამოეკიდა მთვარეც და, არ დაიჯეროთ, თითქოს მთვარე ადრეც ენახოთ, და ნურავინ ავიხვევთ თვალს ან ნაცრით ნუ ამოგვივებთ გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონებით: მთვარე თელავში სხვაა, სხვაა თბილისში მთვარეო.

ჯერ ერთი, მკვდარი ტექსტი რა ტექსტია, დიდად ანგარიში რომ გაენიოს, და მეორეც, თუნდ რაიმედაც ჩავაგდოთ, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მეთოდოლოგია გაცილებით ღრმად გვახედებს მოვლენების არსში, ვიდრე ისედაც არარსებული სალიტერატურო კრიტიკა გაართმევდა თავს.

კეთილი და პატიოსანი, ერთად ჩავუკვირდეთ მის აზრობრივ შინაარსს და მერე გამოსაპასუხებლად ხმა აღარავინ გაიღოს.

მაინც რას ნიშნავს, რომ მთვარე თელავში სხვა არის და თბილისში – სხვა? რას და, ძვირფასო, მაშინ ორი მთვარე არსებობდა. ორი, ო-რი მთვა-რე! ორი მთვარის ხატი, ცხადია, შვა პიროვნულმა და საზოგადოებრივმა გაორებამ, მაგრამ მოდი ზნეობრივ მხარეს ამჯერად ჩამოვეხსნათ, მსჯელობის გეზს რომ არ ავავცდინოს. მთვარე ისაა, რომ ორი მთვარე, აბა, რა მთვარეა. და ამიტომაც საქართველოში პირველად ახლა გამოეკიდა ცაზე ერთი მთვარე, ერთადერთი, რომელიც ერთნაირად მოჩანს თელავიდანაც და თბილისიდანაც, და არა მგონია, სხვა ქალაქებიდან მეორე მთვარე კიდევ მოვლანდოს ვინმეს – და ეს პირველად საქართველოში.

საქართველოში პირველად!!!

პირველად საქართველოში...

რასაკვირველია, ეს ყოველივე ფრაგმენტულად და თვალის ერთი გადავლებითაა ამოკრებილი პირველქმნილებათა მზერა-ჩაუნვდენელი ნუსხიდან, მაგრამ ზოგად შთაბეჭდილებას მაინც ვეკიქმნის და კანონიერი სიამაყითაც გვაავსებს.

და კანონიერებაც და სიამაყეც ხომ პირველად ახლა ჩაისახა საქართველოში.

კიდევ კარგი, რომ სულზე მოგვისწრო თორემ უამისოდ რა უნდა გვეღონა, აღარ ვიცო!

ნახევარი გულით საქმე არ კეთდება

*

საუბარი
სოსო ჭუმბურიძესთან

– ბატონო სოსო, დაგვიანებით, მაგრამ მოიცალეთ სა-
მეცნიერო საქმიანობისთვის და მალე სადისერტაციო თემას
დაიცავთ. გვიამბეთ თქვენი ნაშრომის შესახებ. იქნებ ასეთი
„დაგვიანების“ მიზეზიც გავიხილოთ?

– მეგონა, უპირველესად ჩვენი გაზეთის – „თბილისის“ ბე-
დით დაინტერესდებოდით...

რადგან ჩემს სადისერტაციო თემაზე საუბრით ვინწყებთ,
ერთ საიდუმლოს გაგიხვლეთ, რაც არასდროს მითქვამს...

ძალიან დაგვაგვიანე დისერტაციის დაცვა და ამის გამო არა-
ერთხელ დამიმსახურებია ბატონი ნოდარ ტაბიძის საყვედური,
მაგრამ ყოველდღიური გაზეთი „თბილისი“ ძალიან დიდ ძალის-
ხმევას მოითხოვს. მე კი არ შემიძლია ნახევარი გულით საქმის
კეთება. მას ყოველთვის მთელი გულითა და ორივე ხელით ვა-
კეთებ. გაზეთი კი, არსებობს ასეთი, ცოტა ვულგარული გა-
მოთქმა და მოვიშველიებ, ლიმონივით გწურავს...

რა გამოდის? – ეს სხვა საკითხია, მაგრამ ერთი რამ დანამ-
დვილებით შემიძლია გითხრა: გაზეთი ძალიან მიყვარს! ამით
აიხსნება, რომ ვერ მოვიცალე სამეცნიერო საქმიანობისათვის.

საიდუმლო რომ ვახსენე, ვგულისხმობ რას?! თავდაპირვე-
ლად ვმუშაობდი სულ სხვა თემაზე; ვიკვლევდი ქართულ სამოგ-
ზაურო ნარკვევებს – მოყოლებული სულხან-საბაძან კონსტან-
ტინე გამსახურდიამდე. კარგა გვარიანი სამუშაო მქონდა ჩატა-
რებული, რომ სულხან-საბასთან, უკვე მოგზაურობის ბოლოში,
სამშობლოში დაბრუნების ამბებს რომ ვიყვებო, წავაწყდი ასეთ
ჩანაწერს: „აგვიღელდა ზღვა და ორივე ნავი ერთმანეთს მოსხლი-
ტა. იმათი ნავი ხოფას გააგდო და ჩვენი ნავი – იმას ქვეით.

იქ მეტყვე თათრები იყვნენ, იმერეთიდან ტყვეები მიჰყვან-
დათ კონსტანტინეობის დასასყიდლად. თუ ისინი იქ არ დაგ-
ვსწრებოდნენ, სრულ წაუხდებოდით. მოგვეშველნენ, გავედით.“

ამ სიტყვებმა უარი მათქმევი-
ნა თემაზე. ალბათ, იდეალისტის
თვლით ვუყურებდი მაშინ ყვე-
ლაფერს. სულხან-საბასგან ჩემ-
თვის წარმოუდგენელი იყო იმით
მიმართ მადლიერების გამოხატ-
ვა, ვისაც ქართველი გოგონა-ბიჭე-
ბი გასაყიდად მიჰყავდა სტამბუ-
ლის ბაზარზე და ვითომც არაფე-
რი, ქართველი ყმანელები გასა-
ყიდად რომ წაეხსათ.

ბატონმა ნოდარმა მითხრა, იმ
დროს, სამწუხაროდ, ასეთი ქა-
რავნები ჩვეულებრივი ამბავი
იყო, სულხან-საბა რას გააწყობ-
დაო. მე მაინც ვერ „ვაპატიე“...

ჩემს დაგვიანებულ თემას
ჰქვია: „თანამედროვე ქართული
პრესის ძირითადი ტენდენციები“.

ეს ჩემი სფერო გახლავთ, რაც
ერთდროულად ხელს თან მიწ-
ყობს და თან მიშლის. ის, რაც
თანამედროვე ქართულ პრესა-
ში ხდება, მხოლოდ ცივი გონე-
ბით ვერ შევფასებ, რადგან
თვითონ გახლავართ ამ პრო-
ცესის მონაწილე და შიგნიდან
ვუყურებ ყველაფერს. ვიცი, რა
ძნელია პრესის შიდა სამზარე-
ულო. ოღონდ ვცდილობ ნების-
მიერ გამოცემას, თუნდ ყვითე-
ლი პრესის ნიმუში იყოს, არ და-
ვუკარგო, თუ რამ კარგი აქვს.
სწორედ ასეთი ტიპის გაზე-
თებში წაგწყდომივარ პუბლიცისტური ოსტატობის ნიმუშებს,
ჟურნალისტურ გაბედულებას.



– უფრო კონკრეტულად?

– ნამდვილად არ ვიცი სახელი და გვარი. ვილაც წერს
ფსევდონიმით. ერთი რამ კი ცხადია – პროფესიონალია. ის
ირონიულ-პაროდიული ნაკადი, რომელიც ბოლო ხანს შემო-
იჭრა ქართულ პუბლიცისტიკაში და რომელიც, ჩემი აზრით,
პოსტმოდერნისტული სტილის გამოძახილია, ვფიქრობ, თე-
ატრიდან „გადმოვიდა“ პუბლიცისტიკაში. საყურადღებოა
ერთი ფაქტი, რობერტ სტურუას სპექტაკლებზე რეცენზიებს
იმავე სტილით წერენ, როგორც რეჟისორი მუშაობს. მეც და-
მემართა ასეთი რამ: როდესაც რობერტ სტურუაზე დავეწერე,
მივხვდი, რომ ამ სტილისკენ თვითონ რეჟისორმა მიბიძგა.
ანუ, რაც არ მომეწონა, იმაზე ირონიულ-პაროდიული სტი-
ლით დავწერე. ჩემთვის ეს ადვილი ასახსნელია.

– თქვენი გაზეთის ბედზე რას იტყობთ?

– ჩვენი გაზეთი ვერასოდეს „გაყვითლდება“. თუმცა ვერ
გავამტყუნებ იმ ჟურნალ-გაზეთებს, რომლებიც კომერციულ
ინტერესებს ითვისებენ. სხვანაირად ძალიან ჭირს თავის
გადარჩენა. „თბილისი“ ყოველთვის არსებობდა სუბსიდიის
ხარჯზე. თბილისის მერია და მუნიციპალიტეტი ვალდებულად
მიიჩნევდა თავს, რომ ამ გაზეთისათვის ხარჯი გაეღო. ბოლო
დროს მერიამ უკვე უარი თქვა... ეტყობა, ჯერ არ ვართ საკმა-
რისად დემოკრატიულები.

– ანუ დედაქალაქს თავისი სახელობის გაზეთი აღარ ექ-
ნება?

– სადაც გული გულობს და ქადა ორივე ხელით შეიძლება შე-
იჭამოს, ასევე შეიძლება იმის გათვალისწინება, რომ დედაქა-

ლაქს ტრადიციულად თავისი გა-
ზეთი ჰქონდეს. ეს გაზეთი, ცხადია,
ვერ იქნება სენსაციუბსა და ჭო-
რებს გამოდევნებული, ამიტომაც
ასეთ გაზეთს სჭირდება სუბსიდია.

– საბოლოოდ გაზეთის არსე-
ბობა-არარსებობას სუბსიდია
განსაზღვრავს?

– უბედურება ის კი არ არის,
რომ გაზეთს სუბსიდიას აღარ აძ-
ლევენ, უბედურება არის ის, რომ
გაზეთის მნიშვნელობა არ ესმით.
გაგახსენებთ ამერიკის შერთე-
ბული შტატების ერთ-ერთი პრე-
ზიდენტის – ტომას ჯეფერსონის
სიტყვებს: „ასეთი არჩევანის წინა-
შე რომ დამაყენონ, მთავრობა გა-
ზეთების გარეშე თუ გაზეთები
მთავრობის გარეშე, უყოყმანოდ
ავიჩივებდი მეორეს.“

სამშაბათს, 13 ივნისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
გონა ჯაფარიძის
საჯარო ლექცია
**„ახალი არაბული დოკუმენტები
წმინდა მინაზე ქართველთა
მოღვაწეობის შესახებ“**
დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის №41

საზოგადოების ბევრმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა დაგვიჭირა მხარი. ღია წერილით მიმართეს პრეზიდენტს, პარლამენტს, ქალაქის მერს. მაგალითად, ცნობილმა რეჟისორმა და ხელოვანმა რეზო ესაძემ დაწერა: შეიძლება თბილისში არ იყოს რუსთაველის პროსპექტი?! ასევე არ შეიძლება არ იყოს გაზეთი „თბილისი“!

ძალიან დიდი მადლობელი ვარ ასეთი მხარდაჭერის! და მაინც, ძალიან პესიმისტურად ჩანს ჩვენი გაზეთის მომავალი...

– თქვენ, ალბათ, მაინც ვააგრძელებთ პუბლიცისტურ საქმიანობას. ვგულისხმობ „სახიფათო ჩანაწერებს“. მათ, ალბათ, სხვებიც მიემატება?

– ცხადია, ვერ გავჩერდები. ეს ჩემი ჩვეულებრივი მდგომარეობაა.

როგოა. როდესაც უდიერად ეპყრობიან ავტორიტეტებს და ეროვნულ ფასეულობებს, ცხადია, ვერ გავჩუმდები. სხვა რა არის ჟურნალისტის დანიშნულება?!

– არ მინდა პესიმისტურად დავასრულოთ საუბარი. იქნებ ღირსეული დამფინანსებელი გამოუჩნდეს დედაქალაქის სახელმისაწვდომ გაზეთს?

– ღმერთმა ქნას!

იმედია, საზოგადოება დაუბრუნდება ისეთ მდგომარეობას, როდესაც „თბილისის“ ტიპის გაზეთი მისთვის კვლავ აუცილებელი და საჭირო იქნება.

ესაუბრა
თამარ ლონდაძე

სულხან-საბა ორბელიანი დეტექტიური ჟანრის სათავეები

ასე ძალიან ნეტავი სხვა რა გამახარებდა. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი წიგნია, რამდენჯერ გადამიკითხავს და თურმე ჯერ კიდევ რამდენ საიდუმლოს იფარავს.

როდესაც თქვენი ჟურნალის მე-10 ნომერში გავცეცანი ანონსს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „დეტექტივის საზღვარი შორს გადადის“ და „ლევან ბრეგაძე ცდილობს პირველობა ჩამოართვას ედგარ ალან პოს“, – გამოგიტყდებით, ეს განცხადებანი მივიჩნიე მისტიფიკაციის ხერხად, ხოლო ბატონი ლევანის სტატიას „პირველი ქართული დეტექტივი“ დაველოდე იმის იმედით, რომ წავიკითხავდი მახვილგონივრულად შედგენილ პაროდის ამგვარ გულუბრყვილო მისწრაფებებზე – ქართული მწერალი გამოცხადდეს მსოფლიო ლიტერატურული მიმდინარეობისა თუ ჟანრის წინამორბედად.

მეგონა, რალაც იმგვარი ლიტერატურული თამაშის მოწმენი უნდა გავმხდარიყავით, როგორცაა თქვენი ჟურნალის ფურცლებზე წამოწყებული ციკლი: „ვინ იყო ყველაზე პოპულარული პოეტი ვალაკტიონის ეპოქაში?“ და „ვინ იყო ყველაზე პოპულარული პოეტი აკაკის ეპოქაში?“ – რომელიც ალბათ კიდევ გაგრძელდება და ყოველთვის ასეთი გამაოგნებელი და მოულოდნელი შედეგით დასრულდება. ეს მოულოდნელობანი არანაკლებ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური თუ სოციოლოგიური თვალსაზრისით, ვიდრე პირწმინდად სამწერლო კუთხით.

ლიტერატურული თამაშის ნაცვლად „ჩვენი მწერლობის“ მე-11 ნომერში მეც და თქვენი ჟურნალის უამრავი მკითხველიც მოწმენი შევიქენით საესეებით დამაჯერებლად დასაბუთებული შეხედულებისა, რომ დეტექტივი თურმე ედგარ პოზე ბევრად ადრე დიდ ქართველ მეიგავეს სულხან-საბა ორბელიანს დაუწერია.

პირველ ქართულ – და იქნებ მსოფლიო – დეტექტივად იგულისხმება „სიბრძნე სიცრუისაში“ ჩართული ის ბელეტრისტული ნიმუში, რომელსაც ჰქვია „გრძნეული ცოლის პატრონი“ და რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს, ოლივერ უორდროპის თარგმანის წყალობით, ხელმისაწვდომი გამხდარა ინგლისე-

ლი მკითხველისათვის. მათ შორის, აღიარებულ მწერალ ჯილბერტ კით ჩესტერტონისათვის და ერთგვარი გავლენაც მოუხდენია მის დეტექტიურ ნოველებზე.

სტატიის ავტორი საგანგებოდ იმონებებს რუსული და ინგლისური სალიტერატურო კრიტიკის დაკვირვებებს ჩესტერტონის ამ ყაიდის მოთხრობათა (ბრაუნისა და ფიშერის ციკლებზე) თავისებურებებზე და დასძენს: ეს ციტატები სულხან-საბას დეტექტიურ ნოველაზეც ზედგამოჭრილიაო.

ჩემსავით, ვინ იცის, რამდენი მკითხველი აღაფრთოვანეთ.

სხვათა შორის, დიდი პატივისცემელი გახლავართ ბატონი ლევანისა, ყოველთვის ინტერესით ვადევნებ თვალს მის პუბლიკაციებს. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრამ რომ გაიმართა მასთან უცხოური ემიგრანტების კრებულთან („საამიკოდა, სალალობოდა“) დაკავშირებით, სიტყვით გამოხველა მეც მინდოდა და ჩემი პატივისცემის საჯაროდ დადასტურება, მაგრამ რალაც მომერიდა. დაუვიწყარ მოგონებად კი დამრჩა ის ლიტერატურული საღამო.

მისი ამ სტატიის გამოქვეყნება იქნებ სასიკეთო ბიძგიც აღმოჩნდეს ჩვენი მთარგმნელებისათვის, ხელი მოჰკიდონ ჩესტერტონის დეტექტიური ნოველების ამეტყველებას ქართულადაც. თქვენი ჟურნალი ისე მიზანდასახულად ბეჭდავს ამ ჟანრის თვალსაჩინო ნიმუშებს, მთარგმნელებმა უკეთესი მხარში ამომდგომი ვინ უნდა ინაჯრონ.

კიდევ უფრო სასწრაფო და მნიშვნელოვანი კი ის უნდა იყოს, რომ ყოველნაირად შეეწყოს ხელი ლევან ბრეგაძის ამ ჩინებული ნარკვევის გახმაურებას ინგლისურადაც და სხვა ევროპულ ენებზეც.

დაე არგუმენტირებული მსჯელობით გააბათილონ ეს მტკიცება, თუკი სარწმუნო არ მოეჩვენებათ, მაგრამ ნეტავი საპირისპირო საბუთები რა უნდა იყოს!

რა გაამართლებს იმ გულგრილობას, რომ ეს სენსაციური წერილი, მსოფლიო ლიტერატურისათვის ფასეული აღმოჩენა, თვრამეტი წელიწადი ელოდა სამწერლო-სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსვლასაც და ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაგრძელებასაც. ახლა მაინც გამოვიდოთ თავი მის დასაფასებლად და ის რეზონანსი შევუქმნათ, რასაც ნამდვილად იმსახურებს.

თქვენს ჟურნალს საამისო საშუალებანი უნდა მოეპოვებოდეს და მჯერა, რომ ამ განზრახვასაც მიზანმიმართულად მოჰკიდებთ ხელს. ცხადია, სხვათა მხარდაჭერაც ძალიან დაგჭირდებათ, მაგრამ რაც უნდა იყოს, ეს საზღვარი მაინც გადავნიოთ უფრო შორს – დეტექტიური ჟანრის.

კეთილი გზა და ზურგის ქარი ვუსურვოთ სულხან-საბა ორბელიანის ხომალდს ევროპაში ახალი და წარმატებული მოგზაურობისათვის.

ერმილ მალრაძე

მიგელ დე უნამუნო

პოლიტიკა და კულტურა

ლუის დე სულეიტა გახლავთ ერთი ყველაზე გამორჩეული პუბლიცისტი კატალუნელ პუბლიცისტთა შორის, – კატალუნელი პუბლიცისტი, რომელიც წერს კასტილიურ (ესპანურ) ენაზე, ანუ იმ ენაზე, რომელიც თვითონ აირჩია და მუდამ წერს კიდევ ამ ენაზე, – შორსმჭვრეტელი, ღრმად მოაზროვნე და ალლოიანი. ცოტა რამ თუ წამიკითხავს ისეთი ღირსშესანიშნავი, როგორცაა მისი ბარსელონას „La Publicidad“-ში („საჯაროობა“) გამოქვეყნებული წერილი.

ჩვენს დროში, როცა ბარსელონა შეპყრობილია პოლიტიკური ციებ-ცხელებით და თითქმის არც არაფერს წერენ და არც არაფერს კითხულობენ, თუკი სოლიდარობას, კატალანიზმს, რეგიონალურ პრეტენზიებს და ა.შ. არ შეეხება, ეს ადამიანი მართლაც რომ აღფრთოვანებას იწვევს, როცა დროდადრო, ამ შფოთისა და გაცხარებული ბრძოლის დროს, მარადიულ პრობლემებზე გველაპარაკება.

„La Publicidad“-ის გუშინინდელ, 9 ივლისის ნომერში მან გამოაქვეყნა წერილი, რომლის სათაურია „ზნეობრივი აღზრდა“ და, რომელშიც ისეთი მოსაზრებებია გამოთქმული, ნამდვილად ღირსეულ შეფასებას იმსახურებს.

იგი ასე იწყება:

„კატალუნიის დღევანდელ მღელვარე ვითარებაში, ალბათ მთავარია, – იმედი ვიქონიოთ, – თვალყური ვადევნოთ, რომ პოლიტიკური მოძრაობის ერთი უპირველესი მიზანი იყოს ბრძოლა კულტურისათვის.

კაცობრიობის მარადიული იდეალი – თავისუფლება – ისწრაფოდა განხორციელებულიყო მსოფლიოში, ისტორიულ სინამდვილეში, თუნდაც სხვადასხვა სახით, დანყებული მისტიციზმით, დამთავრებული პოლიტიკური ეკონომიკით“.

აქვე მინდა განვაცხადო, რომ ჩემი აზრით, სულეიტას მაინც ატყუებს კეთილი სურვილები და თავისი მშობლიური ქვეყნის სიყვარული. დღეს კი კატალუნიამ მთავარი და განმსაზღვრელი ისაა, რომ თავიანთი პოლიტიკური ვნებები ცოტა მაინც შენიღბონ და ღირსეულად წარმოაჩინონ. სულ ორიოდე დღის წინ კატალანისტების ერთ-ერთი თავკაცა აცხადებდა, რომ ყველა საყოველთაო, მუდმივი და ძირეული პრობლემა – სინდისის თავისუფლება, ქონების გადაწინაღობა და სხვა, განზე უნდა გადავდოთ იქამდე, სანამ ის პრობლემები არ გადაწყდება, რაც დღესდღეობით კატალანისტებს უპირველესად აღელვებთო.

ხოლო რაც შეეხება ბრძოლას კულტურისათვის, ამაზე კიდევ ბევრია სათქმელი. ის დიდი ბაქიბუქი და დავიდარაბა, რაც ბარსელონას მუნიციპალიტეტში გამართულ მსჯელობას მოჰყვა და რაზეც მთელი ქალაქი ალაპარაკდა, გახლავთ გა-

დანყვეტილება კასტილიურ (ესპანურ) ენაზე სწავლება შეეცვალა კატალანურ ენაზე სწავლებით, ოღონდ არა კატალანური ენის სიყვარულის, არამედ ესპანური ენის სიძულვილის გამო.

შემდეგ სულეიტა განაგრძობს:

„მაგრამ რაც უნდა ითქვას კულტურის, ფილოსოფიური აზროვნების, ისტორიული კვლევებისა თუ სამეცნიერო შრომების თვალსაზრისით, კატალუნიის, სამწუხაროდ, აზროვნებისა და განათლების მხრივაც ძირითადად მიმართულებებს მაინც საგრძნობლად ჩამორჩება. რატომ არ უნდა ვაღიაროთ ეს გულწრფელად? თორმეტი რჩეული ადამიანიც კი ძლივს მოგვეპოვება მადრიდში გმირული თავდადებით რომ ემსახურება მეცნიერების უნივერსალურ საქმეს. გვაქვს, როგორც არა გვაქვს მონდობა კატალუნიამაც, ზოგჯერ საკმარისიც და მეტიც, მაგრამ მთავარი, სულერთია, ისევე სიყვარულია, მუდამ სიყვარული, სიყვარული მაშინაც კი, როცა არ ძალგვიძს“.

იმის აღიარება, რომ ბარსელონაში არ მოიძებნება ის თორმეტი კაციც კი, ესპანეთის ინტელექტუალურ ტრადიციებს რომ დაიცავდა, ისეთები, რომლებიც მადრიდიდან გმირული თავდადებით ემსახურებან მეცნიერების საყოველთაო საქმეს, ის აღიარებაა, რასაც პირველად არ ვისმენთ კატალუნელებისგან. იმასაც დავსძენდი, რომ თუ კატალუნელები, ისინი, ვინც გმირული თავდადებით ემსახურებან მეცნიერების საყოველთაო საქმეს, და თუ რამეს ქმნიან, ისევე და ისევე ესპანურ ენაზე ქმნიან, თავიანთი საკუთარი ენა კი მხოლოდ ღირსეული გრძნობებისა და სიღრმისეული განცდების გამოსახატავად თუ გამოადგებათ, სხვა არაფერისთვის.

და თუ მადრიდში – ანდა ესპანეთის სხვა რომელიმე მხარეში – არა მადრიდში, – ისეთი ადამიანებიც არიან, რომლებიც ერთგულად ემსახურებან კულტურის მარადიულ საქმეს, ეს იმიტომ, რომ ისეთ გარემოში ცხოვრობენ, სადაც პოლიტიკური ციებ-ცხელებით არ არიან შეპყრობილი.

როდესაც რომელიმე ქვეყანაში წარმოიქმნება ხოლმე პოლიტიკური საზრუნავი, ასე გეგონებათ სულიერი მოღვაწეობის სფერო, განსაკუთრებით ამალღებულები, კვდომას განიცდის ან სულაც შეწყდაო. ამას წინათ ერთი ჩემი ფილიპინელი მეგობარი მწერდა: „დღეს აქ მეცნიერებაზე, ლიტერატურასა თუ ხელოვნებაზე ლაპარაკითაც აღარავინ ლაპარაკობს. თითქმის ყველა ინტელექტუალური ახალგაზრდა პოლიტიკური საქმიანობითაა გატაცებული“.

ასეა, კატალანელი ხალხიც ხომ ყოველთვის იყო და ახლა მითუმეტეს ვიდრე ოდესმე, განსაკუთრებით პოლიტიკულად. სოლიდარობის არჩევნები მართლა გასაოცარი რამ იყო, მაგრამ კულტურაზე ვერც მან მოახდინა გავლენა.

ამ რამდენიმე დღის წინ ერთი კატალანური გაზეთი მიუთითებდა იმ გულგრილობაზე, რაც ესპანელების ნაწილმა გამოიჩინა ადმინისტრაციული მმართველობის მიმართ, როდესაც ადგილობრივი ადმინისტრაციული კანონპროექტი განიხილებოდა, რომელიც იუნწყებოდა, რომ ის უნდა დაქვემდებარებული ყოფილიყო განსხვავებული მენტალიტეტის ადამიანებზე, ვიდრე ისინი არიან და ცხადია, როცა წერდა „განსხვავებული“, გულისხმობდა „დაბალს“.

ეს კიდევ სხვა საკითხია და სანამ კატალუნელები ფუსფუსებენ, ბობოქრობენ და ლაპარაკობენ, – უფრო მეტად კი ლა-



პარაკობენ, – დარბიან მიტინგებზე – meetings ან metingues, ასამბლეებზე, apleehs-ზე, და აწყობენ ყველანაირი კლასის პოლიტიკურ სახალხო მანიფესტაციებს, სხვები ჩუმად, უხმაუროდ, წყნარად აგვარებენ თავიანთი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა თუ სახალხო განათლების საქმეებს. ხოლო ამისთვის სულაც არ სჭირდებათ იმაზე მეტი ავტონომია მოითხოვონ, რაც აქვთ.

მთელი ესპანეთი პროგრესის გზას დაადგა და წარმატებითაც მიდიან წინ, რაც უნდა ილაპარაკონ მისმა ავადმასხენებლებმა. მაგრამ კატალუნია არ გახლავთ ის რეგიონი, რომელიც პროგრესის გზაზე ესპანეთს გაუტოლდებოდა. არც ფორიაქობენ, არც ლაპარაკობენ, არც meetings-სა თუ metingues-ზე თუ ასამბლეებზე დარბიან, მაგრამ წარმატებით შრომობენ იმ მიწებზე, იმ რეგიონებში, კატალუნია უფარგისად რომ თვლიდა და ხმასაც არ იღებდნენ. მაგრამ ერთხელაც ამას ყურადღება მიაქცია ერთმა მათმა ყველაზე ფხიზელმა პოლიტიკურმა მრჩეველმა და მაშინდა ჩავარდნენ გულისხმაში.

ცხადია, ამას ვერც შეამჩნევს უბრალო მოხეტიალე ვაჭარი, ერთხელ რომ ჩაივლის სოფელში და მერე გამოაცხადებს ჩამორჩენილიაო, რადგან იქ ვერ დაინახავს მაღალ საკვამურებს, საიდანაც ბოლი ამოდის; აკი ბოლი ბევრის თვალში ჯერ კიდევ პროგრესზე მეტყველებს და მთავარი ნიშანიცაა. მაგრამ დამნახავიცაა და დამნახავიც, ბოლის გარდა სხვა რამესაც შეამჩნევს, თუნდაც მოკირწყლულ ქუჩებს და ამისთანა რამეები მაინც ესმით.

ხოლო რაც შეეხება სულიერ კულტურას, შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ესპანეთში გაცილებით მეტს კითხულობენ, ვიდრე აქამდე და სახალხო განათლებათზეც მეტი მოთხოვნილება შეიმჩნევა; თუმცა წერა-კითხვის მცოდნე მაინც ცოტაა. ამაზე კი ბარსელონაში დიდად არ ინუხებენ თავს, იქ სახალხო განათლება ყოველთვის უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

მაგრამ დავუბრუნდეთ სულუეტას, რომელიც ბოლო აზვაცში დასძენს: „უნებურად დაფიქრდები ადამიანი, როცა ნიგნში თუ ჟურნალში ისეთ თემებს წაანყდები, როგორცაა ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, რელიგიის ისტორია ანდა სამეცნიერო კვლევა-ძიება, რელიგიისა თუ შვედეთის რომელიმე პატარა ქალაქში, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ამ დარგებში მეტნაკლებად ფასეული, მართალია, მაგრამ შედარება გაგვიჭირდება ისეთ ქალაქთან, როგორიც გახლავთ ბარსელონა, სადაც 600 000 მოსახლეა.“

რატომ უნდა შეისწავლონ ბარსელონაში ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ანდა რელიგიის ისტორია? ან რა საერთო აქვს ამას კატალონიზმის პოლიტიკურ მოთხოვნილებებთან? თუმცა მსგავსი თემები თითქოს უვნებელია, თანაც მოდური, მაგრამ სოლიდარობაში განხეთქილების თესლს მაინც ავდებს.

ვითომ ესეც არაფერი! ექსპერიმენტული ფსიქოლოგია... რელიგიის ისტორია... ასეთი რამეები მალე ჩვენ ლიბერალებად და კათოლიკებად დაგვყოფს და ეს სწორედ ისაა, რასაც ყველაზე მეტად უნდა ვერიდოთ. ამჯერად უფრო მნიშვნელოვანია, კატალანური ეროვნება დადგინდეს, კატალანური, როგორც ოფიციალური ენა დაკანონდეს, არ დაკნინდეს ესპანური ენა, – თუმცა ზოგჯერ მსოფლიოს პირველ ენად მოიხსენიებენ ხოლმე, – და მერე დანარჩენზე კატალანურად ვისაუბროთ.

მართლაც რომ ღიმილის მომგვრელია, როცა გაიგებ, ისეთი სახელოვანი კატალანელების ნაშრომები, როგორებიც გახლავთ კაპმანი, ბალმესი, პი ი მარგალი, მილა ი ფონტანალსი და სხვები, რომლებიც გამორეული თავდადებით იღვნიან, კატალანურად ითარგმნებო, ისინი ხომ ამ ნაშრომებს ესპანურ

ენაზე ქმნიან და მეცნიერების საყოველთაო საქმისთვის ირჯებიან.

პოლიტიკური ციებ-ცხელება, იმედი გვაქვს ერთხელაც დაარწმუნებს ჩვენ კეთილშობილ მეგობარს სულუეტას, რომ დიდად არ შეუწყობს ხელს კულტურის განვითარებას. ცხადია, ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს მოქალაქე პოლიტიკური პრობლემებით არ უნდა დაინტერესდეს, მაგრამ არც ის მოიშველიონ საბაზად ამაში მეცნიერება, ხელოვნება თუ ლიტერატურა მიშლის ხელსაო. რა თქმა უნდა, კარგად მოიქცა რამონ ი კახალი, როცა უარი განაცხადა მისი მინისტრად დანიშვნის შეთავაზებაზე. განა სხვა საშუალებები არ არსებობს პოლიტიკის გარდა, შენ სამშობლოს რომ ემსახურო? ერთი ყველაზე დიდი ზიანის მომტანი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის ტენდენციაც არის, როცა ადამიანს წააქეზებენ ხოლმე – პოლიტიკის სფეროში რომ მოიხვეჭს სახელს, მერე კულტურისკენ უფრო ადვილად გაიკვლევს გზასაო. ასეთი კატალანელი სოლიდარობის დეპუტატი გაცილებით მეტად გამოადგებოდა თავის ქვეყანას, სონეტები რომ ეწერა და არა მოხსენებები.

სალამანკა, ივლისი, 1908.

ესპანურიდან თარგმნა მერი ტიტვინიქაი

ჩვენი ფოსტა

გამარჯობათ!

ისევე შევხვდით... მე მჯეროდა ამ შეხვედრისა და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ის აუცილებლად შედგებოდა.

ძალიან გამაზარეთ...

სად არ გეძებდით ყველას ერთად! ცალ-ცალკე გპოულობდით კიდევ სხვადასხვა გამოცემებში, მაგრამ ერთად მინდოდა მენახეთ, ძველებურად, თქვენი ხელწერით, თქვენი სტილით, გემოვნებით, თქვენი სამშაბათებით...

უთქვენობას თქვენი წარსული ავსებდა... და გავიდა ეს მოლოდინიც...

ჟურნალის 1-7 ნომერი საერთოდ აღარ იყო ქსელში (მე-7 ნომრამდე ვერ აღმოგაჩინეთ) და შეგეხმინათ... ბატონმა ლევან ბინაძემ წარმოუდგენლად სწრაფად მომიგვარა ეს პრობლემა, მერე გიორგიმ ჟურნალებიც მომიტანა და საერთოდ დამავიწყდა ჩვენს ყოველდღიურობაში დამკვიდრებული დაუმთავრებელი „გარდაამავალი ეკონომიკის პერიოდი“...

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი თანამშრომლების გულისხმიერება და ყურადღება, რომელმაც ყველა მოლოდინს გადააჭარბა! მადლობა ამისათვის!..

ეს დღეები „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებში ვიყავი ჩაფლული და სხვა ცხოვრებით ვცხოვრობდი. ჩემთვის ეს ყველაფერია. მარტო იმის წარმოდგენა რად ღირს, რომ ამ ქვეყნად შემორჩნენ ადამიანები, რომლებიც ქართულ საქმეს აკეთებენ.

ახლა ყოველი მეორე პარასკევის მოსვლას მოუთმენლად ველი და ვიცი, რომ შეხვედრა შედგება, არ გაგანზილებენ... და ამ სასიამოვნო მოლოდინში სასიამოვნო წუთისოვლებებით გადის დრო...

მომავალ პარასკევამდე!

მარინა ყიფიანი ქუთაისი

თამაზ ხმალასი ნოველებსა თუ ვრცელ ბელეტრისტულ თხზულებებში უმთავრესია ნოსტალგიის ის განცდა, რომელსაც ახალგაზრდობის ხანა გვიტოვებს. ნოსტალგიისა და შინაგანი ტკივილისა, რომ ბევრი რამ ისე ვერ აღსრულდა როგორც ოცნებებში მოჩანდა. ყოველდღიურმა ყოფამ დათრგუნა ადამიანის ნება. და მაინც, პერსონაჟები არ ეგუებიან ცხოვრების ამგვარ განაჩენს და ცდილობენ საკუთარ არსებაში რომანტიკული ნამცეცების მოძიებით ამაღლდნენ ყოველდღიურობაზე, კვლავაც შეინარჩუნონ ოცნების თავი.

კონფლიქტი მთლიანად გამართა სულშია გადატანილი. ამიტომაც არ გამოირჩევა თამაზ ხმალასის პროზა სიუჟეტთა თავბრუდამხვევობით, მაგრამ არც შინაგანი დინამიურობა აკლია და არც დრამატიზმი. დრამატული ბირთვი მის ამ ახალ მოთხრობაში განსაკუთრებით საგრძნობია და თხრობის რიტმიც უფრო გამკვეთრებული. და კვლავ მსჭვალავს ყოველივეს ღრმა, აუხსნელი სევდა.

თამაზ ხმალასი

ამბავი ჩალამბარასი და კიდევ სხვისა

ამბავს ამბავი არ ეზედმეტება.

ოთარ ჩხეიძე

კიაზო

რლაცას ეგეთს გუშინ სალამოსვე ვარაუდობდნენ მეტეოროლოგები. ამჯერად გაუმართლათ – შუაღლე დიდი ხნის გადასული არ იქნებოდა, უცაბუდად რომ ჩამოხენულა და გომბორიდან წამოსულმა შავფაშვჩამოშვებულმა, ჩახვეულმა ღრუბელმა ერთიანად დაფარა სივრცე. ჩაიყლაპა, გაქრა, რაც რამე თვალგასახარი მეგულეობდა. აღარც დაბლა გულაღმა განოლილი მდედრი – ალაზნის ველი ჩანდა და არც იმ თმაშევერცხლილი მამრის – კავკასიონის ციკაბო ფერდობები.

დიდად უცნაური რამე გახლავთ მოცალეობა, ვინ იცის, საით არ გააჭენებს შენს წარმოსახვას, რა ეპითეტებსა და შედარებებს არ მოგაძებნიებს და გაპოვნიებს – საკუთარ აივანზე მჯდომი მრუმე მრავალფეროვნებას გაცეკეროდი და ვფიქრობდი: ვითომ ეს ულამაზესი ალაზნის ველი მომლოდინე დიაცია, კავკასიონი კი გულზავი მამრი და მის უბეში ჩასახული მსხვილი და წვრილი მდინარეები ველის გასანაყოფიერებლად თავანყვეტილები მოილტვიან-მეთქი.

და სანამ გონებაში ესა და სხვა ამგვარი არატრადიციული შედარებები მიტრიალებდა, დელგამამ და გრუხუნ-გრი-ალმა სადღაც ახლოს ჩაიარა და ფრთა ერთი-ორჯერ აქაურობასაც გადმოჰკრა – დიდრონი, ცერის სიმსხო წვეთები წამოუშინა, ცოტა ხანს ხეებსაც ახათქუნებინა თავები ერთმანეთზე, სულიერსაცა და უსულოსაც შიშის სუსხი ჩაუყენა ძარღვებში და უკვე მოლილი და მოუძღურებულმა აღმოსავლეთისაკენ, საინგილოსაკენ ქნა პირი.

მარტო ვიყავი, მარტო ვიჯექი აივანზე და სამი დღის წინ, მამაჩემის ერთი შორეული ნათესავის, შიოს მორთმეულ რქანითელს შევეცეოდი ნება-ნება – მარტოსულობისა და უამინდობის უებარ წამალს.

სულო ცოდვილო და მესალბუნებოდა.

მაგრამ ორიოდე ჭიქის გამოცლაც ვერ მოვასწარი, რომ ზაფხულის ჩვეულები-სამებრ უცბად მოვარდნილ-მა ავდარმა უცბადვე გადაი-არა და იმისი კვალიც ერთბა-შად ჩამოიწმინდა დასავ-ლეთმა. ჭექა-ქუხილისა და ქარის ხვივილის მერე ისეთი დუმილი გამეფდა, სიჩუმეს ყურებში წული გაუდიოდა. ჩამავალმა მზემაც, თითქოს მოსწრებაზეაო, ასაკმოძა-ლებული ქალივით უფრო მე-ტად მოიკეკლუცა ჩამოხანილ-ჩამოსუფთავებული პირი-სახე და საამდროოდ გადანახული მცხრალი ღიმილი გად-მოგვაფინა.



კიბე ჩამოვიარე და ეზოში ჩამოვედი. მზის ხელმეორედ გამოჩენის მერე საგნებს აქამდე გამქრალი ჩრდილები და-უბრუნდათ და მე ამ დაგრძელებულ ჩრდილებზე მივაბი-ჯებდი. მეგონა, წიგნებში წაკითხულით, ანდა სხვათა მიერ მონათხრობით შეყვარებულ ადგილას მოვხვდი-მეთქი, ისეთი ახლობელი და თანაც უცხო მეჩვენებოდა აქაურობა – აღარაფერი მეჩემებოდა, დროის ფერფლქვეშ მოქცეუ-ლიყო ბავშვობის ნაფეხურები. აი, ჩამოვედი, უკან დავ-ბრუნდი... ოღონდ შინ ვერ დავბრუნდი. ყველგან გაუცხო-ებულს ჩემი „შინ“ აღარსად მეგულეობდა.

მსხმოიარე, ტოტებდამძიმებული კაკლისაკენ წავედი. აქ წვეთიც არ ჩამოვარდნილიყო. მივედი და უკვე ლობო-შეპარებულ ძელსკამზე ჩამოვჯექი. კვირა სრულდებოდა, რაც ჩემს ძველ ეზო-კარს მოვუბრუნდი და აქაურობას გა-დაჩვეულმა თბილისიდან ჩამოყოლილ საქმეს ჯერ კიდევ ვერ დავუდე გული – აივნის მოაჯირამდე მიდგმულ სარწე-ველაში ვიჯექი ერთთავად და თვალმოუცილებლად გავ-ცეკეროდი კავკასიონის მარადცვალებად მშვენიერებას, დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვანაირად რომ მახვევდა თავბრუს. აღარც არაფერი მაინტერესებდა, აღარც არავის დანახვა მინდოდა და ამქვეყნიური საზრუ-ნავისაგან დაცლილ ისეთი სიმშვიდითა და ნეტარებით მეგსებოდა სულიცა და სხეულიც, რომ ველარ ვარკვევდი: ვთვლემდი თუ ნირვანაში ვიყავი ჩაძირული. სიმართლე გითხრათ, საქმის ასე მიყურისძირება დიდად არ მანალ-ვლებდა, რატომ უნდა ავჩქარებულყავი, ვისთვისა მქონ-და სიტყვა მიცემული: ჩემზე გაპიროვნებულ სამუშაოს პირნათლად და დროულად ჩაგაბარებ-მეთქი. დროის მეტი ჩემი ხელისუფალი სხვა იყო ვინმე?

არა, აღარავინ.

წელანდელმა დელგამამ და ქარიშხალმა, ეტყობა, ყველ-გან ეგრე უამბოდ არ ჩაიარა – იოლი მისახვედრი გახ-

ლდათ, სადღაც ახლოს სეტყვამ ჩარეგვა ყველაფერი, რადგან ნიაგმა გარეული ქინძისა თუ ჩალამბარას იშვიათი სურნელი მოიტანა და ცხვირში უცნაურად შემიღიტინა...

მოიცა!

კიდევ ერთხელ სდექ!

რაო, რა ვთქვი, რისი სურნელი მოიტანა-მეთქი? ჩალამბარასი?..

დიდება შენდა, ღმერთო, რანაირად გამახსენდა, რომელი სკნელებიდან წამოტივტივდა გონებაში? კაი ოცდაათი წელი იქნება და შეიძლება მეტიც, ჩემს გარშემომყოფთაგან ეს სიტყვა აღარ გამიგონია და უცბათ, ვითომაც არაფერიო, ჩალამბარა!.. რომ ვნახო სადმე, იქნება ველარც კი ვიცნო, ქინძისა და ოხრახუმისაგან ვერ გავარჩიო, აი, სუნთქვი მხსომებია. რა ისეთი ღრმა გრძნობით უნდა ვყოფილიყავი დაკავშირებული ამ მცენარესთან, რომ დროსაც არ შეეპუა, დრომაც ვერ გააქრო მისი სურნელი. ეგრე გამოდის, სუნს დავინწყება არ უწერია. აკი სტუდენტობისას გვასწავლიდნენ: გემოთი, ფერით, ბგერითა და სუნით გამონეული გრძნობები მარტივიაო. მამ მარტივმა გრძნობამ როგორ შეძლო ამდენ ხანს გაძლება?.. ჰო, მოიცა, კიდევ რა მახსოვს? რა და ბავშვობაში გაგონილი ლექსი, უფრო სწორად, ამ ლექსის ორი შუალა პნკარი: „... დედის ძუძუ მიწოვია, ჩალამბარა მიჭამია...“ და მეტი არაფერი: დანარჩენი გაქრა, წაიშალა, გადაირეცხა. ზოგჯერ ხდება, რალაცის გახსენება გინდა, ლამის ენის წვერზე გიტრიალებს და სწორედ ამიტომაც გეიმედება: ეხლა თუ არა, მერე მაინც გამახსენდებაო. ამჯერად კი მსგავსი იმედი არ არსებობდა – ამ ორი სტრიქონის წინაც და შემდეგაც მხოლოდ შავი ნავლი და ნაცარილა დარჩენილიყო და კიდევ უსაბუთო ცოდნა იმისა, რომ ლექსი კარგი იყო და ნაქები ვაჟკაცი ჰყვებოდა თავის ამბავს, მაგრამ რას? მომკალი და ველარ გამიხსენებია. ფუჰ, ჯანდაბა და დოზანა... რა ღმერთი გამიწყრა, ეგრე როგორ ამომივარდა თავიდან! თუმცა, თუ დამავინწყდა, ნეტავი ბოლომდე დამვიწყებოდა, ნეტავი რაც გამახსენდა, ისიც არ გამახსენებოდა, რადგან ვიცი, შემოინდება ეხლა კბილის ჭიასავით და იქამდე არ მომეშვება, სანამ არ აღვიდგენ მთლიანად – ან ჩემით – მახსოვრობის ჯურღმულეებში ძრომიალით, ანდა არ მივაკვლევ სადმე ჩანანერებში გადანახულს. რაც დრომ განირა და გაიმეტა, ეგებ ქალაღდმა შემოინახა და რომელიღაცა კუნჭულში ილოდება დღის სინათლეზე ხელახლა გამოტანის მოიმედე. სადაც ჰკარგავენ, იქ პოულობენ კიდევ. შენ მონდომება თქვი, თორემ მაგისტანები ადრეც რამდენი მიმიკვლევია!

რა ღმერთი გაუწყრება, რალა მაინცადამაინც ეგ გადაიქცევა მოუხელთებლად, რალა მაინცადამაინც ეგ ჩამოიცვამს უჩინმარინის ქუდსა? მაგრამ თუ მოხდება და ეს მცდელობაც გამიცრუვდება, თუ ამ ხერხითაც ვერ მოვიხელთებ, ნადილის ასასრულებლად კიდევ ერთი სამარქაფო გზა მეგულება – კოლექტიური მახსოვრობა – მართალია, ძველი გროშივით გაცვდა და განახევრდა სოფელი, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ჩემზე უფროსიცა და ჩემი ხნისაც, როგორ და-

ვიჯერო, ვინმეს არ ემახსოვრება ჩალამბარას აქია? დღეს დავკარგე, ხვალე ვიპოვნო, ამბობდა ტანტრეს ფსევდონიმით მოარული და...

ჩხვლეტა მკერდში – ვიგრძენი, როგორ მწარედ შეიკუმშა გული. რეალობას დაბრუნებული უცბად მივხვდი: ბებრეკ იმედს ძველებურად თვალაბმული მივათხარაკებდი და დღევანდელობას არავითარ ანგარიშს არ ვუნევიდი... ერთბაშად ჩაიფშვნიტა, ჩაიფხვნა სასო: ვაჰ, შენ ჩემო თავო, სიბერეს მისწვენიხარ და ჭკუა მაინც ვერ გისწავლია. კაცს მცირეოდენი ალლო თუ შეგრჩენია, ხომ უნდა ხვდებოდე, რომ სხვა დრო მოდგა კარსა – რასა ცოდვილობ, ეგ სტრიქონები ან შენ რა ჯანდაბად გინდა, ან სხვას რისთვის გამოადგება? ვთქვით და მიაგენი კიდევ, ვის მიულოცავ, ვის ახარებ: მივაკვლიეო! ეჭვი მეპარება, სამომავლოდ ვინმემ რაგინდარა ლექსი მოისაკლისოს – აბა ვისთვის რა სარგებელია პრაქტიკულად არაფრის მომცემა ლექსი?

მაგრამ მე მაინც უნდა მივაგნო და დავტოვო. დაუტოვო.

ვის?

შეიძლება არავის, მაგრამ მე მაინც უნდა დაუტოვო.

შიო

ძია კიაზოს ნათქვამი ვერ იქნა და ვერ ამოვიგდე თავიდან. როცა სხვა რამეზე ვფიქრობდი, მაშინაც გლუვ ბურთულასავით დაგორავდა ტვინში და სხვადასხვა აზრთან შეჯახებისას სულ სხვადასხვა, ზოგჯერ წარმოდგენილად საპირისპირო მოსაზრებას შობდა...

დაგორავდა და დაგორავდა...

– ძველი და გარდასული ამბები შენ სანაგვეზე გადასაყრელი არ გეგონოსო, – მეუბნებოდა, – ისინი ისეთივე მონაპოვარია ჩვენი ხალხისა, როგორც საუკუნეების მანძილზე დიდი შრომით გამოყვანილი საქონლის ან ხეხილის ჯიში, ათასწლეულებამოვლილი სიმღერის ჰანგი ან ცეკვის ილეთი, ხმლის გამოჭედვის ან ღვინის დაყენების ჩვენებური წესი და სხვა რაც გინდა. ამბებიც ისეთივე ეროვნული განძია, იმათი ტოლფასია, მეტი თუ არა, რადგან ჩვენი წესჩვეულებები ამ ამბებშია დაუნჯებული.

ეს სიტყვები მაშინ მითხრა, როცა თბილისიდან რამდენიმე დღით ჩამოსულმა მეზობლის თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბავშვებს თითო საერთო რვეული და წასახალისებელი ხუთ-ხუთი ლარი დაურიგა:

ძველი ამბები ჩაინერეთ, ეს რვეულები გაავსეთ და უკანვე მომიტანეთო.

ხუთი ლარი გინდა ჩამაკერე და გინდა ჩამახიე, რა უნდა ექნა, რაა, ეგ გამამდიდრებდა? ანდა, ვირი ხბორებშიო – ოცდაოთხი წლის კაცი ფულის გასაკეთებლად ბანლაჭიჭობში ხომ არ გავერეოდი. ვთქვით და ჩემთვისაც მოეცა, პირზე მურს რანაირად ჩამოვისვამდი და იმ ფულს რანაირად გამოვართმევდი? მაგრამ

პარასკევს, 9 ივნისს
საქართველოს ეროვნული
ბიბლიოთეკის
საკონფერენციო დარბაზში
გაიმართება შეხვედრა
გივი ალხაჯიშვილთან
დასაწყისი 18 საათზე
გუდიაშვილის №7

თვითონ საქმემ დამაინტერესა: ეს თითქმის იგივე იყო, რაც მე მანუხებდა.

მერე ისევ რომ ჩამოვიდა, გამეხარდა. ხშირად ვენვეო-დი ხოლმე – ძლივს კაცი ვნახე, ვისთანაც დალაპარაკება შეიძლებოდა. მართლა და მართლა, მეც ხუთ ლარს ხომ არ მოვთხოვდი? თანაც რვეულებს კი არ ვავსებდი, იმას მაგნიტოფონი ჰქონდა ჩართული და მე ვცვებოდი. სულ ეგ იყო. თუმცა მე კი არ ვცვებოდი...

ერთ-ერთი სტუმრობისას მამაჩემის დაყენებული ხუთიოდე ლიტრა ღვინო მივუტანე. შევატყე, ესიამოვნა. დაუზარებლად წამოდგა სარწვეველა სავარძლიდან და მაშინვე გასინჯა. ერთ ჭიქას მალევე მიაყოლა მეორე და ამით მოითავა, იმყოფინა. სწორადაც მოიქცა, მე ხომ ვიცოდი, რა ღვინოც იყო: დიდ ხანს არ გაუვლია, ღანვები წამოუწილდა, თვალელები აუჭუჭუნდა და ლაპარაკის იმტაზე მოვიდა:

– წარსულის არდავინყების დაუოკებელი მოთხოვნა ზოგჯერ ავადმყოფობასავით შეეყრება ხოლმე ადამიანს. იყო დრო, როცა კოლექტიური მახსოვრობაც კმაროდა კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის გადასარჩენად. მერე და მერე ცალკეული თავდადებული კაცების მონდომება გახდა აუცილებელი იმის შესაკრებად და მისაპატრონებლად. ამის დასტურად ერთ მაგალითს გეტყვი, გინდა?

ბრძანეთ-მეთქი, თავი დაუჭენე. აბა მე რა დამშლელი ვიყავი.

– ჰოდა, მოხდა ეგრე რომ... – შეეტყო, შორიდან აპირებდა თხრობის დაწყებას, ხმაც კი შეეცვალა, თითქოს ისიც საიდანადაც, თვალწაუწვდომელი სიღრმეებიდან მოდიოდა: – უკვე ხანში შესულმა და ბევრჭირგამოვლილმა მეფე ერეკლემ სათხოვარი გაუგზავნა ამბროსი ნილენელს: ქართლ-კახეთში ცისკრის ალილო აღარავის ახსოვს, ჩამოდი, გვასწავლე და საბოძვარსაც მიიღებო. ეპისკოპოსმა პასუხი და სიმღერის ტექსტი სანდო ადამიანის ხელით აახლა მეფეს, მაგრამ ერეკლე არ მოეშვა, სანამ თვითონ არ ჩამოვიდა ნილენელი თბილისში. შენ, ჩემო შიო, ალბათ გუნებაში ჩაგეცინება და იმასაც გაიფიქრებ: ვაჰ, რაღა გვეშველებოდა, თუ ცისკრის ალილოს გარეშე დავრჩებოდიო! არა, შვილო და ძმაო, იმ ჩაბნელებულ საუკუნეებს მხოლოდ ფარი და მახვილი ვერ გამოგვაკაფინებდა, ცოდნა რომ გვქონდა და იმ ცოდნის მოფრთხილებაც ვიცოდით და მოვლაც, ხმალსაც იმიტომ ვაჭრევივინებდით იოლად. ეგრე სათითაოდ თუ დაკვარავდით ყველაფერს, მართლა აღარ იქნებოდა ჩვენი ხსნა და საშველი.

ეგ მაშინ.

ესლა კი, კომპიუტერების ეპოქაში, დასაფანტავად და გასაქრობად განწირულის მისახედად უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო. დღეს იმ ვითომდა უმნიშვნელო დეტალების აღნუსხვაც არ უნდა დაგვაავინყდეს, რომლებიც საბოლოოდ ერთ მთლიანს ქმნიან...

ისეთი დაუცხრომლობითა და გზნებით მედავებოდა, თითქოს ვენინალმდეგებოდი, თითქოს რამეში არ ვეთანხმებოდი. მეც მანდ არ ვიყავი, მეც ეგ არ მანუხებდა? და ეგრეც რომ არა ყოფილიყო, იმხანად შეკამათებას ჯერ კიდევ ვერ გავუბედავდი.

– ... თუ ამბები დავკარგეთ, თუნდაც გუშინდელი და გუშინდელი, ამით უფრო ადრინდელბთანაც გავგინ-

ყდება კავშირი, იმათთან, უკვე საფუძვლიანად შესწავლილი და დაბინავებული რომ გვგონია. ჰოდა, ასეთ შემთხვევაში, რაც ყველაზე საშიშია, მემკვიდრეობითობა დაირღვევა, იმ ძარღვს გადავჭრით, იმ ჭიპლარს მოვწყდებით, რაც დღემდე გვასაზრდოებდა. ამბავი, რაც უნდა მცირე იყოს, უინტერესო მაინც არ იქნება – მასში, შიგნით ხომ ადამიანები ცხოვრობენ თავიანთი სვე-ბედით, ხასიათებით, თავგადასავლებით... ვაჰ, რა მშვენიერი ღვინო ყოფილა! ერთი ჭიქა შენც ხომ არ დაგისხა?

– არა, არა, ესლა არ მინდა, როცა წამლებსა ვსვამ, ღვინო არ შეიძლება, – ვიუარე.

განა ისეთს რას ამბობდა, ჩემთვის აღმოჩენა ყოფილიყო, აკი გითხარით: რაც უკან მოხედვა ვისწავლე, მას შემდეგ ჩემი ფიქრიც მაგ საწუხარს დასტრიალებდა თავს. ამიტომ იყო, კიაზო ძიას ჩამოსვლა ეგრე რომ გამიხარდა, მეგონა: ეგ არის და ნატვრა ამისრულდა, ძლივს კაცი გამოჩნდა, ვისაც გულისპასუხს გავუზიარებ-მეთქი. მაგრამ ნათქვამია: კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. ღმერთი კი იმიტომ იცინოდა, რომ ძალიან შეუფერებელ დროს ბჭობდა კაცი. მეც ეგრე დამემართა, ალბათ გამოუცდელიობისაგან – ჟამი შევარჩიე უვარგისი – როცა ადამიანი თვითონ არის მოწყურებული საუბარს, სხვის ნათქვამს ყურს ძნელად დაუგდებს, სხვისი თვალსაზრისი და შეხედულება იმას ტყემლის ჩირადაც არ უღირს. დავინყე თუ არა ლაპარაკი, ამას მაშინვე მივხვდი, ოღონდ უკვე გვიანი იყო და აღარ გავჩერებულვარ. ვატყობდი სწრაფად, დაზებირებულვით ვალაგებდი ერთმანეთზე წინადადებებს, მეშინოდა, არ გამანყვეტინოს-მეთქი და ამიტომაც ჩემს ნათქვამს დამაჯერებლობა აკლდა:

– ჩვენ მხოლოდ სივრცეში კი არა ვცხოვრობთ, კიაზო ძია, არამედ დროშიც. თანაც მხოლოდ ანმყო დროში კი არა, ერთიან, დაუნანვერებელ დროში. სივრცეც განფენილია და დროც და შეიძლება ისიც ითქვას: სივრცე უფრო სხეულის საცხოვრებელია, დრო კი – სულისა. ეს დედამინა ეგრე რომ გადაშლილა და ამ სივრცეში მე თქვენ გესაუბრებით, მამაჩემი სიღნაღშია, ვილაცა თბილისში და ვილაცა, ვთქვათ სეგეუში – ისინი იქ და მე აქ – ხომ ერთ განფენილ სივრცეში ვართ? მაგრამ ერთმანეთზე ზემოქმედებას ვერ ვახდენთ. ფიზიკურ ზემოქმედებას. ზუსტად ასევე ერთნაირად განფენილ დროში ვცხოვრობთ ფარნავაზ დიდი, დავით გურამიშვილი, ჩემი და თქვენი საერთო პაპა კომმა, თუ რა ვიცი, რაც ერქვა, და მეც – ოღონდ ისინი იქ და მე აქ. ისინი სხვაგან კი არ წასულან, უბრალოდ, შორეულ ანმყოში ცხოვრობენ და მათთან ურთიერთობა არ გვიხერხდება... თუმცა მთლად კერეც არ არის: ზოგჯერ იმისთანა რაღაცა მემართება, მე თვითონ ვერაფერი გამიგია ჩემი თავისა... ვინ არიან, რას მელაპარაკებიან...

ანუსია

ჰო, როგორ არა, დედაჩემიც მიყვებოდა ხოლმე, სხვებიც, მაგრამ მე იმათი ნათქვამი რათ მინდოდა – უკვე ათი წლისა ვიქნებოდი, მამაჩემი ომში რო წაიყვანეს. ათი წელი ცოტა ხო არ არი? ათი წლის ქალს ავიც მოეკითხება და კარგიც. რავი, ამ ხნის მანძილზე ერთხელ მაინც რო-

გორ არ გამიჯავრდებოდა, მაგრამ ეგეთი რამე, მომკალი და არ დამმასხოვრებია. მე მარტო მოფერება მასსოვს იმისა: დაგურგულედა იცოდა იგეთი, სუ ძვალმანი და-გირბილდებოდა...

შიო

დავინყებ თუ არა თხრობას, ჩართავს მაგნიტოფონს, დამიჯდება წინ და თითქოს ტექნიკას არ ენდობაო, ბლოკ-ნოტშია ცინიშნავს რალაც-რალაცებს, მაგრამ საკმარისია, სხვათა მიერ მონაყოლი ამბების თხრობა დავამთავრო და ჩემი ნაფიქრალის გაზიარება ვცადო, მაშინვე წამოდგება და ხვნეშა-ხვნეშით გადაჯდება სარწვევლა სავარძელში – თვალმოუშორებლად გაჰყურებს ლეკითას, თითქოს შიშობს, ქარაფიდან ქარაფზე მსტომი ჯიხვების არცერთი ნაფრენი არ გამომეპაროსო.

ლამის ჩემი წილი კავკასიონი შემაძულოს.

თუმცა ენას მაინც არ ვაჩერებ – ვითომ ძალიან მიუხვედრელი ვარ, ვითომ ეგეთი დავიბადე და გავიზარდე, რომ ჩემს სიჯიუტეს საზღვარი არა აქვს. მაშ რა ვქნა? მოსწრებაზე ვარ, არავინ იცის, როდის იზამს პირს თბილისისაკენ, ანდა როდის ჩამობრუნდება უკან.

– ... იმიტომ კი არ დავბარბაცებთ ეგრე ჟამკარარეულები, ამდენი უპასუხო კითხვა რომ გვიტრიალებს თავში, არა, იმ ცრუ მოძღვართა მიერ ყოველ კითხვაზე დახვავებული აუარება პასუხი გვიძალღლორებს ცხოვრებას. კითხვას რაღაცას მოუხერხებდა კაცი, სხვა თუ არაფერი, ზოგიერთს გადახატებოდა, ან გადააბიჯებდა მაინც, იმათ მიერ ხაფანგებით დაგებული პასუხები რომ არ გვებლანდებოდეს ფეხებში...

– მაგალითი? მაგალითიც უნდა თქვა! – გვერდზე თავსაც არ აბრუნებს. ისეთი მყარი მზერა მიუბჯენია კავკასიონისათვის, მეჩვენება, ზედ კაცი იოლად გაივლის. ამითაც ეტყობა, ჩემი ნააზრევის მოსმენა დიდად რომ არ ექაშნიკება.

მწყინს, მაგრამ მაინც არ ვიშლი ჩემსას:

– მაგალითი? რამდენიც გინდათ. მათ შორის კი, აი, ყველაზე უფრო თვალსაჩინო და ყოველდღიური: კითხვა ხომ ერთია, ერთადერთი: რანაირად დავამყაროთ ურთიერთობა უზენაესთან, ღმერთთან? ახლა პასუხები ნახე რამდენია: სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაც ქვეყნად რელიგიები არსებულა, არსებობს და იარსებებს, ყველა ხომ ამ ერთი კითხვის პასუხია? დამეთანხმებით, მათი გაცნობა უფრო მეტად გვიბნევს თავგზას, ვიდრე თვითონ ის

შიშველი კითხვა. აბა მიდი და გაიგე, რომელია ამდენ ცრუ-პასუხებში სწორი და ამოირჩიე...

– ო-ხო-ხო-ხო-ხოოო! ნეტავი ბოლომდე თუ გესმის, რეებს ლაპარაკობ? ვინ ჩემი ცოდვით სავსემ გასწავლა ეგეთი რალაცეები, ვინ ჩემი ცოდვით სავსემ აგირია ეგრე გონება?!

ასეთ დროს, კაცს თუ ცოტაოდენი თავმოყვარეობა დაგრჩენია, უნდა ადგე და ნახვიდე, ანდა გაჩუმდე მაინც. მე კი არაფერს ვიმჩნევ – ვითომ იმიტომ არ მეწყინა, უფროსი და განათლებული კაცი რომ არის, კიდევ ვითომ იმიტომ, ნათესავად რომ მერგება და რასაც მეუბნება, ეკუთვნის, ჩემს სასიკეთოდ მეუბნება.

– ვისი რა სწავლება მჭირდება, კიაზო ძია, რაა, მე ჩემი საკმარისი ჭკუა არ მომცა ღმერთმა?

– თუ მოგცა, მშვიდობაში მოგახმაროს. მაშ საიდან მოგდის ეგ მჭლე და ბანალური აზრები? – უცბად მოტრიალებული მზერა ტყლაშასავით მხვდება სახეზე, – ისე, ხომ აბრუებ და არეტიანებ ზედაშიანელებს შენი განათლებულობით? რაო, გასხამენ ქება-დიდებას, მაგარი ხარო?

– რას ამბობ, კიაზო ძია, ეგეთ რამეზე აქაურებთან რა დამალაპარაკებს?! – ვასავსავებს ხელებს.

– რატო, კაცო, მე თუ მეუბნები?

– იმიტომ რომ. ამათ გიჟი ვეგონები, ეგრევე სალოკ თითს დაიტრიალებენ საფეთქელთან.

– უცნაური ვინმე ხარ, კაცმა რომ თქვას, ამჯერადაც ზუსტად მოახვედრე, – უცერად გუნებაგამოკეთებული ისეთი ხალისით დგება სარწვევლა სავარძლიდან, თითქოს კვლავაც მამაჩემისეული ღვინო მომეტანოს. თვალებიც, სახეც ღმილითა აქვს სავსე.

მეც გაბედულება მემატება:

– მედიუმი ხომ იცით, რაც არის, კიაზო ძია, თითქოს მედიუმი ვიყო წინაპრებსა და ეხლანდელებს შორის, – ვამჩნევ, სახე თანდათან როგორ ეცვლება, ექმუნება, – ზოგჯერ მგონია, მე მივდივარ წასულებთან, ზოგჯერ ისინი მოდიან ჩემთან. ნაწილი იმ ამბებისა, რასაც გიყვებით, დარწმუნებული ვარ, სხვებისაგან კი არა მაქვს გაგონილი, ჩემით ვიცი, რალაცნაირად... ამას აქაურებს როგორ ავუხსნი? ექიმებიც კი მიშლიან ეგეთ რამეზე ფიქრს...

– ჰოდა, არ იქნება ცუდი, ექიმებს თუ დაუჯერებ. – მერე რალაცას ფრუტუნებს თავისთვის, – კარგი და რამდენი წლისა ხარ ეხლა, შიო?

– ოცდაოთხისა, რატომ მეკითხებით?

– რას გეტყვი, იცი, ჩემო შვილო და ძმაო? ამ იწილო-ბიწილოზე ფიქრს თავი დაანებე და სამომავლოდ ეს დაიმახ-



მხატვარი ნინო ლილუაშვილი

სოვრე: რაც არ უნდა ვეცადოთ და რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, ვერც წარსულს დავიბრუნებთ უკან და ვერც იქ დაბრუნებას შევძლებთ ყოველთვის. აი, ჰაიდგერი ამბობდა... ეჰ, მეც რას ვაჭირებ საქმეს, აქ რა დროს ჰაიდგერი... – ადგა და აივანზე გაიარ-გამოიარა, – აღარ გვინდა, დავანებოთ მაგას თავი. ერთი ეს მითხარი, ლექსები გიყვარს?

– ლექსები?! როგორ არა... ყველა არა, მაგრამ...

– ყველა რად მინდა, ყველა არც მე მაინტერესებს. აი, შაირი მაქვს გაგონილი ბავშვობაში ეგეთი, მარტო ორი სტრიქონილა მახსოვს: „... დედის ძუძუ მინოვია, ჩალამბარა მიჭამია...“ გამისკდა თავი ფიქრით, მაგრამ ვერ იქნა და ვერარა გავიხსენე თავიდან ბოლომდე. შენ ხომ არ იცი მთლიანად, ან ვინმესაგან ხომ არ მოგისმენია?

– არა, ეგეთი რამე პირველად მესმის. რაო, ჩალამბარა მიჭამიაო?

– ცუდია. მე მეგონა გეცოდინებოდა. მიდი, რაა, სცადე, სხვებთანაც გაიკითხ-გამოიკითხე, იქნება ვინმეს ჰქონდეს ყური მოკრული.

გაკვირვებული შეეყურებ: რა მელექსება და რა მეშაირება! თუმცა რატომ უნდა მიკვირდეს, ცოცხლები ხომ ვერასოდეს უგებენ ერთმანეთს. თითქმის ვერასოდეს.

– აღარ გვინდა, დავანებოთ მაგას თავი, – ზურგზე ხელემშემონწობილი აინევს და დაინევს ფეხის წვერებზე, აინევს და დაინევს, – ისევ ძველ ამბებს მივუტრიალდეთ, იქ ყველაფერი უფრო იოლია.

ანუსია

... აიიი, მამაჩემი იგეთი ტკბილი კაცი იყო, იგეთი რო!.. მინდვრიდან რო მოვიდოდა, როგორც არ უნდა ყოფილიყო, დაგვისხამდა დალღილ მუხლებზე და მოგვეფერებოდა. დაგურგულედა იცოდა, სუ ძვალმანი დაგირბილდებოდა. ზოგს ეგრე ჰგონია, შვილო, თუ შემძლეა, თუ ძალ-ლონე მოსდევს, შინ და გარეთ შუბლგამოკობილმა და სახემოქრუშულმა უნდა იაროს. მამაჩემი – არა. ეგრე ამბობენ: ამ კუთხეში იმაზე ჯანიანი არავინ დამავლებულა, მაგრამ დიდ-პატარას თაფლივით ზედ ადნებოდაო. ათიოდე წლისა ვიქნებოდი, ომში რო წაიყვანეს, მაინც იგრე ცხადლივ მახსოვს, გეგონება გუშინ მოხდაო. სონა ჩვენ შორის ხო ყველაზე პატარაა, იმან მამის სიტკობობისა არა იცის რა. მე რო ვიტყვი: ვაი, ვაი, ნეტავი მამაჩემი ერთხელ კიდევ მაჩვენა-მეთქი, მეუბნება: – შენი ხნის ადამიანს მშობელი რო შეენატრება, თვითონ უნდა წავიდეს იმის სანახავადო. და კი არი ჩემი, მაგრამ როგორ არა ვთქვა: აეგეთი ნუკლაკი და ზარავანდში ამოვლებული ენა აქვს, მაგის ავისიტყვაობის გამო, ვინ იცის, რამდენჯერ დავრეულვართ ამ სიბერეშიც. რა ვქნა, განა არ ვიცი, რო გული კეთილი აქვს, მაგრამ გული ხო გარედან არა ჩანს...

შესახედავად როგორი იყო? ვინა, მამაჩემი? იიიჰ, შენს გახარებას! ბევრი ვერავინ შეედრებოდა – ბრგე, მხარბეჭიანი, მშვენიერი. ეგე ჩვენებთან შიოსა ჰგავდა გაჭრილი ვაშლივით. ულვაშების დაყენებაც კი მაგნაირი იცოდა. ჩვენ არცერთი არ გამოვემგვანეთ – არც შვილები, არც შვილიშვილები. შიო ხო მამიდაშვილის შვილია ჩემი, დის შვილიშვილი ვითომ ეგრე რათ უნდა დამგვანებოდა მამა-

ჩემსა, მაგრამ ჯილაგიც* ჯიშივითა ყოფილა, სად გამოჰხეთქამს, ვერ მიხვდები.

ჰოდა, იმას გეუბნებოდი: ტკბილი კაცი იყო ძალიან... განა მარტო მამაჩემი? სხვებიც. მიკვირს და გამკვირვებია, შვილო, ხო იმათი შაქნილ-ნაშობები და იმათი დაზრდილები არიან, მაშ ეხლა რამ დაშხამა ეს ხალხი?!

მახსოვს, კანთიელად მახსოვს, აკი გითხარით, ათიოდე წლისა ვიქნებოდი, ომში რო წაიყვანეს-მეთქი. მაგრამ ისიც სათქმელია, რო რაც ვიცი, უფრო მეტი დედაჩემ გაიანეს მონაყოლიდან ვიცი.

დედაჩემს ხანი რო მოემატა სიტყვამრავლობა დასჩემდა, ერთთავად აქეთ-იქით დაფასფასებდა და მსმენელებს დაეძებდა. იხელთებდა თუ არა დროს, დაჯდებოდა, შემოიკოკებდა გარშემო შვილიშვილებსა და უყვებოდა თავისი ახალგაზრდობის ამბებს. მეც იმათთან ყოფნა მენიაზებოდა, მაგრამ ვთაკილობდი, წვრილფეხობაში ჩაჯდომა მერცხვინებოდა, ვითომ ჩემთვის რალაცას ვსაქმიანობდი, შორიასლოდან ვუგდებდი ყურსა. ის კიდე ჰყვებოდა და ჰყვებოდა დაუსვენებლივ, თითქოს იმას ეშურებოდა: რაც ვიცი, მოვასწრო და აქ დავტოვო, თან არაფერი გავიყოლოო.

შიო

რომ არ მეთქვა, გული გამისქდებოდა:

– კიაზო ძია, აბა რა გიყო, რანაირად მიგახვედრო, ძალიან ძნელად ამოსაცნობი განცდაა: ზოგჯერ მგონია, მე თვითონ მივდივარ წასულლებთან, ზოგჯერ ისინი მოდიან ჩემთან. ნაწილი იმ ამბებისა, რასაც გიყვები, დარწმუნებული ვარ, სხვებისაგან კი არა მაქვს გაგონილი, ჩემით ვიცი, რალაცნაირად. უამი დაჰკრავს და ცხადი ქრება, ეს ანმყო აღარ არსებობს და მეც თითქოს იმ შორეულ ანმყოში გადავინაცვლებ ხოლმე, სადაც ისინი ცხოვრობენ...

– კარგი რაა, შიო, ეგ შორეული ანმყო რალა ჯანდაბა და დოზანაა? მოდი, თუ კაცი ხარ, ეგეთ რალაცვებს დავანებოთ თავი და ისევ ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ. გაგიხარია, მოყოლა კარგი იცი, მაგრამ, მგონი, არც მსმენელი გყავს უვარგისი.

კასეტა გადააბრუნა და მაგნიტოფონი ხელახლა ჩართო.

კიაზო

თხრობის მშვენიერი მანერა ჰქონდა – ხატოვანი, ცოცხალი – გეგონებოდა, გარდასულელები თვითონ გიყვებიან თავიანთ ამბავსო. ჩავრთავდი მაგნიტოფონს, მეც იქვე ჩამოვჯდებოდი და სიამოვნებით ვუგდებდი ყურს. მაგრამ როცა ძალიან გამიშინაურდა და საკუთარი ნაივური ფილოსოფიის დაწვრილებით გაცნობა მომინდომა, გული შემიღონდა – ქალაქში ეგეთებისაგან თავმოძულებულმა ვიფიქრე: ზედაშიანში მაინც დავისვენებ-მეთქი და აქ ეს არ დამხვდა! ვერიდებოდი ლოლოსაო, ეგრე გამოვიდა. მონა-

* ქიზიყში ჯიშსა და ჯილაგს ერთმანეთისაგან განასხვავებენ: ჯიში არის მოდგმა და ჩამომავლობა მამის მხრიდან, ესე იგი, საგვარეულო, ჯილაგი კი დედის სანათესაოა

დინებული იყო, ჩემს თვალში მცოდნე და განათლებული კაცის იმიჯი შეექმნა (თუმცა ამ ტექსტში საზარლად უადგილო სიტყვაა იმიჯი).

მერე, როცა ახლოს გავიცანი, მივხვდი, ვცდებოდი. არც შექანებული იყო, როგორც თავიდან მეგონა და არც მომაბეზრებელი. მითხრეს კიდევ სოფელში: ცოტა თავისებური კი არის, მაგრამ კარგი ბიჭია, ჯარში ყოფნისას რაღაცა შეემთხვა და ერთ ხანს ფსიქიატრიულში მკურნალობდნენ, ეხლა აღარაფერი უჭირსო. ერთი ეგ არის წაღმა-უკულმა განათლებულია და ცოტა მაგის გამო გაგიჭირდება ურთიერთობა, თორემ სხვაფრივ სასაყვედურო არა აქვს რაო. სულ მალე მივხვდი, რას ნიშნავდა ეს წაღმა-უკულმა განათლებულობა: მოვიდოდა, დაფდებოდა, გამიბამდა ჩემთვის ყოვლად უსარგებლო საუბარს და დიდად მახვილი გონებისთვლი არ იყო საჭირო იმის დასანახად, თუ რომელიღაცა აკვიატებული აზრი გლუვ ბურთულასავით როგორ დაგორავდა და როგორ ეხეთქებოდა ერთი კიდიდან მეორე კიდეს ამ უცნაური ბიჭის სანახევროდ შევსებულ თავში. მაგრამ ეს არაფერი. მოლოდინით სავსე მზერა გახლდათ ძნელი გასაძლები. არადა, მისამართი ჰქონდა არეული – ტყუილად მდებდა იმედებს – იმაზე მეტის მიცემას მოითხოვდა ჩემგან, ვიდრე სინამდვილეში შემეძლო. ალბათ ეგონა, იმის უპასუხო კითხვებზე პასუხის გამცემი ვინმე იპოვებოდა ამქვეყნად და ეს ვინმე მე ვიყავი.

– ფიქრი მტრად მყავს შემორჩენილი, კიაზო ძია, ყველაფრის ძირისძირობამდე მჩხრეკელი და ჩამძიებელი ფიქრი, – შენუხებული შემომყურებდა შავი, სხივიანი თვალებით, – განსაკუთრებით წარსული მიბნევს თავგზას, თანაც ჩემი კი არა, წინაპრების წარსული. იმათ თავსგადახდენილი და როგორღაც ჩემამდე მოღწეული ამბები არ მასვენებენ, სხვადასხვა დროს ნანახი სიზმრების ნაფლეთებავით მიტრიალებენ გონებში და მაფორიაქებენ. მეჩვენება, მამა-პაპათა მიერ ჩადენილი ცოდვებიც მე უნდა მომიკითხოს ღმერთმა...

ბრიყვულად მოვიქეცი, დაუფიქრებლად – სანყალი ბიჭი გულსინუხილს მიზიარებდა, მე კი ისევ ჩალამბარაზე ჩამოვუგდე სიტყვა: რა მაგის პასუხია, მაგრამ ადრე რომ გთხოვე, იმ ლექსზე ხომ არავისთვის გიკითხავს რამე, ან თვითონ ხომ არ გაგხსენებია-მეთქი.

გაკვირვებულმა შემომხედა და თავი გააქნია: არაო.

ალბათ ძალიან გავანბილე.

ხოლო თხრობის მანერას რაც შეეხება, მართლაც მშვენიერი ჰქონდა – ხატოვანი, ცოცხალი. გეგონებოდა, გარდასულები თვითონ გიყვებიან თავიანთ ამბავსო. ჩემთვის ამ მომენტში ეს იყო მთავარი.

ბაიანა

ეეჰ, შვილო, ეხლა რო შაიყვარებთ ხოლმე იმას, ვინც თქვენს თვალსა და გულს გაუხარდება და ზოგიერთები დედ-მამის უკითხავად გაჰყვებიან ხოლმე კიდევ ვაჟსა, მაშინ ეგრე როდი იყო. ხშირად არც კი ვიცნობდით, მიგვიყვანიან და დაგვაყვნიან ერთმანეთის გვერდიგვერდსა. გინდა არ მოგვწონებოდა, რა უფლება გვქონდა, გვეთქვა: არა, მე სხვა მიყვარსო! მაგას როგორ ამოვუშვებდით პირიდან. რაო? მერე ეგ კარგი იყო? კარგი რანაირად იყო, მაგრამ, რა რო იცოდეთ, რაღაცით მაინც კარგი იყო.

მეც ეგრე გამათხოვეს. რო მოვიდნენ ჩემს სანახავად, სირცხვილით თავი მალლა ვერ ავნიე, სახეზე არ შამიხედნია საქმროსათვინ. მარტო ფეხები დაუწუნახე: თალათურად ამოსხმული ქაღმები ეცვა. მე კი კვანძურად ამოსხმული უფრო მომწონდა.

მოვიდნენ. იმათ რა დაეძრახებოდათ, ქალის თხოვნა უნდოდათ და მოვიდნენ. მე ჩემებისა უფრო მიკვირს – ეგეთი რა ცეცხლი ეკიდათ, ქა, რასა ჩქარობდნენ ჩემს გასტუმრებას? ნათქვამია: ერდოს მამალი არ დაამძიმებს და დედამინას გასათხოვარი ქალიო. იჰ...

დასხდნენ, დალაგდნენ, დაიწყეს ერთმანეთში ლაპარაკი. მე კიდევ იგეთი ვიყავი, შვილო, თვალის ჩინიც წართმეული მქონდა და არც არაფერი მეყურებოდა. ეტყობა, ვაჟსა ჰკითხეს ჩემზე და იმანაც: მომეწონაო, ალბათა თქვა. ჩემთვის რო ეკითხნათ კიდევ, რას ვიტყვოდი, ვერ კი დავინახე როგორი იყო და...

მემრე დამსვეს, თქვენი ჭირიმე და მზითვის სია მევე დამაწერიანეს: ოთხი ხელი ლოგინი, სამი საფენი, ნოხი, სპილენძის ორი ქვაბი – ერთი დიდი და ერთიც თანგირა, დიდი ტაშტი, ლაგანი, სინი, უთო, თორმეტი ხელი ტანისამოსი და ზევიდან „რუბაშკები“, თეთრეული... ორი ბეჭედი, ძვირფასთვლიანი შუბლის ქოროცი, ათი თუმანი ქრთამი... რავი, შვილო, განა ყველაფერი მახსენდება? თან სიასა ვწერ და თანა ვტირი – არ მინდა, ქა, ზედაშიანში გათხოვება! ი ვაჟისათვის არც კი შამიხედნია, არ მეინტერესებოდა, სახე როგორი ჰქონდა. არა, თქვენ იგრე არ გამიგოთ, ვითომ მე უკვე ვინმე მყოლოდეს შეგულბებული. არა, არა, ჯერ იმ ხნისა როდი ვიყავი, თვალეები აქეთ-იქით მეცეცებინა, მაგრამ გულში ღარღარად ისა მაქვს ჩარჩენილი, იმ ჩემი სავსე ოჯახის პატრონები რათა ჩქარობდნენ, ისეთი რა ცეცხლის კიდება სჭირდათ, რო პირველსავე მთხოვნელს გამატანეს: ჩვენაო გიგანსაირ სახელიან კაცს ველარა ვნახავთო. რა იქნებოდა, ცოტა დაეცადებინათ, განა ქვეყანა დაიქცეოდა, რო იმისათვის გევეყოლებინეთ, ვისკენაც თვალსა და გულს მიუხაროდა, ვინც მანამდეც ნანახი მყავდა.

ეეჰ, მაგრამ მე ვინ რას მეკითხებოდა, უჩემოდაც კობტად მოითავეს და მოავგირისტეს საქმე. ამოიღო სასიძომ და ნამტირალევი სადედოფლოს თუმნიანი ჩამილო მუჭაში. იმას კი მაგრა მოვუჭირე ხელი – ოქრო იყო, გო, თუმნიანი ოქროსი.

მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს ჩვენი ხალხი წამოვიდა სასიძოს სახლის გასასინჯად. სახლს ხო გასინჯვა უნდოდა?

მემრე ერთი წელიწადი დანიშნული ვიყავი. მოდიოდა ხოლმე ხშირად. იარე, იარე-მეთქი, ვფიქრობდი, იქნება იგეთი ვინმეც გამოჩნდეს, ეს გზა სამუდამოდ შეგაძლოს და ფეხი ამოგაკვეთინოს-მეთქი. ვავიხედავდი, შემოაჭრიან-ლებდა ჭიშკარსა და მე უკვე გული მიღონდებოდა, ერთიანად ჩამომტიროდა თავ-პირი. მჩქმენტამდნენ აქეთ-იქიდან: ჰაა, ნუ ჰტირიო, აბა ეგ რა წესიაო. მე კიდევ დედაჩემს თავზე ბაყიას ვატეხამდი, ვსაყვედურობდი: ზედაშიანში რო არ გაგეთხოვებინეთ, რაა, აქ ბიჭები დაილივინენ, აქაურების დასანახავი თვალეები რამ დაგიბრმავათ-მეთქი?! ვინ არის ეგ ვინ ოხერია, ამდენი ხანია აქ დადის და სადმე სხვაგან რო შემხვდეს, ვერც კი ვიცნობ-მეთქი.

რას გავხდებოდი. ჩემი ყურისდამგდები განა თავიდან ვინ იყო და მით უმეტეს, უკვე ბელგამოტანილს რაღა მემველებოდა.

ნესად იყო დადებული, დანიშნული ქალი უნდა ზიარე-ბულიყო. მე თებერვალში დავინიშნე და ლოცვაზე დავდიო-დი, აპრილში უნდა ვზიარებულიყავი. საქმროს არ დავლა-პარაკებოვარ, სადღეგრძელოც არ დამიღვევინა იმისი, ჯერ კიდევ მეჯავრებოდა.

ზიზა

დანიშნული ვაჟიც უნდა ზიარებულიყო. ჰოდა, მინ-დვრიდან შუადღის ხანზე მოვედი. ჯერ ადრე იყო. ვიფიქ-რე, გაიანესთან გადარბენას მოვასწრებ, ზიარების დროს კი დავბრუნდები-მეთქი. მოკლებზე გადავიდი, ბარდებში ვიძრომიალი ხოლმე საქონლის ჩლიქით გაქნილ ბილიკებ-ზე. იქ, ხევში ეკლესიაა ძველი, ჩვენები რო გაუნყვეტინათ მტრებს, მემრე ერეკლეს ამ ადგილებში სომხები ჩამოუსახ-ლებია და საყდარიც იმათთვის მიუკუთვნებია. ეხლა აღარც ქართველები უგდებენ ყურსა და აღარც სომხები (აიყარნენ და ზოგი სიღნაღში გადასახლდა, ზოგი – სადა). იქ უნდა ჩამეველო, ის ეკლესია მარჯვნივ უნდა მომეტოვე-ბინა. ხევზე რო ჩავივლიდი, მემრე სერს შევუყვებოდი და გზაც ის იყო იმათი სოფლისა.

მივდივარ გაჩქარებული მგლურით, მინდა დროულად მივიდე, რო ცოტა ხანს მაინც ვუყურო. ჯერ მთლად მაღლა არა ვარ ამოსული, მიხვეულ-მოხვეული ადგილია იქა და რასა ვხედავ: დამდგარა ერთი თოფ-იარაღში ჩამჯდარი ყა-ჩალი და მიმსვლელ-მომსვლელს უდარიალებს. რა დროს მაგაზე ფიქრი იყო, მაგრამ გამიკვირდა: ამ უხვედრ ალაგას დღემი ერთი კაცი ან გაივლის და ან არა, ამან ნაძარცვს რა ბარაქა უნდა მოჰკიდოს-მეთქი?!

დამინახა და:

– გაჩერდით, – დამიძახა შორიდანვე.

რალას ვიზამდი, შევაყენე ფეხი ჩემდაუნებურად. ხან-ჯალი კი მეცა მაქვს, მაგრამ ჩემდა ჭირად ზევიდან ქათიბი მაცვია ბოლომდე შეკრული, იმას კიდევ ხანჯალიც არ-ტყია, თოფიც გადაუკიდნია და ლევერველსაც ათამაშებს ხელში, დამაცდის ლილების გახსნასა?

– რაო, რა გინდა-მეთქი?

– სად მიხვალო?

– ეგრე ძალიან რათ გაინტერესებს, ნათესავთან მივდი-ვარ-მეთქი.

– აბა გაიხადე და ეგ ქამარ-ხანჯალიც მაიხსენიო!

ჰაი გიდი, რანაირი მოსასმენია დანიშნულთან მიმავალი კაცისათვის ეგეთი ქართული!

– კაცო, შენ შენი ქამარ-ხანჯალი ხო წელზე გარტყია, ჩემი რალად გინდა, რათ უნდა შამოვიხსნა? – ვეკითხები და თან ნელ-ნელა მივიწვევ იმისაკენ.

– ეგრე მინდა, უნდა შამაიხსნა! – შორიდან მიტურტუ-რებს ლევერველს.

ვუყურებ და ვერა გამიგია რა, ვინ შეიძლება იყოს. ეს ხალხის საძარცვად გამოსულ კაცს არა ჰგავს. ყაჩაღი სხვაა, ყაჩაღად ნაშობი და მგელი ერთია – შეგზვდება, შე-მოგხედავს, ჯაგარი სუ ფეხზე დაგიდგება. ამას კიდევ თვა-ლი ვერ გაუსწორებია, ხევისაკენ გაურბის.

– რახან არ იშლი, ერთი სიკეთე მიყავი: მოდი, შენ შამამ-ხსენი, კაცი ვარ, მე როგორ შამოვიხსნა?!

ჰაბა მყავდა ერთი, ჰაბაჩემის უმცროსი ძმა, აღმასხანი (ორმოცდაათიოდე წლის კაცი მაშინ ძალიან ბებერი მეგო-

ნა), ის მეტყოდა ხოლმე: შვილოო, გული გულობდეს, თო-რემ იარალი რა ბედენააო, ორ-სამ შეყენებულ ჩახმახს არ შევპუებივარ, შიშველი ხანჯლით მივფრენილვარ ზედა და ვერა დაუკლიათ რაო... ის ღმერთმა აცხონოს და მე რო ეხ-ლა ხელთ ვერც ხანჯალი მამიგდია!

მაგრამ რას ვიზამ, ეგრეა თუ იგრე, ჩემსასა ვცდილობ: მივდივარ, ლაპარაკ-ლაპარაკით ვუახლოვდები. შემატყო:

– ფეხი აღარ გადმოჰდგა, თორემ მოგკლამ!

– რათა, კაცო, რათ მამკლამ, რა დამიშავებია, მიცნობ, გიცნობ? – მივიწვევ, არა ვჩერდები, ერთი სული მაქვს, იმ მანძილამდე მივატანო, რო დავკრა ფეხი და გაფრენა შა-ვიძლო. თუ რამენაირად მივწვდი და ხელი მოვაველე, მემრე არა მგონია, ჯანით დამჯვალდოს.

მიმიხვდა ოხერი. აღარ დამაცადა და მესროლა. ტყვიამ ქათიბის კალთაში გამიარა წუილით. აღარ დამინდო, ერთს მეორეცა და მესამეც ზედ მოაყოლა. მეოთხე რო მესროლა, მხრის კინში მომარტყა, მარცხენაში, მკლავი ჩამომიგდო, მაგრამ იგრე არა, რო ველარ მეხმარნა. ამასობაში მივატანე და გაფრინდი კიდევ. დაჭრილი ხელით მარჯვენა დავუჭი-რე და ლევერველი დავაგდებინე. დავაგდებინე თუ არა, მა-შინვე ხანჯალი ამოსნია. მაგრამ ვერ კი მოიხმარა, არ დავა-ცადე – სალი ხელით მაჯა შეეუკარი და ავართვი ისიც. ამ ჯაჯგურ-ჭიდილში თოფიც გადმოუვარდა მხრიდან. უიარა-ლოები ცოტა ხანს კიდევ ვებულრაობდით. თავისი ჭკუით გაძალიანება დამიპირა, მაგრამ რო ვერას გახდა, ერთბაშად შეტრიალდა და გადაეშვა ხევში. დავავლე იმის თოფს ხელი და ეგრევე დაუმიზნებლად ერთი ტყვიის დაღვევება მოვას-ნარი. უკანიდან დავკარი, მემრე გავიგე კუბაჩაში მოჰხვედ-როდა. გაქეული კაცისათვის სროლა ვაჟკაცობად არასო-დეს მიმაჩნდა, მაგრამ სიბრაზისაგან გონება იგრე მქონდა ამღვრეული, ანგარიშს ველარაფერს ვუნწევდი.

ეგრე ყოფილა: გამჩენი ერთ კაცს უმეტესად ერთი საქ-მის კეთების ნიჭს დაანათლებს ხოლმე. იმის გაგება უნდა გქონდეს, რო დასჯერდე იმ ნიჭსა და რაც შენი სახელო არ არის, არ მოეჭიდო. რა უნდოდა, რა რჯიდა, აკი ვეცი: იმას ყაჩაღის ფხა და მარიფათი არ ემჩნეოდა-მეთქი. ან თვითონ რათ ნაინხდნა თავი და ან მე რას მემართლებოდა: საზიარ-ებლად გამზადებულ კაცს ქრისტიანის სისხლში რათ გა-მარევიან ხელი.

ის სროლა მემრე გამიხდა სანანურად. მაშინ კი მოვკრი-ფე იმისი იარაღები და ბოღბისხევისაკენ დავეშვი. ემანდ თავშივე, ჭაბანებში, ჩვენი ქალი იყო გათხოვილი, ნათესა-ვი. იმათმა ოჯახმა ნამლობა იცოდა, იქ შევბრუნდი და ჭრი-ლობა შევხვევინე. მეხვეწენ: ამლამ აქ იყავიო, სუსტადა ხარო, თანაც ეგეთმა სისხლით გაბასრულმა სად უნდა ია-რო, ტანისამოსს დაგირეცხავთ, დაგიშრობთ და ხვალე წა-დით, მაგრამ არ დავრჩი, ვერ გავძელო. აბა გაიანესთან ხო ველარ მივიდოდი და იგრეც შინ მოვბრუნდი.

შეძრა დედამამა იქაურობა წივილ-კივილით, მედუქ-ნეებიც კი აქ ჩამოვიდნენ ზემო უზნიდან: რა ცეცხლის კი-დება სჭირთ, ეგეთი რა მოხდაო. აივსო ეზო, ირევიან, არის ერთი შადი-გადი და რიარია. ალაგია ტახტზე ყაჩაღის თოფ-იარაღი, ათვალეერებს ხალხი: აფერუმ შენს ვაჟკა-ცობასაო, ყოჩაღო, რო ეგეთი შეძლება გამოიჩინე, ის დას-ჭერი და შენ სალ-სალამათი მოხვედიო! მაგრამ აბა რალა სალ-სალამათი, მკლავის საქმე ვერა მქონდა კარგად, ძლივსლა ვხმარობდი.

ვანო ჯანიაშვილი

ანუსია

...

... აიიიი, მამაჩემი იგეთი ტკბილი კაცი იყო, იგეთი რო!.. განა მარტო მამაჩემი? სხვებიც. ვერ გავიგე, ადამიანო, ეხლა ეგრე რამ დაშხამა, რამ გააბოროტა ეს ხალხი?!

ბაიანა

ბაიანა

არა, მაშინ ისევ მეჯავრებოდა, მაგრამ მოლოდინი მქონდა და რო არ მოვიდა, ავნრიალდი, ავფორიაქდი, დავფეთდი.

მემრე გამოიყვანეს თურმე ის კაცი და დასვეს ურემზე (ურმით მიჰყოლებოდათ). დაჭერილი იყო რამდენიმე ხანი. გაასამართლეს. მოსამართლეები ხელში ატრიალებდნენ ჩემი ქმრის ქათიბასა, ორ-სამგან იყო გახვრეტილი ტყვიისაგან. სანამ ყველაფერი არ დამთავრდა, მანამ არ დაუბრუნეს. მემრე როცა გამოატანეს, აღარაფერში გამოდგებოდა – შეჭმული იყო, კრიკილს სუ გეეფუჭებინა.

იმ ღამეს რალა იქნებოდა და მეორე დღეს დილაადრიან გიგას სანათესაო, ხუთიოდე კაცი, წამოსულიყო ჩვენთან. ის თოფი აელოთ ხელში და წამოსულიყვნენ. ნაბულ-რავებ ალაგას რო მოსულიყვნენ, დამდგარიყვნენ და დაეთვალეირებინათ იქაურობა. რომელიღაცამ თურმე თოფს დაჰხედა და ბიჭოს! კონდახზე სახელი და გვარი არ ანერია! ვანო ჯანიაშვილი. ჰოოო, ეს ხო კარგია!

რვა წელი გადაუნყვიტეს იმ კაცსა. წაიყვანეს. წავიდა და უგემოდ დაიკარგა, აღარ დაბრუნებულა. დამენანა. ჩვენსოფლელი იყო, ოთხი-ხუთი წლით იქნებოდა ჩემზე უფროსი. ბავშვობიდან ვიცნობდი...

ეხლა, ჩვენს სოფელში რო მოსულიყვნენ, დინგაზე ხალხი მდგარიყო და იმათვინ ეკითხნათ:

რაო-რა ერქვაო? იჰ, რაც ერქვა, ერქვა, ეხლა უკვე სუ ერთი არ არი? ხო გითხარით: იმისი სახელი თოფის კონდახს ეწერა-მეთქი. ნეტავი იქაც არა წერებულიყო.

- ვანო ჯანიაშვილი სადა ცხოვრობსო?
- რად გინდათო?
- მეცხვარედ გვინდა დავიჭიროთო, - და:
- არა, ეგ სამეცხვარეო კაცი არ არის, არ გამოგადგებათო.

იგრე მოხდა, რო არც ქმარი შემარჩინა დიდხანს ღმერთმა. ატყდა ომი, მოავლეს ხელი და გააქანეს, მე ველარ ველირსე იმის ნახვასა. წასვლიდან ერთ წელიწადზე ცოტა მეტი იქნებოდა გასული, უკანასკნელი წერილი მოვიდა, ინერებოდა: ავად ვიყავიო, ჩემი ამბავი დაგვიანდებოდა და დაგედარდებოდათო. ეხლა კარგადა ვარ, გამოვმჯობინდიო. ჩემმა მაზლმა თქვა: გული რალაცას ცუდს მეუბნება, მოდი, წავიდეთ, ჩავაკითხოთო. ალექსანდრეპოლში ინვა გოსპიტალში. ვეხვენე და არ გამომყენენ ჩემი მულები, არ ამიბეს მხარი. ველარ წაველი. ადგა ჩემი მაზლი, აცხონოს ღმერთმა, და მარტო გაემგზავრა. ნახა.

- ცხოვრებით ხო აქა ცხოვრობსო?
- აქა ცხოვრობსო.

მოვიდნენ დილით ჩვენსა. მე ლოცვაზე წასასვლელად ვემზადებოდი. წვრილად მოჰყვენენ: გუშინ გიგას ეგეთ-ეგეთი ამბავი შეემთხვაო. პირკატა მეცა, ვაი, შე საცოდავო ჩემო თავო-მეთქი და იქვე ჩავიკეცე. კომლიც სუ ათონთქოლდა. მემრე საბჭოში წავიდნენ. იქიდან გამოჰყოლოდათ თავმჯდომარე, სხვებიც. იმ კაცის სახლში მისულიყვნენ და ლოგინში მწოლიარეს წასდგომოდნენ თავს, დაჭრილს...

ნახა: მეორედ შეექცივნა სატკივარსა. ამბავი მოგვიტანა: ძალიან მწუხარე არიო.

საწყალი!
ააყენეს და წამოიყვანეს სიღნაღში.

მოგვიანებით მეც წავედი, საფლავს ჩავბლავლე და გამოვბრუნდი იქიდან ცარიელი, თავნაცრიანი... ეჰ, რა ვქნა, ალბათ ჩვენი ზვედრი კიდე ეგ იყო. წერას სად გავექცეოდით – განგების გარდაუვალს ვინ გადასულა, რო ჩვენ გადავსულიყავით.

გზად ხო აქეთ უნდა გამოეტარებინათ, აქ, ზედაშიანის საბჭოში შეაბრუნეს თურმე. ხალხის ამბავი ხო იცით, ხელად შეიყარა. ინევენ: მიგვიშვითო! მიგვიშვით, ერთი ხელში ჩავგვადებინეთ, რო აქვე გავგლიჯოთ, გიგას ეგეთი რამე როგორ შეჰბედაო!

ა.....

ვინ მიუშვებდათ.
მემრე თვითონ გიგა შესულიყო შიგნით, მხარ-მკლავ შეხვეული.

მართლაც ეგრე ყოფილა: ბედისწერას ვერავინ წასვლია, ვერავინ დასძვრენია ხელიდან. ვერც მოთხრობაში. იოლად მიხვდებოდით, თავიდან ჩვენც სხვა მიზანი გვა მოძრავებდა, სხვა მხარეს მიგვიწვედა გული – შიოზე გვინდოდა მოგვეთხრო. ღირსიც იყო და იმსახურებდა კიდეც, მაგრამ ამბავი ამბავს აება და პროტაგონისტად ნაგულისხმევი კაცი განზე დაგვრჩა. ჯერჯერობით მაინც.

იმ კაცს ეთქვა:
- შენი ჭირიმე, მართალია, ძალიან ავი საქმე გიყავი, მაგრამ შენც ხო ავით გადამიხადა, ეხლა ეგრე გამოდის, რო ბარი-ბარში ვართო. ეგ მილიციელები არავის მაკარებენ და რა იქნება, ერთი პაპიროზი მიყიდო და შამამიგზავნო. რო არ მოენიო, გული შამიღონდებო.

კიაზო

აბა თქვენა თქვით, ბარი-ბარში რანაირად იქნებოდნენ? მაგრამ გამოსულიყო ის ჩემი საცოდავი, ბლომად პაპიროზი ეყიდნა, საქმელ-სასმელიც ჩაელაგებინა მოზრდილ აბგაში და მიეტანა. აი, აეგრე გაესტუმრებინა გულითადი მეგობარივით.

ისევ მე და ისევ ფუძედალოცვილი კავკასიონი, ჯერაც საიმედო და ძლიერი. ისევ მე, ისევ კავკასიონი და კიდეც – ამოჩემებული ფიქრი: არსად არ წასულანო, შორეულ ან-

პროზა

მყოფი ცხოვრობენო... ეჰ, შიო, შიო, შენ რა გითხარი! ეგრე რომ იყოს, როგორ დავიჯერო, ცოტას მაინც არ ეცდებოდნენ, ცოტას მაინც არ წამეხმარებოდნენ, რომ ჩალამბარას ლექსი მთლიანად აღმედგინა, ჩამენერა და დამეტოვებინა. ვისთვის? იქნებ არავისთვის, მაგრამ მე მაინც უნდა დამეტოვებინა.

ამას გულში ვამბობ, ხმამაღლა კი სულ სხვა რამე მინდა ვიყვირო: გაიგოს ყველამ – ნასულებმაც და მომავლებმაც – ის, რაც გადასაგდებად და დასაკარგავად არ მემეტება, რასაც ვლალაობ და სულს ვუბერავ, ჩემთვის არ მინდა, მე აღარაფრად გამომადგება!

დავაგვიანე? ყვირილითა და ღრიალით ნამხდარ საქმეს ველარ გამოვასწორებ?

მაშ რა ვქნა, რა ვილონო?

და მაინც, ნეტავი ვინ იყო, პირველად რომელმაც ვაჟკაცმა ამოთქვა: „... დედის ძუძუ მინოვია, ჩალამბარა მიჭამია...“ გამქრალიყო კაცი და მასზე ნათქვამი სიტყვაც კვდებოდა – სად აღარ ვეძებე, რა არ ვილონე, ქვის ქვეშაც ვაფათურე ხელი და ქვის ზევიდანაც – სრულ ტექსტს კი მაინც ვერსად მივაკვლიე. ქართული ენის განმარტებითმა ლექსიკონმა მითხრა: ჩალამბარა ერთნლიანი ბალახია

ქოლგოსანთა ოჯახისა. იზრდება ტყისპირებსა და ბუჩქნარებში, იჭმებაო. ეჰ, მაგის მჭამელს ეხლა სადღა შეხვდებით-მეთქი, გავიფიქრე და სტეფანე მენტეშაშვილის „ქიზი-ყურ ლექსიკონს“ მივუტრიალდი. ის უფრო ვრცლად გვამცნობდა, ვრცლად გვიყვებოდა ჩალამბარას ამბავს: ჭყიმის მაგვარი ბალახია, ლობის ძირში მოდის, ფოთოლი ცოტა სტაფილოსაც მიუგავს, მშვენიერი სუნი აქვს, ველური მწვანილია, მინდორში ჭამენო. გადატანით იციან თქმა: „კაცი ვარ თუ ჩალამბარა, რატომ არაფრად მაგდებთო“.

რალა ბევრი გავაგრძელო, საჩემოდ არსად არავინ არაფერს ამბობდა – იქაც მხოლოდ ის ეწერა, რაც სხვებმაც კარგად იციან. ვატყობდი: ისე მიპირებდნენ გასტუმრებას, ვერავისთვის ვერაფერი ველარ უნდა დამეტოვებინა, ვინაიდან...

ვინაიდან, როგორც გითხარით, ჩალამბარას ლექსი ველარც მე გავისხენე და ველარც სადმე მივაკვლიე. თუმცა ლექსს ვინა ჩივის, ის ორი პნკარიც – ყველაზე უფრო სუსტი ორი სტრიქონიც – ეტყობა, ჩემს მეტს აღარავის ახსოვდა. მორჩა, დასდგომოდა ხანი აღსასრულისა, რადგან არა მხოლოდ მის მცოდნეები, არამედ დამსაჭიროებელნიც სამუდამოდ ნასულიყვენ შორეულ ანწყომში და ისიც თან ნასულიყვენა.

პოეზია

ელა გოჩიაშვილი

აჰა, სარკე!

საჩუქრად თამარ ბარბაქაძეს

აჰა, ხმალი! აჰა, სიტყვა,
ლოცვანი და საჭრეთელი!
მაგრამ, ყოვლის უწინარეს,
აჰა, სარკე საჭრეთელი...

ბეჩაო და თავმოჭრილო,
ყველას ნიხლით გასათელო,
საქართველო, შე მშიშარა!
შე მძინარა საქართველო!

დალპი მხართეძოზე გდებით,
წყლულებიდან ჩირქი გდისა;
გახსოვს მაინც?! – როდის გქონდა
მუხლი მგლის და შავარდნისა...

გახსოვს მაინც?! – ხის აბჯარში
რკინის გული გიფეთქავდა...
გახსოვს?! – ხმალი – ჯავარდენი...
გახსოვს?! – ლურჯა ლავამს ხრავდა...

მტრის მახვილზე გადალენილს
ზიარებაც არ უნდაო...
უნურთენლო! ეს შენა ხარ?! –
ყველა გიჟის საგუნდაო.



იმ ქორებულ თვალებს ვნატრობ,
იმ შორეულ ცეცხლზე ვთბები;
შენი სიყვარულის პატრონს
რა სინდისით მეღუპები!

შე სამშობლოს მინამგვანო,
აღარც მხნევ და აღარც მრთელო;
გასკდა გული! რა გაძინებს!
გაიღვიძე, საქართველო!

გაიღვიძე, – ასნი ბეჭი!
აჰა, გული! აჰა, სარკე!
... და ტატიტ გაჰყე ბილიკს
საკუთარი თავისაკენ.

გვიან ავნონე

ბაღში კი არა, ძეძვის ნანოლზე
დავღალე, თურმე, დარდის ჩიტები...
მე ღორის დინგიც გვიან ავნონე
და საკუთარი მარგალიტებიც.

„სიკვდილმა ჩამაიარა“... „ტირილის ხა“

შენ რომ შავ მათრახს დაიქნევ,
ყველას თავს დაახრევიანებ,
ძველს გადაუგდებ კალაპოტს,
სულ ახლებს გაათხრევიანებ.

უცებ მოაცილი მოუცლელს,
 ამინდს არ აარჩევინებ,
 დაძრავ მთელ სანათესაოს,
 ყვავილებს დააჭერინებ.
 დამდურებულებს დაატკობ, –
 ნეკზე ნეკს დაახვევინებ.
 ძუნწებსაც მუჭებს დაუხსნი, –
 ჯიბეზე გააკვრევინებ.
 ბრიყვს გააფილოსოფოსებ,
 ფიქრს ფიქრში ჩაანებინებ.
 ყველაზე უფმურ ოჯახსაც
 კარს ფართოდ გაახსნევინებ,
 მიუსევ ჭორის გველგესლას,
 ენაზე დაახვევინებ,
 რას ამბობს ჭირისუფალი, –
 სულ წვრილად გაარჩევინებ,
 აანონინებ ცრემლებსაც,
 გულდაგულ დაათვლევინებ.
 შენ რომ შავ მათრახს დაიქნებ,
 ყველას თავს დაახრევინებ;
 უცებ აავსებ უქონელს,
 ხორაგსაც დააყრევინებ,

გაადიდკაცებ ერთი დლით, –
 ნესს კი არ აარჩევინებ.
 მთელ სამეზობლოს დაახვევ,
 სულ ცეცხლებს გააყრევინებ,
 უცებ – დასხამ და ატირებ,
 უცებ – ბრინჯს დაარჩევინებ.
 ქალებს ჭრელ კაბებს დაუჭკნობ, –
 დახდი და დააკეცინებ,
 უცებ გაუჩნე საკერავს, –
 შავ ჩითებს დაახვევინებ.
 ხეს შეიგულე ხელდახელ, –
 კენწეროს დაარჩევინებ,
 უცებ – დასცემ და განაღდავ,
 უცებვე დაახერხინებ.
 უცებ გაგზავნი კაცებსაც, –
 მინას პირს გაახსნევინებ...
 ბოლოს, დაგვსხამ და დაგვცინებ, –
 უარს არ გაგვაბედინებ:
 ბოლმისგან შეკრულ კრიჭაში
 ლუკმასაც ჩაგვაცდენინებ,
 ხელს – სიმწრით დაკრულს კუბოზე,
 ღვინისკენ ნაგვალეზინებ.

პირველი შთაბეჭდილება

პოეტის გული – პურის მარცვალი

ელა გოჩიაშვილის პოეზია დიდი ხანია შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. ეს ერთი შეხედვით ბანალური ფრაზა ამ შემთხვევაში თავის ნამდვილ საზრისსა და ბრწყინვალეობას იბრუნებს, რადგან თუ ამ ქვეყანაში პოეზია დღემდე მაინც სუნთქავს და არსებობს, ეს ელასა და მისი რანგის რამდენიმე პოეტის ნიჭის, უკომპრომისობისა და მათი მხრიდან პოეზიის გარდა სხვა ყველაფერზე უარისთქმის ნყალობითაც ხერხდება.

თუ ვინმეს ეს შეფასება ძალიან ემცხებება, მაშინ იმაზედაც დაფიქრდეს, განა რამდენს შეუძლია, თავი ლექსში ბოლომდე ჩაწეროს, გულის, გრძნობისა და გონების ძვალნი პოეზიის მინაში ჩაყაროს, რომ მერე იქიდან მშვენიერ გვირილათა თუ ზამბახთა დარი სტრიქონების თვალებით ამოგვხედოს.

არც ის ვიცი, რამდენად მისაღები იქნება ჩვეულებრივი ობიექტისათვის ეს ჩახლართული მეტაფორა, მაგრამ გამგები გაიგებს, რომ პოეზიაში წარმატების მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა განცდასა და სანუხარში ჩამარხული პოეტის ცოცხალი გული – პურის მარცვალივით – ლექსში მკვდრეთით აღდგომას შეძლებს, რათა ნერვებით მინას ჩაჭიდებულმა თავი მზისკენ, ცისკენ დააღიროს და ყველა ნამდვილი ფიქრის, განცდისა და სანუხარის უძლეველობა გვაგრძნობინოს.

აი, ეს არის პოეტის ნამდვილი გამარჯვება და არა ის, „დაფასდება“ თუ არა მისი ნაღვანი ლიტერატურულ კონკურსებზე, სადაც ტემლაკებს ნაცნობობის, პირადი სიმპათია-ანტი-

პათიისა და, ბარემ ესეც ითქვას, ლამაზი თვალ-წარბის გამო არიგებენ.

„და სოფელმა ვერ იცნა იგი...“ სახარების ეს ფრაზა იმდენ ადამიანურ ტრაგედიას გულისხმობს, რამდენჯერაც ქრისტეს გზა ვინმე რჩეული, ნათელი ადამიანის სულსა და სხეულზე გაივლის...

და კაცმა რომ თქვას, ვინ უცვნია სოფელს, მითუმეტეს, როცა „სოფელი“ არა ქვეყნიერების, სანუთროს მნიშვნელობით, არამედ მდაბალი, პროვინციული გემოვნების აზრით გაიგება და აიგება. როცა ჰგონიათ, რომ პარნასი მხოლოდ მათ სოფელშია, ამა სოფლის ანი, ბანი, განი და ჰოე თვითონ არიან, ანუ ჰგონიათ, რომ ყველაფერი მათით იწყება და მათთანვე სრულდება, რაიმეს სერიოზულ მტკიცებას აზრი ეკარგება.

მაშინ შეგვიძლია, ვაკვირო პარნასელებს ვურჩიოთ: ვიდრე ტანზე დაუმსახურებელ ტემლაკებს დაიბნევენ, ჩახედონ დიდ ქართულ პოეზიას და თავისთვის მაინც ალია-რონ, რომ თუნდაც „ანი, ბანი და განი და რანი და მოვაკანი და...“ მეფე ვახტანგ VI-დან იწყება და აგერ-აგერ, მეოცე საუკუნეში მშვენიერ პოეტთან ანზორ სალუქვაძესთან გრძელდება...

ასე სოფლისთვისაც უკეთესი იქნება და სოფლისთვისაც, რადგან გემოვნება სხვისი ნაღვანის გააზრებით, გაცნობიერებითა და დაფასებითაც იხვეწება.

რაც შეეხება ელა გოჩიაშვილს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაღვი პოეზია ჩინ-მედლებით არასდროს აუწყავთ. პოეზიის ჭეშმარიტი საზომი თვალზე მომდგარი ცრემლია, მაგრამ ისე ნუ ვიზამთ, ეს ცრემლი მაინცდამაინც პოეტის სამარესთან გადმოვადგოთ, მაშინ იგი ფასს დაკარგავს და მხოლოდ ჩვენს ნიანგობასლა დაგვიმტკიცებს...

ნიანგებში კი, მოგეხსენებათ, სიმღერა ძნელია...

გიორგი ლოპხანიძე



გიორგი გამსახურდია

* * *

რა რჩება? მხოლოდ მოგონება, მისი ღიმილი, სხვა ყველაფერი ჩამოგართვა რუხმა განგებამ. გამოიხედავ და სიცოცხლე ამწყდარ ღილივით დაკიდულ ქუჩის ქვაფენილზე დაგეკარგება.

ომი

ის სახლს გამოექცა მაშინ, გულიც არ სწყდებოდა გზაში. რა დროს ელარჯი და ღომი? იყო აფხაზეთის ომი. და ორ სანგარსა და ერთ მძორს შუა, ყოფა ჰქონდა მებრძოლს, იქვე ვასო ედგა მხარში. ქალაქს გამოექცა მაშინ, სადაც ახალი წლის ეშხით, სადაც შამპანურის თქეშით, ჩაურევლობით და ლხენით, დაუდევრობით და თმენით, იდგნენ, ცას ახლიდნენ ტყვიას, სვამდნენ, იძინებდნენ გვიან... და ის ზეგაკვრია ფიცარს, თავის წარმოდგენას იცავს. წამი – უკვდავებად ფასობს, ცოტას ეხმარება ვასოც. მას არ ახსენდება ბინა, გვერდზე აუფეთქდა მინა. ახლა – არაფერი სტკივა, მხოლოდ ენატრება ნინა. ნინა პეპის წინდას ქსოვდა, წინას კარნავალი ჰქონდა.

ფორუხისადმი

მარქვით დამძრახეთ, ოღონდ არ თქვათ: „იყავ მუნჯივით და სიტკბოება შენი სიტყვის ჩვენ ვერ გავიგეთ“. არ დავდიოდი პაპასავით თოვლის ხურჯინით და ნუგბარვით ლექსები ვერ ჩამოვარეგე. მივდივარ სამხრეთს, სადაც ქალი იყო მეტია,

ვიდრე ევროპულ ქალაქებში ფართის დროსაა. ექვსას სამოცდამეთვრამეტე კილომეტრია. ნეტავი, ფორუყ, თეირანი კიდევ შორსაა? ხმა მესმის ნაზი, აზიური ვით ფიანდაზი, „შენ რომ გგონია, ჩემი სახლი უფრო შორს არის“. რა ვქნა, ფაროხზად, ვერ დავწერე ვერც ერთი ხაზი, რომ ერთხელ მაინც გამეხარა შენი შრომანი. მაგრამ არ მინდა სურვილებით ისე გაღეშვა, უჩადრო ქალს რომ დაგეხურო თავზე ცილინდრად. იქნებ არცა ღირს მანდ ჩამოსვლა, აქვე დავეშვა ექვსას სამოცდამეთვრამეტე გზატკეცილიდან?..

ანწყობ

რად მემტერები ანწყოვო პატარა ჟამის ტანისავ?.. შენ მომავალმა გაცხონოს, უდარდლობით თავისა. დამდეგ ეჭვებით სნეული, და ვერ მპოულობ შარა სწორს, რადგან ჩამომრჩა სხეული, სულმა კი გზაში გამასწრო. ტყვიის ხმამდე თუ დაეშვი, სხვა არა გინდა გესმოდეს, სიტყვას ავაგდეშ ჰაერში, დაუმიზნე და ესროლე.

* * *

ოტარიდო, ვიზე ნალვლობ, რაზე?.. თავის გზაზე მიაბიჯებს ლაზი. ბედისწერას, გამჭვირვალე ცაზე, თვითმფრინავის გადაკვეთავს ხაზი. ოტარიდო, ვიზე ნალვლობ, რაზე?..

წყალი და ცეცხლი

რატომ დამცინი, ვერ ვცურავ თუკი? ასარკაზმდება ტუჩები ბაცი... ასე ბაყაყსაც ძალიან უკვირს ჭაობში რატომ იხრჩობა კაცი. მთლად სანაპირომ რომ დაგინუნოს, ტალღებმა რიხით გადაგაირონ, მაინც სჯობია სულ არ იცურო, ვიდრე ხმელეთზე ცუდად იარო. იყუჩე, წყნარად გაჰყევ იმ ქუჩებს ბუნდოვანება რომ არ სჩვევიათ. სხვა ხასიათი ხედვას გიფუჭებს, სხვა ხასიათში რა დაგრჩენია?.. რომ ფეხის ხმაზე დგება აისი, მყუდროს ჩაესმის სიტყვა ზარივით, გამჭვირვალობა გზაზე ჩაისვი და გაიყოლე თანამგზავრივით. წარსულის დღეა უკანასკნელი ვინრო ქუჩების არის მზაობა

და არ ავცდება ცხელი ქვესკნელი,
მაინც ჭაობში სჯობს თევზაობას,
ესე თვისება ცეცხლით ანთია,
უნუგეშობა ჩამოიბანე
და ფსკერზე ჰპოვე შვება, ცხადია,
თუ ჯოჯოხეთი არ მოიპარეს...

* * *

უხილავია ციაგი სხივთა,
როცა იტანჯვის ციალი ტვინთა.
აქაფებული თვალების მიღმა
დაბნეულია ქუჩაში სიყრმე.
მიაფრიალებს ყოფას მრავალი
მივინყებულა რადგან გრაალი.
უმი სიმშვიდე გამეფებულა,
მერე კატებიც აყეფებულან.
ნარმოუსახავთ თავი მესიად,
სხვა უარესიც დაუთესიათ.
ტყუილ ნაყებით, ცრუ აჯანყებით,
მოხორხოცეთა აჯაყჯაყებით
ცეცხლი არ არის, ხელი გაითბო.
ნასროლი ტყვია, ვინმემ დაგიტომოს.

* * *

ვინც აქამდე გაჩენილა,
არ დაშვრება შენი მთხოვნე
უტუსალოდ დარჩენილი
იზმორება მეციხოვნე.
ულვედონი მისჩენიან
მინდორს იოლს და ტიალსა.
ჭიქა წყალი მირჩენია
ზღვის ნაპირზე კოტრიალსა.
ვატუსალე თავი ნებსით,
ბინდი მხარზე მენლეება
და განვება ნარზეც ლექსი
ისე, როგორც გენერება.
თუ სივრცეებს კვამლით ვზუთავ,
ეს სიტყვები მენტოს ცეცხლად.
თავს რითმებით შევიზლუდავ,
სხვამ დანეროს იგი თეთრად.

* * *

შემომალამდა, მიზანს ვისწორებ,
მოკლე ეკლები ზერელედ მკვეთენ.
ვაზიდან ისე მშრალად მისროლე,
რომ მაგიდაზეც ვერ დაგეწვეთე.

შენ შეაყენე ეს გული ფეხზე
და გამოსაკრავს ვგავარ იარაღს.
ხომ შეეხვებოდით ერთმანეთს მერხზე,
დაბადება რომ დამეგვიანა?..

ბედაურების ძველი ნალები,
თითქოს უკულმა გადააბრუნეს
და რომც დავბრუნდე ნამკურნალები,
უდარდელობას რა დააბრუნებს.

ინვის ცხოვრება ღია ნარინჯად,
არა ისეთად ნამცხვარს რომ მოჰგავს,
ყოველი კუთხით რომ არ გასინჯავ
და ზვალისათვის გამოიზოგავ.

* * *

მარჩენალია ზოგჯერ სიცივე
უნდა გაგაძროს ძვირი ქოშები
და ტკბილად მერე გამოიძინებ,
როცა ვინმესთვის გაითოშები.

ხარ სიტყვა-სიტყვა მონაქუჩები
მჭვერმეტყველებას მწყრალი ვექილის,
შენ ერთადერთი გაირუჯები,
იდაყვებივით ამოზნექილი.

თავს მზემ დადგმული და თვალსაჩინო
გადავიწყებ ხურვის სიავეს,
მაგრამ დღესავით არის საჭირო
შემოგეფეთოს ალაგ ნიავიც.

ჟინიანობას ბაგეთა მოგდენს,
გამასინჯეო ტანი ბეჩავი,
სინახჩახეში, რომ არ ჩამოდნე
ალუჩასავით ჩაუკებჩავი.

პირველი შთაბეჭდილება

მოსალოდნელი მოულოდნელობა

21 მარტს ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში გიორგი გამსახურდიას პოეზიის საღამო მოეწყო.

მკითხველისათვის თავიდანვე ნათელი რომ იყოს: ეს სწორედ ის გიორგი გამსახურდიაა, რომლის წერილები თუ მცირე შენიშვნები სხვათა შემოქმედების შესახებ ხშირად იბეჭდება ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, თვითონ მშვენიე-

რი პოეტი კი საკუთარი ლექსების გამომზეურებას მაინცდამაინც არა ჩქარობს და ამიტომაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული საღამო მათთვისაც კი სასიამოვნო მოულოდნელობა გამოდგა, ვინც კარგა ხანია იცის გიორგის პოეზიით გატაცების შესახებ და სიყვარულით ადევნებს თვალს მის შემოქმედებით ნაბიჯებს.

მოულოდნელობა იყო იმ ზუგდიდელი ქალბატონისათვისაც, რომელიც ამ დღეს საგანგებოდ ჩამოვიდა, რადგან გიორგი გამსახურდია საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი ეგონა და ცოტა განბილებული დარჩა, როცა გაარკვია, რომ ეს გიორგი გამსახურდია ის გიორგი გამსახურდია არაა...

სამაგიეროდ, განზილებული არ დარჩენილა უამრავი ადამიანი, რომელიც იმ დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლექსისა და პოეზიის ტრფიალმა მოიყვანა.

თითქმის ორი საათის განმავლობაში გიორგი კითხულობდა თავის მშვენიერ ლექსებს, დრო და დრო კი ამ საქმეში გაზეთ „ნერგის“ რედაქტორი, მისი უფროსი კოლეგა და იმ საღამოს წამყვანი ქალბატონი მარინა თექთუშანიძე ეშველებოდა.

სხვათა შორის, ქალბატონმა მარინამ ალბათ იმ ზუგდიდელი ქალბატონისა და მისი მსგავსი პუბლიკის გულის საოხად თუ იმის დასტურად, რომ „ჩვენც ოჯახივით მოვივივართ და არა უოჯახობივით“, საგანგებოდ ისაუბრა გიორგი გამსახურდიას ოჯახზე, რომელიც ერთი მხრივ კოჭლავაშვილ-თომაძეთა ინტელიგენტური და სამწერლო ტრადიციებისა და მეორე მხრივ გამსახურდიათა სამეცნიერო და საუნივერსიტეტო მოღვაწეობის ბედნიერ თანხვედრას წარმოადგენს. ოჯახი ნამდვილად ეტყობა გიორგის ზრდილობასა და ადამიანობას, მაგრამ მთავარი მაინც მისი ლექსებია, საიდან მომზირალმა ახალგაზრდა კაცმა არ შეიძლება გულგრილი დატოვოს ვინმე, ვისაც სიტყვის ავან-ჩავანისა რამე გაეგება.

სწორედ ამის შესახებ ისაუბრეს იმ საღამოს გამოსვლებმა – ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა, პროფესორმა გურამ ბედოშვილმა, პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი ლობჯანიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის პროფესორმა თენგიზ კიკაჩიევილიმა, მწერალმა და ფილოსოფოსმა მამუკა დოლიძემ, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ და სხვებმა, რომელთა გამოსვლებშიც გიორგი გამსახურდიას ნიჭით გულწრფელი აღფრთოვანება და დაფასება იგრძნობოდა.

რაც მთავარია, თვითონ გიორგი მორიდებით უსმენდა თავისი უფროსი კოლეგების აღფრთოვანებულ შეფასებას და ალბათ ამ შეფასებებზე უფრო იმ იმედზე ფიქრობდა, რომელიც მისი მისამართით გამოითქვა. ამაყი კი მისი 11 წლის ვაჟი სანდრო იყო, რომელმაც თავისი უსაყვარლესი მამიკო ასეთ განსხვავებულ ამპლუაში პირველად იხილა. სანდროს გვერდით კი გიორგის სიდედრიც შევნიშნეთ, რომელიც ემოციას ვერ მალავდა და ცრემლი მოსდიოდა. ამაზე ყურადღების გამახვილება იქნებ არც ღირდა, მაგრამ ეს დეტალი ძალზე არსებითად ახასიათებს თვითონ გიორგის შემოქმედებას – მისი ლექსები ისე ემოციურად მოქმედებს ადამიანზე, რომ თვით ყველაზე კრიტიკულად განწყობილ სიდედრსაც კი აატრიებს.

თუ არ გჯერათ, ნაიკითხეთ „ჩვენი მწერლობის“ ეს პუბლიკაცია, და, მგონი, ამ სიტყვების სიმართლეში თვითონაც დარწმუნდეთ...

ერეკლე ხატისკაცი

კომპოზიცია



დაიბადა ქუთაისში. 2003 წელს დაამთავრა წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზია. არის სამი პოეტური კრებულისა – „ჩემი გაზაფხული“ (1993), „საქართველოს ლაჟვარდი“ (1994) და „ნუ მომთხოვ დუმილს“ (2002) – და ერთი თარგმანების წიგნის (ბერნსი, უაილდი, რილკე, ოდენი, პუშკინი, ლერმონტოვი...) ავტორი. გამომცემლობა „დიოგენეს“ მიერ გამართულ თარგმანების კონკურსში ორგზის გამარჯვებული. ამჟამად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. არის პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიანტი.

სალომე ბენიძე

* *

დამხატვრე!
იყავი ჩემი ბოტიჩელი
და ფარდა მონყენის ამხადე,
თუ შენი ტკივილი ვარ,
მოვალ და მოგიჩვენებ,
ოღონდაც ლამაზი დამხატვრე!
დამხატვრე!

იჩქარე, დღეები დათვლილია,
და ვნუხვარ, რომ ველარ ვგრძელდები,
იცოდე, უჩემობა არც ისე ადვილია,
მგონი, მოთოვა და ვბერდები.
დამხატვრე ოცნებით
და ცეცხლის მოდებით.
მერე კი გავყვები მიმოზუბს,
დამხატვრე ამაღამ,
და თუ ხვალ მოვკვდები,

შენს ფიქრად ვიცოცხლებ ტილოზე.
დამხატვრე!
იყავი ჩემი ბოტიჩელი,
და ფარდა ბურუსის ამხადე,
თუ შენი ტკივილი ვარ,
მოვალ და მოგიჩვენებ,
ოღონდაც იყავი ჩემი ბოტიჩელი,
ოღონდაც შემეყვარე
და დამხატვრე!

* *

ქუჩაში, სალამურზე უკრავდა ბიჭი,
მე მქონდა ნიჭი ამის დანახვის,
ბორჯომში, მზესთან ახლოს, ყვაოდა ფიჭვი
და იზრდებოდა მწვანე ბალახი.
სოფელში ბებია ელოდა შვილიშვილს,
იქ, სადაც სიმწვანე და წმინდა წყაროა,
შვილიშვილი ვიღაცას ძარცვავდა თბილისში,
რა სამწუხაროა!

* * *

წვიმას ვინვეთებ ცხვირში პიპეტით,
და ცისარტყელამ მინდა გამართოს,
მე მიყვარს ყველა ექსპერიმენტი,
ჩატარებული უმისამართოდ,
მინდოდა ფრენა, ზეცა ვინამე,
გამიტყდა ფრთანი, ხელით ნაკეთი,
მე ვრჩები ცოდვილ დედამინაზე,
შემომიღობეთ მინის ნაკვეთი!

* * *

მინდა არა, მინდა რა,
როგორც არის ზღაპარში,
მინდა ძველი გიტარა
და სიმებთან თამაში.
მინდა მინა, მინდა ცა,
სახლი თუ ვერ ამიგეს,
მინდა ერთი ვილაცა,
ვინც ყველაფერს გამოიგებს.
ვარსკვლავი და მზე მინდა,
გზები ნისლმა დაბურა,
და მოსული ზევიდან
წვიმა მინდა შხაპუნა.
მგონი, ბევრი არ მინდა,
მინდა არა, მინდა რა,
მინდა გრძელი წამი და
ერთი ძველი გიტარა.

პრელუდია

ჟამი.
წამი.
ლამე.
გამინამე ოხვრა,
და დარდები მჭამენ:
შორს ხარ...
შორს ხარ...
შორს ხარ...
ისევ
ისე
ვისმენ
ცისკენ წასულ ბგერებს,
გულს ოცნება მივსებს,
მერე?
მერე?
მერე?
მთები,
ფრთები,
ვთვრები
და ვლილინებ გულში,
რა ყოფილა, ვხვდები,
გუშინ,
გუშინ,
გუშინ.
ჟამი.
წამი.
ლამე.

გამინამე ოხვრა
და კითხვები მჭამენ:
მოხვალ?
მოხვალ?
მოხვალ?

* * *

„მიუშვი და დალაგდება“...
მეგობრის ჩანაწერებიდან

ზოგიერთს მოსწონს სუნი ანაშის,
ზოგიც უბრალოდ, „Winston“-ს ეწევა,
ზოგი ნებიერობს აბაზანაში
და დროს ვერასდროს ვერ დაენევა.
ზოგი მარადუამს ტკბობას განიცდის,
უხმენს ბულბულებს და იადონებს,
საით წავიდეს, ზოგმა არ იცის
და მთელ ცხოვრებას განსჯას ანდომებს.
არა მაქვს დარდი არავითარი,
არც მანუხებენ ეჭვის მსტოვრები,
მე კარგად მახსოვს, რაც შენ მითხარი
და დალაგებას ვუცდი ცხოვრების.

* * *

მინდა, ირგვლივ მქონდეს მთები,
ალარ ვიყო ბავშვი
და ბარათებს მონატრების
ვაგზავნიდე ბარში.
მინდა, ღრუბელს ხელი ვახლო,
ვიყო ისე ახლო,
გაღმა ხევეებს გადავძახო
მაღლა მთვარე ვნახო.
ხელით მივწვდე ყველა ყანას,
მდინარეს და ბუჩქებს,
და საღამოს იავნანას
მიმღეროდეს ექო.
დღეს არ არის ეს სულ ერთი –
მსურს, წყაროს წყალს ვსვამდე,
დავდგე სერზე, ხევსურეთი
ხელის გულზე ჩანდეს.
მთის კალთაზე თავი მედოს,
ზეცა მქონდეს ახლო,
მერე ტბაში ჩავიხედო
და... შენ დავინახო!

* * *

მომენატრა ქარები,
მთებს იქიდან მონაქროლი,
მომენატრა ამბები
შენი, ჩემთვის მონაყოლი.
ვერსად გამეპარები,
თორემ ისევ მომიმდურებ,
მომენატრა კარებიც,
ოდესღაც რომ მომიხურე.
იქნებ სულ სხვა დღე დადგა,
მზეს სინათლე მოემატა,
მომავონდა მცხეთა და
მთვარის შუქი მომენატრა.

მართობს ჰანგი გიტარის
მეტი სევდა აღარ მინდა,
მე რალაცა გითხარი,
ზეცამ თვალი ამარიდა...
ავუყვები ჩანჩქერებს,
რომ წვეთებით დავიქარგო,
გზები ვერ შემაჩერებს,
მინდა, სადღაც დავიქარგო...
მომენატრა მალლა ცა,
ქარი, ციდან მონაქროლი,
მომენატრა რალაცა
შენი, ჩემთვის მონაყოლი...

ერთი გაფიქრებით

ფანჯრიდან – მთაწმინდის ბილიკი,
ტუმბოზე – თეატრის მოსანვევი
სივრცეში – საათის წიკნიკი,
მონოტონური და მოსანვენი.
ლარნაკში – ვაშლების სურნელი,
სადღაც ჩუქურთმები მინარეთის,
გამზირი – თავნება სულელი,
ნაცრისფრად მხრჩოლავი სიგარეტი.
მტკვრის გაღმა – ხის ძველი ოდები,
ნისლის უსასრულო ბორიალი,
სონატის გაშლილი ნოტები,
სულმთლად დამტვერილი როიალი.
სევდა არეული სანოლის,
კედელზე – ნილაბი აფრიკული,
ცაში მოთამაშე სასნორი,
იების დამჭკნარი თაიგული
შეგრძნება – რალაცა დამთავრდა,
სულში ჟრუანტელის შემომტანი,
კედელთან – ძვირფასი კარადა,
პრეისტორიული ჩემოდანი,
ტივები – დაშლილი მორებად,
თუთუნი – გაზეთში მოსანვევი,
საერთოდ – დაღლილი ცხოვრება,
მონოტონური და მოსანვენი.

* *

მე კარგად ვიცი სიცოცხლის ფასი
და მაინც ვფიქრობ სიკვდილზე ხშირად,
მაგიუებს ზეცა – სილურჯით სავსე
და ეს სიგიჟე მიჯდება ძვირად.
იქნება ზოგჯერ ვაოცებ ვისმეს,
დღეს უფრო, ვიდრე დიდი ხნის წინათ,
მე, როგორც ქადაგს, არავინ მისმენს,
„ხმას, მლაღადებელს უდაბნოს შინა!“
ხანდახან რალაც აჩრდილად მაქცევს,
უხმოდ დავეძებ სანატრელ გრილოს,
ვისმენ და ვითმენ ინგლისურ აქცენტს
და უფრო კარგად – იმერულ კილოს.
ვიტან საყვედურს შესახებ სევდის,
და ვემსგავსები გახვრეტილ ჭილოსს,
დავცინი ბედს და დამცინის ბედი
და გარდუვალის გადავლას ვცდილობ.
შენ ვისაც ჩემი განუხებს სევდა,
ცხოვრებას დარდის ბეჭედი აზის,

დამიხსოვრე – მე ამას ვხედავ
და კარგად ვიცი სიცოცხლის ფასი!

* *

ეს საღამოც მიილია,
სამრეკლოდან რეკა ისმის ზარის,
ახლა ცრემლი – სირცხვილია!
ცის კაბადონს გასჩენია ბზარი.
მზე მთებს იქით გადაგორდა,
მენატრება გაზაფხულის სუნთქვა,
რაც აქამდე დარდად მქონდა,
გულს არასდროს არავისთან უთქვამს.
ვგრძნობ, ღიმილი დამელაღა,
აღარც მინდა, გაუღლიმო ყველას,
ბევრი ცრემლი დამელვარა –
არავისთვის მითხოვია შველა.
ცა სიცივით შეშლილია,
მინა უძლებს უსულგულო ყინვებს,
თუმცა ძლიერ მეშინია,
არასოდეს დაუძახებ ვინმეს.
მზის ამოსვლას ბევრი ნახავს,
ბევრიც კარგი გამგონეა სიტყვის,
რასაც გული შეინახავს,
ჩემი ბაგე არასოდეს იტყვის.

პარიანცია

უთო ცხელია,
შპალერი ძველია,
სახლი ხისაა,
ეს სწორედ ისაა,
რაც ასე მარგია,
რაც ისე კარგია,
რომ მინდა, სულ მქონდეს
და სიზმრით მომქონდეს.
ოცნება შორია,
რაც მითხრეს ჭორია,
სიზმარი ცისაა,
ეს სწორედ ისაა,
რაც ასე მანუხებს
და მიჭერს მარნუხებს,
რაც მინდა, არ მქონდეს
და სულ სხვას დაჰქონდეს.
ქუჩები წვრილია,
ხელები თბილია,
ხურმები ძირსაა,
ეს სწორედ ისაა,
რაც ტკივილს წაიღებს,
რაც სითბოს გაიღებს,
რაც წამით მასვენებს
და ძველ დროს მახსენებს.
თვალები სველია,
ფიქრები ჭრელია,
ფანჯრებთან მოთოვა,
ეს უკვე თვითონ ვარ
ყველაზე მთავარი –
ოცნება ცისაა,
ეს ჩემი გზა არის
ჰო, სწორედ ისაა!

გაბრიელ გარსია მარკესი

ბასართობი სოფიზმები

მაესტრო გაბრიელ გარსია მარკეს: არ არის საიდუმლო, რომ თქვენი ლიტერატურული შემოქმედება გაყდენილია ჟურნალისტის გამოცდილებით. თქვენ თვითონაც არაერთხელ გითქვამთ ეს. ვფიქრობ, თქვენ სწორედ ამიტომ შემოგთავაზეთ შეტყობინება (აღამიანზე, რომელიც გადაურჩა გემის ჩაძირვას), ქრონიკა (გამოცხადებული სიკვდილის) და ცნობა (გატაცებაზე). ამ თანმიმდევრობის მიხედვით ველოდოთ თუ არა ინტერვიუს და ვისთან?

*კამილო გონსალეს დიასი
ინტერნეტით გაგ ზავნილი შეკითხვა*

ბაბო პასუხობს:

მოკლედ რომ ითქვას, თქვენი კონკრეტული შეკითხვა გულისხმობს: ელოდონ თუ არა მკითხველები ჩემგან წიგნს, რომელიც იქნებოდა ინტერვიუ, იმის გათვალისწინებით, რომ უკვე გამოქვეყნებული მაქვს ქრონიკა, შეტყობინება, ცნობა. ჩემი კონკრეტული პასუხია – არა. თუმცა წერილის პათოსი მაფიქრებინებს, რომ თქვენ სხვა შეკითხვებიც გაქვთ, და არ ვიცი, რატომ არ მკითხეთ. მამ კარგი, გიპასუხებთ. ცნობისათვის გეტყვი, რომ დაწერილი მაქვს ცხრა რომანი, 38 მოთხრობა, ორი ათასზე მეტი საგაზეთო წერილი, და, ღმერთმა უწყის, რამდენი რეპორტაჟი, ქრონიკა და კინოსცენარი. ვწერდი ყოველდღიურად, საკუთარი ხელით, მარტოობის სამოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში თხრობის სუფთა, უბრალო და უანგარო სიამოვნების გამო. დასკვნა: მე მოწოდებთაც და უნართაც წმინდა წყლის მთხრობელი ვარ ზუსტად ისეთივე, როგორც სოფლის მთხრობელები, რომელთაც არ შეუძლიათ იარსებონ, თუკი რამეს არა ჰყვებიან, განურჩევლად იმისა, რეალურია ეს ამბავი თუ გამოგონილი. ჩვენთვის რეალურია არ არის მხოლოდ ის, რაც მოხდა, რეალურია ისაა, რაც არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცამო მოყვა. მაგრამ, რაც უფრო მეტს ვწერდი, ნაკლებად ვასხვავებდი ერთმანეთისაგან ჟურნალისტურ ჟანრებს. ზეპირადაც ჩამოგითვლით, და არა მხოლოდ საკომუნიკაციო ჟანრებს (რომლებიც საჭიროზე მეტია). შეგნებულად არ ვასახელებ ინტერვიუს, რადგან მას ყოველთვის ცალკე განვიხილავდი. ის ბებიების იმ საყვავილებს ჰგავს, მთელი ქონება რომ ღირს და სახლის მშვენიერებას წარმოადგენს, მაგრამ ვერაფრით პოულობ მათთვის ადგილს. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია არ აღიარო, რომ ინტერვიუ, როგორც მეთოდი და არა როგორც ჟანრი, კეთილი ფერიაა, რომელიც დანარჩენ ჟანრებს ასაზრდოებს. მაგრამ სულაც არ არის ჩაკეტილი სცენარივით, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გადაღებული ფილმი.

მეორე, რაც მე ინტერვიუსთან დაკავშირებით მანუხებს, არის მისი რეპუტაცია მსუბუქი ყოფაქცევის ქალისა. მავანს ჰგონია, ყველას შეუძლია ინტერვიუს აღებაო, რის შედეგადაც ეს ჟანრი საჯარო სასაკლავოდ იქცა: ორიოდ შეკითხვითა

და ჩამწერით შეიარაღებულ ახალგაზრდებს აგზავნიან ინტერვიუს ასაღებად, რათა მომხიბვლელობისა და სითამამის ხარჯზე ისწავლონ ჟურნალისტობა.


რესპონდენტი ყოველთვის ცდილობს თქვას, რაც სურს, ინტერვიუერის პასუხისმგებლობის ხარჯზეც კი. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ძალზე გამჭრიახი უნდა იყოს, რომ მიხვდეს, თუ როდის უთხრეს სიმართლე. ეს კატა-თავგობანას თამაშია. ახალბედა ჟურნალისტები ამ ინტერვიუებს, პირდაპირსა თუ ირიბს, სუფრაზე აღებულს, ყოველთვის იყენებენ სასწავლებლად. ან პირიქით, ეს ინტერვიუები კედელთან ახალბედების მიყენების იარაღია, რომელთა ყველაზე უარესი ჟურნალისტური დამსახურება არის ის, რომ არაფრის არ ეშინიათ და ომში მაგნიტოფონური ტყვიამფრქვევით მიდიან, და არც კი აინტერესებთ, რა მანძილზე ან ვისთან აღწევს ტყვიები.

ჩემი, როგორც ჟურნალისტის, პრობლემა იგივე იყო, რაც მწერლისა: ერთხელ და სამუდამოდ გამერკვია, რომელი ჟანრი უფრო მომწონდა. საბოლოოდ რეპორტაჟი ავირჩიე. ვფიქრობ, ის ყველაზე ბუნებრივი და სასარგებლოა. მას შეუძლია იყოს ზუსტად ისეთი კი არა, როგორც ცხოვრებაა, არამედ უფრო მეტიც: უკეთესი, ვიდრე ცხოვრება. შეიძლება იყოს ისეთივე, როგორც მოთხრობა, ან რომანი, ერთი მკაფიო და ამკარა განსხვავებით: რომანისა და მოთხრობისათვის ნებადართულია უსაზღვრო ფანტაზია, ხოლო რეპორტაჟი უნდა იყოს მართალი უკანასკნელ მძიმემდე, იმისდა მიუხედავად, სჯერა თუ არა ვინმეს მომხდარისა.

შეუძლებელია, ერთი შეხედვით განასხვავო რეპორტაჟი, ქრონიკა, მოთხრობა და რომანი. დაეკითხეთ ლექსიკონებს და დარწმუნდებით, რომ არც მათ იციან. ეს მეთოდის პრობლემაა: ნებისმიერ ჟანრს მტკიცებულებათა და კვლევის საკუთარი ხერხები წიგნებსა და დოკუმენტებში, კითხვარებსა და ანკეტებში, ყოველდღიური ცხოვრების ბოპოქარ შემოქმედებასა და განსაკუთრებით იმ ინტერვიუებში აქვს, რომლებიც იქმნება არა იმიტომ, რომ გამოქვეყნდეს ჟანრის პირობითი ფორმით, არამედ იმიტომ, რომ ის შემოქმედების სასიცოცხლო წყაროა ამ და სხვა ჟანრებისათვის. ზემოთქმულის შემდეგ კი უნდა ვაღიაროთ, რომ ინტერვიუ უმთავრესი ჟანრია, რადგანაც დანარჩენ ჟანრებს ასაზრდოებს.

აღბათ, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჟურნალისტურ ჟანრთა განსაზღვრა მიახლოებითი და არაზუსტია. ყველა ჟანრის უპირველესი მიზანია, რომ მკითხველმა სიღრმისეულად, უმცირესი დეტალებით გაიგოს, თუ რა მოხდა. კომუნიკაციის დანიშნულებას ყველა ჟანრი ერთმანეთში ინანილებს. ხოლო მიმწოდებელთა არსობრივი პრობლემა არის არა ის, რომ ჩვენი შეტყობინება იყოს მართალი, არამედ რომ ჩვენ დაგვიჯერონ. თქვენ შეეხეთ ჩემს მიერ დამუშავებულ სამ ჟანრს, თუმცა სათაურები არ დაგვისახელებიათ, რაც ძნელად გამოსაცნობი არ გახლავთ. მოდი განვიხილოთ ისინი თუნდაც იმიტომ, რომ დავინახოთ ის პატარა ტექნიკური და სემანტიკური ნიუანსები, რის გამოც ხშირად თავგზა გვებნევა.

მოდე ჯერ დავაზუსტოთ: „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ უფრო რეპორტაჟია, ვიდრე ქრონიკა. ეს არის ჩე-



მი ბავშვობის მეგობრის საჯარო, დრამატული მკვლელობის აღდგენა. სანტიაგო ნასარი მოკლეს მისი ძველი შეყვარებულის ძმებმა: საქორწინო ლამეს ქმარმა ქალი ოჯახს დაუბრუნა, რადგანაც ქალწული არ აღმოჩნდა. სასამართლო დასკვნაში გარკვევით წერია, რომ ქალმა თავის სირცხვილში ჩემი მეგობარი დაადანაშაულა. მისმა ძმებმა იგი დღისით-მზისით, შუაგულ მოედანზე დანებით დაჩეხეს. 30 წელი მოთმინებით ვიცდიდი, რათა დამენერა დრამა, რომლის მომსწრეც არა ვყოფილვარ, რადგანაც დედამჩემი მევედრებოდა არ ჩამედინა ეს ორი გადაამტკერებელი ოჯახის პატივისცემის გამო. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ამის უფლება დამართო, თემა ისე მქონდა მესხიერებაში გადაღქცილი, რომ მისი გადახალისებაც კი არ დამჭირებია. რომანი ისე დავწერე, რომ უთვალავ მონმეთაგანს არცერთს არ შეგვხედრივარ. ეს არ არის მკაცრი ქრონიკა – როგორც ნანარმოების სათაურში ვამბობ. ეს საჯარო ინტერესებისაგან დაცული ისტორიული ეპიზოდია, ადგილის, პერსონაჟთა და მთავარ მოქმედ პირთა შეცვლილი სახელებით, ანონიმურობის დაცვით, მაგრამ სრული ერთგულებით გარემოებათა და ფაქტების მიმართ. ასე რომ, არ იქნებოდა მართებული განგვეხილა როგორც ფორმალური რეპორტაჟი. ის ჟანრის სრულფასოვანი მოდელია.

„შეტყობინება მოტაცებაზე“ მართლაც ზუსტი რეკონსტრუქციაა აღმამფოთებელი ამბისა, რომელიც კოლუმბიაში განიხილებოდა და აქტუალური იყო 262 დღე. ათი მნიშვნელოვანი პიროვნების მოტაცება ერთადერთი მიზნით: ხელი შეეშალათ კონსტიტუციური ასამბლეისათვის, გადაეცათ დამნაშავე კოლუმბიელები შეერთებული შტატებისათვის. შესაბამისი სტრუქტურული კლასიფიკაციით ეს უნდა ყოფილიყო წმინდანყლის რეპორტაჟი, რადგან ყველა მონაცემი მართალი და დადასტურებულია. მაგრამ სათაურსაც ხომ უნდა გაეწიოს ანგარიში: ეს მხოლოდ ვრცელი და სრული შეტყობინებაა ჩანასახიდან საბოლოო შედეგამდე.

„ამბავი კატასტროფაგანცდილ ადამიანზე“ უფრო ახლოა ქრონიკასთან, რადგან წარმოადგენს ერთადერთი გადაჩენილის მიერ, პირველ პირში, ორგანიზებულად გადმოცემულ უშუალო გამოცდილებას. სინამდვილეში ეს არის გრძელი, სკრუპულოზური, სრული ინტერვიუ, რომელიც შევადგინე არა მხოლოდ გამოსაქვეყნებლად, არამედ იმიტომ

მაც, რომ სრულიად სხვაგვარად აღქმულიყო: რეპორტაჟად. დიდი ძალისხმევა არც დამჭირებია, თითქოს ყვავილოვან მდელოზე გამესეირნოს და საუკეთესოს ამორჩევის შესაძლებლობა მქონოდა. და ამას მთავარი გმირის ქუჩის, სიმამაცისა და მონილითურობის სადიდებლად ვამბობ, რომელიც დამსახურებულად იქცა ქვეყნის ყველაზე საყვარელ გადარჩენილად.

ჩვენ არ ვიყენებდით დიქციონებს, იმიტომ, რომ იმ დროის საუკეთესო ნიმუშებიც კი საკერავი მანქანებით დიდი და მძიმე გახლდათ, ფირი კი ანგელოზის თმებით იბურდებოდა. დღესაც ვალიარებთ, რომ ძალზე სასარგებლოა მათი გახსენება, მაგრამ არ უნდა იყოს უგულვებლყოფილი რესპონდენტის სახე, რომელსაც გაცილებით მეტის თქმა შეუძლია, ვიდრე მის ხმას, თუნდაც საპირისპიროსი. მე ვაკეთებდი ჩანანერებს სასკოლო რვეულში, ამიტომაც არ დამიკარგავს არცერთი სიტყვა და არცერთი შტრიხი ინტერვიუდან. თანაც ნაბიჯ-ნაბიჯ შემეძლო მისი გადრეკვა. შედეგად გადავანყდი კატასტროფის იმ მიზეზს, რომელიც მანამდე არა თქმულა: საბრალო ხომალდის ჩაძირვა მოხდა სწორედ გემბანზე ზედმეტად დატვირთული საოჯახო აპარატურის გამო. და ეს იყო ოცსაათიანი გამთანგველი დაკითხვის შედეგად მიღებული ინტერვიუ სიმართლის დასადაგენად. მიუხედავად ამისა, ყოველივე უკეთესად ვიცოდი, ვიდრე მკითხველმა ყოველდღიური უშუალო მონათხრობიდან, რომელიც ყოველთვის გადმოვლებულია: შესანიშნავი მოთხრობიდან.

დაბოლოს, მჯერა, რომ ჟურნალისტიკა იმსახურებს არამარტო ახალ გრამატიკას, ახალ პედაგოგიკასა და ახალ პროფესიულ ეთიკას, არამედ იმასაც, რომ აღიარებულ იქნას იმად, რაც ისედაც არის ოფიციალური აღიარების გარეშე: ასაკოვანი ლიტერატურული ჟანრი, როგორც პოეზია, დრამატურგია და სხვა. ვნახოთ, ამდენი გასართობი სოფიზმისა და ზუსტი განმარტების შემდეგ ჩვენ, კოლუმბიელი ჟურნალისტები, შევძლებთ კი შევეჭიდოთ უკიდევანო რეპორტაჟს, რომელსაც ჩვენგან ელიან: როგორ მოხდა, რომ პოეტთა იდილიური კოლუმბია გადაგვექცა მსოფლიოში ყველაზე საშიშ ქვეყნად.

ესპანურიდან თარგმნა ელინორა კუჭავაი

ქრონიკა

კლასიკოსის მემკვიდრეობიდან ყოველი პოეტური რჩეულის შედგენა და თანამედროვე მკითხველისათვის შეთავაზება სარისკოცაა, საკამათოც და ამდენად საინტერესოც. რადგან გემოვნებიან მკითხველს ზოგადად, და მით უფრო პროფესიონალს, რჩეული პოეტური ნიმუშები თავისთვის უკვე შეგულებულიც აქვს და ამოჩემებულიც. მაგრამ ქვემარტი პოეზია რახან საუნჯეა განფენილი სამივე დროში, შედევრთა ახლებურად ამოკრეფა კლასიკოსის საგანძურისა და სასიამოვნო და მისასალმებელ ფაქტად მიიჩნევა, თანაც ამგვარ მოვალეობას საგამომცემლო საქმის თაოსნები თუ იტვირთავენ...

და სწორედ ასეთი სასიამოვნო ფაქტი – აკაკი წერეთლის ახლებური პოეტური რჩეულის პრეზენტაცია გაიმართა ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში 19 მაისს.

დახვეწილად გამოცემული პოეტური რჩეული გამომცემლობა „მერანი“ რომ მომზადდა, აუდიტორიას დავით მალრაძემ წარუდგინა, ვინც ამავე დროს აღნიშნული გამომცემის რედაქტორიცაა.

სიტყვებით გამოვიდნენ რჩეულის შემდგენელი – გივი ალბაზიშვილი და ტარიელ ჭანტურია, აგრეთვე როსტომ ჩხეიძე, დავით წერეთლიანი, ლია სტურუა და ბესიკ ხარანაული.

მათი საუბრის თემა მხოლოდ ახალი წიგნით და მისი გამოცემის თავისებურებით არ შემოფარგლულა. აუდიტორიას კიდევ ერთხელ მოაგონეს აკაკის ნათელი და იდუმალი პოეზიის ხიბლი, ითქვა „ჩემი თავგადასავალის“ ლიტერატურულ ღირსებასა თუ დოკუმენტურ სანდოობაზე, აგრეთვე იმ ჩინებულ მემკვიდრეობაზე, მთარგმნელობითი ხელოვნების ნიმუშებად რომაა მიჩნეული.

ალუნიშნავი არ დარჩენილა გამომცემლობა „მერანის“ წვლილიც კლასიკის პოპულარიზაციის საქმეში, რისი დასტურია ახალი პროექტი – „ქართული კლასიკური პოეზიის რჩეული“, რომლის პირველი ნიმუშიც უკვე მკითხველის ხელთაა.

ეს მშვენიერი გამოცემა მხატვრულად გაფორმებულია ცნობილი გრაფიკოსის გიორგი წერეთლის მიერ.

ნიგნში შესულია აკაკის ლირიკა, თარგმანები ივან კრილოვის იგავებისა და პოემა „გამზრდელი“.

როსტომ ჩხეიძე

ძვის ღივილი

*

ტომას მური

ჯეიმზ ჯოისი რაღას ერჩოდა, რას ედავებოდა ტომას მურს?

იმას არც დავა დაკლებია, არც კილვა, არც ირონია – ირლანდიის ტკივილებს აეყოლებინა, თავისუფლების დაკარგვის მწუხარებას გაეთანგა და სადარდებელი მელოდიებად რომ გარდაესახა და ყოველი თვისტომის გულისთქმა ლირიკული ნიმუშების ამ ნაკადში მოექცია, ძალიან გაელიზიანებინა ბრიტანელები. კიდევ თავისუფლების ჰიმნები უნდოდათ? არ კმაროდა ის წინააღმდეგობის სული, რაც ჯონათან სვიფტს ლამის არსაიდან ამოეზიდა და რეალობად ექცია? ახლა ტომას მური მოვლენოდა ინგლისის პროვინციად დაკნინებულ ირლანდიას ქომავად და ცეცხლს უკიდებდა მინავლებულ ნაკვერჩხლებს.

ჯოისი რაღას ედავებოდა?

არადა, ირონიას არც აკმარებს და სარკაზმშიც კი გადადის თხრობა, როდესაც სტივენ დედალოსი წმინდა სამების კოლეჯს გამოცდება (ვიწრო ჩარჩოში ჩასმული ბლაგვ ქვასავით მძიმედ რომ ჩამოწოლია უმეცარ ქალაქს) და... ირლანდიის ეროვნული პოეტის სასაცილო ქანდაკებას მიადგება.

ეს ეპითეტი – სასაცილო – მოქანდაკის ნახელავს კი არა გულისხმობს, არამედ იმას და სწორედ იმას, ვისი მონუმენტიც თავისუფლების სიმბოლოდ აღუმართავთ, ადრე თუ გვიან მოპოვებული სახელმწიფო დამოუკიდებლობის მაცნედ და მაუწყებლად.

მან ქანდაკებას სიბრაზის გარეშე შეხედაო, – პერსონაჟის მზერას ასე აღბეჭდავს ავტორი რომანისა „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“, მაგრამ ეს ვითომდა თავშეკავებული ფრაზა ერთბაშად დამცინავ გამოთქმათა კორიანტელში იკარგება და ისეთი სიბრაზე და განაწყენება გამოსჭვივის მთელი პასაჟიდან, თითქოს ჯოისი ლიტერატურის კლასიკოსს კი არა, თავის ტოლ-ამხანაგს აქილიკებდეს:

„... თუმცა მცონარება სულისა და სხეულისა უხილავი მატლივით მიცოცავდა მის ნახევრადმოხრილ ფეხებზე, ზემოთ პალტოს ნაკეცებზე და უფრო ზემოთ, მისი მამებლური თავის გარშემო, ქანდაკება თითქოს თვითონვე გრძნობდა თავის არარაობას“.

გულს რომ მაინც ვერ იჯერებს?

„ეს იყო ფილბორგი, მილეზიელის ნათხოვარ ტოგაში...“

მილეზიელის ტოგაში მოქანდაკეს გამოეხვია ტომას მური, იმ მითოსურ მოსახლამში, ესპანეთის მეფე მილეზიას რომ ამშვენებდა და მერე მის შთამომავლთაც არ მოუცილებიათ. ლეგენდებს შეებურა მისი პიროვნება, ირლანდიის ამ დამპყრობისა, ვინც მშვენიერსა და ამაღლებულს მიელტვოდა და ამ კულტის დამკვიდრებას ესწრაფოდა, განსხვავებით ფილბორგთაგან, ულმოებელ ჯუჯათა ტომისაგან, ირლანდიაში რომ მოსახლეობდა – ყოველ შემთხვევაში, ლეგენდები მათ არსებობასაც ირწმუნებოდა და მითოსის ნახსენებებში შემორჩენილი საერთო იერი ყმანვლითა დასაშინებლად თუ გამოდგებოდა.

არც ლეგენდები აიდეალბდა ფილბორგებს, ჯოისი კი სულაც მილეზიასა და მის მემკვიდრეებთან შესაპირისპირებლად გამოიყენებდა, იმ სამოსის შემოსაძარცვად მონუმენტი-სათვის, პოეტის გაიდეალბებას რომ ისახავდა მიზნად და კიდევ ჩაებეჭდა ეს ამაღლებული იერი საზოგადოების შეგნებაში. თაობა მიდიოდა, თაობა მოდიოდა და ტომას მური ისეთივე სიდიადით გადმოჰყურებდათ კვარცხლბეკიდან, როგორც მისი პორტრეტი იმზირებოდა ქრესტომათიებიდან თუ ანთოლოგიებიდან – „ირლანდიური მელოდიები“ გზამკვლევად რჩებოდა ყმანვილთათვის ეროვნული ვინაობის შეცნობისა და საკუთარ არსებაში გამოტარების გზაზე. რჩებოდა ასე, ვიდრე ჯოისი არ აუშხედრდებოდა ამ პოეტურ ციკლში გამოხატულ წყურვილს თავისუფლებისა და მილეზიას დიდებული მოსახლამის ქვეშ ფილბორგის აღნაგობას არ აღმოაჩენდა.

სულისა და სხეულის მცონარებაო.

უხილავი მატლის ცოცვაო.

მამებლური თავიო.

ალარაფერს შეარჩენდა, მაგრამ ისე როგორ მოისვენებდა, ეს მონამლული ისარიც არ ეტყორცნა, თითქოს ქანდაკება თვითონვე გრძნობდა თავის არარაობას.

პერსონაჟები, თვით მთავარი გმირებიც, მეტ-ნაკლებად გამოხატავენ ავტორის შეხედულებებს – შესაძლოა ზუსტადაც ემთხვეოდეს მწერლის შეფასებებს, შესაძლოა განსხვავებოდეს ან სულაც უპირისპირდებოდეს, მაგრამ სტივენ დედალოსი ისე მისხალ-მისხალ იმეორებდა ჯოისის ბიოგრაფიასა და მსოფლხედვის ევოლუციას, „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ აღსარებად უფრო წარმოგვიდგება, ვიდრე რომანად, მემუარულ-დოკუმენტური ყაიდის ქმნილება, მოდერნიზმის იმ ნაირსახეობად, ჟანრის ზუსტად განსაზღვრას მაინცდამაინც რომ არ უნდა ეცადო.

ამიტომ მარჩიელობა კი არა გვჭირდება, ნეტა თვითონ ჯოისიც ასევე აბიაბრუებდა ტომას მურის პიროვნებასა და პოეზიას თუ ეს პასაჟი გმირის ხასიათის გამოსახატად ჩაურთო, არამედ შეუმცდარად ამოვიკითხავთ „ულისეს“ ავტორის პირადულ განცდას, კიდევ უფრო მწვავეს, ვიდრე თავის დროზე ლორდ ბაირონს ეკადრებინა უფროსი თანამოკალმისათვის სატირულ პოემაში „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები“.

ან ის მაინც რას ერჩოდა?

უცნობ რეცენზენტს გაეფულისებინა და ქვას ქვაზე აღარ დატოვებდა სალიტერატურო ცხოვრებიდან – ვისაც უკვე დაეჩნია თავისი კვალი ინგლისური რომანტიზმისათვის, ერთი-ვერ გადაურჩებოდა მის გამკილავ სტრიქონებს და ტბის სკოლის პოეტებს თუ უფრო მკაცრად მოექცეოდა – საუთისაც, კოლრიჯსაც, უორდსუორთსაც, ამ შემთხვევაში – ტომას მურს რომ შეეხებოდა – ცოტა შეარბილებდა სუსხს.

ვითომ „ირლანდიური მელოდიები“ არც გაეგონა, თუმც უკვე გამოქვეყნებულიყო, და მის ადრეულ ლირიკას გადანვლებოდა, ანაკრეონტულ სტილში შექმნილს, იმ ჰედონიზმს, რაც თვითონ ბაირონს გაცილებით უფრო მოჭარბებოდა პიროვნულად, მაგრამ პოეზიაში ასევე გადატანა ლიტერატურულ ნაკლად მიაჩნდა და დაურიდებლადაც გაამჟღავნებდა თავის თვალსაზრისს. ცალკე კიდევ ფსევდორომანტიკულობას უკითხინებდა, ყალბ ფანტასტიკურობას, და ცოტა შეარბილებდა – ასე ჩვენ გვეჩვენება პოემის საერთო ფონზე, თორემ ტომას მური ისე შეურაცხყოფილად იგრძნობდა თავს, კადნიერ ყმანვილკაცს დუელში გაინვევდა მაშინვე, როგორც კი „ინგლისელი ბარდები და შოტლანდიელი მიმომხილველები“ ხელმეორედ გამოქვეყნდებოდა და, პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, რომელსაც ავტორის გვარ-სახელი არ ეწერა, შემოქმედის ვინაობა გამჟღავნდებოდა.

პოემებში მურის დუელიც გამასხრებელიყო კრიტიკოსს ფრენსის ჯეფრისთან, ვისაც აგდებულად მოეხსენიებინა „ირლანდიური მელოდიების“ ავტორი: ყველაზე დაუდევარია თანამედროვე მთხზველთაგანო. დუელი სკანდალურად გახშირდებოდა, არცერთ მეტოქეს დამბაჩაში ტყვია არ ედოო, გაზეთების ფურცლებზეც გაღწევა და ბაირონიც ხელზე დაიხვევდა: კალედონის ქალღმერთმა ამოიტაცა ორივე დამბაჩიდან შურისმაძიებელი ტყვია და თავში ჩაუშვა თავის ფავორიტს, და იმ თავმა, რომელიც მაგენტურ ძალაზე მეტია, დაიჭირა ის, როგორც დანაემ დაიჭირა ოქროს შხაპი. და თუმც სქელი ნაგავი ძნელად თუ იწმინდება, ამდღერებს მადანს და თავისთავადაა საბალო.

ნეტა ამ დუელს რა ბედი ელოდა? ბაირონი გაექცეოდა თუ რა გამოწვევას, დუელი იყოს, სიტყვით თუ ვერ ვასწავლე ჭკუა, ტყვიით ვასწავლიო, უთუოდ დაიქანდა, გამონწევას მის ყურამდე რომ მიეღწია. მიეტოვებინა ინგლისი, ხომალდისა და საზღვაო ფათერაკებისათვის მიენებებინა თავისი სიცოცხლე. ჩაიღო ჰაროლდის სამოსელში გამოხვეულიყო და ახალ სამყაროს აყურადებდა საკუთარ სულში.

ინგლისს რომ დაუბრუნდებოდა და მურის დანაბარებს ახალა გადსცემდნენ, იმასაც ამცნობდნენ, თავის დროზე მურს საპროტესტო წერილი რომ გაეგზავნა იმ გაზეთის რედაქციისათვის, ფრენსის ჯეფრისთან მისი დუელის ამბავი ვინც მოჰფინა ქვეყანას. და ბაირონი შენუხდებოდა, ეს რომ მცოდნოდა, სარკაზმს მოვერიდებოდა, მური ჩემს თვალში ახლა სხვანაირად გამოჩნდაო. პირადადაც მოინახულებდა და თავის სინანულს განუცხადებდა.

იკმარებდა ტომას მური ამ განმარტებას და ასე ჩაიშლებოდა მწერლობისათვის საბედნიეროდ მათი დუელი. ამ ორს კი – ტომას მურსა და ლორდ ბაირონს – რალაც უხილავი ძალია სულ უფრო მიიზიდავდა ერთმანეთისაკენ. შერიგებას კეთილი ნაცნობობა მოჰყვებოდა, კეთილ ნაცნობობას – დამეგობრება – უფრო უახლოესი და ერთგული რომ ლამის არცერთს არ ეგულებოდა ერთმანეთის გარდა.

მური ყველაზე ახლოს იყო ბაირონის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან სხვა თანადროულ მწერლებთან შედარებითო, – ირწმუნება ლიტერატურის მკვლევარი ჯეფრი ვილი – ბაირონის ნაწერებზე, მის განცდებზე, როგორც პოეტისა და კაცისა, მის მსოფლალქმაზე, შთამომავლობას რაც შემორჩა გავლენასაც ახდენდა და ზემოქმედებასაც ურთიერთობა მურთანო.

პირადი საუბრები პირად საუბრებად და ბარათებითაც ხშირად ეხმიანებოდნენ ერთმანეთს. ბაირონი იტალიას რომ მიაშურებდა სულის მოსათქმელად, ვრცელ წერილებსაც გამოუგზავნიდა – მისი ეპისტოლური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებს. შემოქმედებით ჩანაფიქრებსაც უზიარებდა, რჩევასაც მოელოდა, პირად განცდებსაც არ დაუფარავდა. თუ ვინმეს გადაუშლიდა გულს, მათ შორის, ტომას მურსაც.

შელისთანაც ხშირად ახსენებდა და იმას გული წყდებოდა, თვითონაც რომ არ ეგულებოდა გულითად მეგობრად „ირლანდიური მელოდიების“ შემქმნელი. გამომცემლებს სთხოვ-

და, ჩემი პოემები, აბა, მურს გაცანით, რას იტყვისო. წიგნის სასიგნალო ეგზემპლარებიდან ერთს მაინც უეჭველად მურს აახლებდა. გაახარებდა მისი ბარათი, გაამხნევებდა საქებარი სტრიქონები. დიდად ეამებოდა, გამომცემელნი რომ შეატყობინებდნენ, შენს ლექსებსა და პოემებზე ყოველთვის მოწონების შეფასებებს გვიგზავნიანო. და შელი გულისტკივილს გამოთქვამდა: ვერა და ვერ მოვაბი თავი, მეც გამოვხატო ჩემი აღტაცება მისი პოეზიითა და პიროვნული ღირსებებითო.

პირადი დაკვირვებითაც შეემჩნია მისი ღირსებანი, თორემ ბაირონისაგან ხომ რამდენიმე საგულისხმო ამბავი ჩარჩენოდა გულში.

არადა, პირველი მათი შეხვედრა დუელისათვის მზადება გახლდათ, ახლა სიცილით მოსაგონარი, ბევრი სასაცილო და სახალისო რომ არც მოაგონდებოდა „ღონ ყუანის“ შემოქმედს თავისი ხანმოკლე და გატანჯული ბიოგრაფიიდან.

და როდესაც მიატოვებდა ნუთისოფელსაც, პირველ ბიოგრაფოსად მური დაუდგებოდა.


იმხანად ბაირონზე ბიოგრაფიული წიგნის შექმნა შორს სცილდებოდა პირმწიდად ლიტერატურულ საქმიანობას – მასალის შეგროვება, შეჯერება-დაზუსტება, ერთიან ქარგაში მოქცევა, ფსიქოლოგიური პორტრეტის გამოკვეთა, თხრობის მიმზიდველი მანერა არა კმაროდა, რადგანაც ის მრისხანეობა, რაც ბაირონს გამოეწვია საზოგადოების თვალში თავისი მეამბოხური სულისკვეთებით, ის მრავალრიცხოვანი ჭორი და ცილისწამებანი კიდევ ცალკე, შეუვალსა და ყოველმხრივ დასაბუთებულ პასუხს მოითხოვდა – უარყოფას თვითიული სიცრუისა და ლორდ ბაირონის წარმოსახვას იმ იერით, როგორც უნდა დამკვიდრებულიყო შთამომავლობის შეგნებაში – მის პორტრეტს არც რა მიმატებოდა და არც რა გამოკლებოდა.

რისხვას ბიოგრაფოსიც გამოცდიდა. ასეთ ბაირონს, განსხვავებულს, არ აპატიებდნენ. მაგრამ მურს თავისი სიმართლისა სწამდა და გავლენიან მეტოქეთა გავლენებს არ დაგიდევდა.

და როდესაც ისევ გადაშლიდა „ინგლისელ ბარდებსა და შოტლანდიელ მიმომხილველებს“, გაიღიმებდა იმ კეთილი და სევდიანი ღიმილით, სადაც ჩაკარგული დრო რომ იხვევს განსაკუთრებით მაინც პოეტის გულში – იმ წუთსა როგორც უნდა აღგაშფოთებდეს ის ხანა, მერე გენანება, ჰოი, რას გენანება, მისი შემობრუნება შენს ხელთ რომ აღარ არის.

გადაშლიდა და... არც იმას უარყოფდა, სწორედ ბაირონის ზეგავლენით რომ გახსნილიყო მის შემოქმედებაში ახალი ნაკადი – პოლიტიკური სატირა, ის ფარული ლტოლვა, რაც „ჩაილდ ჰაროლდის თავგადასავლის“ ავტორის გარეშე მთვლემარედ დარჩებოდა მის სულში. აღმოსავლეთით გატაცებასაც ბაირონს უნდა უმადლოდეს და „ლალა-რუკი“ თუ „ანგელოსთა სიყვარული“ ერთი შეხედვით ლამის არც გამოირჩევა ბაირონის აღმოსავლური პოემების სტილისტიკისაგან.

„ირლანდიური მელოდიები“ თავის მხრივ ივსებოდა და ივსებოდა და საბოლოო გამოცემა ბევრად აღემატება პირველს, ბაირონის გავლენა იქნებ იქაც შეჭრილა, მეამბოხური გან-



ტომას მური

წყობილება კიდევ უფრო რომ გაუმკვეთრებია, ოღონდ სტილისტიკას არ დაჩნევია ზეგავლენის არავითარი კვალი – ამიტომაც ინარჩუნებს ეს ციკლი თავისთავადობას და ტომას მუერი თუ კლასიკოსთა შორის დავანებულა, უპირველესად გლოვის იმ სურათებით, ირლანდიის ბედის დატირების იმ თავისებური მანერითა და მელოდით, შეუცვლელი რომ დარჩებოდა თავისუფლების საგალობელთა ჯერ მარტო ინგლისურ პოეტურ სამყაროში.

ხელფეხმკრული, ოღონდ დაუმორჩილებელი მოჩანს „ირლანდიური მელოდების“ ლირიკული გმირი, ჯანყისა და გადამთიელი გადიის უღლის გადაგდების წყურვილით ანთებული – რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება დროულად, თორემ ყოველი გადავადება აკნინებს ირლანდიელთა ზნეობას და დაქვეითებული მორალით კი სულ უფრო გაძნელებდა დამოუკიდებლობის მოპოვებაც და შენარჩუნებაც.

სასკვდილო განაჩენს გამოუტანენ რობერტ ემეტს, ამბოხების მეთაურსა და ტომას მურის გულითად მეგობარს? მაინც ამ გზით უნდა იარონ პატრიოტებმა, მაინც არ უნდა დაუდგეს ინგლისს გულდამშვიდების ხანა, ყოველ წუთს უნდა ბრიალებდეს ირლანდიის მინა, რათა ბოლოსდაბოლოს ხელი შეუშვან გელურ ტომთა შთამომავალთ, აღარც მათი ადათნებები შთანთქან და მშობლიური ენაც ოჯახებში კი არ დაუტოვონ, სახელმწიფო უფლება დაუბრუნონ.

ნუ დაივიწყებთო, – თანამემამულეთ მოუნოდებდა მური და როდესაც ეროვნულ გმირს დატირებდა, ცრემლთა ნაკადში თავისუფლების სუნთქვას შეიგრძნობდა, იმ განთიადის დასაწყისს მოჰკრავდა თვალს, ოდესმე დიდი ბრიტანეთის დაშლილი სამეფოთი რომ დაგვირგვინდებოდა.

დაე განისვენოს თავის სამარის ჩრდილშიო – ეთხოვებოდა რობერტ ემეტს – სადაც ჩვენი პატივის მიუგებლად ასაფლავია და ვითარცა ღამის ნამი, ჩვენი ცრემლები იქცნენ მის უსიტყვო დატირებადო. საფლავის კორდი მწვანდება ნამის პანანა ცრემლებისაგან, სიჩუმეში რომ იფრქვევიან... და მის ხსოვნასაც ჩვენს გულში ცრემლი ინახავს ცოცხლად, ის შეგვენევაო.

შეგვენევაო და... თვითონ კი მურს დუბლინიც მიეტოვებინა, ირლანდიაც და თავი ლონდონისათვის შეეფარებინა, სალონური ცხოვრების ორომტრიალში ჩაფლულიყო – თვითონაც მართავდა ლიტერატურულ თავყრილობებს, სტუმრადაც ხალისით დაიარებოდა და ჯოისს აღარ სჯეროდა მისი გულწრფელობა, ძალიან მალე გამოიყოფა ემეტი და „საცოდავ, ბებერ ირლანდიას“ რომ მისტირის ნახვისნატვრი, ასე რა გაუძნელდა შინ მიბრუნებაო.

ემეტის სიკვდილით დასჯა გარდამტეხი წელი აღმოჩნდებოდა მურის ბიოგრაფიაში, ისევე, როგორც პარნელის აჩრდილი არ მოასვენებდა ჯოისს, რათა დუბლინიც მიეტოვებინა, ირლანდიაც და თავი კონტინენტისათვის შეეფარებინა – იქაური სალონური ცხოვრებისათვის.

გახლეჩილიყო „ულისეს“ მომავალი ავტორის შეგნება, გული ირლანდიელად დარჩენას შეაგონებდა, იმ ტრაგედიის შუაგულში ცხოვრებას, მის საბრალლო სამშობლოს რომ დასდგომოდა, გონება კი ხელოვნების ამაღლებული იდეალისაკენ ენოდა, ისეთი ამაღლებულისაკენ, საიდანაც გელური სივრცე კარჩაკეტილობდა გამოიყოფებოდა, იმ დამთავრებულ რეალობად, სადაც მწერალი უსათუოდ პოლიტიკოსიც უნდა ყოფილიყო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე მაინც, თუ სულაც მეთაური არა, და თავისი ტალანტი მსხვერპლად მიეტანა სახელმწიფოებრიობის მოსაპოვებლად.

ჯოისისათვის ეს მწერლური მოვალეობის ღალატი გახლდათ.

ნებაყოფლობით ამიტომაც მოიკვეთდა თავს სამშობლოსაგან.

თუმც მოკვეთილად რომ წარმოედგინა თავისი ყოფა და პიესაში „მოკვეთილი“ საკუთარ ბედისწერას გამოხატავდა, ნინ გაუსწრებდა მოვლენებს და გუმანით განჭვრეტდა იმ მომავალს, როდესაც ირლანდია კარს ჩაუკეტდა მის წიგნებს – მსოფლიოში სახელგანთქმული თხზულებანი დიდხანს ვერ შეაღწევდნენ კარგამოკეტილ სივრცეში და როდის-როდის ელირსებოდნენ დაბრუნებას იმ მინა-წყალზე, რომლის მიტოვებასაც ჯემზ ჯოისი დაბეჯითებით უარყოფდა – ნამიერადაც არ გამოვრიდებოდა ირლანდიასო.

მის წარმოსახვებში ხელშესახებად ცოცხლობდა მშობლიური მიწის ყოველი გოჯი თუ დეტალი, ისტორიის ტეხილები თუ მდორე ეპიზოდები და გონება თუ მთელი ცხოვრება არ ანებებდა უკან მიხედვას, გული გიზგიზებდა ისეთი ძალით, მაინც ხელოვნების ღალატი ერჩივნა ირლანდიის სახელმწიფოებრიობის ღალატს.

ჯოისი გრძნობდა გულის გიზგიზს და ამიტომაც არა სჯეროდა, მართლა თუ სამუდამოდ დაშორდებოდა საფრანგეთსა ან შვეიცარიაში, თვალთმაქცობის ნასახსაც ვერ პოულობდა თავის არსებაში და გულწრფელი იყო, როდესაც ამტკიცებდა – სულ ირლანდიაში ვარ, აბა, თქვენ სად გგონივართო.

შეგნება რომ გახლეჩოდა?

ორივე ნახლეჩი წრფელი გახლდათ, თავთავისებურად ალალი და გამორჩეულ სამწერლო გავლენასაც ამიტომ მოიხვეჭება და ირლანდიის გლოვის მატანისაც ამიტომ შექმნიდა. ეგაა, მურის გლოვისა არა სჯეროდა.

ვერა ხედავდა იმის გულის გიზგიზს და ყვედრიდა ათწლეულთა მიღმიდან: თუ ლონდონში ცხოვრება გერჩივნა და ლიტერატურულ პროცესში შთანთქმა, „ირლანდიურ მელოდებს“ ვის გასაგონად თხზავდი, ვის აგულიანებდი, ვის მოუნოდებდი აჯანყებისაკენ, ან რობერტ ემეტის დაღვრილ სისხლს რა ნამუსით ჩაღმუდიო.

რა ნამუსითაც თვითონ ჩარლზ პარნელის ტრაგიკულ ბედისწერას მისტიროდა.

თითქოს ჯოისი ლიტერატურის კლასიკოსს კი არა, თავის ტოლ-ამხანაგს აქილიკებდესო...

ეს მცირერიცხოვანი და დაპყრობილი ერის ხვედრი და რეალობა – ისტორიის შეკუმშვა და ამქვეყნიურ და მიღმა სამყაროთა ისეთი გადაღვრა-გადანაცვლება ერთმანეთში, წარსულსაც თანამედროვეობად რომ განიცდიდნენ. ეს განცდაა, რომანი-ალსარების ამ პასაჟშიც ასე თვალნათლივ რომ მოჩანს – დავა არა ისტორიულ პერსონაჟთან, არამედ თანამედროვესთან, ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია თავისი ბიოგრაფიის შეცვლა. და ყვედრების კილო მითუფრო მძაფრი უნდა იყოს, რათა მართლა შეაცვლევინოს ბიოგრაფია და ლონდონის სალონებიდან გამოიტაცოს.

ისე ჯერ საკუთარი თავი გამოეტაცა პარიზისა თუ ჟენევის სალონებიდან.

ბაირონთან აკი უარესი შეხლა-შემოხლა მოსვლოდა მურს და ცხარე შეტაკება დამეგობრებით რომ გათავდებოდა, იქნებ ამჯერადაც ეს მოელოდა ყმანვილკაცისა და მონუმენტის დაპირისპირებას?!

არსად იგრძნობა ჯოისის ნაწერებში შეხედულების ამგვარი ცვლილება და ეს სუსხიანი სტრიქონები მის საბოლოო მსჯავრდაც რჩება, რამდენადმე გაიგივებული თავის მეგობარ დავინთან, გლესური წარმოშობის სტუდენტთან, მეტსახელად ფილბორგი რომ შეერქმიათ და ისიც მორჩილად იტანდა: სტივ, შენ ხომ მაინც ხისთავიანი გგონივარ და რაც გენებოს, დამიძახეო.

„მეგობრის“ ხსენება თითქოს ბაირონ-მურის მტერ-მოყვა-
რეობის ასოციაციას გამოიხმობდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ძალ-
დატანება იქნება ტექსტზე, რომლის ავტორის ტექსტებსაც
ძალდატანებანი არ დაჰკლებია და ჩვენი მხრივ ნულა მიფუმა-
ტებთ.

დავინს ირლანდიური ენა რომ შეესწავლა ბავშვობაში,
სტივენ დედალოსი ამასაც საქილიკოდ გახდინდა: მისი ტლანქი
წარმოსახვა ირლანდიური მითოლოგიის უღიმღამო შუქით
განათდა, იგი ხომ იმ მითოსის პირისპირ აღმოჩნდა, რომელ-
შიც არავინ არასდროს ერთ მშვენიერ სტრიქონსაც კი არ ნან-
ყდომია, იმ ულაზათო თქმულებათა პირისპირ, რომელნიც
იფანტებოდნენ, როდესაც ციკლურად მოძრაობდნენო.

მითოსური წარმოსახვები თუ ლეგენდების თემატიკა უც-
ხოა ტომას მურის პოეზიისათვის, მაგრამ ჯოისს გული რო-
გორ მოუთმენდა, მურის კარიკატურისთვის არ გადაეხა უი-
ლიამ ბატლერ იეიტის კარიკატურა, კაცისა, ვისაც რომანტი-
კული სულიც შეესისხლხორცებინა, ტომას მურიც წინამორ-
ბედად ელიარებინა და უფრო შორეული ეპოქებისკენაც გაე-
ლო ხიდი.

მურზე არანაკლებ იეიტის აღიზიანებდა, მაგრამ გულს კი
უკეთებდა, პირადად მისთვის რომ მიეხალა თავისი მწვავე
კრიტიკული მოსაზრებანი და არა მისი ქანდაკებისათვის. და
„გრაფინია კეტლინის“ წარმოდგენას რომ დაესწრებოდა
ეროვნულ თეატრში, და თანაც როდის – ამ თეატრის გახსნის
პირველივე საღამოს, თან ებრალებოდა გუნებაში ეს ქვეყნი-
სათვის თავშენიწილი იეიტის და თან ირონიაც როგორ შეეკა-
ვებინა: ამათთვის თავს რატომ იკლავ, პარნელის ბედისწერამ
ნუთუ ვერაფერი შეგაგნებინა, არ უნდათ ეს თავისუფლება და
დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა და რალას აგულიანებ,
რატომ აჩენებ გასაქელად შენს ქმნილებებსო.

გრაფინია კეტლინი ეშმაკს მიჰყიდდა სულს, ოღონდაც ეხ-
სნა საკუთარი ხალხი შიმშილისაგან. ეს სწორედ იმგვარი გან-
ცდაა, აკაკი ნერეთელსაც რომ აფორიაქებდა და ამ სტრიქონ-
ში ჩაწერავდა: ვინაც სამშობლოს სულსაც არ სწირავს, იმას
არ ჰქვია მამულიშვილიო!.. და გულისხმობდა იძულებით გა-
მაჰმადიანებას ქვეყნის გადასარჩენად. იეიტის პიესაში კი
სულაც ეშმაკი ჩნდებოდა და ეს სიუჟეტური სვლა დაზაფრავ-
და მაყურებელს, აღარ გაუწევდა ანგარიშს, თუ რაბხელა სუ-
ლიერ ტკივილს უნდა მიეყვანა აქამდე ეროვნულ-კულტურუ-
ლი მოძრაობის ეს თვალსაჩინო მოღვაწე და ქვასა და გუნდას
არ დაიშურებდნენ პრემიერაზევე.

ჯოისს კეტლინის სიკვდილისწინა ნუთებიც ამოუშლელად
ჩარჩებოდა ხსოვნაში და პრემიერის აღიქოთიც, სიტყვა-
სიტყვით რომ გადაიტანდა რომანი-ალსარების ფურცლებზე:
ცილისწამება ირლანდიის მიმართო, გერმანული წარმოება-
აო, მკრეხელობაო, ჩვენ არასოდეს გავგიყიდა ჩვენი რწმე-
ნაო, არცერთ ირლანდიელ ქალს ეს არ ჩაუდენიაო, არ გვჭირ-
დება დილეტანტი ათეისტებიო, არ გვჭირდება ახალგამოჩე-
კილი ბუდისტებიო...

დახარეთ თქვენი სახეებიო – შესთხოვდა ძიძასა და მეგო-
ბარ პოეტს გრაფინია კეტლინი – ისე შეეცქერი, ვითარცა ბუ-
დეში მჯდარი მერცხალი გასცქერის ცას კარნიზს ქვემოდას,
რათა გაფრინდეს და გადალახოს არაერთი მქუხარე წყალიო.

გამოთხოვების ამ სცენას იეიტის ჩანაფიქრით მაყურებ-
ლის გული და გონება მძლავრად უნდა შეენჯღრია და თავი-
სუფლების წყურვილითაც გაეთანგა, შთაებერა ის სიმხნევე,
პარნელის შემდგომ ნელ-ნელა რომ კლებულობდა და ჩიავდე-
ბოდა, და გაოგნებული აღმოაჩენდა, თუ როგორ დაინთქმეო-
და ირლანდიის სიმბოლოდ ნაგულისხმევი მონაშე ქალის უკა-
ნასკენელი სიტყვები შეურაცხყოფელ წამოძახილთა კორიან-
ტელში.

საპროტესტო წერილსაც მალევე შეადგენდნენ, რათა ეს
პიესაც აკრძალულიყო სცენაზე და ავტორს აღარ მისცემოდა
საშუალება სხვა მკრეხელო დადგმებისა, და, ცხადია, ჯო-
ისსაც მიუტანდნენ ხელმოსანერად, იცოდნენ, გულში არ ჩაქ-
როდა იეიტის, მაგრამ „ულისეს“ მომავალი ავტორი ცივად და-
უბრუნებდათ ფურცელს – ასეთ პროტესტს ხელს ჯერ მარტო
იმიტომ არ მოაწერდა, რომ აკრძალვის მოთხოვნით მისი
მწერლური ღირსება იბღალბებოდა.

ჩარჩენილიყო ამ დაგუბებულ, მდორე გარემოში თუ გა-
მოსცლოდა ერთხელ და სამუდამოდ საკუთარი პიროვნებისა
და სამწერლო იდეალის გადასარჩენად? იხლიჩებოდა გული,
ერთმანეთს აწყდებოდა საპირისპირო განცდები და ბოლოს-
დაბოლოს ხელშესახები გახდებოდა ის გადაწყვეტილება, რო-
მელიც კარგა ხანია კონტინენტისაკენ მიეზიდებოდა.

თავისუფალი ვარ – იყვირებს სტივენ დედალოსი 21 მარ-
ტის ღამით – თავისუფალია სული და წარმოსახვაც თავისუ-
ფალი.

და გაეხარებოდა, იესოს სიტყვები ძალდაუტანებლად
რომ წამოაგონებოდა ახალი აღთქმიდან, ყველაზე მეტად
რაც ამართლებდა მის გადაწყვეტილებას:

– დაანებე მკვდრებს თავიანთი მკვდრების დამარხვა.

გამომყვით, – მიმართავდა მონაფესს, ის კი სთხოვდა:
უფალო, ნება მომეცი, ჯერ წავიდე და მამა დავმარხოო.
მკვდრების დამარხვა მკვდრებს დაანებეო, – შეაგონებდა
მაცხოვარი, – შენ კი წაიდი და იქადაგე ღვთის სასუფეველიო.

და უხაროდა ჯოისს, ლიტერატურის უზენაესობის საქა-
დაგებლად რომ მიეშურებოდა, მკვდრები კი დაე მკვდრებს
დაემარხათ – იეიტის მური, მურს კიდევ სხვა, იმ სხვას კი-
დევე სხვა. დაე სამარეშიც არ მოესვენათ, დაე ძვლებსაც ეყ-
ღრიალა იმ ჩაძახილის მოლოდინში: თავისუფალია ირლან-
დიაო.

ჯოისს თავისი მოვალეობა დაჰკისრებოდა და აღარ ეცა-
ლა იმ ქვეყნისათვის, რომელიც მაინც უხლენდა გულს, მაინც
ხრავდა და მთელი ცხოვრება არ მოასვენებდა.

გრძნობდა, განა არა, ეს ტკივილი რომ ამოხდინდა სულს
სადაც გადაკარგულსაც, და ტომას მურს ყვედრიდა, იმის
ძეგლზე იძიებდა შურს წინასწარვე, და თვალთმაქცობას რომ
სწამებდა, თავისი სულის ნაწილს გვემდა უღმერთოდ, მამებ-
ლობასაც მას უიკიფინებდა, მცონარობასაც, არარაობასაც,
მურსაც და თავისი სულის ნაწილსაც, მაინც ირლანდიას რომ
მიბმოდა. სწამებდა და თან გულისგულში შენატროდა მურს,
ირლანდიიდან გამოქცევა რომ შეიძლო და თავი მთლიანად
მისცა ლიტერატურას. შენატროდა და... რალაც იდუმალი ხმა
მაინც დაჟინებით ჩასძახოდა – მოჩვენებითი იყო ის გარიდე-
ბა, მოჩვენებითი იყო სალონურ ყოფაში შთანთქმა, ვერ მონ-
ყდებოდა სადარდებელს და აკი ვერც მოწყდაო.

დაე მკვდრებს ემარხათ მკვდრები.

თავისუფალი ვარ – ეძახა ჯოისს – თავისუფალია სული
და წარმოსახვაც თავისუფალიო.

მეც ეგრე მეგონაო, – ქანდაკება გადმოჰყურებდა სევდია-
ნი და ირონიული მზერით, და ეს, გაგულისებული, მიღეზიე-
ლის მოსახსამს რომ ვერ შემოახვევდა, გულში დაიქანინდა, მა-
ინც მოგწვდები, ისე როგორ იქნება, შენც არ მოგხადო შარ-
ვანდად და ჩემი სულის ის ნაწილიც არ ჩავიკლა, ამ მინა-წყლის
ძაფები მაინც რომ გამოვამიაო.

და ელიმებოდა ქანდაკებას, ძვლების ნაცვლადაც ელიმე-
ბოდა.

იმას ბაირონის რისხვა გამოეცადა და ვილა შეაკრთობდა,
ვილა დაურღვევდა მყუდროებას, თუ არა ჩაძახილი: თავისუ-
ფალია შენი ირლანდია, შენი საგალობლები სახელმწიფო ჰიმ-
ნად გარდასახულაო.

იმან კი იცოდა, რასაც ერჩოდა ჯეიმზ ჯოისი, რა სადავოც ექნებოდა მასთან მთელი ცხოვრება, მაგრამ ნეტა ჯოისმაც თუ იცოდა, ტომას მურად გასიმბოლოებულ საკუთარ ფეხებს რომ ჯგვლეთდა, ფლეთდა, მაგრამ მოკვეთით კი ვერ მოეკვეთა.

... საფლავის კორდი მწვანდებოდა პანანა ცრემლთა დენისაგან.

ცრემლი ინახავდა ემეტის ხსოვნასაც.

დასდინდებოდა საფლავებს წვიმა.

და თოვლიც სქლად დაედებოდა ნაფერდებულ ჯვრებსა თუ სამარის ქვებს, დაბალი ჭიშკრის ბოძებსა თუ ეკლიან ბუჩქებს.

ტომას მურის სილუეტი აშკარად აკლდა „ირლანდიური მელოდიების“ ციკლს.

იქნებ ერთი-ორი სხვაც, მაგრამ ეს მაინც – აუცილებლად.

უიმისოდ არც ვაპირებდი იმ პატარა წიგნის გამოცემას, მაგრამ ვერა და ვერ მოვაბი თავი ამ ესეის და... ბედს შევურიგდი.

და მკითხველთან გასაუბრებისას მხოლოდ სინანულს გამოვთქვამდი.

გააზრებითაც გააზრებული მქონდა მისი პოეზიაც და ბიოგრაფიაც, და ერთხელაც რომ გადავხედე, დავრწმუნდი – ის მასალა, რაც შემეგროვებინა, თავისუფლად მეყოფოდა ნარკვევის შესაქმნელად ტომას მურზე; ვინმეს რომ ეთარგმნა მისი ლექსები, ვრცელ წინასიტყვაობას დავურთავდი, მაგრამ, აი, ესეი... ესეი გადაულახავ ბარიერად აღიმართა ჩემს წინაშე.

იმ ძარღვს ვერ მივაგენი ვერაფრისდიდებით, რაზეც ამოშენდებოდა სიუჟეტური ქარგა, და წიგნი რომ გამოიცემოდა, ერთხანს კიდევ ვუტრიალებდი ტომას მურის სახეებს.

კვლავ ამაოდ.

და გული ისე დამწყდებოდა, ნარკვევსაც აღარ დავწერდი მასზე.

ეს ნარკვევი ყოველთვის გამახსენებდა ჩემს მარცხს და თან მის ერთგვარ შენიღბვად გამოჩნდებოდა.

მერჩივნა, ისევ ნაკლული ყოფილიყო „ირლანდიური მელოდიები“.

და თუ ოდესმე გავიმეორებდი ამ წიგნს, ზუსტად იმავე სახით.

ეგაა, წლების შემდგომ ჯეიმზ ჯოისის პირველი რომანის – „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ – გია ბერაძისეული თარგმანი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას რომ დამიტოვებდა და რეცენზიით გამომხმაურებას გადავწყვეტდი, წერას რომანის იმ პასაჟით დავიწყებდი, ტომას მურს რომ ეხებოდა.

ასე მაინც შემემსუბუქებინა ვალი მის წინაშე.

ჯერ ისიც არ ვიცოდი, რამხელა სტატია გამოვიდოდა.

თუ მცირე – ბოლოსდაბოლოს „უეკრანო გამოსვლების“ ციკლში ჩაერთავდი.

დავიწყებდი და... ერთი გვერდი რომ შეივსებოდა, რალაც უცნაურად შემიტოვებოდა გული... მგონი... მგონი ის იყო, ის ძარღვი ამოჩენილიყო მოულოდნელად, ამაოდ რომ დავეძებდი, და სულში მთვლემარე ის ძველი ჟინი ისე ამიყოლიებდა და ისეთი აფორიაქებული დავეშურებოდი ესეის მოთავებას, თითქოს ერთი შეტევით თუ არ დავასრულებდი, ვეღარც ვეღარასოდეს დავწერდი.

იქნებ მართლაც ასე იყო?..

ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით ერთი გვერდი რომ დამრჩებოდა დასაწერი, მხოლოდ მაშინ შევწყვეტდი. დაღლილობას ვიგრძნობდი და მივხვდებოდი, რომ არ შევეუპო და მაინც დავამთავრო, მერე ვეღარ გამოვასწორებ – რედაქციული

დაე მკვდრებს დაემარხათ მკვდრები!..

მაგრამ ჯოისის სმენას მაინც სწვდებოდა მსუბუქი ჩქამი და მისი სულიც ნელნელა ჩაინთქმოდა თოვლის შრიალში თავისი პერსონაჟით, იმ გაბრიელ კონროით, გაგულისებული რომ ლამობდა ყოველგვარი ირლანდიურის შემოფხრენასა და ჩამობერტყვას.

და ათოვდა მთელს დედამიწას, თითქოს აღსასრულის უამი მოახლოებულაო.

მშვიდად ათოვდათ ცოცხალთაც და მკვდრებსაც.

ათოვდა ტომას მურის სამარესაც და ქანდაკებასაც.

სტივენ დედლოსსაც ათოვდა.

მინანარი

სწორება უკვე ვეღარ უშველის და შთაბეჭდილება განელდება-მეთქი.

შინაგან სიმბუროვალეს ვერ

შევიწარჩუნებდი.

ახლა კი მეორე დილითვე დავაბოლოებდი და ხელშესახებად ვიგრძნობდი, თუ როგორ მანვა გულზე ამდენხანს.

პატარა წიგნის კვალობაზე ესეების შექმნის ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ შორს გაიფინებოდა: 1982-2005 წლები.

ისტორიისათვის არის ეს არაფერი, წამი და წამიც კი არა, თორემ ადამიანისათვის ლამის ერთი ცხოვრებაა.

ესეც ტომას მურის სილუეტი, ჯოისის რომანზე რეცენზია რომ შეეწირა.

„ქვის ღიმილი“ შეავსებდა „ირლანდიურ მელოდიებსაც“ და იმ რკალსაც, არაოფიციალურად ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობით რომ დანწყებულიყო – „საქართველოს ბომონდი“, ოფიციალურად კი იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური სტატიით „ირლანდიას უთენდება“.

გამოქვეყნებით მაშინ არ გამოქვეყნებულა ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა, თუმც გრძნობით იმას ეგრძნო პირველად საქართველოსა და ირლანდიის ბედისწერის მსგავსება და მათი სიმბოლური გაიგივების აუცილებლობა, რაც არც იაკობ გოგებაშვილისთვის დარჩებოდა შეუმჩნეველი. შემდგომ ილია ჭავჭავაძე შექმნიდა ირლანდიურ ციკლს და მიხილ ჯავახიშვილიც ამ გეზს გააგრძელებდა.

ირლანდია რეალური ქვეყანაცაა მათ პუბლიცისტიკაში და ერთგვარი ალგორითიც – საქართველოს ტკივილების გამოსათქმელად. ამიტომაც გამოიჩინდნენ განსაკუთრებულ თანაგრძნობას ირლანდიელთა მიმართ, იმედითაც ამიტომ შეხედავდნენ, გამძლეობასა და სულიერ სიმხნევესაც ამიტომ უსურვებდნენ და მათი ვინაობის გაცნობასაც ამიტომ მოინდომებდნენ თვისტომთათვის. უკეთ უნდა გვცოდნოდა ერთმანეთი, უკეთ უნდა ჩავგვეხედა ერთიმეორის სულში.

ჩვენი მეოცე საუკუნე შეიწარჩუნებდა ამ ტრადიციას – ოთარ ჩხეიძისა და ნიკო ყიასაშვილის „ირლანდიური“ სტატიები ამ სულისკვეთებით გაიჟლინებოდა და ბუნებრივად გაგრძელდებოდა „ირლანდიურ მელოდიებითაც“ – კიდევ გაგრძელდებოდა და კიდევ მოთავდებოდა ეს რკალი, თუმც ირლანდიური თემატიკა არა, ცხადია. თემატიკა კვლავაც გაგრძელდება, ოღონდ უკვე ახალი რკალი შეიქმნება – შესაფერისი დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის და არა სახელმწიფოებრიობის მაძიებლობისათვის.

ხილვადებულია საქართველოსა და ირლანდიას შორის.

და აღარ უნდა ჩავვიტყდეს ეს ხილი და აქეთ-იქით კიდევ არ უნდა აღმოჩნდეთ.

და არც ირლანდიური მელოდიები უნდა გაიბნეს ჰაერში უკვალოდ, ტომას მურის მიერ სახელდებული, ერთ განზომილებაში რომ მოაქცევდა წარსულსაც და მომავალსაც.

... რა იყო მაინც, ერთი პატარა წიგნის შექმნას რატომ უნდა დასჭირებოდა ლამის მეოთხედი საუკუნე?!

და ნიავეს მიაქვს ფიქრიც ჩემი, ფიქრი მღელვარი... .

რომიდან მომავალი გზები

*

**იკა გუჯიაშვილს
ესაუბრა
მეზობელი ლალანიკა**



რედ ამ ადგილას გადავხვევიან და განშორდებიან ერთმანეთს მათი მინიერი ცხოვრების ბოლო საათებში...

მეორე შემთხვევა, ასევე, მემორიალურ დაფას უკავშირდება: რომის წმიდა თომა აკვინელის პაპის უნივერსიტეტთან (ანუ „ანჯელიკუმთან“, როგორც შინაურულად უწოდებენ ამ სასწავლებელს, – უნივერსიტეტის მფარველის, წმიდა თომას, „ანგელოზური დოქტორის“, გამო), სადაც ექვსი თვის მანძილზე მომინია ყოფნა, სულ ორი შენობის იქით (ეს ადგილი ძველი რომის შუაგულია, სულ რამდენიმე ნაბიჯითაა მოშორებული ფორუმსა და კოლოზეუმს), შევნიშნე თეთრი დაფა, რომელზეც იტალიურად და ქართულად ეწერა, რომ ამ სახლში 1629 წელს დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი – ქართულ-იტალიური ლექსიკონი... ალბათ, არ გაგიჭირდებათ, გაიგოთ ჩემი გრძნობები: ჩემს წინ იყო კიდევ ერთი დადასტურება, რომ ყველა გზა და ქართული გზებიც, ქართული კულტურის გზებიც რომში მიდის (მოგეხსენებათ, სწორედ რომში დაიბეჭდა არა მარტო პირველი ქართული წიგნი, არამედ პირველი ქართული ანბანი, პირველი ქართული გრამატიკა, ქართული ეკლესიის პირველი აკადემიური ისტორია და სხვა).

შეუძლებელია, რომში მყოფ ქართველს არ გაგახსენდეს მეფე ფარსმანი, რომლის ძეგლი რომაელებს მარსის მოედანზე დაუდგამთ, არ გაიხსენო ნიკიფორე ჩოლოყაშვილი-ირბაქი, რომლის მონაწილეობითაც გამოიცა პირველი ქართული წიგნები; სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც, როგორც ჩანს, პაპს კვირინალის სასახლეში სტუმრობდა (ეს უზარმაზარი შენობა შემდგომში იტალიის მეფეთა, ამჟამად კი იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენციაა), მაგრამ არაფერი ვიცოდი, სად ცხოვრობდა, სად დადიოდა, სად ლოცულობდა წმ. ილარიონ ქართველი, რომელიც IX საუკუნეში რომს იქაურ სინმიდეთა მოსალოცავად ეწვია... რომ გამოგიტყდეთ, რომში ყველაზე მეტად სწორედ ამ წმიდანის ნაკვალევს გადაწყდომას ვცდილობდი, – შესაძლოა, იმიტომაც, რომ რომში ჩემი ყოფნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამართლებად წმიდა ადგილების მოლოცვა მიმანია... და კიდევ: როცა ბიზანტიის იმპერატორის კარზე 1065 წელს კამათი გაიმართა რომაელთა და ბიზანტიელთა საეკლესიო-დოგმატიკური უთანხმოების გამო (სქიზმა უკვე თერთმეტი წელი გრძელდებოდა), მცოდნედ კეისარმა ქართველი ბერი, წმიდა გიორგი მთაწმიდელი (ათონელი) მიიწვია. გიორგის პასუხმა და მისმა პოზიციამ ალაფრთოვანა რომაელები და მას უმალ შესთავაზეს რომის პაპთან გამგზავრება და მასთან შეხვედრა, მაგრამ სულ რამდენიმე დღის შემდეგ ათონელი მამა – ქართული ეკლესიის ეს ბრწყინვალე ვარსკვლავი – მოულოდნელად გარდაიცვალა. ასე რომ არ მომხდარიყო, შესაძლოა, რომში ყოველი ქართული გულისათვის კიდევ ერთი ძვირფასი ადგილი ყოფილიყო...

სამაგიეროდ, იმ მოედანზე, სადაც მე ვცხოვრობდი, – სანტა მარია მაჯორეს მოედანზე (სადაც რომის უდიდესი სინმიდე – თოვლიანი წმიდა მარიამის ბაზილიკა დგას, ერთ-ერთი რომის ოთხ საპატრიარქო ბაზილიკათაგან), – უფრო უსუსტად, მოედნის მეორე მხარეს, ბენედიქტელ ბერთა მონასტერია, სადაც ჩვეულებისამებრ ჩერდებოდნენ რომში ჩა-

– რომი არა მარტო მარადიული, არამედ ამოუწურავი ცხოვრება... – ამბობს მერაბ ლალანიკე, ვინც რომში ექვსი თვე დაყო და რომელსაც, ევროპის დედაქალაქში თეოლოგიის საკითხებში ჩაღრმავების გარდა, იმის საშუალებაც ჰქონდა, „მარადიული ქალაქის“ მნიშვნელოვან სულიერ, ისტორიულ და კულტურულ ნიშანსვეტებს გასცნობოდა.

– აღმოჩნდა, რომ რომში – ქალაქში – მართლაც ყველა გზა იყრის თავს: არა მარტო იტალიის, არამედ მთელი მრავალსაუკუნოვანი ევროპის ისტორია და სულიერება, კულტურა და ყოფა, გუშინინდელი, გუშინდელი და დღევანდელი დღე... – ამბობს იგი და თავის რომაულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს.

– მართალი გითხრათ, თავდაპირველად ვერც შევძელი რომის სიდიადის აღქმა, გააზრება, შეფასება. პირველი კვირები ამისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მხოლოდ მოგვიანებით, ნელ-ნელა, – მას შემდეგ, რაც ქალაქში ჩავიძირე, მის მთლიანობაში შევედი, – მოხერხდა ცალკეული ნაწილების გაცნობა და „ფოტოგადიება“ (თუ დიდ იტალიელ კინორეჟისორს, მიქელანჯელო ანტონიონის, დავესხებები). ასე მგონია, რომ სწორი ტაქტიკა ავირჩიე, თუმცა ზოგიერთ ჩემს მეგობარს უკვირდა კიდევ, როცა ის სახელგანთქმული ადგილები, სადაც სამი-ოთხი დღით ჩასული ტურისტიც კი სასწრაფოდ მიეშურება, მე პირველად მხოლოდ ორი თუ სამი თვის შემდეგ ვნახე.

მაგრამ ისიც უნდა გავიხსენო, რომ ქალაქის ღირებულებისა და მნიშვნელობის კარიბჭის გასახსნელად ჩემთვის რამდენიმე უცაბედი ბიძგი აღმოჩნდა საჭირო:

რომ გამოგიტყდეთ, მემორიალურ დაფებსა და ფირნიშებ-რეკლამებს, საერთოდ, ვერც (და არც) აღვიქვამ, მაგრამ, ჩანს, ესეც განგების ნება იყო, რომ, როცა რომში ახალ-ჩასული, ქალაქის ერთ-ერთ უწმიდეს ადგილას, გალავან-სგალმა წმიდა პავლეს ბაზილიკისაკენ მივემართებოდი, ერთ ინდუსტრიულ უბანში აღმოვჩნდი, რომლის გაშენება მუსოლინისეულ მშენებლობათა ხანას უკავშირდება... და უცებ, ერთ უღიმამო სახლზე გაკრულ მემორიალურ დაფაზე შემთხვევით ამოვიკითხე, რომ ამ ადგილას, 30-იანი წლების ნგრევა-აღშენებამდე მდგარა მცირე სამლოცველო – აქ, სადაც გადმოცემის თანახმად, ამ ქვეყნად უკანასკნელად დაშორდნენ ერთმანეთს მონამეობის გზაზე შემდგარი მოციქულები პეტრე და პავლე. ალბათ, ადგილი წარმოსადგენია, რა განცდები დაეუფლება იქ მდგომს, რაოდენ მნიშვნელოვანია ეს ადგილი ყოველი ქრისტიანისათვის, და არა მარტო ქრისტიანისათვის: შორეული პალესტინიდან ჩამოსული მოციქულები, – ჩამოსულები იმპერიის დედაქალაქში სახარების საუნწყებლად, ერთა მოსაქცევად, სრულიად ახალი – ქრისტიანული – ღირებულებების დასამკვიდრებლად სწო-

მოსული თესალონიკელი ძმები, წმიდა კირილე და წმიდა მე-
თოდე, სლავთა განმანათლებლები (წმიდა მეთოდეს მთავა-
რეპისკოპოსად პაპმა სწორედ სანტა მარია მაჯორეში დაას-
ხა ხელი)...
სხვათა შორის, რომის ერთ-ერთ ყველაზე უძველეს და
ერთ-ერთ ყველაზე წმიდა ადგილას, წმიდა კლემენტეს ბაზი-
ლიკაში, კოლოზეუმთან ახლოს, თავად წმიდა კირილეს აკ-
ლდამა იყო... ეს ტაძარი თავისთავად რომის ისტორიას ირეკ-
ლავს, მასში თვალახილულად რამდენიმე შრეს ხედავთ: სულ
ძველი ანუ სულ ქვედა ფენა წარმართული ხანისაა, სადაც
მითრას ტაძრის ნაშთებია შემორჩენილი, რომელზეც დაშე-
ნებულია პირველ ქრისტიანთა საკრებულო ეკლესია (დღეს
ისიც მინისქვეშეთში აღმოჩნდა, სადაც ღრმა კიბებით უნდა
ჩაეშვათ), შემდგომ დონეზე – შუასაუკუნოებრივი ბაზილი-
კაა, მერმე – რენესანსის ხანისა და ასე შემდეგ... რომში ფი-
ზიკურად ხედავთ საუკუნოვან შრეებს, კულტურის უწყვე-
ტობას და ერთმანეთზე დამენებულობას. ამგვარი კულტუ-
რული უწყვეტობისა და კულტურული ნაშენთა ურთიერთკავ-
შირის სიმბოლოდ, ალბათ, ყოველთვის დარჩება ჩემთვის
სწორედ წმიდა კლემენტეს ბაზილიკა. რომში მართლაც ყო-
ველ წუთს გრძნობ ისტორიის სუნთქვას, რომელიც ჩემთვის
უცაბედად იმ ორი მარმარილოს დაფიდან გაიხსნა...

– დროთა კავშირი და კულტურის უწყვეტობა ის გან-
ცდაა, რასაც მუდმივად გრძნობ რომში. კულტურა, რა თქმა
უნდა, თავისთავად უწყვეტობას ნიშნავს, როცა ის თაობი-
დან თაობას, წინაპრიდან შემკვიდრეს გადაეცემა, მაგრამ
რომში იმაშიც დავრწმუნდი, რომ კულტურა არა მარტო
დროში უწყვეტობას ნიშნავს, არამედ სივრცეში უწყვეტობა-
საც, რადგან ქალაქში ნებისმიერი სიარულისას აშკარად ხე-
დავ, რომ ლამის ყოველი ადგილი, შენობა, ქუჩა, გასასვლე-
ლი, რაოდენ მნიშვნელოვანია, ღირებულია, ევროპის ისტო-
რიისათვის რაოდენ განმაპირობებელია... დაუფინყარი გან-
ცდაა, როცა, მაგალითად, „ანჯელიკუმის“ დერეფანში დგო-
მისას ერთი პროფესორი უნივერსიტეტის ფანჯრიდან დაგა-
ნახვებს მოპირდაპირედ მდგარ შენობას, სადაც მიქელანჯე-
ლო ბუონაროტი თავის სულიერ მეგობარს, ვიტორია კოლო-
ნას, ესაუბრებოდა ხოლმე, როცა მეორე პროფესორი მიგი-
თითებთ უნივერსიტეტის გალავანს ქვემოთ მყარად მდგარ
რომის სენატს, სადაც გამარჯვების საკურთხევლის გაუქმე-
ბის გამო კამათი გამართულა წმიდა ამბროსი მედიოლანელ-
სა და წარმართ სიმაქოსს შორის, ანდა როცა კიდევ ერთი
პროფესორი თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანთან აივნი-
დან დაგანახებთ იმ ფართო ქუჩას, რომლითაც გამარჯვებუ-
ლი კონსტანტინე დიდი, პირველი ქრისტიანი იმპერატორი,
შემოვიდა რომში... ან თუნდაც: ერთი მოედნის ირგვლივ, კა-
პიტოლიუმის ბორცვზე, შეგიძლიათ მოიხილოთ წმიდა პეტ-
რესა და წმიდა პავლეს საპატიმრო საკანი, წმიდა ელენე დე-
დოფლის განსასვენებელი, შეგიძლიათ უცქიროთ კაპიტო-
ლიუმის მუზეუმის შენობათა შორის მდგარ მარკუს ავრელი-
უსის ცხენოსან ქანდაკებას, რომლისკენაც მიქელანჯელო-
სეული სატრიუმფო კიბებით მიემართება... მოკლედ, რომში
სიარულისას ვერც თვალი ახერხებს დასვენებას და ვერც
გონება...

მაგრამ ისტორიის უწყვეტობაც ძალზე თვალშისაცემია
ქალაქში: ყველა რომაულ საზოგადოებრივ შენობას, წყალ-
გაყვანილობის სარქველებს, მუნიციპალურ დაწესებულებებს
თუ მოქალაქეთა განცხადებების სტენდს ანერია შლ, რაც
ნიშნავს შენატუს ეტ ოპულუსქუე ლომანუს – რომის სენა-
ტისა და ხალხის სახელის... ამგვარი წარწერები კი უკვე მე-

სამე ათასწლეულია აღიბეჭდება... და კიდევ ერთი: როცა
რომის ისტორიულ-არქეოლოგიურ რუკაზე პრეტორიელთა
ყაზარმა დავინახე, მისი „ნაშთების“ სანახავად გავემართე,
მაგრამ როცა იქ მივედი, ნანგრევები კი არ დამხვდა (რო-
გორც ველოდი), არამედ აღმოჩნდა, რომ იმ ძველთაძველ
კედლებში პოლიციის განყოფილება მუშაობს... აი, დროთა
ნამდვილი უწყვეტობა, ტრადიციის უწყვეტობა...

– როგორც ანტიკური წარმართული ფილოსოფია და პო-
ეზია გაქრისტიანდა რომის იმპერიაში, როგორც პლატონი
და ვერგილიუსი აქცია ეკლესიამ თავის ფილოსოფოსად და
თავის პოეტად, ასევე წარმართული არქიტექტურაც რომში
ქრისტიანულ ძეგლებად, ქრისტიანთა წმიდა ადგილებად
ქცეული. შორს რომ არ წავიდე, კოლოზეუმში ქრისტიან მო-
წამეთა სისხლითაა განწმენილი და ყოველ წითელ პარას-
კევს პაპი სწორედ მის კედლებში აღასრულებს ჯვრის გზის
ღმრთისმსახურებას; კარაკალას აბანოებიც კი დღეს უკვე
წმიდა ადგილია, რადგან წმიდა ფილიპე ნერი იქ დაატარებ-
და ყმაწვილებს საღმრთო სჯულის შესასწავლად... ეს ისე-
ვეა, როგორც წმიდა თომა აკვინელმა „მონათლა“ ქრისტი-
ანულად არისტოტელეს ფილოსოფიური მოძღვრება...

– ორი წლის წინათ თურქეთში გახლდით – კაბადოკიისა
და სხვა წმიდა ადგილების მოსახილავად, მოციქულთა და
პირველ ქრისტიანთა ნაკვალევზე... როცა ეფესოსა და ანტი-
ოქიის, ტარსისა და ლაოდიკიის, მილეტისა და იეროპოლის
ნანგრევებში დავაბიჯებდი, სულიერ აღფრთოვანებასთან
ერთად გულსიტყვილიც არ მშორდებოდა: იმ ადგილებში,
სადაც ჩაისახა და გაღვივდა ქრისტიანთა ცხოვრება, პირვე-
ლი ეკლესია, ამჟამად ქრისტიანთა ნასახიც კი აღარაა, თუმ-
ცა საუკუნეების განმავლობაში აქ აღმოსავლური ქრისტი-
ანობის, მოგვიანებით კი – ბიზანტიის უდიდესი და უმნიშვნე-
ლოვანესი სულიერი კერები ღვიოდა... დღეს იქაურ ნანგრე-
ვებს მხოლოდ ქარი მსჭვალავს, მიმოფანტული ქვები ქრის-
ტიანული წარსულის მხოლოდ ნაშთადლა შემორჩენილა...
რომში კი სხვაგვარი სურათი დამხვდა: ორი სიტყვილი რომ
ვთქვა, ქალაქის მრავალ ტაძარში, მონასტერში, სამლოცვე-
ლოში გაოგნებული შევყოვნებულვარ – ამ კედლებში ხომ
ათას ხუთასი, ათას შვიდასი, ხან კი ლამის ორი ათასი წელია
არ შეწყვეტილა ქრისტიანთა ლოცვა... წარმოიდგინეთ, სუ-
ლიერების რა განცდა და წვდომა დაგეუფლებათ იქ დგომი-
სას... აშკარად ვხედავდი, რომ რომში სულიერი ტრადიციები
უწყვეტიცაა და ცოცხალიც...

საერთოდ, რომში არაერთი სტერეოტიპი დამეწერა: მათ
შორის ისიც, რომ დღევანდელ მსოფლიოში, ყოველ შემ-
თხვევაში, ევროპაში, საყოველთაოდ, დაუძლეველად გავ-
რცელდა ეგრეთ ნოდებული აგრესიული სეკულარიზმი, რო-
მელიც ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, კულტუ-
რიდან, განათლებიდან განდევნოს ქრისტიანობა. თუმცა
ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა „ძველი ამბავია“ – ის
ხომ იპარგა ხანია მიმდინარეობს, საუკუნეების განმავლობა-
ში. იმაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს, რაც საფრანკეთის,
რუსეთის თუ ესპანეთის რევოლუციების დროს ხდებოდა –
დაუნდობელი, სისხლიანი გალაშქრება ქრისტიანობის, ეკ-
ლესიის ამოსაძირკვად, მოსასპობლად, გასანადგურებ-
ლად... თუმცა ისიც აშკარაა, რომ ქრისტიანული ღირებულე-
ბები თანამედროვე ადამიანის საზოგადოებრივ, კულტუ-
რულ თუ პირად ცხოვრებაში ნელ-ნელა პერიფერიულ ად-
გილს იკავებს, რაც ყოველი ქრისტიანისათვის უთუოდ გულ-
საკლავია... რომში კი გაბედულება შემემატა, – სულიერი
მხნეობის წყაროდ იქცა ის, რაც იქ ვნახე: როგორი ცოცხალი,

ხილული, ხელშესახება ქრისტიანული გარემო ცხოვრებაში, ყოფაში, კულტურაში, განათლებაში...

ქრისტიანული სულიკვეთებით სიცოცხლისა და განსჯის, სულიერებისა და კულტურის განუყოფლობის მაგალითი იყო ჩემთვის ცნობილი ირლანდიელი პოეტი და თეოლოგი პოლ მერი – დომინიკელი მღვდელ-მონაზონი, პროფესორი, პოეზიაში ირლანდიის ეროვნული პრემიის ლაურეატი. მისი სახით მე ლიტერატურისა და მეცნიერების, სავსე სულიერი ცხოვრებისა და თავდაუზოგავი მსახურების ნიმუშს ვხედავდი... მისგან – ბრწყინვალე პოეტისა, ესეისტიკოსისა, ღმრთისმეტყველისა, ტ. ს. ელიოტის შესახებ ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორისაგან – მომისმენია, როგორ ზრუნავდა იგი სიკვდილმისჯილ პატიმრებზე სამხრეთ აფრიკის საპყრობილებებში, როგორ ემსახურებოდა იგი საზოგადოებისაგან გარიყულებს – ნარკომანებს, მეძავეებს, უსახლკაროებს, შიდსით დაავადებულებს – ირლანდიასა და შეერთებულ შტატებში... უნდა გენახათ, რა სიყვარულით, რა ღრმა ნდომით ლაპარაკობდა იგი თავის მრევლზე, მონაწილეებსა და ურწმუნოებზე, მასწავლებლებსა და მეგობრებზე, კოლეგებსა და სტუდენტებზე. ამგვარი სულიერება გარემომყოფთაც აცისკროვნებს და სულიერი ნათლით აღავსებს... როცა პოლ მერის ვუცქერდი, ვუსმენდი, აღარ ვიჯერებდი, რომ დღევანდელი კულტურა სრულიად მოწყდა რელიგიურ სანყისს, რომ დღევანდელი საზოგადოება ეგრეთ ნოდებულ „პოსტქრისტიანულ“ ეპოქაში გადაბარგდა. რომის მოთაყვანე, რომში მცხოვრები ირლანდიელი პოეტი და თეოლოგი პოლ მერი ჩემთვის ყოველთვის დარჩება რომაულ ორიენტაციასა და რომაულ ღირებებულებზე დაფუძნებული ქრისტიანული სულიერებისა და კულტურის სიმბოლოდ...


– ჩვენ ხშირად ვისმენთ, რომ ისტორია განსჯის, ან ისტორია თავის განაჩენს გამოიტანს... ვერასგზით ვერ დაგეთანხმებით! რომში ამის კიდევ ერთი აშკარა საბუთიც მოვიპოვე: მოგვხსენებათ, რომ 1870 წლის 20 სექტემბერს გარდაცემულმა პაპის სახელმწიფოს – დაეპატრონნენ. მაგრამ ეს მოვლენა ორგვარად აღინერება იტალიელთა მიერ: როცა ამ მოვლენას მოიხსენიებენ როგორც “რომის განთავისუფლებას”, უნდა მივხვდეთ, რომ საქმე გვაქვს მემარცხენე ორიენტაციის პიროვნებასთან ან რევოლუციონერთა თანამოაზრე-თანამგრძნობთან ან მასონთან (რომელთა სახიფათო გავლენა იტალიაში ისევ შეიგრძნობა), ხოლო თუ ვინმე გეტყვით “რომის ოკუპაციის” შესახებ, მაშინ აშკარაა, რომ ეს ადამიანი უეჭველად ქრისტიანია, ეკლესიის წევრია, კონსერვატორია, რომლისთვისაც ძვირფასია ქრისტიანულ-საეკლესიო ღირებულებანი. ასე რომ, განსჯის არა ისტორია, არამედ ისტორიკოსი, ხოლო ამ კონკრეტული ისტორიკოსის განსჯას კი განაპირობებს მისი პოლიტიკური პოზიცია, ორიენტაცია, არჩევანი...

სხვათა შორის, მოგვხსენებათ, რომის ოკუპაციის შემდეგ სამოცი წლის მანძილზე ურთიერთობა წმიდა საყდარსა და იტალიის სახელმწიფოს შორის მეტად გამწვავებული იყო, – პაპი თავს ტყვედ მიიჩნევდა და არ ცნობდა იტალიის ხელისუფლებას. მხოლოდ 1929 წელს, პიუს XI-ისა და ბენიტო მუსოლინის წყალობით, აღდგა წმიდა საყდრის სახელმწიფო (რომელსაც შინაურულად „ვატიკანს“ უწოდებენ) და ურთიერთობანი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, თუმცა მოუგვარებელი საკითხები ვატიკანისა და იტალიის ურთიერთობებში ისევ რჩება.

– ცნობილია, რომ მუსოლინი, იტალიური ფაშიზმის ფუძემდებელი, შეპყრობილი იყო იდეით, აღედგინა რომის იმპერიის ძლიერება; საკუთარ თავსაც იგი რომის კეისართა მემკვიდრედ მიიჩნევდა. და რაკი ჩვეულება იყო, რომის მმართველებს ქალაქი ეგვიპტური ობელისკებით შეემკოთ, მუსოლინიმაც, ეთიოპიის ოკუპაციის შემდეგ, 1937 წელს, იქიდან ერთი მომცრო ობელისკი ჩამოიტანა. ამ ობელისკის ადგილმდებარეობას ერთ გზამკვლევაში მივაგენი, მაგრამ როცა მის სანახავად გავეშურე, იმ მოედანზე არაფერი დამხვდა... განბილებული საღამოს მასპინძლებს დავეკითხე მისი ადგილმდებარეობის შესახებ, რაზეც მიპასუხეს, რომ იტალიის რესპუბლიკასა და ეთიოპიას შორის შერიგების მიზნით და ოკუპაციის ნაკვალევის ნასაშლელელად, მონანიებისა და გულწრფელი გულისტკივილის ნიშნად, იტალიამ ორიოდ წლის წინ ეთიოპელებს დაუბრუნა ობელისკი... ვეჭვობ, ქართველები ყოფილ ოკუპანტთაგან მსგავსი ნაბიჯების – თუნდაც სიმბოლური მნიშვნელობის ნაბიჯების – გადადგმას შევცნობო... „ჩირკო მასიმოს“ მოედანი, სადაც უკიდევანო რომაული ცირკის ნანგრევებია შემორჩენილი, მოსაკლესებს ეთიოპურ ობელისკს, მაგრამ იტალიელებმა ეთიოპელებთან შერიგება და კეთილი ურთიერთობები ამჯობინეს...

– რომში სანტა მარია მაჯორეს მოედანზე ვცხოვრობდი, „რუსიკუმის“ კოლეგიუმში (რაკი ქართული კოლეგიუმი რომში არ არსებობს), პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის, ანუ „ორიენტალეს“ გვერდით, სადაც სხვა აღმოსავლურქრისტიანულ ენათა, ლიტერატურათა და კულტურათა შორის ქართულიც ისწავლება: ქართველოლოგიურ დისციპლინებს იქ ამაჟამად პროფესორი გაგა შურღაია უძღვება, რომსა და ვენეციაში მოღვაწე შესანიშნავი მეცნიერი, მასწავლებელი, მთარგმნელი, ლიტერატორი, – როგორც ქართული, ასევე იტალიური საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი დიდებული პიროვნება... „რუსიკუმში“ კი, რომელიც 1929 წელს ყოფილი რუსეთის იმპერიიდან ლტოლვილ და ყოფილი იმპერიისათვის – ესე იგი, საბჭოთა კავშირისათვის – მოღვაწე სასულიერო პირთა და თეოლოგთათვის დაარსდა, დღეს საერთაშორისო კოლეგიუმი, სადაც მხოლოდ ორი რუსი დოქტორანტი იყო მოსკოვის საპატრიარქოდან... ამ კოლეგიუმში ერთმანეთის გვერდით ვიყავით არამარტო რომის კათოლიკენი, არამედ მართლმადიდებელი და მარონიტი, ბიზანტიური თუ ასირიული წესის კათოლიკეები... განუყოფელი იყო ჩვენი ლოცვა და მსახურება, განსწავლა და განაზრება. მიხაროდა (და გული მწყდებოდა, – გასაგებია, თუ რატომ!), როგორ ენაფებოდნენ კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის, კიევისა და ბუქურეშტის, სერბეთისა და ბულგარეთის საპატრიარქოთა წარმომადგენლები არამარტო საღმრთისმეტყველო ცოდნას, არამედ იმ სულიერი ცხოვრების მასაზრდოებელ წყაროს, რომელიც ასე უხვად ჩქევს რომში; სასიხარულო და ამაღლებელი იყო ნამდვილი ქრისტიანული ძმობის მაგალითები... მოკვდი, რომში ისიც ვნახე, რომ ქრისტიანთა ერთობა არც ისე ძნელი მისაღწევია, რომ შესაძლებელია ქრისტიანთა ერთად დგომა და ერთად ყოფნა, ერთად კეთება იმისა, რაც ქრისტიანს ამქვეყნად ევალება: იყოს მარილი სოფლისა, სანთელი წყვდიადში, საფუარი ყოველდღიური პურისა...

– კლასიკური იდეალი სამ სიქველეს გულისხმობს: ჭეშმარიტებას, სიკეთესა და სილამაზეს. ამქვეყნად ადამიანს მათი წარმოდგენაც კი უჭირს ხოლმე... ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ გასული ექვსი თვის მანძილზე რომში – მარადიულ და წმიდა ქალაქში – მე სამივე სრულყოფილად და ერთად ვიხილე...



არსებობს სტერეოტიპი, რომ ზღაპრებს მოცლილი ადამიანები წერენ. აქ არის ერთგვარი „ომონიმუ-რი სიმართლე“: არა მხოლოდ უნდა მოიცალო, უნდა მოიცალო კიდევ რაღაც ტვირთი, წნეხი, გნებავეთ პირობითობა – ის სერიოზულობის ნიღაბი, რომელსაც ესოდენი მონდომებით ვაკონინებთ...

ზოგს რა უნდობს ხელს ამ გზაზე, ზოგს რა: ჩემთვის, უთუოდ, ისიც იყო მნიშვნელოვანი, რომ ერთ-ერთი ჩემი პირველი საბავშვო წიგნი ბაბუაჩემისა გახლდათ – ნიკო აბზიანის „სურათები ცხოველთა სამყაროდან“. ბაბუაჩემის ყვალისფერი სეტერი მახსენდება კიდევ ხშირად...

როგორც წესი, „ზღაპრულ თვალთახელას“ წლები ჭირდება და ამიტომაც, რომ ლიტერატურულ ზღაპართა უმეტესობას არცთუ ახალგაზრდა ავტორები ჰყავს.

ჩემი პირველი (და ყველაზე საყვარელი) ზღაპარი – „ამბავი დე ლა მელასი“ – 1987 წელს დავწერე, თუმცა მხოლოდ ათი წლის შემდეგ გამოვაქვეყნე ცალკე წიგნად. იმავე „დე ლა მელასი“ წერისას აღმოჩნდა, რომ უნებლიედ, ფურცლის არშიაზე ვასურათებდი კიდევ ამ ზღაპარს. შემდეგ იყო უკვე „ბაბთა“: იუნისეფის კონკურსისთვის დანერილი 2000 წელს (და – გამარჯვებული!) და, აი ახლა გთავაზობთ ორიოდ წლის წინ დანერილ ამ ზღაპრებს. ჰო, იმავე 2000 წელს, გაზაფხულზე, გამომეცხადა „პოეტური მუზა“, რომელიც ასევე უეცრად გაუჩინარდა სულ რაღაც თვენახევარში: ეს მისი ნაკარნახევი იყო „ბუსუსულეები“ – პატარა-პატარა სასაცილო ლექსები, რომლებსაც ჩემი თანატოლი და უმცროსი მეგობრები ხშირად იხსენებენ და მსაყვედურობენ, რომ წიგნად არ ვცემ...

ეს არის და ეს „ბუსუსულეები“ კი მართლაც მინდა გამოვცე...

ავტორი

ზაზა აბზიანიძე

ორი ზღაპარი

ნითელკულა

როგორ გგონიათ? შეიძლება თუ არა ყველაზე რომანტიკული მოგზაურობა ნაგვის ყუთში დაიწყოს? შეიძლება, თუ პატარა, ნაცრისფერი თაგვი ხარ და თან თეონა გქვია.

მოკლედ, ეს ჩვენი თეონა ნაგვის ყუთში შეეყოვნდა და ნაგავმზიდში ამოჰყო თავი. კარგა ხანს იჭანჭყარა და ბოლოს უბნის ნაგავთან ერთად ტრიალ მინდორში აღმოჩნდა.

– რა საველურეთია, – გაიფიქრა სასონარკვეთილმა, – არც კორპუსები, არც ნაგვის ბუნკერები... ის-ის იყო წამოიწყო: „ო, რა მარტოდმარტო და მიუსაფარი დავრჩიო...“, – რომ ცხვირწინ იქაური მინდვრის თაგვი დაუსკუპდა.

– მანქანით ჩამობრძანდით? – ზრდილობიანად იკითხა მასპინძელმა.

– დიახ, ჩამომიყვანეს, – მიუგო თეონამ, – თან გაიფიქრა, – რა იცის მანქანებისა ამ გაპუნულმაო...

– თქვენი სახელი მაჩუქეთ...

– რა გოიმური გამოთქმებია, – გაიპრანჭა თეონა, – ისე, თეონა მქვია.

– მე კი, ასე – ხვიჩა. რომელი უბნელი ხარ?

– მასივიდან.

– აქედან რომ ჩანს?

– არ ვიცი, აქედან რა ჩანს. ნამყოფი არა ხარ ქალაქში? ხვიჩამ კითხვა მოიყრუა და ისევ განაგრძო: „ბინებში ცხოვრობთ?“

– სხვენზე. ზაფხულობით კი სარდაფში – იქ უფრო გრილა.

– აქ რომ დაისვენოთ, არ ჯობია? – არ ეშვებოდა ხვიჩა.

– აქ რა მინდა, ამ მოტიალეზულში, – ისევ აიმრიზა თეონა, – რა მოგწონს აქ?!

ხვიჩა განაწყენდა: „რა მომწონს და – მინდორ-ველი; ცისარტყელა გინახავს? კაკალი, თხილი – უღვევი. რა გინდა მეტი?“

– აჰ, აჰ, არ გამაგონო! – ჯიუტობდა თეონა, – ლიფტში მჯდარხარ?

ხვიჩამ საერთოდ არ იცოდა, რა იყო ლიფტი და პირდაფრენილი შესცქეროდა ქალაქელს. თეონა ისეთი გატაცებით ამტკიცებდა, – ლიფტით მგზავრობას არაფერი შეედრება ამ ქვეყნადო, – რომ ხვიჩაც აიყოლია და ერთად მიაშურეს ქალაქს.

მასივს რომ მიადგნენ, აქ უკვე თეონა მასპინძლობდა.

ლვთის მადლით, სადარბაზოცა და ლიფტიც ჩაბნელებული იყო. ამით გათამამებული თაგვები მესამე სართულის მაცხოვრებელს ლიფტიდან ფეხდაფეხ შეჰყვნენ ბინაში და მაცივრის უკან შეიყუჟნენ.

მგზავრობისას მოშიებულ ხვიჩას საჭმლის სუნი ეცა და იქვე მდგარ პატარა რკინის ყუთში დაკიდებულ თხილს სწვდა. იმავე წამს რაღაც ჩხაკუნის გაისმა და სათაგური ჩაიკეტა.

ჩხაკუნზე ოჯახის დიასახლისი მოვარდა და აწიკვინდა: „ისევე ის საზიზღარი თაგვია, თქვენ რომ აივნიდან ცოცხლად უშვებთ. დაახრჩვეთ აბაზანაში და მორჩით!“ ბავშვები აღშფოთდნენ: „მაგას თუ იზამთ, აღარასდროს



ალარ ვიბანავებთო!“ ბაბუამ, – კუდი მოვაკვინით და ისე გავუშვათ; თუ დაბრუნდება – ხომ მივხვდებითო. ბავშვები ამაზეც აყვირდნენ: „რა მხეცობააო!“ გამოსავალი ისევ ოჯახის მამამ ნახა: „მოდი, კუდი შევუღებოთ და ამით შევატყობთ, ერთსა და იმავე თავგს ვიჭერთ თუ არაო“.

აცახცახებულ ხვიჩას მართლაც შეუღებეს კუდი წითლად და აივნიდან მოისროლეს. თეონამ შვებით ამო- ისუნთქა.

მეორე დღეს ამავე კორპუსში მცხოვრები ხანდაზმუ- ლი კატა ეკატერინე ჰყვებოდა: „მიდი და თქვი ამის შემ- დეგ, რომ მაგლა არაფერი არსებობსო! ვინეკი ჩემთვის ეზოში და თავკვი ვინატრე თუ არა – ზედ თავზე დამეცაო“. აი, მეორე რომ უმატებდა, – ასეთი გემრიელი თავკვი ცხოვ- რებაში არ მიჭამიაო, – უკვე ტყუილი იყო, რადგან ხვიჩამ

კატის გაოგნებით ისარგებლა და მოკურცხლა.

უბნის კატებს ამ მონაცხლის არც პირველი ნახევრი- სა სჯეროდათ და არც მეორის: „ნუ იცი შენ, ეკა, უცნაუ- რი ამბების გამოგონებაო...“

კუდშეღებილი ხვიჩა კი თავის მინდორს დაუბრუნდა და იკვებინდა: „ქალაქში განსაკუთრებულად საპატიო სტუმრებს კუდს წითლად უღებავენო. ისე, ფრჩხილებ- შეღებილიც ბევრი ვნახეო“.

ისე იყო თუ ასე, ხვიჩას „წითელკუდა“ შეერქვა და, თუმცა, დროთა განმავლობაში, კუდზე წითელი საღებავი შემოეცალა, მაინც გატაცებით ჰყვებოდა ქალაქში მოგზაურობის ამბავს.

თეონაც ხშირად იხსენებდა თავის ახალ მეგობარს და ფიქრობდა – მართლაც ხომ არ გაეტარებინა ზაფხული ხვიჩას მინდორზე.

კოსტა-ბრავო

თქვენ ალბათ გგონიათ, რომ ცნობილ ესპანურ კუ- რორტზე კოსტა ბრავაზე უნდა მოგიყვეთ. არა და არა. ჩვენს გმირს მხოლოდ სახე- ლის ჟღერადობა მიუგავს კოსტა ბრავას. ანდა, მართლაც, რა საერთო უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან გადაპრანჭულ საზღვაო კურორტს და მოუსვენარ კალიას, რომელსაც „კოსტა-ბრავო“ მეტსახელად თავისი გამორჩეულობი- სათვის შეერქვა.

სწორედ ამ გამორჩეულობაზე უნდა მოგიხსნათ. კოსტა დანარჩენ კა- ლიათაგან, პირველ ყოვლისა, თავისი გარეგნობით გან- სხვავდებოდა. ისინი პატა- რები და ნაცრისფერები იყვნენ, ეს კი – წარმოსა- დეგი და ხასხასა მწვანე. მაგრამ, რაც მთავარია, კოსტა ეზოს ჩემპიონი გახლდათ ხტომაში.

ო, რა შურიტა და ალტაცებით უცქერდნენ პატარა, ნაცრისფერი კა- ლიები, როგორ ჩაამწკრი- ვებდა კოსტა ოციოდე მუხ- ლუხოს და როგორი სიმსუბუ- ქით გადაახტებოდა თავზე. – ბრა- ვო! ბრავო! ერთხელაც! – შესძახოდ- ნენ მაყურებლები, კოსტა კი ამპარტავნად ბრუნდებოდა სტარტზე და კიდევ ერთი მუხლუხო- თი ზრდიდა დისტანციას.

ოცდაათ მუხლუხოსაც რომ გადაახტა, კოსტამ მუხლუ- ხოებისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა და ახლა ქათ- მებისაკენ გადაანაცვლა მზერა. ერთგვარი სპორტული გეგ- მაც შეიმუშავა: „ჯერ ჩუკა-წინილას გადავახტები თავზე, მერე ვარია-პატარძალს და ბოლოს – ედიშერა-მამალსო“.

პირველი ორი ამოცანა რომ დაძლია, კოსტა ისე გაიბ- ლინდა, გარეშემონი უბატონოდ ხმას ველარ სცემდნენ. ერ-


თი კია, ზურგსუკან „კოსტა- ბატონოს“ ნაცვლად „კოს- ტა-ბრავოს“ ეძახდნენ და ზოგიერთი ენამწარე იმასაც კი ამბობდა: „ედიშერა-მა-

მალმა არ შეგვიჭამოს ეს ჩვენი გაამპარტავნებული ჩემპი- ონიო“.

კოსტა-ბრავო თავისას მიერეკებოდა: „აი, ედიშერა- საც რომ გადავახტები, საერთოდ წავალ დიდი სპორტი- დანო! რამდენიც არ უნდა იხტუნაონ, მე ჩემი აბსოლუტური რეკორდი განაღდებუ- ლი მექნებაო!“

და აი, რეკორდის დღეც დადგა: ედიშერა – აგრესიუ- ლი, აწჩხლი და დაუდგრო- მელი, თითქოს ვინმემ გააფრთხილაო, გაუწ- ძრევლად იდგა ცალ ფეხზე და მიწას ჩას- ჩერებოდა. სტარტზე მუხლუხო იზოლდა განვა. კოსტა-ბრავომ ისკუპა და თავზე გა- დაეგლო ეზოს რისხვას. მამალმა ერთი კი გახედა, მაგრამ ფეხი არ მოუც- ვლია, მხოლოდ თავისთვის გაიფიქრა: „ძვირად დავუჯენ ამ თავხედობას ტუტუც კოსტასო!“

და მართლაც, როდესაც კალიების ალტაცებული შეძახილები შეწყდა, ხოლო კოსტა ჩვეული სკუპ-სკუპის ნაცვლად მედიდურ ბაჯბაჯზე გა- დავიდა (ჩემპიონს სიღინჯე შეშვენისო), გაბოროტებუ- ლი ედიშერა თვალის დახამხამებაში თავს წამოადგა, ჩა- უნისკარტა და ერთბაშად გადაყლაპა აბსოლუტური ჩემ- პიონი...
– ეჰ, ბედისწერას ვერ წაუხვალ, თორემ აგერ არ ვიყა- ვით, ესტუნავა რამდენიც უნდოდაო, – მოთქვამდა მუხ- ლუხო იზოლდა.



ნახატები ავტორისა

რუალ დალი

კრავი – ზვარაკად

მერი მელონი მყუდრო და სუფთა ოთახში ელოდა ქმრის დაბრუნებას სამსახურიდან. ფარდები ჩამოფარებული ჰქონდა, მაგიდის ლამპები – ანთებული. ბუფეტზე იდგა ორი ყელმალა ბოკალი, სოდიანი წყალი, ვისკი. თერმოსში ახალგამზადებული ყინულის კუბურები ეყარა.

ახალგაზრდა ქალი წამდაუნუნე შეჰყურებდა საათს. არა, აფორიაქებული სულაც არ ყოფილა. პირიქით, სიხარული ეუფლებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ ყოველი გაფრენილი წუთი აუნწყებდა, პატრიკი საცაა მოვა და შენს მარტოობას ბოლო მოეღებო. სიმშვიდეს, სიდინჯეს და სიღარბაისღეს მეტყველებდა მთელი მისი იერი და ქცევა, ისიც კი – თუ როგორ ხრიდა თავს კერვისას. ორსულობის მეექვსე თვეს საკმაოდ შეეცვალა ქალი: აღტაცების მომგვრელი გამჭვირვალობა შეჰპაროდა კანს და სადაფის ფერი დაჰკრავდა, პირი კიდევ უფრო განაზებოდა და შელბილებოდა, უშფოთველი მზერა თვალებს უდიდებდა და უმუქებდა.

ხუთ საათამდე ათი წუთიღა რჩებოდა. ქმარი, ჩვეულებრივ, სწორედ ამ დროს ბრუნდებოდა შინ. ცოლმა მიაყურა და მყისვე ჩაესმა სახლთან გაჩერებული მანქანის ხმა, ხრეშის ხრაშუნი, კარის მიჯახუნება, ნაბიჯები სარკმელქვეშ, გასაღების გადატრიალება კლიტეში – ყველაფერი იმას მოასწავებდა, რომ ამჯერადაც არ შემცდარა. საკერავი განზე გადადო, წამოდგა და ქმარს შეეგება.

პალტო ჩამოართვა და კედლის კარადაში ჩამოკიდა. ოთახი გაიარა და გაამზადა ვისკი სოდიანი წყლით – თავისთვის ერთობ მსუბუქი, ქმრისთვის – გაცილებით მაგარი. მერე მყუდროდ მოკალათდა სავარძელში თავისი საკერავითურთ; ქმარი, მის პირდაპირ, მეორე სავარძელში ჩაეშვა. ორივე ხელით ეჭირა ყელმალა ბოკალი და ისე ძალუმად ანჯღრევდა, რომ ყინულის კუბურებს ზრიალი გაჰქონდათ.

ცოლისთვის ეს იყო ყველაზე ბედნიერი ჟამი დღისა. იცოდა, რომ ქმარი ჩუმად იქნებოდა, ვიდრე თავის პირველ ბოკალს არ გადაჰკრავდა. ეს დუმილი რაღაც კმაყოფილებასაც კი ანიჭებდა. მარტოობის გულგამანვრილებელი საათები უკან დარჩენილიყო და ახლა ქმართან ყოფნით ტკებოდა. უბრალოდ მისი ყურებაც კი ეამებოდა; მოსწონდა, როცა შეიგრძნობდა განუმეორებელ მამაკაცურ სითბოს (მხოლოდ მზის მცხუნვარება თუ შეედრებოდა), მისგან რომ მოედინებოდა მარტოდ დარჩენისას. ყველაფერი მოსწონდა მისი: როგორ ზის ხოლმე სავარძელში გამზლართული, როგორ შემოდის ოთახში ანდა დინჯი ნაბიჯებით ბოლთას რომ სცემს. უყვარდა მისი დაუჩინებელი მზერა, რომლითაც მოაჩერდებოდა, თითქოს უნდა შეისწავლოსო. ხიბლავდა მისი ტუჩების დამცინავი ნაკეცი და განსაკუთრებით მისი ქცევის წესი, რითაც თავის დაღლილობას შეასწავებდა ცოლს – საკუთარ თავში ჩაფლული გაუნძრევლად იჯდა მანამდე, ვიდრე ვისკი შვებას მოჰგვრიდა დაღლილ-დაქანცულს.

- საყვარელო, დაილაღე?
- ჰო, ძალიან დავილაღე, – მიუგო ქმარმა.

პასუხს უეცრად უჩვეულო რამ მოჰყვა: ბოკალი ასნია და სულმოუთქმელად დაცალა, თუმცა თითქმის პირთამდე სავეიო. მერის, მართალია, არც კი დაუნახავს, თუ რა მოხდა, მაგრამ მიხვდა, როცა მოესმა ყინულის კუბურების რაკუნის ცარიელი ბოკალის ფსკერზე. ქმარი სავარძლიდან წამოიწია, ცოტაზე დაყოვნდა, მერე წამოდგა და ნელა გაემართა მომდევნო ულუფის ასაღებად.

ცოლი აჩქარებით წამოდგა და წამოიძახა:

– მე გაგიმზადებ.

– დაჯექი, – მიუჭრა ქმარმა.

გამზადებული სასმელი პირველზე უფრო მაგარი გამოდგა.

– ჩემო კარგო, ჩუსტები მოგიტანო? – ცოლი შეეცადა წამოეწყო საუბარი.

– არა.

შეჰყურებდა, როგორ წრუპავდა ქმარი მაგარ, ქარვისფერ სითხეს და ბოკალის გამჭვირვალე კედლებს მიღმა ხედავდა უამრავ ზეთოვან ჭავლებს, ზევით რომ მიინედინენ.

– აღმაშფოთებელია, – განაცხადა ცოლმა, – რომ მალაჩინოსანი პოლიციელები იძულებული არიან მთელი დღე ფეხზე გაატარონ.

ქმარს ხმა არ ამოუღია და ცოლი ისევ თავის საკერავს მიუბრუნდა. მაგრამ ქმარი როგორც კი ბოკალს ტუჩებთან მიიტანდა, ყინულის ნამსხვრევთა ზრიალი ესმოდა.

– ძვირფასო, – ისევ სცადა აელაპარაკებინა, – გინდა ყველი მოგიტანო? დღეს ხომ ხუთშაბათია და არაფერი მომიმზადებია.

პასუხად – კვლავ დუმილი.

– თუკი ძალიან დაღლილი ხარ და გეზარება სადმე წასვლა სავახშმოდ, – განაგრძო ცოლმა, – ჯერ გვიან არ არის, ჩვენ თვითონ მოვამზადოთ ვახშამი, პროდუქტები გვაქვს.

თვალები გაერინდა პასუხის, ღიმილის, სულაც თავის ოდნავ დაქნევის მოლოდინში, მაგრამ ქმარი არც კი შერხეულა.

– ასეა თუ ისე, – ცოლი ვერ დაშოშმინებულყო, – ყველსა და ნამცხვარს მოგიტან.

– არ მინდა, – თქვა ქმარმა.

ცოლი მოუხერხებლად ცმუტავდა სავარძელში და თავის დიდრონ თვალებს ვერა სწყვეტდა ქმრის პირისახეს.

– მაგრამ უნდა ივახშმო. არ მიჭირს ვახშმის მომზადება.

კიდევ მენამება მოვამზადო რამე – ვთქვათ, ცხვრის ხორცის კატლეტი, ანდა ღორის ხორცისა. რომელი გირჩევენია?

– მორჩი-რა, – მკვახედ განწყვეტინა ქმარმა.

– მაგრამ, საყვარელო, ცოტა მაინც ხომ უნდა შეჭამო! კეთილი, მე მოვამზადებ, შენ კი როგორც გაგიხარდება.

საკერავი განზე გადადო და წამოდგა.

– დაჯექი, – წყნარად სთხოვა ქმარმა, – ერთი წუთით მაინც დაჯექი.

ახლა კი დაფრთხა ცოლი, ნელა ჩაეშვა სავარძელში, განგაშმა თვალები დაუბნელა. ქმარმა მეორე ბოკალიც გამოცაღა და შეჭმუნხილი ჩააშტერდა სასმისს.

– ყური დამიგდე, – თქვა მან. – რაღაც უნდა გითხრა.

– ჩემო საყვარელო, რა დაგემართა? მოხდა რამე?

ქმარი ერთხანს სრულიად გაშეშებული რჩებოდა, თავი ისე ჰქონდა ჩაქინდრული, რომ ზურგსუკან ანთებული ლამპის შუქი მხოლოდ სახის ზედა ნაწილს ეცემოდა, პირსა და ნიკაპს ჩრდილში ტოვებდა. ცოლმა შიშით შენიშნა, რომ მარცხენა თვალი უტოკავდა.

– ვშიშობ, რომ თავზარი დაგეცემა, – დაიწყო ქმარმა. – მაგრამ დიდხანს ვყოყმანობდი და აი, როგორც იქნა, გადავწყვიტე, ყველაფერი გიამბო. იმედი მაქვს, რომ ძალიან მკაცრად არ განმსჯი.

რამდენიმე წუთში ყველაფერი მოთავდა. მერმ მოუსმინა ქმარს, გაცხებით შეჰყურებდა და შეძრწუნებული მიხვდა, რაოდენ შორს იყვნენ ახლა ერთიმეორისგან.

– აი, სულ ეს იყო, – დასძინა ქმარმა. – მშვენივრად მესმის, რომ დრო კარგად ვერ შევარჩიე, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. რა თქმა უნდა, ფულს მოგცემ და ზრუნვასაც არ მოგაკლებ. იმედი მაქვს, რომ უსკანდალოდ მოვრიგდებით. აყალმაყალი რეპუტაციას შემბლალოვდა, კარიერას გამოიხრებდა.

ცოლმა ჯერ არ დაუჯერა. თავში გაუელვავა, არაფერიც არ უთქვამს, ყოველივე ეს მომეჩვენაო. ფიქრები გამალებით დაუბზრიალდნენ ტვინში: ეგებ სიმშვიდე დამეუფლოს, თუკი თავს შევიტყვე ჩვეულებრივი საქმეებით და ისე მოვიტყვევი, ვითომდა არაფერიც არ მომხდარო.

– ვახშამს მოვამზადებ, – ძლივს წამოილულულა. ამჯერად უარი არ მიუღია.

ფეხები თითქოს წართმეოდა. ველარაფერს გრძნობდა გარდა ოდნავი გულისრევისა. კიბის საფეხურებს ჩაჰყავს სარდაფში, გაიტკაცუნა ელექტროჩამრთველმა, საყინულე კარადიდან მექანიკურად გამოიღო ქალაღში გახვეული შეკვრა და გაშალა.

ეს იყო ცხვრის ბარკალი.

კეთილი და პატიოსანი, მაშასადამე ვახშამად ექნებათ საუცხოო ცხვრის ბარკალი. ორივე ხელი ჩასჭიდა ბარკლის წვრილ ბოლოს და ზევით წაიღო. სასტუმრო ოთახში რომ გაიარა, თვალი მოჰკრა ქმარს – ზურგმეტყეული იდგა ფანჯარასთან. ქალი შეჩერდა.

– ღვთის გულისათვის, – წარმოთქვა ქმარმა და არც კი მოუბრუნებია პირი. – მე არ ვივახშმებ. მე უნდა წავიდე.

და მაშინ მერი მელონი ზურგიდან მიუახლოვდა, ბევრი არ უფიქრია, ვეება, გაყინული ცხვრის ბარკალი მალეა ასწია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კეფაში სდრუზა. ლითონის ხელკეტი რომ ჩაერთყა, მეტი არაფრით იქნებოდა.

უკან დაიხია და შეყოვნდა. ქმარი ფეხზე იდგა ერთხანს, ქალს მარადისობად რომ ეჩვენა, მერე ოდნავ შებარბაცდა და ზღართან მოადინა ხალჩაზე.

დარტყმის ძალამ, ხმაურმა, გადაყრავებული მაგიდის დგანდგარმა გამოაცოცხლა ქალი. ნელ-ნელა მოდიოდა გონს, მხოლოდ სიცივის გრძნობდა და განცვიფრებით შეჰყურებდა ქმრის გაქვავებულ სხეულს.

– მგონი მოკვალი, – წყნარად წარმოთქვა.

ხორცი წაიღო სამზარეულოში, ტაფაზე დადო და მთელი სიმძლავრით ჩართულ ფურნაკში შედგა. მერე ხელები დაიბანა და ზევით, საძინებელ ოთახში გაემურა. გადაწყვიტა თავი მოეწესრიგებინა, სარკის წინ ჩამოჯდა, ტუჩები შეიღება, სახე გაიგრილა. მოდი გავიღიმებო. ღიმილი ნაძალადევი გამოუვიდა. კიდევ ერთხელ სცადა.

– გამარჯობათ, სემ, – თქვა ხმამალლა და მხიარულად.

ხმა უცნაურად და ყრუდ ჟღერდა.

– გეთაყვა, სემ, კარტოფილი მინდა და ერთი ქილა ბარდა.

ახლა უკეთესი იყო – ღიმილიც და ხმაც. რამდენჯერმე გაიმეორა. მერე ქვევით დაემუვა, პალტო აიღო, უკან კარიდან გავიდა გარეთ, ზალი გაიარა და ქუჩაში ამოჰყო თავი.

სალამოს ექვსი საათი იქნებოდა. სასურსათო დუქანში ჯერ კიდევ ენთო შუქი.

– გამარჯობათ, სემ, – თქვა მხიარულად და დუქნის პატრონს გაუღიმა.

– საღამო მშვიდობისა, მისის მელონი. როგორა ბრძანდებით? – მოესმა პასუხად.

– კარტოფილი მინდა, სემ. და კიდევ ერთი ქილა ბარდა.

სემი მიბრუნდა თაროდან ბარდის ასაღებად.

– პატრიკი დღეს ისე დაიქანცა, რომ არსად არა სურს სავახშმოდ წასვლა, – განაგრძობდა მერი. – ხომ იცით, ხუთშაბათობით სადმე მივდივართ ხოლმე. დღეს კი აი ასე გამოვიდა, რომ... და სახლში ბოსტნეულის ნასახიც არ გავაჩნია.

– მისის მელონი, ხორცი არა გნებავთ?

– გმადლობთ. ხორცი მაქვს. საუცხოო ცხვრის ბარკალი! მართალია, მაინცდამაინც არ მეჭაშნიკება გაყინული ხორცისგან კერძის მომზადება, მაგრამ ამჯერად უნდა ვცადო. როგორ ფიქრობთ, გამოვა რამე?

– პირადად მე ვერავითარ განსხვავებას ვერ ვხედავ, – მცოდნის კილოთი განაცხადა დუქნის პატრონმა. – ეს კარტოფილი თუ მოგწონთ?

– ძალიანაც მომწონს. ორი ცალი მეყოფა ეგეთი.

– კიდევ რას ინებებთ? რამე ხომ არ დაგავიწყდათ? – თავაზიანმა მასპინძელმა თავი გადახარა. – დესერტად რა გაქვთ?

– სემ, ეგებ თქვენ მირჩიოთ რამე.

დუქნის პატრონმა მიიხედ-მოიხედა და მზერა შეაჩერა ნაზუქზე.

– მე მგონი, ეს უყვარს.

– ჩინებულისა, – გაეხარდა მერის. – პატრიკს მართლაც უყვარს ნაზუქი.

როდესაც პროდუქტები შეუფუთეს, მერმ ფული გადაიხადა, სანდომიანად გაუღიმა სემს, ღამე მშვიდობისა უსურვა და წამოვიდა. შინ რომ ბრუნდებოდა, საკუთარ თავს ჩააგონებდა: მიმეჩქარება ქმართან, რომელიც თავის ვახშამს მოთმინებით ელოდებო; კარგი და გემრიელი ვახშამი უნდა მოვუმზადო, რადგანაც საცოდავი გადაიქანცაო; და სახლში რომ შევალ, თუკი რაღაცას დავინახავ – უჩვეულოს, ტრაგიკულს, შემზარავს – აი, მაშინ კი უბედურება ჭკუიდან შემშლისო. ახლა კი, ჩვეულებისამებრ, ბოსტნეული იყიდა და შინ მიიჩქაროდა.

მისის პატრიკ მელონი ხუთშაბათ საღამოს შინ ბრუნდებოდა, ბოსტნეული იყიდა ქმრისთვის გემრიელი ვახშმის მოსამზადებლად. ყველაფერი ძალდაუტანებლად და ბუნებრივად უნდა გამოიყურებოდესო, ჩააგონებდა საკუთარ თავს. მაშინ არაფრის თამაში აღარ მოუწევს.

იღიმებოდა და თავისთვის რაღაცას ლილინებდა. სამზარეულოში უკანა კარიდან შევიდა.

– პატრიკ, – დაუძახა ქმარს. – რასა იქმ, ჩემო საყვარელო?

პაკეტი მაგიდაზე დადო და სასტუმრო ოთახში გავიდა. პატრიკი იატაკზე იწვა, ფეხები ულახათოდ მოელუნა მუხლებში და თითქოს ამოტრიალებული ხელი სხეულქვეშ მოექცია. და აი მაშინ თავზარი დაეცა ქალს. ქმრის სიყვარულმა და მიჩვევამ ერთიანად შეძრა. მყისვე მიიჭრა მასთან, დაიჩოქა და მწარედ ატირდა. ყველაფერი უბრალოდ და იოლად გამოუვიდა. არავითარ თამაშს არა ჰქონია ადგილი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ზეზე წამოდგა და ტელეფონს მიაშურა. პოლიციის უბნის ნომერი კარგად ახსოვდა. იქ ყურმილი რომ აიღეს, სასონარკვეთილი ხმით იყვირა:

– მიშველეთ! გვევდრებით, სასწრაფოდ მოდიეთ. პატრიკი მკვდარია!

– ვინ ლაპარაკობს?

– მისის მელონი. მისის პატრიკ მელონი.

– ახლავე მანდ გაგჩნდებით, – იყო პასუხი და ყურმილი მოკლე ზუმერები გაისმა.

პოლიციის მანქანა მართლაც ძალზე სწრაფად მოგრი-
აღდა. მერიმ კარი გააღო – ორი პოლიციელი შემოვიდა.
ორივეს კარგად იცნობდა, ამ უბნის პოლიციელებს თით-
ქმის ყველას იცნობდა. ისტერიკა აუტყდა და შემოსულ ჯეკ
ნუნენს მკლავებში ჩაუვარდა. მან ფრთხილად გადაასვენა
ქალი სავარძელში, მერე კი თავის კოლეგას ო'მელის მიუახ-
ლოვდა.

– მოკვდა? – ნამოიძახა მერიმ, როცა გონს მოვიდა.

– ვშიშობ, რომ მკვდარია. როგორ
მოხდა ეს?

მერიმ პოლიციელებს მოკლედ
უამბო, თუ როგორ წავიდა დუქანში
და როცა შინ დაბრუნდა, პატრიკი
უსულოდ ეგდო იატაკზე. ქვითინით
განაგრძობდა თხრობას. პოლიციე-
ლები ყურადღებით უსმენდნენ, მაგ-
რამ წუთითაც არ შეუწყვეტიათ ჩვე-
ული მოძრაობა. ო'მელიმ შედეგებუ-
ლი სისხლი აღმოაჩინა მიცვალებუ-
ლის თავზე და მყისვე ტელეფონს
ეცა.

მალე სხვებიც გამოჩნდნენ: ჯერ
ექიმი, მერე – ორი დეტექტივი. მე-
რიმ ერთი მათგანის სახელიც იცო-
და. მოგვიანებით მოვიდნენ პოლი-
ციის ფოტოგრაფი, რომელმაც სუ-
რათები გადაიღო და კაცი, რომელ-
მაც თითის ანაბეჭდები აიღო. ისინი
დიდხანს ჩურჩულებდნენ ცხედარ-
თან, ხმადაბლა გადაულაპარაკებ-
დნენ ერთმანეთს და უამრავ კით-
ხვებს უსვამდნენ ქალს. ამასთან
უცვლელი მოწინებით მიმართავ-
დნენ. მან ხელახლა გაიმეორა თავი-
სი მონათხრობი, ამჯერად სულ თავი-
ვიდან: პატრიკი შინ რომ დაბრუნ-
და, ვკერავდი, ის კი ისე იყო დაღ-
ლილი, სავახშმოდ სადმე წასვლა
იუარაო. მერე ხორცი ფურნაკში
შევდგი, ისევ იქ არის და ინვებაო; მერე დუქანში გავიქეცი
ბოსტნეულის საყიდლად და როცა დავბრუნდი, დავინახე,
რომ იატაკზე ინვაო...

– რომელ დუქანში ბრძანდებოდით? – ცოცხლად დაინ-
ტერესდა ერთ-ერთი დეტექტივი.

მერიმ აუხსნა. ის დეტექტივი მიბრუნდა, რალაც წასჩურ-
ჩულა მეორეს, რომელმაც მყისვე დატოვა სახლი. დაბრუნდა
თხუთმეტ წუთში და რალაც ჩანანერებით აჭრელებული ქა-
ლადის ფურცელი წარმოადგინა. აქვითინებული მერის სმე-
ნას მისწვდა ჩურჩულით წარმოთქმული ფრაზების ნაფლე-
თები: „თავი ბუნებრივად ეჭროაო...“, „ძალზე მხიარულად
ლაპარაკობდაო...“, „ქმარს გემრიელი ვახშამი უნდა მოვუშ-
ზადოო...“, „ერთი ქილა ბარდა...“, „დესერტი...“, „ვერასო-
დეს ვიფიქრებდი, რომ ამ ქალმა...“

ფოტოგრაფი და ექიმი ძალზე მალე წავიდნენ. ისინი შეც-
ვალა ორმა უცნობმა მამაკაცმა. ცხედარი გაიტანეს ოთახი-

დან. მერე წავიდა თითის ანაბეჭდების სპეციალისტი. დარ-
ჩნენ ორი პოლიციელი და ორიც დეტექტივი. ისინი უაღრე-
სად მოკრძალებულნი იყვნენ. ჯეკ ნუნენი დაინტერესდა,
ეგებ სადმე წასვლას ინებებთო, ვთქვათ, თქვენს დასთან ან-
და ჩემს ცოლთან, მოგივლიან და ღამეს იქ გაათევთო. მერიმ
იუარა. ეგონა, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამო. ნეტავი ყვე-
ლამ თავი დამანებოს, ამ სახლში დამტოვონ, მალე გამოვ-
კეთდებიო.

– ხომ არ ნამოწვებოდით? – ჰკითხა ჯეკ ნუნენმა.

– არა, – თქვა მერიმ. სავარძელში ჯდომა ერჩივნა. ცოტა
დრო რომ გავა, შესაძლოა ადგილიდან დაძვრა შევძლო, მაგ-
რამ ჯერჯერობით ვერაო...

თავი დაანებეს და მუშაობას შე-
უდგნენ – სახლი უნდა გაეჩხრიკათ.
დროდადრო რომელიმე დეტექტივი
ახალ კითხვებს უსვამდა ქალს. ხან-
დახან, გვერდით რომ აღმოჩნდებო-
და, ჯეკ ნუნენი უსათუოდ წარმოთ-
ქვამდა რამეს – ალერსიანს, სანუგე-
მოს.

მოგვიანებით აუწყეს, რომ მისი
ქმარი მოკლულ იქნა მძიმე და ჩლუნ-
გი საგნით, შესაძლოა, ლითონისა
იყო. რასაკვირველია, მკვლელს და-
ლუქდა მისი ნაღება, მაგრამ ეს ნაკ-
ლებად სარწმუნოა და, უფრო საფიქ-
რებელია, სადმე აქვე, სახლში იქნება
დამალულიო.

– ასე ხდება ხოლმე, – თქვა ჯეკ
ნუნენმა. – მკვლელობის იარაღს თუ
იპოვი, მკვლელიც გიპოვია და ეგ
არის.

ერთ-ერთი დეტექტივი მიუახ-
ლოვდა მერის, გვერდით მიუჯდა.
სადმე ხომ არ გეგულებათ ისეთი ნივ-
თი, რომელსაც მკვლელობის იარა-
ღად გამოიყენებდნენო? ეგებ მოათ-
ვალეოთ აქაურობა, ეგებ ჩვენ რა-
მე გამოგვჩა – ვთქვათ, დიდი ქანჩის
გასაღები ანდა მძიმე ლითონის ლარ-
ნაკიო.

მერიმ უპასუხა, რომ მძიმე ლი-
თონის ლარნაკები არ მოეპოვებათ
სახლში. დიდი ქანჩის გასაღები? რა ვიცი, ალბათ, გარაჟში
მოიძებნებაო.

ქებნა გრძელდებოდა. მერიმ იცოდა, რომ ბაღშიც და სახ-
ლის გარშემოც უამრავი პოლიციელი იმყოფებოდა. ესმოდა
ხრემის ხრამუნი მათი მძიმე ნაბიჯების ქვეშ. ზოგჯერაც
არცთუ მჭიდროდ მორგებულ ფარდებში ფარნის სხივი გა-
მოკრთებოდა. უკვე საკმაოდ გვიანი იყო: ბუხრის თაროზე
მოთავსებული საათი დაახლოებით ცხრას უჩვენებდა. ოთ-
ხივე პოლიციელს, ჩხრეკას რომ ატარებდნენ, დალლა ემჩნე-
ოდათ და გაღიზიანებულნი იყვნენ.

– ჯეკ, – მიმართა მერიმ სერჟანტ ნუნენს, როდესაც მან
უკვე მერამდენედ ჩაუარა. – ხომ არ შენუხდებით, რამე და-
სალევი რომ მომცეთ?

– ვისკი?

– დიახ, თუ შეიძლება. სულ ერთი ნვეთი. იმედი მაქვს,
ცოტას მიშველის.



მხატვარი ინა ჭელიძე

სერჟანტმა მიაწოდა ბოკალი.

– თქვენ არ დამენევიით? – ჰკითხა მერიმ. – საშინლად არაქათგამოცლილი ჩანხართ. გთხოვთ დამენევიით. თქვენ ისე კეთილად მეპყრობოდით.

– სიმართლე რომ გითხრათ, სამუშაოზე დალევა აკრძალული გვაქვს. მაგრამ ცოტაოდენს გეახლებით – ღონე რომ არ გამომეცალოს.

დანარჩენებიც, ერთიმეორის მიყოლებით, შეუერთდნენ. ოღონდ ბოკალებით ხელში თავს უხერხულად გრძნობდნენ ქალის წინაშე.

სერჟანტი ნუნენი რალაც საქმეზე გავიდა სამზარეულოში და მაშინვე უკან შემობრუნდა.

– მისმინეთ, მისის მელონი, ხორცი ხომ არ დაგავინყდათ? ისეც ფურნაკშია.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! – წამოიძახა ქალმა.

– მე მგონი, უკეთესი იქნება, თუკი ფურნაკს გამოვრთავ.

– თუ არ შენუხდებით, ჯეკ.

როდესაც სერჟანტი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, მერიმ ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო.

– ჯეკ ნუნენ, ნებას მომცემთ, რომ თქვენც და დანარჩენებსაც გთხოვოთ, მცირე სამსახური გამინიოთ?

გისმენთო, მოახსენეს ალელეებით. მაშინ მერიმ მაღლობა გადაუხადა თავის სახლში თავმოყრილ მამაკაცებს, პატრიკის მეგობრებად რომ ითვლებოდნენ, და შესთავაზა – ევანშმათ.

– თქვენ, ალბათ, საშინლად მოგმივდებოდათ: ვახშმობის დრო კარგა ხანია გავიდა. პატრიკი – უფალო, განუსვენე სული – ვერასოდეს მაპატიებდა, მის სახლში ღირსეულად თუკი არ გაგიმასპინძლებოდით. ეგებ გაგესინჯათ ის ცხვრის ხორცი, ახლა ფურნაკში რომ არის შედგმული? მე მგონი, უკვე შეინვებოდა.

ჯეკ ნუნენმა, ყველას სახელით, იუარა.

– ძალიან გთხოვთ, – ევედრებოდა მათ მერი. – მიირთვიეთ. ყურადღებას ნუ მომაქცევთ: მე ვერ მივეკარები იმას, რასაც პატრიკს ვუმზადებდი. თქვენ ამით დიდ პატივს დამდებთ. მერე კი ღონემოკრებილნი გააგრძელებთ თქვენს საქმეს.

მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ პოლიციელები დაჰყვნენ ქალის გულისწაღილს. მერი ისეც სავარძელში იჯდა და აყურადებდა ძლივს გასაგონ ლაპარაკს, რომელიც ნახევრად ღია კარიდან ისმოდა.

– ჩარლი, კიდევ გადაიღე.

– არ მინდა, ცოტა მაინც დარჩეს.

– მაგრამ ქალბატონსა სურს, რომ სულ შევჭამოთ. ამით დიდ პატივს დამდებთო.

– თუკი ეგრეა, კიდევ გადმომიღე.

– ჭირმა დაწყევლოს, მაგარი ყოფილა ის ხელკეტი, რომლითაც სანყალი პატრიკი მოკლეს, – თქვა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

– ექიმი ამბობს, თავი თითქოსდა უროთი გაუჭეჭყესო.

– აბა იოლად ვიპოვით.

– მეც სწორედ მაგას ვიძახი.

– ასეთ სიმძიმეს არავინ წაათრევდა აქედან.

ერთმა მათგანმა დააბოყინა.

– მე მაინც მგონია, რომ ეს იარაღი სადღაც აქვე უნდა იყოს, სახლში ანდა ბაღში.

– ეგებ ჩვენს ცხვირწინაც კი არის. ჯეკ, შენ რას იტყვი?

მეზობელ ოთახში მყოფი მერი გულში იცინოდა.

თარგმნა
ზურაბ ცარიცვაძე

მთარგმნელისაგან

წინამდებარე დეტექტიური მოთხრობის ავტორი არის ინგლისელი მწერალი რუალ დალი. რუალ დალი? ინგლისელს რალაც არა ჰგავსო. მართალია, ისეთი გვარი აქვს, რომ ინგლისელიც შეიძლება გამოდგეს და, ვთქვათ, პაპუასიც, მაგრამ სახელს რას უშვრები? ეს სახელი მართოდენ ნორვეგიელთა საკუთრებაა. ალბათ გაგიგონიათ სამხრეთ პოლუსის პირველი დამპყრობი რუალ ამუნდსენი (1872-1928). მერე რაო, იტყვიოთ, განა გამორიცხულია რომ სხვაგან სადმე, მაგალითად, საქართველოში ამუნდსენის პატივსაცემად ბავშვს სახელად დაარქვან რუალი, მსგავსად ჰამლეტისა თუ ალბერტისა. მით უმეტეს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების დამლევს, ტიცინან ტაბიძემ, ლექსი რა სათქმელია, მთელი პოემა მიუძღვნა ტრაგიკულად დაღუპულ ამუნდსენს.

აი, პირველი სტროფი ამ ნაწარმოებისა:

უნდა შევადგოთ ხალხი ნამუსზე,
ყველაზე ლამაზ, კრიალა ვარსკვლავს,
ამომავალ მზეს შუბლზე რომ აკრავს
მისცეს სახელი – როლდ ამუნდსენ.

ჰოდა, საქართველოში თუ საფრანგეთში რომც ისესხონ ეს სახელი, მაინც ნორვეგიულ სახელად დარჩება. როგორც იტყვიან, არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე და გამონაკლისი მხოლოდ ადასტურებს წესს.

ამსიგრძე შესავალი დეტექტივთა მოყვარული მკითხველის ხათრით დაინერა, თორემ რა დიდი კვლევა-ძიება სჭირდებოდა ამ ინგლისელი მწერლის ეროვნულ წარმოშობას, როდესაც მის მოკლე ბიოგრაფიულ ნარკვევში გარკვევით არის აღნიშნული, რომ რუალ დალი დაბადებულა 1916 წელს სამხრეთ უელსში, ნორვეგიიდან გადმოსახლებულთა ოჯახში. ფეხები ნორვეგიული ჰქონია.

კიდევ რით გამოირჩევა ეს ჩვენი ინგლისელი მწერალი, სეხნია სახელოვანი ნორვეგიელი მოგზაურისა?

ღიახაც რომ გამოირჩევა, ვინაიდან ვიდრე მწერლობას მოჰკიდებდა ხელს, არანაკლებ მიმზიდველი და სახიფათო პროფესია აურჩევია. მეორე მსოფლიო ომის წლებში მფრინავი-გამანადგურებელი გამხდარა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელ ესკადრილიას მეთაურობდა (ცნობარში ვკითხულობთ, რომ ესკადრილია ეწოდება სამხედრო-საჰაერო ძალების ტაქტიკურ ქვედანაყოფს, რომელიც 25-მდე თვითმფრინავს ითვლის).

ერთი სიტყვით, ფრიად საინტერესო პიროვნება ჩანს – რუალ ამუნდსენის სეხნია და ანტუან-ფეზიუპერის ორმაგი კოლეგა. ცხადია, მწერლობაში ვერ გაუტოლდება ფრანგ მფრინავს, მაგრამ ცაში, ალბათ, დასჯაბნიდა (საბედნიეროდ, ერთსა და იმავე მხარეზე იბრძოდნენ). ინგლისელ მფრინავთა ესკადრილიის მეთაურობას ლამაზი თვალებისთვის როდი უბოძებდნენ. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში სწორედ ინგლისელმა მფრინავებმა გადააჩრჩინეს სამშობლო ნაცისტურ ოკუპაციას.

სხვა რაღა მოგახსენოთ? რუალ დალს მხოლოდ სასკოლო განათლება მიუღია. ჩვიდმეტი წლისას დაუნყია მუშაობა შელის ნავთობკომპანიაში. მერე ომობდა, ხოლო მისი სამწერლო დებიუტი თარიღდება 1943 წლით. ჯერ საბავშვო მწერლობაში უცდია ბედი, მერე მოზრდილებსაც გააცნო თავი. გამოქვეყნებული აქვს რომანები „ხანდახან და არასოდეს“ (1948), „ჩემი ძია ოსვალდი“ (1979) და სხვ. აგრეთვე – ნოველათა კრებულები „ვიღაც თქვენი მსგავსი“ (1953), „ოცდაცხრა კოცნა“ (1969); პიესებიც და კინოსცენარებიც დაუწერია.

როგორც აღნიშნავენ, რუალ დალი მოულოდნელი და ავბედითი სიუჟეტის აღიარებული ოსტატია.

დეტექტივი „კრავი-ზვარაკად“ თვალნათლივ მეტყველებს ზემოთქმული შეფასების სიზუსტეს.

თამარ კოტრიკაძე

დასაბამიდან იყო ტექსტი...

*

გოეთეს მედლის მფლობელი გივი მარგველაშვილი თბილისში

რა ხდება წიგნის მხატვრულ სივრცეში იმ დროს, როდესაც ჩვენ მას არ ვკითხულობთ? რა მოსდით პერსონაჟებს მას შემდეგ, რაც წიგნის ყდა კარივით მიიხურება და ისინი უჩვენოდ რჩებიან ფურცლებს შორის მოქცეულ ვირტუალურ სივრცეში? – ამგვარ შეკითხვებს ჯერ კიდევ ლიტერატურის დიდი ჯადოქარი, ლუის ქეროლი უსვამდა საკუთარ თავსა და მკითხველს. ჩვენი თანამედროვე და თანამემამულე, გერმანიაში მცხოვრები მწერალი და ფილოსოფოსი გივი მარგველაშვილიც სწორედ ამ შეკითხვებს უბრუნდება გამუდმებით. მისი რომანების, პიესების, პროზაული და ლირიკული მინიატიურების კითხვისას ცნობილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სინამდვილეში შევებოვებით, – დანყებულნი ვიგნითა წიგნის უძველესი გრაფიკული და დამთავრებული სუპერთანამედროვე ტექსტებით. ეს სინამდვილე ფიქტიურიცაა და რეალურიც, წარმოსახვითიცაა და, ამავე დროს, ხელშესახებიც.

გივი მარგველაშვილი იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა პიროვნებაც არანაკლებ ინტერესსა და აღტაცებას იწვევს ჩვენში, ვიდრე მათი შემოქმედება. მისი ბიოგრაფია XX საუკუნის ტრაგიზმითაა გაჯერებული. ის 1927 წელს დაიბადა ქართველი ემიგრანტის, ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის, ბერლინის უნივერსიტეტის ლექტორისა და ბერლინში ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარის, ტიტე მარგველაშვილის ოჯახში. დედამ, მარიამ ხერინაშვილმა, სამშობლოს მონატრებას ვედარ გაუძლო და 1931 წელს მოისწრაფა სიცოცხლე. 1946 წელს მამა-შვილი საბჭოთა სპეცსამსახურის მუშაკებმა მოიტაცეს. მამა დახვრიტეს, 19 წლის გივი კი ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში წელიწადნახევარიანი პატიმრობის შემდეგ თბილისში გადაგზავნეს, სადაც ის 1992 წლამდე ცხოვრობდა. ამჟამად ცხოვრობს ბერლინში.

მისი გერმანულენოვანი მხატვრული შემოქმედების ნაწილი თარგმნილია ქართულად და რუსულად. თბილისში წიგნებად გამოიცა:

„Я – книжный персонаж“ – ლექსები და მცირე პროზა, გერმანულ-რუსული გამოცემა, რუსული თარგმანი – თენგიზ კარბელაშვილისა, გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, 1998 წ.

რომანი „მუცალი“ – ქართულად თარგმნა მაია ბადრიძემ, გამომც. „დიოგენე“, 2001 წ.

პიესები „მონმენი სარკეში“ და „მაყურებელთა დარბაზები“ – თარგმანი ნინო გელაშვილის, ანა მარგველაშვილისა და ნაირა გელაშვილის, „კავკასიური სახლი“, 2002 წ.

„კაპიტანი ვაკუში“ (ავტობიოგრაფიული რომანის პირველი ნაწილი) – თარგმანი კარლო ჯორჯანელისა, „კავკასიური სახლი“, 2005 წ.

უკანასკნელი გამოცემა „კავკასიურმა სახლმა“ უშუალოდ მწერლის თბილისში ამჟამინდელ სტუმრობას მიუძღვნა: ესაა ლექსებისა და პროზაული მინიატიურების ორენოვანი, ამჯერად გერმანულ-ქართული, კრებული „მე წიგნის გმირი ვარ“, ნაირა გელაშვილის თარგმანში, მისივე წინასიტყვაობით.

რაც შეეხება გივი მარგველაშვილის ფუნდამენტურ ფილოსოფიურ ნაშრომებს, რომლებიც თბილისში ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში ინერებოდა რუსულ ენაზე, „კავკასიურმა სახლმა“ ისინი 2000 წელს ხუთ ტომად გამოსცა ბადრი შარვაძის რედაქტორობით.

თბილისში მწერლის ეს ვიზიტი და 29 მარტს გოეთეს ინსტიტუტში გამართული შეხვედრა განსაკუთრებით სასიხარულო და საზეიმო იმიტომ იყო, რომ ქართველ საზოგადოებას საშუალება მიეცა მისთვის 2006 წლის გოეთეს მედლის მინიჭება მიელოცა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი სალიტერატურო ჯილდო გივი მარგველაშვილს ახლახანს გადასცეს ვაიმარში. შეხვედრის დასაწყისში საქართველოში გერმანიის საელჩოს წარმომადგენელმა განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი იმ პოლიტიკურ და ეთიკურ დატვირთვას, რომელსაც გერმანია დაჯილდოების ამ ფაქტს ანიჭებს: გივი მარგველაშვილს ხომ გერმანიის ტერიტორიაზე მძიმე განსაცდელის გადატანა მოუხდა.

თავად მედლის მფლობელმა განაცხადა, ეს ჯილდო სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის, თუმცა იმთავითვე გარკვეულ კანონზომიერებაზეც მიგვანიშნა. ის დიდი მოძღვარი, რომლის სახელსაც მედლი ატარებს, როგორც ჩანს, ფლობს როგორც გივი მარგველაშვილისათვის, ისე ყოველი ჩვენგანისათვის სასიცოცხლო შეკითხვებზე პასუხს. მწერალმა გაიხსენა სიტყვები გოეთეს „ვილჰელმ მაისტერიდან“, „საუკუნე გვიშველისო“, და დასძინა: გოეთე საფრანგეთის რევოლუციის მომხსნე იყო, მაგრამ გაიარა ხანმა და ის აპოკალიფსიც დასრულდა, ჩვენ კი სხვა აპოკალიფსი გვხვდა ნილად, მაგრამ XX საუკუნე მიიწურა და ჩვენც საბჭოთა კავშირის დამხობას მოვესწარიით.

როგორც ჩანს, დრო მართლაც ყოველივეს მკურნალია.

იმ საღამოს ცოტას საუბრობდა, უფრო – უსმენდა. მის შესახებ საუბრობდნენ მწერალი ნაირა გელაშვილი, კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე, ფილოსოფოსები ბადრი შარვაძე და გივი ზედანია. ავტორი კითხულობდა საკუთარ ტექსტებს დედანში, ნაირა გელაშვილი კი – მათ ქართულ თარგმანებს.

თბილისში ჩამოსვლისთანავე გივი მარგველაშვილს უთქვამს, ლაპარაკს გადავეჩვიე, – ქართულად კი არა, საერთოდ ლაპარაკსო. იქნებ ეს იმიტომ, რომ წლების მანძილზე სულ უფრო უღრმავდება ყოველდღიურისგან, ამწუთიერისგან გამიჯნულ მხატვრულ სამყაროს, სადაც ის ერთდროულად შემოქმედიცაა და მკითხველიც და, ნებისმიერი ჩვენგანის მსგავსად, ისიც მარტოდმარტოდ და მდუმარედ დგას „წიგნის და ცხოვრების ძველ, დაკნინებულ გზაზე“. ეს – სათაურია მისი ერთი მინიატიურის. ავტორი-მკითხველი აქ მოგვინოვებს, ოქროთი, გუნდრუკითა და მურით დატვირთულ აღმოსავლელ ბრძენებთან ერთად კვლავ დავადგეთ იმ უცნაურად ამაღლებულ და ბუნდოვნად ნაცნობ გზას, რამელიც ოდესღაც უკვე გამოვიარეთ, მაგრამ დავგავიწყდა, რადგანაც „დიდხანს, ძალზე დიდხანს მიედინებოდა ჩვენი უაზრო კითხვა-ყოფნა უბადრუკ წიგნთა საუფლოში“. ავტორ-

რი გვამშვიდებს, ამ გზას, თუ მოინდომებ, კვლავაც გაივლი, თანაც გვაფრთხილებს: „გულით მოინადინე! ჩადი, ჩაიძირე შენს წარსულში, ფიქრით ჩაღრმავდი... იჩქარე! რადგან ჯერ ისევ მოსჩანს ვარსკვლავი და მინდობილად მიმავალი ბრძენი მეფენი, ჯერ კიდევ შეგიძლია დაენიო მათ და შეუერთდე“. ჯერ კიდევ... სანამ გვიან არ არის...“

ნიგნის სამყაროში ჩაღრმავება რეალობისგან გაქცევა როდია: პირიქით, ეს ჩვენს პიროვნულ სიღრმესა და სამყაროს სიღრმეში დაბრუნებაა, რომელსაც ჩვენს აჩქარებულ და ზედაპირულ ეპოქაში ასე დავმორდით. თუმცა ეს გივი მარგველაშვილისთვის ერთგვარი თამაშიცაა, – ნატიფი იუმორით აღბეჭდილი და მაინც ძალზე სერიოზული თამაში ლიტერატურული პარადიგმებით. ნიგნის სამყარო განწყენებული და უძრავი კი არა, – უსასრულოდ განმეორებადია (რამდენჯერაც წაიკითხავ ნიგნს, მასში მოთხრობილი ამბავიც იმდენჯერ ხდება), მასში შესაძლებელია ჩარევა და ცვლილებების შეტანა.

ძალადობის, ომის, ტოტალიტარიზმის ურიცხვი კვალით დასერილი XX საუკუნის გამოცდილება ჩვენმა ეპოქამ ტოლერანტობის მიმე ფასეულობად გადაამუშავა. სულ ცოტათი, სულ ოდნავ უფრო ჰუმანურები თუ არ გავხდით, ყოველ შემთხვევაში, ამის აუცილებლობა მაინც შევიგრძენით. და აი, თანამედროვე ავტორ-მკითხველი უკვე ვეღარ ურიგდება გარდასულ საუკუნეთა ტექსტებში ყოველ ნაბიჯზე მომხდარ სისხლიან თუ უსისხლო ძალადობას, ის გამბედავად შეიჭრება ტექსტის ქსოვილში ამ ძალადობის პერსონაჟ-მსხვერპლთა გადასარჩენად. მისთვის ისიც კი აღარ ემარა, უფლის ანგელოზი აბრაამის მოღერებულ მახვილს რომ შეაჩერებს: მართალია, უფალს თავიდანვე არ გაუმეტებია ყრმა ისააკი სამსხვერპლოდ, მაგრამ ბავშვმა ხომ ეს არ იცის! მკვლელად მოვლენილი მამის ხილვა ხომ წარუშლელ მორალურ ტრავმად ექცევა! ამიტომაც დარაზმულან რეალური სამყაროდან მოსული „ნიგნის სამყაროს სამმართველოს მუშაკები“, კეთილშობილ რაინდთა ეს ორდენი: ისინი თვით ანგელოზსაც კი დაასწრებენ, დროულად გააპარებენ ისააკს მსხვერპლშენივრის მთიდან ისევე, როგორც ბეთლემელ ბავშვებს გადაიყვანენ მათეს სახარებიდან ლუკას სახარებაში, სადაც ყრმათა გაუღეტის საზარელი ეპიზოდი გამოტოვებულია, – ხოლო, თუკი ტექსტიდან გამოტოვებულია, მაშასადამე, არც მომხდარა და, მაშასადამე, ეს ბავშვებიც აქ პეროდეს რისხვას გადაურჩებიან. ამავ ეთიკური მოსაზრებებით „მუშაკები“ ჩააგონებენ შილერის ბალადის პერსონაჟ მშვენიერ და სასტიკ ქალბატონს, არ ისროლოს ხელთათმანი მხეცებით სავსე არენაზე და ამით შეინარჩუნოს თავისი სატრფოს სიყვარული და პატივისცემა.

ცოტათი უცნაური თამაშია, არა? რას მივიღებთ, ყველა ლიტერატურული ტექსტიდან მართლაც რომ ამოვადგოთ ყოველგვარი ტრაგიზმი, დაძაბულობა, უსამართლობა? ხომ არ გახდება ამით ნიგნის სამყარო ფერმკრთალი და უმარი-

ლო, ხომ არ დაემსგავსება თანამედროვე რიგითი ევროპელის საქმიან, მოზომილ, ერთფეროვან ყოფას? ეს ერთი შეხედვით. ხოლო, თუკი მართლაც ჩავუღრმავებთ, ჩვენთვის აშკარა გახდება ნიგნის სამყაროს სრულიად სხვაგვარი, მაგრამ არანაკლებ მკაცრი და სასტიკი „ესთეტიკური დაუნდობლობის“ კანონები. აი, პატარა და უსუსური „ლირიკული მე დგას გათოშილი თავის ციციქნა, სულ ორიოდსტროფიანი ლექსის გზაზე“ და მკითხველებს ამოდ ემუდარება, შემოყვარეთ და წამიკითხეთ, თორემ მოვკვდებიო. ისინი კი ზურგს აქცევენ ლირიკულ მთხოვარს და უხეშად ჰპასუხობენ: „მერე მოკვდი! ... ყველასთვის ასე აჯობებს!“ და ამ საბრალოს არც ანგელოზი მოევიწიება, არც რომელიმე მკითხველი გამოიჩენს ქრისტიანულ შემწყნარებლობას და სამადლოდ არ შეიყვარებს („არ“ კი არა, „ვერ“), თუმცა ლირიკულ მეს სულაც არ მიუძღვის ბრალი იმაში, რომ პოეტს მისი ლექსი „არ გამოუვიდა“. რუსული ანდაზისა არ იყოს, **насилиям мил не будешь**. მისთვის ავტორ-მკითხველს მხოლოდ მოკლე, აფორიზმად ქცეული პასუხი აქვს: „ესთეტიკა არ არის ეთიკა!“



გივი მარგველაშვილი და ნაირა გელაშვილი

აი, რა ხოცავთ ნიგნის პერსონაჟებს ყველა ლიტერატურულ მახვილ-სატივარზე უფრო უღმობლად: მკითხველის გულგრილობა! არადა ბოლო ხანებში ეს სასჯელი სულ უფრო ხშირად დაუმსახურებლად ატყდება თავს წინა ეპოქებში ყველასაგან პატივცემულ პერსონაჟებსა და ტექსტებსაც: ჩვენ სულ უფრო იშვიათად ვშლით ძველ, დიდ, ნამდვილ ნიგნებს... უკვე ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე დგანან ცნობილ პოეტთა ლექსების ბალები: თუკი მათ მკითხველის მაცოცხლებელი ჩრდილი არ დაეცათ, დაჭკნება მათი ხოტბაშესხმული ვარდყავილები. ნიგნის მეზალებიც იძულებულნი არიან მათ გადასარჩენად მარჯვე იმიტაციას მიმართონ: ცაში გამოჰვიდონ მკითხველის თავისხელა უზარმაზარი ბუმბულები და, როგორც კი ამ ბუმბულების ჩრდილი დაეცემათ, „ყოველი ლირიკული მცენარე მაშინვე იჯერებს, რომ მას კითხველობენ: ნელში სწორდება და სამუდამოდ აყვავებული რჩება თავისი ლექსის მიდამოში“.

– ჩვენ ახლა უკვე ვიცით, თუ რა ენოდება ამ თამაშს, – აცხადებს ლევან ბრეგაძე, – ეს პოსტმოდერნია, კლასიკური პოსტმოდერნი, მაგრამ მაშინ, როდესაც გივი მარგველაშვილი ამ ტექსტებს წერდა, ჯერ არ არსებობდა ეს ტერმინი, ჯერაც არ ჰქონდა სახელი ამ ესთეტიკურ მეთოდსა და მის მშობელ ეპოქას.

ეს ტრაგიკული თამაშია, – ამას საუკეთესოდ ცხად-ჰყოფს გივი მარგველაშვილის ერთი უაღრესად შთამბეჭდავი ლექსი. ლევან ბრეგაძე მას საუკუნის ლექსად მიიჩნევს: სწორედ იმ XX საუკუნისა, რომლის ჭრილობები დროის მსვლელობამ უნდა მოაშუშოს. ეს ლექსი თემატურად პასუხობს საუკუნის ყველა გამოწვევას. აქაც იშლება ყოველგვარი ზღვარი: რეალობასა და ნიგნის სამყაროს შორის, მკითხველს, პერსონაჟს, პიესის მაყურებელსა და მსახიობს

შორის; დიახ, თვით სააქაოსა და საიქიოს შორისაც! მართალია, მხოლოდ წუთით. მამა – პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლი – ჰამლეტის მამის აჩრდილის მაგიერ გამოცხადება თავზარდაცემულ ავტორ-მკითხველ-მაცურებელს ტრაგედიის ცნობილ სცენაში და შურისძიებას ითხოვს მისგან. „ჰამლეტად ყოფნა თუ არყოფნა?“ – ასე უღერს მამებ-დახოცილ შვილთა თაობის გადაუჭრელი დილემა. გივი მარგველაშვილი მას გადაწყვეტს შემოქმედების ძალით, ტექსტის ფარგლებიდან გამოუსვლელად და საკუთარ თავს ჰამლეტის პირობით მოუწოდებს: „ნანარმოებში ანარმოე შურისძიება!“

დროდადრო იშლება ზღვარი მხატვრულ ტექსტსა და ჩვენს ცხოვრებას შორის, მაგრამ არა სამუდამოდ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩვენი რეალობაც ტექსტია, – გივი მარგველაშვილის მსოფლმხედველობას ასე განმარტავს გივი ზედანია. – ეს სამყაროც ტექსტია, ოღონდაც ყველა ლიტერატურულ ტექსტზე ბევრად უფრო ვრცელი, კომპოზიციურად გაცილებით რთული, და მისი სათქმელიც ისეა შეფარული, რომ ძალზე ძნელად თუ აზოვიცნობთ მას. ყოველი ჩვენგანი ხომ სამყაროს ნიგნის მხოლოდ ორიოდ ფურცელს თუ შეავლებს თვალს; ამა თუ იმ მოვლენის წვდომისას მხოლოდ მის გარშემო შექმნილ სუბიექტურ ტექსტთა, თვალსაზრისთა უსასრულო ვარიანტებს ვიშველიებთ, თავადაც ტექსტები ვართ ერთერთისათვის – მეტნაკლები სირთულის; ხოლო მთლიანი, დაუნაწევრებელი, ობიექტური წვდომა სამყაროს ტექსტისა მხოლოდ მას ძალუძს, ვინც ტექსტს აღემატება, მაშასადამე, მის უზენაეს ავტორ-მკითხველს, – სამყაროს შემოქმედს. და, თუკი რომელიღაც ლირიკული არსება წყალობასავით შეჰნატრის ჩვენს მაცოცხლებელ მზერას, უფალი ღვთისთვის ჩვენც ხომ ასეთივე უსუსური,

ციცქნა პერსონაჟები ვართ და შიშის კანკალით ველით ჩვენს ბედს: ან მისი მზერის სხივებქვეშ გავიფურჩქნებით, ან უქნებ, უღირსად ჩათვლილნი, მისი ყურადღების გარეშე დავჭკნებით...

გივი მარგველაშვილთან შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა, ბევრი საყურადღებო სიტყვა ითქვა, ბევრი იყო მცდელობა, მისი ტექსტების ტექსტივზე გაშიფრვისა. მაგრამ იყო მეორე, შეიძლება ითქვას, საპირისპირო ტენდენციაც. ის ბადრი შარვაძემ გამოხატა თავისი მოკლე და შთამბეჭდავი გამოსვლით. მას არ უცდია გივი მარგველაშვილისადმი საკუთარი მიმართების გამოხატვა, მის მიზნებში საერთოდ არ შედიოდა ტექსტის შექმნა: მისთვის ამ საღამოს უმნიშვნელოვანესი უბრალოდ საყვარელ ავტორთან ერთად ყოფნა იყო, მისით ტკბობა, მისი აღტაცებული ცქერა... მე მგონი, ამ ტენდენციის მომხრე ცოტათი მაინც თვით ამ საღამოს სტუმარიც იყო. ისიც ტკბებოდა მეგობრებთან, კოლეგებთან, მკითხველებთან ერთადყოფნით. ხოლო, რაც სათქმელი აქვს, თავის ნიგნებში გვითხრა და კვლავაც გვეტყვის.

ჩანს, ტექსტის შექმნის გვერდით ადამიანს მეორე, სრულიად საპირსპირო და არანაკლებ სასიცოცხლო მოთხოვნა ჰქონია: ტექსტის ნგრევა. ადამიანი ხომ წინააღმდეგობებით აღსავსე არსებაა. დიახ, სამყარო ტექსტია. მაგრამ არსებობს ტექსტის მატერიაში ჩაძირვის საშიშროებაც. ხანდახან მაინც უნდა შევძლოთ ტექსტის მიღმა ჩახედვაც: იმ გამოუცნობ, მოუხელთებელ სინამდვილეში, ყოველ ტექსტს რომ აღემატება. თუკი ამას არ ვიზამთ, ეს სამყაროც მკვდარ ტექსტად შეგვჩნება. მაშ, კვლავაც დავადგეთ „ნიგნის და ცხოვრების ძველ, დავინყებულ გზას“, გავისხენოთ, ვისთან მიდიან აღმოსავლეთიდან მოსული ბრძენი მეფენი და შევუერთდეთ მათ. მივყვეთ ვარსკვლავს...

ქრონიკა

23 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახელობის კაბინეტი. ეს აქ უკვე მეორე კულტურულ-საგანმანათლებლო გარემოა სოლომონ დოდაშვილის სახელობის კაბინეტის შემდგომ.

ილია ჭავჭავაძის კაბინეტის გახსნასთან ერთად გაიმართა წარდგინება როსტომ ჩხეიძის მეცნიერული ნაშრომისა „ნიკოლოზ ბარათაშვილიდან ლუარსაბ თათქარიძემდე“. განხილვაში მონაწილეობდნენ ჟურნალისტიკის სპეციალისტის III კურსის სტუდენტი სოფიკო ონანაშვილი, ჟურნალისტიკის განყოფილების უფროსი მასწავლებელი ნინო მანჯაფარაშვილი და ამავე განყოფილების გამგე თამაზ ხმალაძე, პროფესორი გივი ლომიძე, პედაგოგი ეთერ ბერიაშვილი, გაზეთ „სიღნაღის“ მთავარი რედაქტორი და ბიბლიოთეკის გამგე მზია ასანიშვილი, ფილიალის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, პროფესორი სოსო მახარაშვილი, და თვითონ ნიგნის ავტორი, მწერალი და მეცნიერი როსტომ ჩხეიძე. უცხო ენების სპეციალისტის IV კურსის სტუდენტმა ნანა ბეგიაშვილმა თეზისური სახით წარმოადგინა მოხსენება, რომელმაც გაიმარჯვა სტუდენტთა კონფერენციაზე: „არტისტული გადატრიალება“ – ეპოქის დოკუმენტი“.

ფილიალის თანამშრომლებს ამ ახალი კაბინეტის შექმნა მიულოცა ილიას კაბინეტის დამაარსებელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პროფესორმა ლადო მინაშვილმა, რომელმაც საჩუქრად ჩამოიტანა თავისი მონოგრაფია ილია ჭავჭავაძეზე, აგრეთვე „ილიას კრებულის“ ორი ტომი.

გადაწყდა, რომ უახლოეს ხანში ფილიალის შენობაში გაიმართება მხატვარ კარლო ფაჩულის გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი თხზულების ილუსტრაციებიც. მკითხველს ახსოვს, რომ სწორედ ამ მხატვრის ნამუშევარი იქცა ემბლემად ლიტერატურული კონკურსისა „ლუარსაბ თათქარიძე“. კარლო ფაჩულია დაპირდა კაბინეტის მესვეურთ, რომ ილიას თემებზე შექმნილ ილუსტრაციებს გამოფენის შემდეგ საჩუქრად უძღვნის ახალ-დაარსებულ კაბინეტს.

ქრონიკა

„მოგონებათა ნიგანი“ – ასეთი სახელწოდება შეურჩევია ახალი თხზულებისათვის გამოჩენილ მეცნიერსა და მწერალს რევაზ თვარაძეს. ის მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდი-საა, აცოცხლებს მთელს ეპოქას XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე და, რაც მთავარია, შთამბეჭდავად, ცოცხლად და დანერგილი.

მისი ამ ახალი ნიგნის წარდგინება გაიმართა ნიგნის მოყვარულთა საზოგადოებაში. საღამო გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ ლია ნადარეიშვილმა, ხოლო უძღვებოდა გაზეთის – „კალმასობა“ – რედაქტორი შარლოტა კვანტალიანი.

რევაზ თვარაძის მოღვაწეობაზე, პიროვნულ ღირსებებსა და გამორჩეულად, ცხადია ახალ ნიგნზე, აგრეთვე მხატვრულ-დოკუმენტური თუ მემუარული ჟანრის მნიშვნელობაზე ისაუბრეს მწერლებმა და მეცნიერებმა: გურამ ბენაშვილმა, გენო კალანდიაძემ, ემზარ კვიციანიშვილმა, ნონა ჯაპრეიშვილმა, მაკო ჯანჯიბუხაშვილმა, მაია ჯალიაშვილმა...

აღინიშნა, რომ „მოგონებათა ნიგანი“ მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ლიტერატურისა. მკითხველი გაუნელებელი ინტერესით ჩაიკითხავს ბოლომდე და დაელოდება მეორე ნაკვეთის გამოცემას, რომლის დასრულებასაც სულ მალე გვპირდება ავტორი.

თამაზ ლეჟავა

ვინ იყო ივანე მარგიანი?

*

სვანური სიმღერისა და ცეკვის
ანსამბლის ისტორიიდან

ჩემს ახალგაზრდობაში დედაჩემისგან ხშირად მსმენია, რომ სვანური სიმღერის და ცეკვის გუნდი 1928 წელს ჩამოყალიბებია და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გაუმართავს კონცერტები ბაზუჩემს – ივანე მარგიანს. ოჯახში შემონახული ფოტოები ადასტურებენ ამ ფაქტს, მაგრამ ოფიციალური პრესა სვანური სიმღერის და ცეკვის ანსამბლის პირველ ხელმძღვანელად მურზაყან დადემქელიანს მოიხსენიებდა. მხოლოდ 1973 წელს, გიორგი ავალიანის და გიორგი ზურაბიანის მიერ გამოცემულ წიგნში „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“, რომელიც თავმოყრილია ლაზარე დადუანის, ბესარიონ ნიჟარაძისა და ივანე მარგიანის მიერ პრესაში გამოქვეყნებული წერილები, ავტორები აღნიშნავენ, რომ ივანე მარგიანმა „პირველმა ჩამოაყალიბა ზემო სვანეთის სიმღერისა და ცეკვის გუნდი, რომელიც თბილისში ჩამოიყვანა. მათ აქ კონცერტები გამართეს ოპერისა და ბალეტის თეატრში, შემდეგ კი საგასტროლოდ გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში და, სხვათა შორის, მოსკოვში კრემლის სვეტებიან დარბაზშიც წარდგნენ მასუბრებლის წინაშე“.

ბაბუა გარდაიცვალა 1933 წელს, როცა მე რამდენიმე თვისა ვიყავი და მხოლოდ ახლა, როცა 70 წელს გადავაბიჯე, გადავწყვიტე უფრო მეტი გამეგო მის შესახებ, რისთვისაც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში არსებული 1927-29 წლების პრესა ფურცელ-ფურცელ გადავათვალიერე.

გაზეთ „კომუნისტი“-ს 1928 წლის 13 ივლისის ნომერი იტყობინება, რომ:

„სვანური ხალხური სიმღერების ჩასაწერად სახ. კონსერვატორიის მიერ ლ. ქუთათელიძის ხელმძღვანელობით გაგზავნილი ექსპედიცია უკვე ჩავიდა სვანეთში. კონსერვატორიის ცნობით ექსპედიცია ამჟამად მუშაობს ლახაშულაში“.

მოგვიანებით („კომუნისტი“, 1928 წლის 13 ნოემბერი, „მომღერალთა სვანური გუნდის გარშემო“) ივანე მარგიანი, აჯამებს რა სვანების მომღერალთა გუნდის გამოსვლებს თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში და ერევანში, აღნიშნავს:

„სვანური (ძველი ქართული) სიმღერების ფართო საზოგადოებისადმი გაცნობისა და გუნდის შექმნის იდეა დაიბადა სვანეთში ამ რამდენიმე წლის წინად, მაგრამ მას საძირკველი ჩაეყარა წელს სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორის ლარისა ქუთათელაძის სვანეთში მოსვლით; მას ბევრი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმის დაგვირგვინებაში. მის განხორციელებას ხელი შეუწყო აგრეთვე სვანეთში საბჭოთა რუსეთიდან მგზავრების (დენისოვა, ლობაჩოვი და სხვ.) მოსვლამაც. მათ გამოსთქვეს სურვილი მოგვეხდინა სიმღერების

დემონსტრაცია მოსკოვ-ლენინგრადსა და საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, ვინაიდან ამ საქმეს ისინი აძლევენ ეთნოგრაფიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას“.

ამის შემდეგ იგი აღწერს, თუ როგორ მოხერხდა გუნდის გამგზავრება თბილისში და შემდეგ ერევანში.

„20 კაცისაგან შემდგარმა გუნდმა თავს იდვა ამ საძნელო და სიმპატიური საქმის განხორციელება. ცოტა ფულით (ადგილობრივმა აღმასკომმა და კოოპერ. გამგეობამ მოგვცეს ავანსი 500 მანეთამდე) იგი ჩამოვიდა თბილისში. საოპერო თეატრში 26 ოქტომბერს ჩატარებულმა კონცერტმა დაგვანახა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე სვანურმა ცეკვა-სიმღერამ და საკრავებმა. ერევანში სამჯერ გამართულმა კონცერტმაც მოლოდინს გადააჭარბა და საზოგადოება დიდი აღტაცებით მიეგება გუნდს. სვანურმა გუნდმა ფართე საზოგადოებას უჩვენა ძველი ხალხური ცეკვა-სიმღერა და საკრავები ისე, როგორც ამას მღერის სვანი სახნისთან, ჭირში და ლხინში. ეს მისი დიდი დამსახურებაა. საქირთა მას აღმოეჩინოს ფინანსური და მორალური დახმარება“.

გაზეთ „კომუნისტი“-ს 1928 წლის 26 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულ წერილში „სვანების მომღერალთა გუნდი“, რომელსაც ხელს აწერს „სვანი“ (როგორც ჩანს, ფსევდონიმია), მოთავსებულია ივანე მარგიანის მიერ ჩამოყალიბებული გუნდის ფოტო და აღნიშნულია:

„სვანეთიდან თბილისში ჩამოვიდა 18 კაცისგან შემდგარი მომღერალთა გუნდი, რომელიც დღეს ოპერის თეატრში გამართავს კონცერტს. შესრულებული იქნება სვანური სიმღერები ფერხული, შუშპარა; სვანები დაუკრავენ აგრეთვე ჩანგსა და ჭიანჭურზე. გუნდის მიზანია გააცნოს ფართო საზოგადოებას სვანური ხალხური სიმღერები, რომელთაც მრავალი ასეული წლების ისტორია აქვს. გუნდი შესდგება გლეხებისაგან, მას ხელმძღვანელობს სვანი ივ. მარგიანი, გუნდი მიემგზავრება მოსკოვ-ლენინგრადში, სადაც გამოითქვა სურვილი სვანური სიმღერების მოსმენისა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სვანეთიდან მომღერალთა გუნდი გამოდის სცენაზე“.

ამ მასალებიდან ირკვევა, რომ 1928 წლის ოქტომბერში თბილისში ჩამოსული სვან მომღერალთა გუნდი პირველი სვანური ანსამბლია და რომ მისი ჩამომყალიბებელია ივანე მარგიანი.

იმავე წერილში განმარტებულია სვანური სიმღერების შინაარსი.

„სიმღერები საგმირო ხასიათისაა: სვანი უმეტეს წილად გმირობა ვაჟკაცობას უმღერის, სიყვარულზე ის ნაკლებად მღერის, მაგრამ აქაც გმირობაა ჩაქსოვილი. მრავალი ასეული წლების წინეთ სვანი ისე მღეროდა, როგორც ახლა მღერის. სვანეთის განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობების (კარჩაკეტილობა) გამო სიმღერები დღემდე შენახულია. სიმღერების მუსიკალური მხარე მდიდარია ჰანგებით და მსმენელზე ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს“.

ყურადღება მისაქცევია ის ფაქტი, რომ გუნდს, რომელსაც ივანე მარგიანი ხელმძღვანელობდა, იმდენად ფართო რეპერტუარი ჰქონია, საკონცერტო საღამოებს მთლიანად ავსებდა.

1928 წლის 25 ოქტომბრის „Заря Востока“ იტყობინება:

„26 октября в гос. опере состоится первый концерт крестьянского сванского хора. В программе исключительно сванские народные песни.“

გუნდის მომზადების დონეზე მეტყველებს 1928 წლის გაზეთ „Известия“-ს 28 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებუ-

ლი სერგეი ბუგოსლავსკის სტატია „Музыка и пляски сванов“. ეს არის მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებული ერთადერთი პროფესიული სტატია, რომელსაც მე მივაგენი. იგი წერს:

„На этнографическом вечере организованном Софиллом, показано было своеобразное музыкально-бытовое искусство племени сванов, населяющих Лечхумский уезд Грузинской ССР. Исполнителями песен, инструментальных номеров и танцев выступила группа мужчин – сванов. Мы присутствовали на показе сохранившейся у сванов очень древней музыкальной культуры. Здесь ещё не расчленены песни, пляска, действие, звукоряды сванетских песен небольшого объёма, мелодические отрывки жгато-лаконичны и просты. На песню сванов несколько не повлияла властвующая на Кавказе арабо-персидская музыка. Песня Сванетии – эпически спокойная, суровая, строго диатоническая (т.е. на звукоряде из тонов и одного-двух полутонов), лишённая изысканных мелодических украшений, в простых ритмах. Своеобразной чертой сванетских песен является их трехголосный аккордовый склад, свойственный песням Восточной Грузии. Чрезвычайно чисто (в так называемой „натуральной“ звуковой системе) звучат в мужском хоре мажорные и минорные трезвучия и изредка диссонирующие сочетания; сурово и жестко звучат параллельные трезвучия. В песне сванов ярко отразился их воинственный быт (борьба и с внешним врагом, и классовая – с князьями).“



ზემო სვანეთის მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდი ივანე მარგიანის ხელმძღვანელობით (ზის შუაში), მოსკოვში გასტროლების დროს – 1928 წელი

სვანურ ცეკვებს იმავე სათაურის ქვეშ ანალიზებს ვ. ივინგი. მისი შეფასებები იმდენად მოულოდნელია, რომ გაკვირვებული რჩები – როგორ მოახერხა პროვინციული გუნდის ხელმძღვანელმა ასეთ მაღალ პროფესიულ დონეზე გუნდის მომზადება:

„Несмотря на незатейливость общего узора движений, все сваны делают одно и то же движение одновременно, с почти безупречной точностью, которая сделала бы честь нашему кордебалету. Тут можно встретить даже вспрыгивание на пальцы ног (пуанты), обычно считающееся свойственной лишь искусственной форме танца, т.е. классическому балету. Несравненная мягкость, ловкость и сила придают танцу замечательное изящество“.

ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ გამახსენდა, რომ სვანეთში ყოფნისას მაჩვენებს ტყიანი ფერდობის მცირე ზომის ვაკე, სადაც თურმე ივანე მარგიანი გუნდს ავარჯიშებდა. როგორც თვითმხილველები იხსენებდნენ, მას გაბმული ჰქონდა თოკები სხვადასხვა მოძრაობის შეზღუდვა-დაფიქსირებისათვის.

ოჯახში შემონახულია მოსკოვის გასტროლების დროს გადაღებული ფოტოს უკანა გვერდზე არსებული გუნდის შემადგენლობის არასრული სია: გუნდის ხელმძღვანელი ივანე მარგიანი (ზის ცენტრში). მონაწილენი: მურზაყან დადემქელიანი (ივ. მარგიანის მარჯვნივ), სიმონ გასვიანი, ალექსი ფილფანი, სები გულედანი, აბესალომ იოსელიანი, ბესო ხაჭვანი, ფარჯიანი, ხარძიანი, მარგველანი, მადრანი.

1928 წლის 26 ოქტომბრის „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ფოტოზე დამატებით ამოვიცანი ივანე მარგიანის ძმისშვილები: ვალო და ბუთული მარგიანები.

გაზეთ „კომუნისტის“ 1928 წლის 4 ნოემბრის ნომერში მოთავსებულია „ი. მ-ნი“-ს წერილი სათაურით „მომღერალ სვანთა გუნდი სტუმრათ მესანგრეთა ასეულთან“.

„29 ოქტომბერს სვანების მომღერალთა გუნდმა მესანგრეთა ასეულის პატივსაცემად ასეულის კლუბში გამართა უფასო კონცერტი. ეს ის ასეულია, რომელმაც ბევრი შრომა გასწია ჯვარის მიმართულებით გზის

გაყვანაზე და რომელიც შეფათ აყვანილი ჰყავს სვანეთში მულახის თემს. მესანგრეთა რაზმი ალტაცებით შეხვდა გუნდს. პირველად მოკლე სიტყვით გამოვიდა გუნდის მონაწილე ამხ. ს. გულედანი, რომელმაც მადლობით აღნიშნა მესანგრეთა ღვანლი სვანეთის გზის გაყვანაში და გამოსთქვა სურვილი მტკიცე განუყრელი კავშირისა სვანეთსა და ასეულს შორის. შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. კონცერტის დასრულებისას სამადლობელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ფოკინი, რომელმაც აუნერა მსმენელებს სვანეთის მდგომარეობა. ბოლოს ასეულმა შეასრულა სიმღერა გუნდის პატივსაცემად „наш путь не мал“, რომელიც მესანგრეთა მიერ პირველად ნამღერევი იყო სვანეთში ყოფნის დროს და რომელშიაც სვანეთის ბუნებასთან ერთად აწერილია მესანგრეთა მუშაობის სიძნელენი გზის გაყვანის დროს. მესანგრეებმა დიდი ალტაცებით გაისტუმრეს გუნდი, რომელმაც „ოშორერას“ (მარში) სიმღერით დატოვა დარბაზი“.

ამრიგად 1927-29 წლების ქართული და რუსული პრესის გაცნობა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ქართული მუსიკალური ფოლკლორის ისტორიაში პირველად ივანე მარგიანმა ჩამოაყალიბა სვანური ეთნოგრაფიული გუნდი და გააცნო ფართო საზოგადოებრიობას სვანური ცეკვისა და სიმღერის ნიმუშები.

ჩემი ბიძაშვილი ნელი მარგიანი-ასამბაძისა იხსენებს, რომ მათ ოჯახში შემონახული იყო ივანე მარგიანის ხელმძღვანელობით შესრულებული სვანურ სიმღერათა გრამფორფიტები, რომლებიც დროებით სარგებლობისათვის წაუღია ჩემთვის უცნობ ეთნოგრაფს და შემდგომ აღარ დაუბრუნებია. ცოტა ხნის წინათ ქართული მუსიკალური ფოლ-

კლორის უდიდეს მოამბავს, ანზორ ერქომაიშვილს მოსკოვის არქივიდან ამოუღია ივანე მარგიანის გუნდის 8 სიმღერის ჩანაწერი.

ახლა ზოგიერთი რამ ივანე მარგიანის ბიოგრაფიიდან და კიდევ ის, თუ რა მიზეზით გაქრა მისი სახელი სვანური მუსიკალური ფოლკლორის ისტორიიდან.

ივანე მარგიანი დაიბადა 1872 წელს ზემო სვანეთში, მულახის თემის სოფელ მუჟალში. წერა-კითხვა მამას, მუჟალის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელს გიორგი მარგიანს უსწავლეს. იგი ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ხალხოსნური მოძრაობის გავლენით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა შორის მომხდარ ერთ-ერთ მღვდლმართაში მონაწილეობის გამო სასწავლებლიდან გაურიცხავთ. მალე იგი ახერხებს თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელებას. თბილისის სასულიერო სემინარიაში მასთან ერთად სწავლობდნენ კორნელი კეკელიძე და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

სემინარიის დამთავრების შემდეგ მღვდლად აკურთხეს და გაამწესეს ქვემო სვანეთში, სოფელ ჩოლურში, სადაც მღვდლობასთან ერთად მასწავლებლობდა კიდევ. მოღვაწეობს საქართველოს ჟურნალ-გაზეთებშიც (“ივერია”, “მოგზაური”, “ცნობის ფურცელი”, “მოამბე”, “მწყემსი”), სადაც სიმართლითა და დიდი გულისტკივილით წარმოგვიდგენს ძველი სვანეთის ყოფა-ცხოვრების დუხჭირ მხარეებს, სახავს სვანეთში სწავლა-განათლების, მიმოსვლის საშუალებათა და სამედიცინო მომსახურების, აგრეთვე ბევრი სხვა მოუგვარებელი საქმის გაუმჯობესების გეგმებს (წერილების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია გიორგი ავალიანისა და გიორგი ზურაბიანის მიერ შედგენილ წიგნში „ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“).

საგულისხმოა, რომ პირველი წერილი გაზეთ “დროებაში” ივანე მარგიანს გამოუქვეყნებია 19 წლისას. განსაკუთრებით საინტერესოა წერილი სვანური ენის შესახებ (ჟურნალი “მოამბე”, 1903, ნომერი 7 განყ 2), რომელშიც იგი მთლიანად აქარწყლებს რუს მკვლევარ სტოიანოვის საფუძველშივე მცდარ მტკიცებას სვანური და ქართული ენების სრული სხვადასხვაობის შესახებ, რაც საქართველოს კუთხეების გათიშვას და ჩვენი ეროვნული თვითშეგნების ძირის გამოთხრას ემსახურებოდა. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ნიშანდობლივია ივ. მარგიანის წერილი („ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე“, გვ. 127), სადაც იგი გამოხატავს სვანეთის მოსახლეობის აზრს ქართული ენის ცოდნის საჭიროების შესახებ:

„ჩვენი ხშირი საშოვარი ადგილები არის: ლეჩხუმი, რაჭა, იმერეთი, ქუთაისი, ხშირად ქართლიც, გურია, სამეგრელო, სამურზაყანო და აფხაზეთი, სადაც ქართულად ჰლაპარაკობენ. ამ ადგილებში ვაჭრობა, ალბ-მიცემობა უმეტეს წილად სრულდება ქართული წეს-რიგით“ (ხაზგასმა ჩემია თ. ლ.) საგულისხმოა, რომ ეს წერილი გამოქვეყნებულია მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში.

მოგვიანებით იგი რაჭა-ლეჩხუმის სამღვდლოების დეკანოზია და იმავდროულად ცაგერის ცხრანლიან სკოლაში ასწავლის ქართულსა და რუსულ ენებს და ფიზიკას; ცაგერში შექმნა ოჯახი ვარვარა ბერიძესთან. შეეძინათ ორი ქალიშვილი – ნანა, თამარი – და ორი ვაჟი – დიდიმი, ლადო. მისი სახლი ისეთი დიდი ყოფილა, რომ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მის ერთ ნაწილში რაიონული საავადმყოფო განთავსდა. მის ოჯახში თავს იყ-

რიდნენ ახლო ნათესავების შვილები, რომლებიც აქ საშუალო განათლებას იღებდნენ. ივანე მარგიანი თავისი ძირითადი სამსახურის გარდა სერიოზულად მისდევდა მეფუტკრეობას და აქტიურად ეწეოდა ქართული ჯიშის ფუტკრის პოპულარიზაციას. იგი საზღვარგარეთ (ამერიკაში) აგზავნიდა ქართული ფუტკრის დედებს, ხოლო იქიდან იღებდა პერიოდულ სპეციალურ ლიტერატურას. თავის ქვევრებში ინახავდა. ადგილობრივი მოსახლეობისათვის განკუთვნილი იყო ერთი ქვევრი, რომლიდანაც ნებისმიერ იქაურ მკვიდრს შეეძლო თავლის წამლად წაღება.

კულტურული მეფუტკრეობის გავრცელება სვანეთში უკავშირდება ივანე მარგიანის სახელს, რომელმაც საბჭოთა პერიოდში, სვანეთში დაბრუნების შემდეგ, სვანეთის რაილმასკომთან ჩამოაყალიბა საფუტკრე მეურნეობა და ასწავლიდა იქაურ მოსახლეობას ფუტკრის მოვლას.

ივანე მარგიანი საკმაოდ მკაცრი და ფიცხი კაცი ყოფილა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ე.წ. „კომსომოლებმა“ (ასე იხსენიებდა დედაჩემი კომკავშირულ აქტივისტებს) მას ანაფორა გაახდევინეს და მოთხოვეს საჯაროდ გამოსვლა და ღვთის დაგმობა. ივანე მარგიანი მართლაც გამოსულა სიტყვით და თავისი გამოსვლა ასე დაუმთავრებია: „რაც შეეხება ღმერთის არსებობა-არარსებობას, ამისათვის მე დამჭირდება ისეთი ფილოსოფიური წიაღსვლები, რომელსაც თქვენ ვერ გაიგებთ“. არ ვიცი როგორ, მაგრამ მაშინ ივანე მარგიანი გადაურჩა დაპატიმრებას... შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ცაგერის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, მექვენის ბარიტის წარმოების მმართველად, ზემო სვანეთის რაილმასკომის განათლების განყოფილების გამგედ.

დაპატიმრებას მაინც ვერ ასცდა. „თავისუფალმა სვანეთმა“ არ იცოდა ბატონყმობა. კოლექტივიზაციისას მრავალი სვანი არ დაემორჩილა მთავრობის გადაწყვეტილებას, თავიანთი მიწები მოექციათ საერთო საკუთრებაში და ამის გამო ტყვენი ყაჩაღად გავიდნენ. რაიონის ხელმძღვანელობამ ივანე მარგიანს, როგორც ავტორიტეტულ პიროვნებას, სთხოვა, შუამავლის როლი ეკისრა „ყაჩაღების“ შემორიგებაში. იგი დათანხმდა, მაგრამ მთავრობას მოსთხოვა მათი ხელშეუხებლობის გარანტია. მთავრობამ სიტყვა მისცა. თავიდან მას სიტყვა მართლაც შეუსრულეს, მაგრამ შემდეგ პირობა დაარღვიეს, რის გამოც ივანე მარგიანმა მთავრობასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ 1931 წელს თვით ივანე მარგიანიც დაპატიმრეს, რომელსაც ბრალი დასდეს ყაჩაღებთან ლოიალობაში. ბუნებრივია, იგი მოხვდა „შავ სიაში“, რის გამოც დედაჩემი – როგორც „შავსიელის“ შვილი – გარიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კურსიდან და მხოლოდ მოგვიანებით შეძლო სწავლის გაგრძელება. ყველაფერმა ამან შეარყია ივანეს ჯანმრთელობა და ნაღვლის ბუშტის ოპერაციის შემდეგ 61 წლისა გარდაიცვალა.

ივანე მარგიანის დაპატიმრების შემდგომ სვანეთის ეთნოგრაფიულ ანსაბლს სათავეში ჩაუდგა მურზაყან დადეშქელიანი, რომელსაც მანამდე გუნდის წევრობასთან ერთად ადმინისტრატორის ფუნქციები ევალებოდა. როგორც გადმოცემით ვიცი, მერე იგი შეცვალა პლატონ დადვანმა.

რა გასაკვირია, რომ ივანე მარგიანის, როგორც პოლიტპატიმრის სახელი, სვანეთის ეთნოგრაფიული ცეკვისა და სიმღერის ანსაბლის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორიიდან ამოეშალათ.

* * *

სანტერესოა ივანე მარგიანის საგვარეულოს ისტორია. ჩვენამდე მოღწეულია მისი ბაბუის ბაბუის, გიო მარგიანის სახელი, რომლისგანაც მომდინარეობს მარგიანების ამ შტოს გვარეულობა – გიოშა. ივანე მარგიანის ბედის განსაზღვრაში განსაკუთრებული როლი ითამაშა გიოს შვილიშვილმა – ივანეს ბაბუამ მურზამ და იმ შემთხვევაში, რომელიც უკავშირდება მთის სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებს.

ეს შემთხვევა მოთხრობილია ეგნატე გაბლიანის ნიგნში „ძველი და ახალი სვანეთი“ (ტფილისი, 1925 წ.), სადაც აღწერილია სტუმართმოყვარეობა სვანეთში:

„სვანს თავისი სტუმრის გალანძღვა, არამც თუ მაშინ, როცა ის ოჯახში იმყოფება, არამედ ოჯახიდან გასვლის შემდეგაც, დიდ სირცხვილად და თავის შურაცხყოფად მიაჩნია და ამიტომაც, თუ სვანის სტუმარს მის ოჯახიდან გასვლის შემდეგ მოგზაურობის დროს რაიმე ხიფათი მოელის, მასპინძელი მიჰყვება მას, სანამ სამშვიდობო ადგილას არ მიიყვანს, და რადგანაც სტუმრის გალანძღვა ჩვენში მასპინძლის შურაცხყოფად ითვლება და ამ ნიადაგზე ხშირად მკვლელობაც მომხდარა, ამიტომ თუ რომელიმე სვანს ასეთი სტუმრის გალანძღვა აქვს განზრახული, ის ხშირად იძულებული ხდება თავი შეიკავოს, ხოლო თუ ეს ასე არ მოხდა, მათ შორის, როგორც არის ნათქვამი, იმართება ბრძოლა და ხშირად მკვლელობაც“.

ამის დასტურად ე. გაბლიანს მოჰყავს საბედისწერო ამბავი, რომელიც ივანე მარგიანის ბაბუას, მურზა მარგიანს შემოხვია:

„რამდენიმე ათეული წლის წინეთ სვანეთში მოვიდნენ პირველი ნაკურთხი მღვდლები ქუთაისიდან. ქვემო სვანეთში ისინი ესტუმრენ თავად გარდაფხაძეს, ზემო სვანეთში რომ ამოვიდნენ – მარგიანებს. გარდაფხაძეებს ამ დროს ემტერებოდნენ მესტიაში მცხოვრები ჯაფარიძეები (მურზაყანაში), მის გამო, რომ მათ მიერ ცოლად დანიშნული გარდაფხაძის ერთმა ასულმა ჯაფარიძე მიატოვა. ჯაფარიძეებმა როცა ეთიკეს, რომ ზემოსხენებელი მღვდლები გარდაფხაძეების სტუმრები იყვნენ, გარდაფხაძეებისთვის რომ შურაცხყოფა მიეყენებინათ, გადამწყვიტეს მათი დაჭერა და დაუდარაჯდნენ სოფელს გარეთ, იქვე მახლობლად. ამ მღვდლებს მიაცილებდა მათი მასპინძელი მურზა მარგიანი. როცა მან გაიგო, რომ ჯაფარიძეებს მისი სტუმრების გალანძღვა უნდოდათ, სტუმრები უკან დასტოვა, თვითონ წინ წავიდა, მონახა დადარაჯებული 6 ჯაფარიძე და სთხოვა ასეთი განზრახვაზე ხელი აეღოთ. მათ შორის საქმე გამწვავდა. მოხდა ჩხუბი, რომლის დროსაც მურზას მიერ მოკლული იქნა ერთი ჯაფარიძე და რამოდენიმე დაჭრილი. თვით სტუმართმოყვარეობის მსხვერპლი მურზაც ვაჟკაცურად მოკვდა იქვე. ხოლო მღვდლებმა თავი გადაარჩინეს უბედურებას, იქვე გავლენიან აზნაურ სვიჩჩილდ ჯაფარიძესთან თავის შეფარებით“.

მურზა მარგიანს დარჩა ოთხი ვაჟი: გიორგი, დოქა, გვეგია და ტერო. მისი თავგანწირვის ამბავი მისიონერმა მღვდლებმა რა თქმა უნდა ჩაიტანეს ქუთაისში, სადაც მიიღეს გადამწყვეტილება – მურზა მარგიანის ერთ-ერთი ვაჟი აღეზარდათ ქუთაისში. ამ მიზნით სვანეთში მიავლინეს რამდენიმე სასულიერო პირი. სოფელ ღვებრაში (მულახის თემი) მათ აღმოაჩინეს, რომ მურზას უფროსი ვაჟი, 15-16 წლის ჭაბუკი გიორგი, მოსისხლეთაგან შევიწროვებული, იძულებით ჩასაფრებულიყო საგვარეულო კოშკში, ხოლო თავისი უმცროსი ძმები გადაემალა დედულეთში – ჰადიშა და ხალდეში. სასულიერო

პირების დღეგაცია იგი თან წაიყვანა და დაანყებინა სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში.

სწავლის დამთავრების შემდეგ გიორგი მარგიანი აკურთხეს მუჟალის მაცხოვრის ეკლესიაში მღვდლად (ფაქტობრივად, იგი იყო პირველი ნაკურთხი მღვდელი სვანეთში) და ამის შემდეგ იქვე დასახლდა.

გიორგი მარგიანი დაქორწინდა მულახელ მარიამ დადვანზე და შექმნა დიდი ოჯახი. მას შეეძინა ოთხი ვაჟი და ოთხი ქალიშვილი. მისი ოჯახი, სადაც თავშესაფარს პოულობდა მრავალი გაჭირვებული და ობოლი, ეგამორჩეოდა ქველმოქმედებითა და საზოგადოებრივი აქტიურობით.

გიორგი იყო ერთ-ერთი თაოსანი მულახში სამოქალაქო სასწავლებლის დაარსებისა, რისთვისაც დაჯილდოებული ყოფილა „წმინდა ანას ორდენით“ (ეს ფაქტი დადგენილია პროფესორ გიორგი მარგიანის მიერ ლენინგრადის სახელმწიფო საისტორიო არქივში მოძიებული მასალებით).

ოთხივე ვაჟს გიორგიმ მიაღებინა იმ დროისათვის მაღალი განათლება, სამმა – დარისპანმა, ივანემ და ზაქარმა – მიიღო სასულიერო განათლება, ხოლო ნიკოლოზმა დაამთავრა ხონის სამოქალაქო გიმნაზია შემდეგ სწავლა განაგრძო და დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი.

დარისპანი (პოეტ რევაზ მარგიანის ბაბუა) მოღვაწეობდა მურშკელის წმინდა გიორგის ეკლესიაში, ივანე – ცაგერში (იყო რაჭა-ლეჩხუმის დეკანოზი), ხოლო ზაქარი მუჟალის მაცხოვრის ეკლესიაში მოძღვრად. ნიკოლოზი 1917 წლის რევოლუციამდე მსახურობდა რუსეთის არმიაში (მიაღწია პოლკოვნიკის ჩინს).

1870 წელს გიორგი მარგიანმა გადაწყვიტა ქართული ტიპის ორსართულიანი ოდა სახლის მშენებლობა, რისთვისაც რაჭიდან მოუწვევია მშენებელთა ბრიგადა. მშენებლობა 1873 წელს დამთავრდა. ცნობილი იტალიელი მოგზაურ-ეთნოგრაფისა და ფოტოგრაფის, ვიტორიო სელას არქივში შემონახულია მის მიერ 1890 წელს გადაღებული სოფელ მუჟალის ფოტოსურათი, რომელზეც აღნიშნული სახლი მკაფიოდ არის გამოსახული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო სვანეთის სინამდვილეში პირველი ფანჯრებიანი, არა სვანური არქიტექტურით აგებული, სახლი. ის დღესაც შემონახულია პირვანდელი სახით და არის გიორგი მარგიანის შვილთაშვილის გიორგი (გია) შოთას ძე მარგიანის საკუთრება. სახლის მშენებლობასთან ერთად იქვე დამზადდა ევროპული ტიპის ავეჯი: მაგიდეები, სკამები, სავარძლები და სხვა საყოფაცხოვრებო მოწყობილობანი. ზოგიერთი დღესაც შენარჩუნებულია.

სოფელი მუჟალი განლაგებულია უღვირის გადასასვლელის მახლობლად, ქვემო სვანეთიდან (ლენტეხიდან) მესტიისაკენ მიმავალ გზაზე, მესტიიდან დაახლოებით 10კმ. მანძილზე და ამიტომ ამ კუთხის სტუმრები მუდმივად სარგებლობდნენ გიორგი მარგიანის სტუმართმოყვარეობით.

თითოეული სტუმარი თავს ვალდებულად თვლიდა სახლის კედელზე დაეტოვებინა თავისი ავტოგრაფი, თარიღის აღნიშვნით.

სახლის კედელზე მეორე სართულზე შემორჩენილია უცხოელი და ჩვენი თანამემამულეების ავტოგრაფები: კერძოდ, ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილის, შალვა ამირანაშვილის, ლევან გოთუას, მთამსვლელ ჯაფარიძეების, უცხოელ მთამსვლელთა – კოკინის, ფრეშფილდის, პლატცის და სხვა მრავალთა.

მასალების ნაწილი ივანე მარგიანის წინაპრების და მისი დედამამშვილების შესახებ მომანოდა ივანე მარგიანის ძმის შვილიშვილმა ბორის ბუკეალავამ, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

ზაზა გოგია

ახალი „კრიტიკის“ დაბადება

მწერლობა და კრიტიკა ცხოვრების ურთიერთდაკავშირებული მახასიათებლებია, ამიტომ ერთს მეორის გარეშე სრულფასოვანი არსებობა უჭირს. შესაბამისად, ნამდვილი კრიტიკა მხატვრული ტექსტის გაგების კვალდაკვალ კულტურის „სოციალური ტექსტის“ გაგებასაც ითვალისწინებს. სწორედ ეს მისია ეკისრება ახალ ლიტერატურულ ალმანახ „კრიტიკას“, რომლის პირველი ნომერი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბაზაზე მანანა კვაჭანტირაძის რედაქტორობით გამოვიდა.

ისტორიამ საბოლოოდ უარყო ის საშიში ნორმატიული წესრიგი, რომელსაც დიდხანს ემსახურებოდა საბჭოთა ადამიანთა არაერთი თაობა. აკრძალვათა გაუქმების ტენდენცია ჯერ კიდევ საბჭოეთის ზეობის პერიოდში გამოიკვეთა, მასზე გადაწყვეტი იერიშები კი ოთხმოციანი წლების მინურულიდან დაიწყო. მოხდა ცხოვრებისეულ, ფილოსოფიურ და შემოქმედებით ინტერესთა სიმბიოზი.

ექსპაბტოთა, და პირველ რიგში ბალტიისპირეთის, შეფასებითი სკოლების „მეტანატროპოლოგია“ მწერლობას განიხილავს, როგორც ადამიანს, საზოგადოებასა და სამყაროს შორის ურთიერთობის მანონანსორებელ ფონს. სიახლისადმი არც საქართველო დარჩენილა გულგრილი. მერაბ მამარდაშვილმა, თხემით ტერფამდე დასავლური ტიპის ფილოსოფოსმა, ქართულ სააზროვნო სივრცეშიც მოიზომა ადგილი. პიროვნული, ეროვნული და საკაცობრიო კულტურული იდენტობის ერთ ორბიტალურ სივრცეში მოქცევა ზედმეტ სითამამედ მოჩანდა უზნაძისეული ტრანსფიზიკური განწყობის თვალთ მომზირადი ქართული ინტელექტუალური საზოგადოებისთვისაც კი.

ბელა ნიფურისა წერილი „კულტურული იდენტობა XX საუკუნის საქართველოში“ მწერლობის მოვალეობათა და მისდამი ნაყენებულ მოთხოვნათა შეწყვილება-განცალკევების სურათს გვიხატავს, რომელიც ადამიანისა და საზოგადოების რეალური სახის პერიოდული დაკარგვა-ნარმოჩინების იმპულსებითაა განსაზღვრული. სწორედ ამ არსებითი თავისებურებებიდან მომდინარეობს საბჭოური კულტურის ვალდებულებრივი და ალტერნატიული კულტურის ნებაყოფლობითი ხასიათი. მაგრამ მათ შორის არ ყოფილა ისტორიული ვაკანსიები. საბჭოთა კულტურასთან მუდამ თანაარსებობდა ეროვნული მხარდაჭერით ალტურვილი „ნაციონალური ნარატივის კულტურა“, რომლის ნიაღშიც ძველი რეჟიმის მიმწუხრს აღმოცენდა მოდერნისტულ ესთეტიკაზე დაფუძნებული ინოვაციური კულტურა.

წერილის ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ თანამედროვე კულტურის იდენტიფიკაციისათვის ალტერნატიულობის ძველ ნიშნებს ვერ გამოვიყენებთ, ვინაიდან გახსნილი ფარდისა და საზღვრების პირობებში „არც ერთი სხვა დომინანტური კულტურული სივრცე არ არის ალტერნატიული და, უფრო მეტიც, თავად ხდება დომინანტური“. მართლაც, ალტერნატიულობა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ლეგიტიმურ კონტექსტში მოქცეა, დასავლურ პოსტმოდერნიზმზე ორიენტაციაში გამოი-

ხატა და იგი ხასიათდება, როგორც „პოსტმოდერნისტული კულტურა პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში“.

დავით ჩიხლაძე ვერლიბრზე საუბრისას ალტერნატიულობის მნიშვნელობას აფართოებს და ნაკლებად ხედავს მის პირდაპირ კავშირს „პოსტმოდერნიზმის სემიოტიკური და ფილოსოფიური რელატივიზმის პრობლემასთან“, ხოლო ტრადიციული მწერლობის კოორდინატთა სისტემაზე დაფუძნებული მყარი კონსტრუქციებისადმი დაპირისპირებულ ტერმინ დეკონსტრუქციას დემითოლოგიზაციითა ცვლის.

საინტერესოა აზრია, რომ ნებისმიერი ავანგარდი არის არა მხოლოდ ნოვაცია, არამედ „პოეზიის გადარჩენაზე ფიქრი“ და ტრადიციის დაცვაც „პროფანისტული ტენდენციებისაგან“ (ადრეც აღმინიშნავს, რომ ქართველ ვერლიბრისტთა მიერ კონვენციური ლექსის მუსიკალურ უარსისთქმა არ ყოფილა ტრადიციული ნორმატივების თვითმიზნური უარყოფა, ვინაიდან ქართული ლექსი თავისი ტრადიციის ათვლას სწორედ თავისუფალი ლექსის ფორმიდან იწყებს. აპოლინერის აზრით, ავანგარდისტულად აზროვნების უძველესი გამოვლინება ზოგბლის გამოგონებაა, რომელიც სიარულს ბაძავს, მაგრამ ბუნებრივად არა ჰგავს. საგნის კონსტრუქცია დაშლილია, არსი – შენარჩუნებული).


სრულიად ვეთანხმები დ. ჩიხლაძის აზრს, რომ „ტრადიციულობა თვითონ მწერლობის ფუნქციაა“, თუნდაც მას ზოგჯერ სიახლისადმი იზოლაციონისტური ტენდენციებიც ახლდეს. იდეალური ვარიანტია, როცა მწერლობასა და კრიტიკაშიც ნოვაცია და ტრადიცია დაპირისპირების ნიშნით არაა დაჯგუფებული.

ლევან ბრეგაძემ მეტანალიზისადმი სწრაფვა ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების დასაწყისში გამოამყვანა, როცა ჩვენს ლიტმცოდნეობაში დასავლეთის თეორიული აზროვნების მხოლოდ მკრთალი ანარეკლი ჩანდა. მაგრამ სააზროვნო სიტუაციითა უტყუარი შეგრძნების ადლომ ათეული წლების წინ ის ტენდენციები ნამოატივტივა, რომელიც პოსტმოდერნისტული ესთეტიკის სახელითაა ცნობილი.

ფიქრობ საკამათო არაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის დასავლური რომანტიზმის თეორიულ სკოლებთან შეხების ალბათობა თითქმის ნულის ტოლია. მიუხედავად ამისა, მისი შემოქმედება მთლიანად თავსდება რომანტიზმის თეორიის, ესთეტიკისა და პოეტიკის ჩარჩოებში. დასავლური სამყაროს ინფორმაციულ ველზე დამოუკიდებლად გასვლის ანალოგიურ კვალს ხედავს ლ. ბრეგაძე სამოც-სამოცდაათიანი წლების ნოვატორ ქართველ მწერალთა ძიებებში და მიიჩნევს, რომ პოსტმოდერნიზმის კვირტობა ჩვენში დასავლეთში დანყებულ პროცესებს ემთხვევა. ამ აზრის დასტურად ავტორი მუხრან მაჭავარიანისა და რეზო ინანიშვილის ზოგიერთ ადრეულ თხზულებას მიმოიხილავს, სადაც თხრობათა აღრევა, ეკლექტიზმი, ავტორის ნიღაბი, სტილურ მანერათა პაროდირება, „მაკორექტირებელი ირონია“, პოსტმოდერნისტული კომპლექსის არსებობაზე მიგვითითებს. ლევან ბრეგაძე ახალი შემოქმედებით მიმართულების აღმავალ საზს მიჰყვება და უამრავ თანამედროვე ნაწარმოებს ეხება, რომელშიც მკაფიოდ გამოიკვეთა იდეოლოგიურ კლიშეებში ჩაბუდებული ყალბი ცნობიერებითი მემკვიდრეობის ძლევის ტენდენცია.

ბოლო თხუთმეტ წელიწადში სამი რევილუციური სიტუაციის შემსწრეში გავხდით: I – ძველი რეჟიმის ნგრევა და დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ტრიუმფალური მოსვლა, II – სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლების იარაღის ძალით ჩამოგდება, III – მომდევნო პრეზიდენტის უსისხლოდ, მაგრამ ძალის არანაკლები დემონსტრირებით, მოცილება.

მწერალი და ისტორიკოსი ედვარდ რაძინსკი სტალინისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ ყველა პოსტრევი-



ლუციურ ქაოსს თან სდევს დამაშოშმინებელი (სმირитель). ჩვენთან დროის, ენერჯისა თუ გამჭრიახობის ნაკლებობის გამო ვერავინ შეძლო სიტუაციის გონივრული დაშოშმინება. შიდაპოლიტიკურმა, სოციალურმა და სულიერმა კრიზისმა დაუსრულებელი საშინელების პერმანენტული ხასიათი მიიღო და მცირე წარმატებები განუკითხაობის საერთო სურათს ნაკლებად ცვლის.

კულტურის ჰუმანიტარული დარგები სოციალურ მოვლენებზე არაერთგვაროვნად რეაგირებს. იგი გარემოში გამეფებული იმ უნესრიგობის ინდიკატორის, ამასთანავე, მძლეველის როლშიც გამოდის, რომელიც თავის მნიშვნელობას აუცილებლობის ლოგიკით ამართლებს.

მანანა კვაჭანტირაძე წერილში („სიმღერაში (გა) დარჩენილები“) პასუხს ეძიებს კითხვაზე, თუ რამდენად ეგუება კულტურა მასში ქაოსის „შეტანას“ ევოლუციურ გარდაქმნათა აუცილებლობის სახელით და როგორ ახერხებს იგი ახალი წესრიგის თვითორგანიზებას“. კულტურული ცხოვრების ინტიმური გამოვლინებები კი სხვაზე მეტად ენობრივ ცნობიერებაზე, სახელდობრ ლიტერატურული ენის დინამიკაზე, აისახება. იმ აზრის შესამოწმებლად რომ ახალი, კარგად დაიწყებული ძველია, ავტორს ბესიკ ხარანაულის „მკვდრების სიმღერა“ შეურჩევია, როგორც „ძველი ეპოქის გამოსათხოვარი რეკვიემი“ და მითი „გარდაცვლილი ეპოქის ქართულ პანორამაზე“ სტატიის მხატვრულ ტექსტთან შეჯერება ჩვენგან მივიწყებულ და ენის წიაღში არსებულ „ხსოვნას“ გვიცოცხლებს არა მხოლოდ ენის შესაძლებლობათა ექსპლუატაციის წყალობით. სიმღერის ძალაუფლება ტექსტს გარდა მიელოდაც, მუსიკასაც მოიცავს, როგორც კულტურის ტრადიციათა დროში ჩაბუდებული უსასრულო სიკვდილისა და მშობიარობის პროცესს. ამიტომაც, რომ „მომღერალი მკვდრებიდან, ამ დიადი გვამიდან, მოდის ახალი აზრი და სიცოცხლე“.

სტატიის ავტორი სიმღერის კონფიგურაციაში დაუსაბამო წარსულსა და მყისიერ აწმყოს, მუსიკის არასემანტიკურ (ინვარიანტულ) და სიტყვის სემანტიკურ (ცვალებად) ველთა თანაარსებობას განიხილავს, როგორც ლოგიკურ პარადოქსს, წინააღმდეგობათა ერთიანობას, აზრისა და ნოსტენის ურთიერთგადაკვეთას, საბოლოო ჯამში, „მიქსს, ახალ სიმღერას, რომელსაც კარგად ახსოვს ძველი სიმღერის მელოდი“.

მუსიკისა და რეკვიემის თემა გააქტივებულია მაკა ჯოხაძის სტატიაში („სახედასწერო რეკვიემი“), რომელიც სათავეს იღებს ზაირა არსენიშვილის რომანიდან „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის“.

რომანის „პოლიფონურობა“, რომელშიც მოცარტ-სალიერის მოდელის ანარეკლსაც ვხვდებით და ქართული პროზის ტრადიციებთან კავშირსაც, არაა ბახტინისეული მრავალხმიანობის ტიპიური გამოხატულება. მასში ვერც მწერლური ავტორიტარიზმის ვკვალ ვხვდებით. თხზულების „ორკესტრული ფლერადობა“ (მ. ჯოხაძე) „რიზომის“ ტიპის არათანაბარი განტოტვის პრინციპს ეფუძნება. კრიზისულ რეალობას მამხილებელ ფონს ახალგაზრდა შემოქმედის, ეყი ხადარკოვსკის, სოციალური ფუნქციით აღბეჭდილი „რეკვიემი“ უქმნის, ცვლილებებისადმი უმნიშვარი „წმინდა თემის“ აგრესიულ უნიჭობას კი ალიო ჩივაძის „შემოქმედება“ უდგას თავებდად.

წერილში გახსნილი რომანის მხატვრული სამყარო თავისი ინტიმური და ფორმალური ურთიერთობებით, აქცენტთა მუდმივი გადანაცვლებებით, არსებული და არარსებული სიმართლით, ინტერესთა უღმობელი შეხლა-შემოხლით ორხელი-სუფლებიანობის ნიშანს ატარებს – ერთი, რომელიც იცავს დახავსებული ყოფის „სიმშვიდეს“ და მეორე, რომელიც „უტიფ-“

რად“ იჭრება ამგვარი „სიმშვიდის“ ატმოსფეროში და მისი აღსასრულის უამს აახლოებს.

ლელა ნიქარიშვილს წერილში „მწერლობა – გზა გადარჩენისა“ მსჯელობის საგნად ნუგზარ შატაიძის პროზაული დისკურსი გაუხდია. რელიგიური და ეროვნული მრწამსისაკენ მიბრუნების გზა ქართული მწერლობის მძლავრმა ფრთამ სულის დაპურების („პურისმტეობის“) საკრალურ შინაარსში დაინახა, რაც სახარების სულ ტექსტებში იღებს დასაბამს. ევქარისტის საიდუმლო თავად მაცხოვარმა დაადგინა, როცა სულიწმიდის მაცხოვრებელი ძალა ხილული ნიშნების (პურისა და ღვინის) წყალობით უხილავად გადმოდის ჩვენზე. ამიტომაც, რომ წმინდა ზიარების მიღებით უფლის მარადიული ნეტარცხოვრების თანამონაწილენი ვხდებით. ცოდვაზე დაფუძნებულმა „ზნეობამ“ ეს ერთობა გააუქმა, როცა უარი ვთქვით უნათლესი სულიერი მეგზურის მემკვიდრეობაზე. ნუგზარ შატაიძის „პური“ და „პურის მოთხრობა“, რომლებიც მწერლის უშუალო წინაპართა სულიერი გამოცდილებითაა ნაკვები, არ ეწევა საკრალურ ტექსტებზე ხაზგასმულ აპელირებას. პური მწერალთან რწმენის დიდი ეპოქების, ქართველთა ეროვნული ცნობიერების კუთვნილებაა, სულის პურიცა.

საგულისხმოა, რომ ხორბლის უძველესი ჯიში ქართულ სამარხში აღმოჩენილი, რაც იმას მეტყველებს, რომ პური ქრისტეს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე ჩვენი წინაპრის არა მხოლოდ აქაური, იმქვეყნიური ცხოვრების საგნალიც ყოფილა. სიმბოლურია ლ. ნიქარიშვილის მიერ „პურის მოთხრობაში“ ამონეული ერთი დეტალი – თხზულების გმირის, ილია ხიზამბარელის, სულის უკვდავების ძეგლად მის საფლავზე ამოსული ხორბალი ქცეულა.

ინგა მილორავას სტატიის სათაურის წაკითხვამ („ოთარ ჩხეიძის რომანები“) მაფიქრებინა, რომ ავტორს მიზნად შეუძლებელი დაუსახავს, ვინაიდან ჩვენში არ მეგულება მწერალი, რომელიც შემოქმედებითი ცხოვრების ჯამური პარამეტრებით – ინტერესთა მრავალმხრიობით, უტყუარი ლიტერატურული აღდლოთი, მძლავრი ეროვნული მუხტით, ნაყოფიერებითა თუ ინტენსიური მოღვაწეობის ხანგრძლივობით, ჩხეიძეს დაეტოვება. მაგრამ წერილის გაცნობამ დამარწმუნა, რომ ავტორის მიზანი შედარებით მოკრძალებულია – მწერლის ბოლოდროინდელ რომანთა ზოგადი სოციალკულტურული სივრცის შემოხაზვა. ყველა ეს რომანი თანამედროვე ეროვნულ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებზე დაუყოვნებლივ რეაგირების ნიშნითაა აღბეჭდილი, რამდენადაც მათში მოთხრობილი ამბები ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა. ალბათ, ამიტომ გაუჩნდა სტატიის ავტორს კითხვა, რამდენად მართებულია მოვლენათა „ცხელ კვალზე“ აღწერა, როცა ზოგიერთის აზრით, „მოვლენათა ზედმიწევნით გასააზრებლად საჭიროა დრო“ და თავად თვითმხილველობას ანიჭებს უპირატესობას. ჩემი აზრით, ნიქარიშვილი „ცხელ“ კვალზე დაწერს თუ „ცივზე“ – სულერთია, ვინაიდან ნიქი ასეთ განსაზღვრებებს არ იცნობს („ცხელ კვალზე“ ფაქტების ქექვა უფრო მეტად იურისტის ან ისტორიკოსის საქმეა, ვიდრე – მწერლის). ამიტომ ოთარ ჩხეიძის მხატვრული თხზულებები მიუხედავად იმისა, დღევანდლობას ეხება თუ შორეული ისტორიას, გაცილებით უფრო თანადროულია, ვიდრე ზოგი მწერლის უსაშველოდ მოძველებული „თანამედროვეობა“.

ინგა მილორავა მართებულად მიუთითებს ოთარ ჩხეიძის რომანთა მინაგან კავშირზე, რომელიც არა იმდენად სიუჟეტური მიმართებით დგინდება, რამდენადაც კონვენციური ნიშნების მოძრაობით, რომელთა მნიშვნელობა სიტუაციების მიხედვით იცვლება (ენის სტრუქტურა გარემოს სტრუქტურის შესაბამისა ანუ

იზომორფულია და ეს განსაზღვრება არა მხოლოდ მხატვრულ ენას ეხება. მაგალითად, რეკოლუციის ცნების პროგრესული შინაარსი სოციალური ანემიის პირობებში ძალმომრეობის ნაცვალ-სიტყვად გადაიაზრება, ხოლო მართლმსაჯულების განმსახიერებელი თვალახვეული თემიდას ხატი – კანონის სიბრმავედ).

ლალი ავალიანი პროფესიონალიზმთან ერთად მწერლისაგან ტრადიციული ფასეულობებისადმი უპირობო მოკრძალებას ითხოვს. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით განიხილავს იგი კოტე ჯანდიერის შემოქმედებას, რომელსაც ნოვატორული და ტრადიციული აზროვნების უნიკალურ ნაზავად თვლის. კოტე ჯანდიერმა ჯერ კიდევ წინა საუკუნის ოთხმოციან წლებში სასიამოვნოდ გაგვაცვიფრა, თუმცა, მაინცდამაინც სასიამოვნო ფაქტებზე არ უწერია. „საოჯახო ქრონიკაში“ ოჯახის ავტორიტეტის გაუქმება მის წვერთა მიერ ოჯახურ ფასეულობათა დაცვის იმიტაციის ნიშნით ხდება. მწერლის ეჭვი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა, რომელმაც ოჯახის რღვევის სურათში საზოგადოების რღვევის მუქარა დაინახა.

მეჩვენება, რომ ლალი ავალიანმა კოტე ჯანდიერის წარმატებული ძიებები ახლებურად მოაზროვნეთა „ბაზრული“ გემოვნების მიუღებლობის სადემონსტრაციოდ იშვიათ გამოჩნად წარმოაჩინა. ეს აზრი შეგვიძლია გავიზიაროთ, შეგვიძლია – არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია – სოკოებივით მომრავლებული მდარე ლიტერატურული პროდუქციის გვერდით სალი მარცვლებიც მოიპოვება.

გიგი სულაკაურის პოეზიის „ირონიული სერიოზულობა“ ინტერესთა გადანაცვლებული ეპიცენტრითა და „არათანმიმდევრულობით“ თავის დროზე ჩვენმა კრიტიკამ ჯეროვნად ვერ შეაფასა. ოფიციალური კრიტიკის გულგრილობის მიზეზი ისიც იყო, რომ მისი მზერა მწერლობაზე მეტად მწერალზე იყო მიპყრობილი, რომლის სოციალური მდგომარეობისა და გავლენის პროპორციულად მატულობდა მისდამი ინტერესის ხარისხიც. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ზოია ცხადაიას წერილი „არა მარტო ქუჩის ბიჭების გასაგონად“.

გიგი სულაკაურის პოეზიის დერიტა სტილითა გადაკვეთაშია გამოხასკეული, სადაც „სამყარო დაშლილია, ამოყრავებული, ხედვისა და ქცევის ვექტორი შებრუნებული და შეცვლილია“. სულაკაურის ერთი ლექსი მახსენდება, რომელშიც პოეტს თოვლი უყვარს, მაგრამ არა თავის, არამედ – სხვის ქალაქებში. ხდება საგანთა რეალისტური და რომანტიკული ხედვის ოპტიკური გადაკვეთა – მოვლენისადმი სულიერი ლტოლვა, მაგრამ ფიზიკური განდგომა. მსგავს კავშირს ხედავს ზ. ცხადაია სულაკაურის სხვა ლექსში, სადაც ზამთარი „დაფარულია არა ფიფქით, არამედ – ფიქრით“.

გიგი სულაკაურის პოეზიის ბუნება რომანტიკული ირონიის ფუძემდებლურ დებულებას ეფუძნება, რომ სამყარო იმ სახით, როგორითაც არსებობს, უგუნურებაა. ამიტომაც პოეტი საგნობრივი რეალობის მიღმა არსებულ ცნობიერებით მოცულ სამყაროში, ე.წ. ნოოსფეროში, შეღწევას ცდილობს, რომლის ხილვა შესაძლებელია არა თვალთ, არამედ – გრძნობითა და ფიქრით.

ნონა კუპრეიშვილი ნაირა გელაშვილის მოთხრობის („ამბბრნი, უმბრნი და არაბნი“) ტექსტის განმარტებას „სხვისი“ ხედვის მნიშვნელობაზე საუბრით იწყებს. თხრობის სხვადასხვა დონეზე პარტნიორული ურთიერთობები, დისკურსის გამჟღავნებული და გაუმჟღავნებელი შრეები, „ჩემი“ და „სხვისი“ ხედვა (მათ შორის „სხვისი“ ხედვა „ჩემი“ ხედვის შესახებ) მხოლოდ მიდატექსტური სპეკულაციებით არ ამოიწურება. ნაირა გელაშვილის მოთხრობაშიც პერსონაჟებს გარდა „კოლექტიური არაცნობიერის“ განმსახიერებელი პირველქმნილი მითოსური ფიგურები, არქეტიპები, მოქმედებენ. იუნგი ინტროვერტულს უწოდებს ურთიერთობის ტიპს, როცა ლიტერატურული სუბიექტი არქაული ხატის ტრადიციული გაგების სტანდარტში ჯდება, ექსტრავერტულს, როცა ინდივიდუალური ცნობიერება

არქეტიპის საზღვრებიდან გარეთ გასვლას ცდილობს, ეურჩება და სულაც უპირისპირდება მას. ამგვარად, ხდება პიროვნული ცნობიერებისა და კაცობრიობის გამოცდილებით ნასაზრდოები „კოლექტიური არაცნობიერის“ თანხმობის ან წინააღმდეგობის ნიშნით დაწყვილება.

ნაირა გელაშვილის მოთხრობის პირობითი პლანი ორი მიმართულებით იშლება – ერთია ამირანის მითი, მეორე – გერმანულ-სკანდინავიური ეპოსის მოდელირებაზე შექმნილი ვაგნერის საოპერო ტეტრალოგია. ერთ შემთხვევაში, ახლის (უსახელო გმირი მამაკაცის) ორიგინალისადმი (ამირანისადმი) მიმართება ექსტრავერტულია, როცა სახე იდეისაგან თავდახსნისაკენ ილტვის (მოთხრობის ჰეროიკული პათოსისაგან განძარცული გმირი ანტიამირანია), მეორე შემთხვევაში – ინტროვერტულია. გმირი ქალი მერცია ყამარის სულიერი მემკვიდრეა და მითის სააზროვნო სივრცეშია ჩაბრუნებული.

მხატვრული სახის სიყვარულის აბსოლუტურ იდეასთან სი-ახლოვითა ხსნის ნონა კუპრეიშვილი თავად მწერლის ლტოლვას თავისივე გმირისადმი და ამის საილუსტრაციოდ მის სიტყვებს იმონებს – „იგი (მერცია ანუ ავტორისგან დისტანცირებული „სხვა“ – ზ.გ.) ისიცაა, რაც მინდოდა ვყოფილიყავი, და შენსადლოა, ვერ კი გავხდით“.

ოთარ ჭილაძის რომანებს სამი ავტორი მიმოიხილავს: ადა ნემსაძე „რკინის თეატრზე“ საუბრისას გავრცელებული სქემით ხელმძღვანელობს – „ცხოვრება თეატრია“. ჭილაძის გმირები „უარყოფითი იდენტობის“ ნიშნითაა დახასიათებული, რაც პიროვნებისა და საზოგადოების საკუთარი ყოფიერების არსთან სოლიდარობის საბედისწერო წყვეტას ნიშნავს. ადამიანისა და ქვეყნის ამგვარი ხვედრი რომანის სათაურის მეორე სემანტიკურ დონეს – რკინის გალიას, ციხეს, ფიზიკურ და სულიერ მონობას უკავშირდება.

ცისანა გენძეხაძე ოთარ ჭილაძის ბოლო რომანის („გოდორი“) „დრუჟბა ნაროდოვში“ დასტამბულ რუსულ თარგმანს (მთარგმნელი – ალექსანდრე ებანოიძე) და რუს ავტორთა სენსაციურ გამოხმაურებებს ეხება. სენსაციურობის არსში ყველა არგუმენტზე უკეთ ცისანა გენძეხაძის მოძიებული საილუსტრაციო მასალა ჩაგვახედებს, რომელიც რუსული პრესიდან ანდრო ბუაჩიძის თარგმანებს ეფუძნება:

„... საქართველომ აუცილებლად უნდა გაიაროს ურთულესი, მე ვიტყვოდი, უსასტიკესი გზა თვითშემეცნებისა, რომელიც ოთარ ჭილაძის რომანშია წარმოდგენილი. უნდა გაიაროს ისე, როგორც ჩვენ, რომლებსაც ეროვნული გამოფხიზლების წარმომჩენი ასეთი სიძლიერის რომანი, სამწუხაროდ, ჯერ არ მოგვეპოვება“ (სტანისლავ რასადინი).

„დრუჟბა ნაროდოვში“ ოთარ ჭილაძის რომანის გამოკვეყნებით მაღლა აწია სამყაროს მხატვრული გათავისების თამასა. ეს იოლ ცხოვრებას არ უქადის ჟურნალს. ასეთი ნაწარმოების შემდეგ ჟურნალის პასუხისმგებლობა მკითხველის წინაშე განუზომლად იზრდება“ (ვლადიმერ ოგნევი).

„რომანის ნაკითხვის შემდეგ ლოდი ყელში მომეზინა. რატომ? რა არის ამ რომანში? პირველი და უმთავრესი: მთლიანობად შენივთებული ისტორია და თანამედროვეობა... მეორე: სრული შესაბამისობა ერთი რომანის სივრცეში რეალობისა და მითის“ (ბორის ვესევეი).

„რუსოტი „გოდორში“ საქართველოს შთანთქმელი იმპერია, ბოროტი და ხარბი დედინაცვალი“ (ნატალია ივანოვა).

ავრესიული იმპერიული ცნობიერების გაფურჩქვნის ფონზე რუსული კულტურის ცნობილ მოღვაწეთა პროფესიული სინდისიერება, ამასთანავე, გულწრფელი აღიარება იმისა, რომ ჯერ კიდევ საბჭოეთის ტერიტორიაზე ოთარ ჭილაძის ნაწარმოებებს ბადალი არ მოეპოვებოდა, სასიამოვნოდ გვაკვირვებს. გურამ ბენაშვილის „ვიზიონები“ ორი ესესაგან შედგება. ერთი ოთარ ჭილაძეს ეხება, მეორე – ზაირა არსენიშვილს. თხზუ-

ლებათა საერთო სათაურიც, ესეისტური ჟანრის კანონიც და ავტორის აღიარებაც იმას მოწმობს, რომ აღნიშნული ნარკვევები „ტრადიციული მწყობრი განხილვა-ანალიზისაგან, ანუ კონვენციური კრიტიკისაგან, მეტ-ნაკლებად შორს დგას“.

გურამ ბენაშვილის მწერლობა-კრიტიკის ზღვარზე მდგომი იმპრესიონისტული ხედვა ესთეტიკური ბუნებისაა და მოვლენათა პანორამული აღქმის პრინციპს უფრო ექვემდებარება, ვიდრე – საგანთა ანატომირებისას. სწორედ ამ კუთხით განიხილავს ავტორი „ისტორიული ეპოპის რანგში წარმოდგენილ“ ორ რომანს. მიზანი ერთია – ცხოვრებაში დარღვეული და მწერლობის მიერ გამჟღავნებული სულიერი დისციპლინის აღდგენა.

სვიფტის გულივერი არარსებული ქვეყნის არარსებულ დედაქალაქ ლაგაგოს აკადემიაში მეცნიერებს შეხვდა: ერთი კიტრისაგან მზის სხივების მიღებაზე მუშაობდა, მეორე – ყინულის „გადადუღებით“ – თოფისნამლის, მესამე, მოხუცი პროფესორი, ბრძებს ყნოსვითა და შეხებით საღებავთა ფერის გარჩევას ასწავლიდა. აკადემიის პოლიტიკურ სექტორში გმირი გაუგონარ „სისულელეებს“ გადააწყდა – ხელისუფლებას თანადებობის პირები ცოლები, ღირსებისა და უნარის მიხედვით უნდა დაენიშნა. იყო „კარგი“ კანონებიც, მაგალითად, სენატორს საკუთარი აზრის საწინააღმდეგო შეხედულებისთვის უნდა მიეცა ხმა, რათა საქმე ხალხის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ირონიაა, მაგრამ მის მიღმა მშობლიური ინგლისის სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების კრიზისული პანორამაა გამლოლი.

აკა მორჩილაძე (რომანში „სანტა ესპერანსა“) არარსებულ არქიპელაგზე გაშენებული არარსებული სახელმწიფოს მოდელით თავისივე სამშობლოს სოციალურულ რუკას გვიხატავს. ამ „მხატვრობაში“ წინა პლანზე ირონიული თამაშის ელემენტები გამოდის, რომლის ნიაღვრის წვდომა თამაშის მექანიზმში გარკვეულ სუბიექტს, კრიტიკას, ევალებათ.

მალხაზ ხარბედიას (წერილში „კუნძულების გოთიკა“) სვიფტის მოხუცი პროფესორის მისია დაეკისრა, რომელსაც მწერლის მიერ „აღმოჩენილი ქვეყნის“ მოზაიკურ რუკაზე ფერთა მნიშვნელობები უნდა ამოეცნო და გაუთვითცნობიერებელი მკითხველი „თამაშის წესებში“ გაერკვია (სხვათაშორის, ბრმათა მიერ ყნოსვით ფერთა ამოცნობას აკა მორჩილაძის რომანშიც მოეძებნა ინტიმური პარალელი – ხმათა სიყვარული ანუ უნახავი ქალის ხმით შეყვარების პრაქტიკა).

თამაშის წარმოების ყველაზე ვრცელი ასპარეზი ენასა აქვს თავისი ამოუწურავი რესურსებით. ამ რესურსთა ექსპლუატაციის ინდივიდუალურ ლიმიტს ყოველი მწერალი თავად ინესებს საკუთარი შესაძლებლობების, ეპოქისა და საზოგადოების მოთხოვნათა გათვალისწინებით. მალხაზ ხარბედიას „თამაშებით“ დახუნძლულ რომანში წამოწეულ უამრავ კითხვას პასუხობს. თითოეულზე შეჩერება თვით სტატიაზე გაცილებით ვრცელ ფორმატს მოითხოვს. ამიტომ მკითხველს ვურჩევ თავად გაეცნოს მას, რაც რომანის ტექსტში უთუოდ დაეხმარება.

პიროვნების პროფესიული ინტერესები ხშირად სულიერი ინტერესებისა და ზნეობრივი პოზიციის გამომხატველად იქცევა. ნესტან სულავა ჰიმნოგრაფიული და სხვა რელიგიური ხასიათის ტექსტების მკვლევარია, ამიტომ სულიერება მისთვის ნებისმიერი თხზულების დირსების საზომია (საგულისხმოა, რომ მისი გვარიც „სული“-დანაა ნაწარმოები).

„შემოქმედება“ ეტიმოლოგიურად უზენაესს შემოქმედს უკავშირდება და შემოქმედებითი შთაგონებაც სულწინმიდის მადლით ადამიანზე გადმოდის. სწორედ ამ ღვთიური მადლის ძიებითაა განმსჭვალული ნესტან სულავას გულო კობიაშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი წერილი.

ჩვენ ხშირად გარემიზებებით – მატერიალური გასაჭირით, უუფლებლობით, საზოგადოების გულქვაობით ვნიღბავთ საკუ-

თარ ნაკლს, მაგრამ ხალთაში ხმალი არ იმალება. გულო კობიაშვილის ნოველის („მესამე მანანლა“) უპოვარი გმირი მდიდარმა ნათესავებმა ახალწლის წინა ღამეს უხვად დააჯილდოვეს. სახლში მომავალმა გლახაკი არ გაიკითხა და ქოქოლაც მიაყარა; ღმერთმა დასაჯა და ქუჩის მანანლაებმა ყველაფერი წაართვეს. მხოლოდ ერთმა, მასზე უფრო გაჭირვებულმა, გაუნოდა დახმარების ხელი. მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო – ერთის მიერ დარღვეული ზნეობრივი ნონასწორობა მეორემ აღადგინა. სულიერების კვარცხლბეკი არასოდეს უნდა იყოს თავისუფალი. ნესტან სულავა კობიაშვილის თხზულებებში ქართული ზღაპრის ნათელ გმირებს ეძიებს, მაგრამ, სამწუხაროდ მათი რაოდენობა კლებულობს. „გამოქვაბულს შეხიზნული უმწეო, სუნიტქვაშეკრული ქართველობა შემიწებოლი, განცვიფრებული ადევნებს თვალს მის ამოსაბუყად, ამოსაძირკვად მტრისგან ცეცხლოვანი ისრებით შეიარაღებულ მანქურთებსა თუ შეგნებულად მოლაღატეთა ლეგიონებს“ (ნესტან სულავა) ხსნა ერთია – სულიერი განმწმენდა, ჭეშმარიტ და ცრუფასეულობათა ურთიერთგარჩევა. გზას სინათლე გამოაჩენს, გვახსოვდეს, რომ ჩვენი სამშობლოს ბედი ჩვენივე ბედის ზუსტი ანარეკლია.

ანუკი იმნაიშვილი ლაშა თაბუკაშვილის ჟურნალ „XX საუკუნეს“ მიმოიხილავს, რომლის პირველი ნომერი 1994 წლის მაისში გამოვიდა, როცა ანემიური პროცესების ელვის სისწრაფით განვითარების გამო კულტურული ცხოვრება პრაქტიკულად ჩაიძირა. ამიტომ ჟურნალი ამ უგზოობის პერიოდში სიტყვიერი ხელოვნების ლამის ერთადერთ ოაზისად იქცა, სადაც ნიგნიერ ქართველს სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეეძლო. მასში განთავსებულ მასალას მკაცრი გადარჩევის ფილტრი ჰქონდა გავლილი, რათა გემოვნების დამაქვეითებელი პარალიტერატურული „პროდუქტია“ არ გაპარულიყო. რა თქმა უნდა, ასეთი სიმკაცრე ჭეშმარიტად მკითხველის გემოვნების, მოთხოვნილებებისა და პოზიციის უგულვლელყოფას არ ნიშნავდა. სხვადასხვა რუბრიკებით იბეჭდებოდა ადრე გამოქვეყნებული, მაგრამ ახალი თაობისათვის უცნობი, ნაწარმოებები, გურამ რჩეულიშვილის, რეზო იმნაიშვილის, ვაჟა გიგაშვილის „დაგვიანებული“ მოთხრობები, ნუგზარ შატაიძის, ლაშა თაბუკაშვილის, ზაალ სამადაშვილის და სხვათა საუკეთესო თხზულებები. ჟურნალი არც „ძველ“ თუ „ახალ“ ავტორთა პოსტმოდერნისტული ძიებებისადმი დარჩენილა გულგრილი. რაც მთავარია, გაუქმებული იყო ნორმატიული „ნესრიგისადმი“ მორჩილების ინერცია.

ანუკი იმნაიშვილის მიმოხილვითი ხასიათის წერილმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ სოციალური ქაოსის პირობებშიც შესაძლებელია კულტურული მემკვიდრეობითობისა და ჯანსაღი სულიერი ენერჯის შენარჩუნება. თუმცა, ბევრმა იცის, თუ რა ძალისხმევას ფასად უჯდებოდათ ჟურნალის მესვეურთ თითოეული ნომრის გამოშვება.

ალმანახ „კრიტიკის“ თეორიულ ძიებათა რუბრიკაში დაბეჭდილია ფრანგული სემიოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ჟერარ შენეტის, ორი სტატია: „სივრცე და ენა“ (მთარგმნელი – ირმა ჩხეიძე) და „ლიტერატურა და სივრცე“ (მთარგმნელი – ჟუჟუნა ქელიძე). მინდა აღვნიშნო ორივე თარგმანისათვის ნიშანდობლივი საერთო თვისება – აზრის თვალსაჩინოება, რაც რთული თეორიული ტექსტების მთარგმნელთათვის აქილევსის ქუსლია. სტატიაში წამოჭრილი საკითხების განხილვას არ შევუდგები, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნე, ორივე ტექსტი წმინდა თეორიული ხასიათისაა და განმარტებათა განმარტება ანუ მათი მექანიკური პერიფრაზირება მომიწევს.

ბოლოს ისლა დამრჩენია, თხუთმეტწლიანი ინტერვალის შემდეგ განახლებულ „კრიტიკას“ მივულოცო ხელახალი დაბადება და ხანგრძლივი, ნაყოფიერი სიცოცხლე ვუსურვო.

ვახტანგ დავითაია

ცხოვრების ფურცლები

30. VIII. 1988. დილით საზაფხულო უნივერსიტეტის სტუ-
დენტებს მე და პაველმა წაუკითხეთ ლექცია. ჩემი თემა იყო:
„20-იანი წლების საბჭოთა ავანგარდი“, პაველისა – „პრალის
არქიტექტურა“. 12.00 საათზე ბ-ნი ვარნიე და მე პარიზს გა-
ვემგზავრეთ. დღის 2.00 საათზე შეხვედრა მაქვს საფრანგე-
თის არქიტექტორთა ინსტიტუტის (კავშირის) ხელმძღვა-
ნელთან – ქ-ნ რავანელთან. იქვე შეხვედები არქიტექტორ
მანოლო ნუნეს-იანოვსკის და გვიან ღამით გავემგზავრები ქ.
დელფოში, რონშანის კაპელას სანახავად. საფრანგეთის არ-
ქიტექტორთა ინსტიტუტი ცნობილი ლუქსემბურგის პარკის
სიახლოვესაა ტურნონის ქუჩაზე. ეზოში, ქ-ნი ენ დანილსი,
უცხოეთის დეპარტამენტის დირექტორი, შემეგება. რამდე-
ნიმე წუთში მანოლოც გამოჩნდა ველოსიპედით.

– გავიგეთ თქვენი გამოფენა ყოფილა სერჟიში, წინააღ-
მდეგი ხომ არ იქნებით პარიზში გადმოვიტანოთ? – მეკითხე-
ბა ქ-ნი რავანელი, საფრანგეთის არქიტექტორთა ინსტიტუ-
ტის დირექტორი. ჩემთვის ეს შემოთავაზება მოულოდნელი
იყო. ხომ არ აჯობებს გავაკეთოთ საქართველოს საკულტო
და მთის უნიკალური არქიტექტურის გამოფენა და მასთან
ერთად, როგორც მისი ნაწილი, ჩემი ნამუშევრებიც გამოი-
ფინოს? – შევეცდით მასპინძლებს. რა თქმა უნდა, ასეთი
მასშტაბური გამოფენა აჯობებს, მაგრამ ეს შეიძლება გა-
ვითვალისწინოთ მხოლოდ მომავალი წლისათვის, წელს, ასე-
თი გამოფენისთვის საჭირო ყველა საგამოფენო დარბაზი
დაკავებულია. გადავწყვიტეთ, საფრანგეთის არქიტექტორ-
თა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას მოვინვეთ თბილისის
პირველ არქიტექტურულ ბინალზე, რომელიც ნიემბრის
თვეშია დაგეგმილი და იქ მოვილაპარაკებთ გამოფენის
დროსა და დეტალებზე.

მანოლო აზუსტებს ვისი და რისი ნახვა მსურს პარიზში.
მინდა შევეხმიანო ბ-ნ ბერნარდ ზერფუსს და პოლ შემე-
ტოვს-მეთქი. შენ მხოლოდ გრანდებთან გაქვს საქმეო – ნიშ-
ნის მოგებით მუუბნება მანოლო. რა თქმა უნდა! შევიფერე.
გზად ყავისთვის კაფე „სენ ჟერმენის“ ღია მოედანზე ჩავი-
მუხლეთ. აქ უამრავი მაგიდაა საჩრდილობებით, თითქმის
ყველა დაკავებულია. მანოლოს ვეუბნები, შეხედე, განაპირა
მაგიდასთან კაცი და გოგონა რომ სხედან, როგორ ჰგავს
ზერფუსს-მეთქი. მანოლომ გაიხედა, ჰგავს კი არა, ზერფუ-
სისა. ორივეს სიცილი ავკიცყდა. ამ ათიოდე წუთის წინათ
ვახსენებდით და ამ მრავალმილიონიან ქალაქში, განგვბამ
აგერ შეგვახვედრა. ბატონი ბერნარდი ფეხზე წამოდგა და
მანოლოს ხელი ჩამოართვა, შემდეგ ყურადღებით დამაკვირ-
და, მანოლო „მიეშველა“, კი, ნამდვილად ვახტანგ დავითაია-
ო, თბილად მომიკითხა, შეილიშვილი გავგაცინო. გაიხსენა
სოფიის ბინალე და ჩემი გამოფენა. მანოლო მოუყვია, რომ
ათიოდე წუთის წინათ ვახსენეთ და აგერ შეგხვდითო.

მანოლო შესანიშნავად ლაპარაკობს სამ ენაზე, რუსუ-
ლად, ესპანურად და ფრანგულად. სამივე ენა მისთვის
„მშობლიურია“. მამით ესპანელია, დედით პოლონელი. მისმა

ოჯახმა, ესპანეთის ამბების შემდეგ თავი სსრკ-ს შეაფარა.
ის უზბეკეთში, სამარყანდშია დაბადებული, შემდეგ ოჯახი
ოდესაში გადავიდა საცხოვრებლად – ოდესა ბრწყინვალე
ქალაქია, მაგრამ მე ბევრი მწარე მოგონება დამრჩა. მეუბნე-
ბა მანოლო – ჩვენი ეზოს ბიჭები საჩხუბრად ვინვევდით მე-
ზობელი ეზოს ბიჭებს და დაუზოგავად ვურტყამდით ერთმა-
ნეთს. მე, როგორც ესპანელს, თანაც ფრანკოს, წინააღმდეგ
მებრძოლი კომუნისტის შვილს, ბიჭები თავიანთ მეთაურად
მირჩევდნენ, თუმცა ჩვენს შორის ჩემზე უფროსებიც და ჩემ-
ზე ღონიერებიც იყვნენ. მე ეს ძალიან მომწონდა და „საგამი-
რო“ საქმეებისთვის განმანყოფიდა, პირველი ვეკვეთებოდი
ხოლმე „მტერს“, თავდაუზოგავად ვიბრძოდი და ყველაზე
მეტი მე მხვდებოდა, სულ მუდამ დალურჯებული და ნაბეგვი
ვიყავიო.

14 წლის იყო მანოლო (ახლა 45 წლისაა), როდესაც ოჯახი
ესპანეთში დაბრუნდა. ის არ ლალატობს „ოჯახურ ტრადი-
ციას“ და ავლენს აშკარა შეუთავსებლობას ფრანკიზმთან,
რისთვისაც, გარკვეული ხნით, ციხეში ხვდება. 60-იანი წლე-
ბის დასაწყისში დაუახლოვდა რიკარდო ბოფილს. არც ერთს
და არც მეორეს არქიტექტურული განათლება არ ჰქონდათ,
უფრო თეატრის სამყაროს ეკუთვნოდნენ (მანოლო ჯერ მსა-
ხიობობდა, შემდეგ რეჟისორობდა). მანოლო ბოფილის ერთ-
ერთი მთავარი პარტნიორთაგანი გახდა „ტალერ დე არქი-
ტექტურას“ ჯგუფში.

ბ-ნ ზერფუსთან ერთად დავლიეთ ყავა, დავემშვიდობეთ
და ჩავვიდით მეტროს სადგურში, მანოლოს ახლახან დამთავ-
რებული ობიექტის „მოხუცთა სანატორიუმის“ სანახავად.
შენობა წრიული ფორმისაა, შიგნით დიდი მრავალსინათლია-
ნი სივრცეა, ზედა განათებით, წრიული იარუსებით (აივნე-
ბით). შენობა აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიით, გათვა-
ლისწინებულია ყველაფერი მოხუცთა მკურნალობისა და
დასვენებისათვის. შენობის საერთო განწყობილება ოპტი-
მისტური და ხაზგასმულად ახალგაზრდულია. აქ ფერი და
დეტალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ღამის მატარებლით ბელფოში მივემგზავრები, კორბუ-
ზიეს რონშონის კაპელას სანახავად.

1. IX. 1988. ვაკონში სულ 5-6 მგზავრია. გამყოლი გავაფ-
რთხილე, ვინძლო ჩამეძინოს და ბელფოს არ გავცდე-მეთქი.
მშვიდად იძინეთო, დამამშვიდა. დღის 4.00 საათზე ბელფო-
ში ვიყავი, საკმაოდ გრილა. ადგილი სასტუმრო „ფრანსეშია“
დაკვეთილი, ახლო ყოფილა სადგურიდან. 9.00 საათზე სას-
ტუმროს ვესტიბიულში მოვიდა არქიტექტორი მ. ლეგრი – ქ.
ბელფის ქალაქგეგმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
მაღალი, ქერა, სიმპათიური მამაკაცია, 45 წლის თუ იქნება.
დღეს ისაა ჩემი მასპინძელი. ასე შევთანხმდით: ბ-ნი ლეგრი
ორი საათით დამტოვებს კაპელა რონშანზე. შემდეგ, დავათ-
ვალეებზე ქალაქს, სადილი. მატარებელი პარიზისკენ გა-
დის 5.48 საათზე.

ბელფოდან რონშანამდე 30 კმ-ია. კაპელა (1950-55 წწ.)
გორაკზე დგას და შორიდან იპყრობს ყურადღებას. მიუხე-
დავად იმისა, რომ დილაა, რამდენიმე ავტობუსი და მსუბუქი
მანქანა უკვე დგას პარკინგზე. ვრცელ ეზოში, სხვადასხვა
ადგილიდან სტუდენტები ჩანახატებს აკეთებენ; ისევე რო-
გორც ვილა სავოიში, აქაც, იაპონლები სჭარბობენ, ასე გგო-
ნია, რომ მთელი იაპონია ევროპაში გადმოსახლდა, სადაც არ
უნდა მიხვიდე, ისინი უკვე იქ არიან, ყველაფერს იწერენ, იხა-
ტავენ. უყურებ ამ მცირე ზომის კაპელას, რა არის ეს? არქი-
ტექტურა? ქანდაკება? მას „შენობას“ ნამდვილად ვერ უწო-
დებ, ეს ზედმეტად გამარტივებული იქნება. დგას რალაც
სასწაული შუამავლად ცასა და დედამიწას, ადამიანსა და

ღმერთს შორის! ეს XX საუკუნის მხატვრული აზროვნების დიდი სიმფონიაა, ეს უფრო მისტიკაა, ვიდრე რეალობა. ამის შემქმნელი კაცი კი ამბობდა: რა უიღბლო ვარ, არ გამიმართლა, ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარიო. რა ცინიკურად აღიქმება დღეს რომანის კაპელას ავტორის მიერ ადრე ნათქვამი: „სახლი – ეს მანქანაა საცხოვრებლად“... უნდა შეიქმნას „სერიულობის სული“ – მისწრაფება ვაშენოთ სახლები სერიულად, მისწრაფება ვიცხოვროთ სახლ-სერიებში, მისწრაფება ვიაზროვნოთ სახლი, როგორც სერია“. ზოგიერთმა მისმა მიმდევარმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო ყოველივე ეს და ხელი მიჰყო „სახლი-სერიების“ მშენებლობას. კორბუზიე კი გენიოსი იყო და მაგიურ წრედ შეკრა რაციონალიზმი და პოეზია. „სად იწყება არქიტექტურა? – კითხულობს კორბუზიე და თვითონვე პასუხობს – იგი იწყება იქ, სადაც თავდება მანქანა“. კაპელა რომანის და არა მხოლოდ იქ, „მანქანის“ ხსენებაც არ არის.

ბუნებაში ყოველთვის მოიძებნებიან უგონიერესი ადამიანები, რომელთაც აქვთ ნიჭი დაინახონ ტალანტები და რაც მთავარია, მიენდონ მათ. ასეთი გონიერი ადამიანი იყო ეუსეზიო გუელი. იგი მიენდო დიდ კატალონიელს ანტონიო გაუდის. დღეს, გაუდის ნიჭის ნაყოფი ასაზრდოებს არა მხოლოდ ამ წინდახედული მეცენატის შთამომავლობას, არამედ იმ ქალაქებს, სადაც გაუდის შენობებია. ლე კორბუზიეს რომანის კაპელაც


კერძო პირის დაკვეთითაა შექმნილი. დღეში აქ ათასობით ადამიანი მოდის როგორც მექაში, მაგრამ არა სალოცავად, არამედ არქიტექტურის ზეიმზე. არქიტექტურამ გადალახა ის პირობითობა, რომელსაც რელიგია ჰქვია. ყველაფერთან ერთად, კაპელა დიდ შემოსავალს აძლევს მეპატრონესაც და ქალაქსაც. უკვე 11.30 საათია. ადამიანთა სულ ახალ-ახალი ნაკადები მოედინება. მე კი ვტოვებ აქაურობას. გონებაში ამოტივტივდა სადღაც ამოკითხული: „Роншан – место паломничества“.

დღეს პირველი სექტემბერია და ქუჩები სავსეა მოსწავლეებით. ეტყობა, სწავლის პირველი დღე საფრანგეთშიც ერთმანეთის მოკითხვის დღეა. აბა ამდენ მოზარდს, ხმაურით რომ აყრუებენ გარემოს, ქუჩაში რა უნდა. რა უდარდელი და ლამაზები არიან, როგორ უხდებიან ქუჩებს.

2. IX. 1988. დილა ასე დაიწყო. საუზმის დროს მანოლო სტუდიაში ურეკავს ბ-ნ პოლ შემეტოვს, საფრანგეთის ერთ-ერთ დიდ არქიტექტორს: – მუსიე პოლ, ახლა ჩემთან საუზმობს გამოჩენილი საბჭოთა მზვერავი, კგბ-ს გენერალისიმიუსი ვახტანგ დავითაია და შენთან სურს ლაპარაკიო და ყურმილი გადმომცა. მიუხედავად იმისა, რომ პოლ შემეტოვი რუს ემიგრანტთა მეორე თუ მესამე თაობაა, მშვენივრად ლაპარაკობს რუსულად. დავთქვი: ხვალ, დილის 10.00 სა-

ათზე, შევხვდებით მის ატელიეში – შაბათია და მთელი დღე შემიძლია დაგითმოდ, თუ თქვენი სურვილი იქნებაო, – ბრძანა ბ-ნმა პოლმა. მანოლომ თავისი ობიექტების გაცნობა მისი ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლით დაიწყო. ორივე სახლი კონკურსითაა მოგებული. გარეგნულად ერთი და მეორეც სცილდება საცხოვრებლის ტრადიციულ წარმოდგენებს. მონითალო ფერის ძლიერი „სარტყელი“, ქვედა სართულის რუსტირება, მონუმენტური სადარბაზო შესასვლელი, პირველი სართულის კარნიზზე დაყრდნობილი და ხუთ სართულზე აღმართული კოლონები, რომლებიც, რატომღაც, გადაჭრილია მესამე სართულით და სხვა, ინვევენ არქიტექტურული ავანტურის თუ სასიამოვნო „არაპროფესიონალიზმის“ შეგრძნებას.

საცხოვრებელი რაიონი მარნ ლა ვილი პარიზის გარეუბანშია და მრავალი თვალსაზრისითაა საინტერესო. აქაა რიკარდო ბოფილის ცნობილი საცხოვრებელი კომპლექსი „აბრაკასასი“ (1978-82 წ.წ.), ხოლო მისგან რაღაც 400-500 მეტრზე, მანოლოს საცხოვრებელი კომპლექსია – „პაბლო პიკასოს მოედანი“ (1980-85 წ.წ.). ორივე კომპლექსის მშენებლობა დროში, თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. მათი ფიზიკური სიახლოვე გეხმარებათ პირდაპირ გადახვიდეთ ერთი ფსიქოემოციური სამყაროდან მეორეში, შეიგრძნოთ და შეადაროთ ისინი ერთმანეთს. გეზადებათ კითხვა: რა



მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე „მოედანი“, 1998/2005

საერთო ჰქონდა შემოქმედებითი თვალსაზრისით ამ ორ პიროვნებას წლების მანძილზე „ტალერში“, იმის გარდა, რომ ერთიც და მეორეც „თვითნასწავლები“ (მანოლო ამას უპირატესობის გრძნობითაც კი აღნიშნავს) იყვნენ?

თავის დროზე, რენესანსმა ხელმეორედ აღმოაჩინა ანტიკური არქიტექტურა. „ახალმა არქიტექტურამაც“ კიდევ ერთხელ, თავისებურად, აღმოაჩინა ის. ამის მაგალითია ალდო როსსი, რიკარდო ბოფილი, მანოლო ნუნესი. ბოფილი კლასიკის მიმართ საკმაოდ ორთოდოქსია. მან კლასიკა, თითქოს, გადაიყვანა მშენებლობის თანამედროვე ტექნოლოგიაზე, აკრებდა ელემენტებზე. ბოფილი არათუ მიანიშნებს მისი სტილის წარმომავლობას, რაც საყოველთაოდ ცნობილია, არამედ უპირატესად ახდენს პირდაპირ ციტირებას. მანოლოში გაცილებით მეტია იმპროვიზაცია, მოულოდნელობები, პოეზია, თეატრი. არქიტექტურული ალოგიზმი, ტრადიციულის დარღვევა, მანოლოსთან განსაცვიფრებელ მხატვრულ ეფექტს ახდენს.

„პიკასოს მოედანი“ – ეს რვაკუთხედის ფორმის ჩაკეტილი სივრცეა, მოპირდაპირე მხარეებს შორის, ალბათ 90 მეტრი იქნება, ფეხბურთის მოედანი თავისუფლად ჩაეტევა. ამ რვაკუთხედის ორ მოპირდაპირე მხარეს „ჩადგმულია“ უზარმაზარი, 14 სართულიანი დისკო, რომლის წრიული ფორმის სახურავი, სპილენძითაა შემოსილი, ხოლო წრის პე-

რიმეტრი შემოსალტულია ძლიერი კარნიზით. ამ დისკოვებში ბინებია, ისინი კომპოზიციური აქცენტებია. მოედანს, მთელს პერიმეტრზე გასდევს არკატურა-გალერეა, გოთური არგვუტანების მსგავსი, დაქანებული გამბრჯენებით. გამოგონებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ყველაფერი ეს. თავანყვეტილი ფანტაზია, მოულოდნელობა, თავისუფლება, ავანტურა. რას გაჩუმდი? მეკითხება მანოლო. კარგია, დიდებულისა, მძაფრია, ყოჩაღ მანოლო! ერთბაშად მივყარე მე. ხომ ხედავ, იმ საცხოვრებელ სახლებში და აქაც, ყველაფერი ანაკრებია, ყველა დეტალი ქარხანაშია ჩამოსხმული. ქარხნული წარმოება გენიალური რამ არის, თუკი სწორადაა გამოყენებული, თუკი მას არქიტექტორი მართავს და არა პირიქით, როგორც ეს სსრკ-შია, როდესაც მე თბილისში ვიყავი, ვთხოვე გურამ მირიანაშვილს და ნოდარ მგალობლიშვილს შემახვედრეთ-მეთქი შევარდნაძეს, ეს ის კაცია, რომელიც უსათუოდ გაიგებს ამ საქმის მნიშვნელობას-მეთქი. მზად ვიყავი მთელი ტექნოლოგიური ხაზი ჩამომეტანა, მაგრამ, სამწუხაროდ იმ დროს შევარდნაძე თბილისში არ აღმოჩნდა. მე კვლავ ფიქრებში წავედი: იქნებ აკადემიური განათლება, როცა გასწავლეს რა შეიძლება და რა არა, ხელს უშლის აღმოჩენებს. ა, ბატონო, კორბუზიე, ბოფილი, მანოლო, ახალი ვარსკვლავი ტადაო ანდო თვითნასწავლებია, არც გაუდის მიუღია დიდი კლასიკური არქიტექტურული განათლება, სულ სამი წელი ისწავლა პროვინციულ არქიტექტურულ სკოლაში, უფრო ლითონის წნეხვის ტექნოლოგიით და ხის დამუშავებით იყო გატაცებული – უკვდავება კი შექმნა...

3. IX. 1988. კოკისპირულად წვიმს, მიუხედავად ამისა ბ-ნი პოლიც და მე ზუსტად 10 საათზე, მის ოფისში, ერთდროულად მივედით.

დღეს შაბათია, თანამშრომლები ისვენებენ. ბ-ნმა პოლმა მაჩვენა საპროექტოს ტექნიკური აღჭურვილობა, ძველი და ახალი პროექტები, ზოგი რეალიზებულია, ზოგიც მშენებლობის პროცესშია, შემდეგ ლე-ალს ვეწვიეთ. ეს მთელი მიწისქვეშა ქალაქია პარიზის ცენტრში, – საცურაო აუზით, სპორტული დარბაზით, ორანჟერეით, საგამოფენო დარბაზებით, მაღაზიებით, ესპლანადით, რომელიც მთავრდება მოედნით. მიწის დონეზე (სახურავზე) კი ბავშვთა პარკია.

ფინანსთა სამინისტროს შენობის პროექტი შექმნილია ჩილელ არქიტექტორ ბოჯა უიდობროსთან ერთად. ეს კომპლექსი მდებარეობს პარიზის ცენტრში, რაპეს სანაპიროზე. შენობა 350 მეტრის სიგრძისა, ხაზობრივად განვითარებული და ზემოდან „ადევს“ ქალაქის არსებულ ქუჩებს. შენობის ქვეშ გადის ორი ჩქაროსნული მაგისტრალი, ხოლო ერთ-ერთი მხრით, ოთხი ძლიერი ბურჯით „ჩამდგარია“ სენაში. ამ ნაწილში მინისტრის აპარტამენტია. ბატონი პოლი ყველა მშენებლობის პერიოდებზე. მომსახურე პერსონალი უხმოდ ასრულებს მის განკარგულებას, ალებენ ყველა დარბაზს თუ სამუშაო კაბინეტებს, რომლის ჩვენებასაც ხუროთმოძღვარი თვლის საჭიროდ. მიუხედავად თავისი შთაბეჭდავი ზომებისა, შენობა უადრესად ელევანტურია, დახვეწილი პროპორციებითა და ფრაგმენტებით.

დღის ოთხი საათია. ბ-ნი პოლი მანქანიდან რეკავს სახლში და ატყობინებს მეუღლეს: ეს-ესაა დავამთავრე შენობის დათვალიერებაო, ჩვენი გეგმა იცვლება, ვახტანგი 6.00 საათზე სერჟიში უნდა იყოს, ამიტომ სახლში ვერ მოვდივართ. მე კი მსაყვედურობს, შაბათი იმიტომ შემოგთავაზე, ვფიქრობდი გვიანობამდე დარჩებოდი. მახლობელ რესტორანში სახელდახელოდ ვისადილეთ. შემდეგ, დე ფანსის მეტრომდე მიგვიყვანა. აქედან სან-კრისტოფამდე პირდაპირი ხაზია.

4. IX. 1988. ამ ბოლო დღეებში თითქმის არ შევდივარ სახელოსნოებში. ბ-ნმა ვარნიემ „გამანდო“: სტუდენტებმა შემატყობინეს, რომ თქვენ კონსულტაციებს უწევთ იმ ქვეჯგუფებს, სადაც ქართველი სტუდენტებიაო. აბა რისთვის ვარ ჩამოსული-მეთქი, მე ყველა ჯგუფში შევდივარ, ვეკითხები კიდეც, რაიმე პრობლემა ხომ არა გაქვთ-მეთქი. ერთი კვირის წინათ პირველ და მეოთხე ჯგუფებში ორ-ორი საათი დაყავი-მეთქი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ხომ იცით კონკურსია, თანაც პრემიები საკმაოდ სოლიდური და ამიტომ სტუდენტებს ძალიან გამძაფრებელი აქვთ ყურადღებაო. ჩემი ბრალია, თავიდან არ გაგაცანით რეგლამენტიო. თქვენი მოვალეობაა ლექციების წაკითხვა და ესკიზების ყოველკვირულ განხილვაში მონაწილეობის მიღებაო. აგაშენა ღმერთმა, ნეტა დროზე გეთქვა, სამხრეთს მოვიწახულებდი 2-3 დღით-მეთქი.

5. IX. 1988. დღეს უნდა ჩავსულიყავი პარიზში არქიტექტორ ანდრე ვოჟინსკის – ლე კორბუზიეს ფონდის დირექტორის და მისი მეუღლის, მოქანდაკე მარტა პანთან, ასევე პოლ რენუარის შვილისშვილის, ფერმწერ ბარონ რენუართან შესახვედრად, მაგრამ ვერ წავედი. უკვე გამგზავრების განწყობილებაა, ამდენი ნანახის და განცდილისგან დაღლილობა თუ ემოციური აპათია დამეუფლა. გარდა ამისა, დღეს სტუდიური მუშაობის ბოლო დღეა, საღამოს პროექტებს გამოფენენ. ხვალ დილიდან დანიშნულია დაცვები. დღის მეორე ნახევარში ჩატარდება ჟიურის პირველი სხდომა. წუხელის, შარტრიდან რომ დავბრუნდი, დავურეკე ბ-ნ ანრეს და ბ-ნ რენუარს და ვაცნობე, რომ ვერ ჩავდიოდი.

6. IX. 1988. გამოფენა ძალზე საინტერესოა. ის ჯგუფები, სადაც ჩვენი სტუდენტები მონაწილეობენ, საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებიან. ჟიურის სხდომამ მძაფრად ჩაიარა. გამოიკვეთა ლიდერი პროექტები, ყველაფერი ხვალ საღამოს გადაწყდება. მე კი დილით მივფრინავ მოსკოვში, ვერაფერი გავანწყვე „აეროპორტთან“ – ბილეთი არ გადამიცვალეს. ჩემი მოსაზრება პრემიების შესახებ კონვერტით გადავეცი ბ-ნ ვარნიეს. საღამოს შედგა გამოსამშვიდობებელი ვახშამი.

7. IX. 1988. ნაადრევ საუზმეზე ტაიონების მთელი ოჯახი შეიკრიბა. გზა დამილოცეს. 8.30 საათზე მოვიდა ვოიტეკი მიკროავტობუსით. გზა გადატვირთულია. ყველა მანქანა პარიზში მიდის. ვოიტეკი ძალზე მხიარული და კომუნიკაბელური კაცია, არანაირ სამუშაოს არ თაკილობს. მოსკოვში გრილა, ასე ჩანს ილუმინატორიდან ადამიანთა ჩაცმულობის მიხედვით, პირველი, რაც მესაზღვრებმა გააკეთეს მგზავრების თვალწინ, ეკიპაჟს და სტიუარდესებს უცხოეთის პასპორტები ჩამოართვეს, რატომღაც 20 წუთი გავლოდინეს ფეხზე და შემდეგ გასვლის ნება დაგვრთეს. საბარგო განყოფილებაში ზედახორაა, ძალიან პატრონს ვერ ცნობს, ეტყობა რამდენიმე თვითმფრინავი ჩამოფრინდა ერთდროულად. მივედი სასტუმრო „უნივერსიტეტსკაია“-ში, აქ უნდა იყოს ჩემი „ბრონი“. ვესტიბიულში ფეხის დასადგამელი ადგილი არ არის, ყველაფერი გადაშავებულია, მთელი საფრანგეთის ახალგაზრდობა ჩამოსული მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდების ჩასაბარებლად. ყველაფრიდან ჩანს, რომ რამდენიმე დღეა ასე ცხოვრობენ. აქვე სადილობენ, აქვე მეცადინეობენ, აქვე სძინავთ. კარებიდანვე გამოვბრუნდი და ჩემს მეგობრებს ანია და ვადიმ ბატირევეს მივადექი. გაიხარეს, დამაპურეს, გამათბეს, დამასვენეს.

ლელა ოჩიაური

სადაც ჩვენი ფესვებია, ჩვენი გულიც იქ არის

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა მნიშვნელობა აქვს თეატრს ერის ცხოვრებაში, მაგრამ თუ თბილისსა თუ საქართველოს კიდევ ორიოდ ქალაქში საზოგადოებას ჯერ კიდევ აქვს საშუალება თეატრს ესტუმროს, რაიონებში ეს, ფაქტობრივად, წარმოდგენილია. ერთი მხრივ, ელემენტური საარსებო პირობების უქონლობის გამო და, მეორე მხრივ, თავად თეატრების არყოფნის (დახურვის, ფუნქციის შეწყვეტის მიზეზით). პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ რამდენიმე წლის წინათ გაჩნდა და რაც დრო გადის, უფრო და უფრო ღრმავდება (ამას ემატება ამჟამინდელი ბიუჯეტის შემცირება ჯერ კიდევ არსებული რეგიონული დასახლებისთვის და პროგრამული დაფინანსების წესზე გადასვლა).

სწორედ იმიტომ, რომ ქართულ თეატრს და ქართველ მაყურებელს ეს დანაკლისი შეუვსოს, მსახიობმა, პალიკო (პავლე) ნოზაძემ, 2002 წლის ნოემბერში ჩამოაყალიბა პროექტი „საქართველოსთან პირისპირ“, „ქართული ნოველის თეატრი“ დააარსა, რევაზ მიშველაძის ნოველების მიხედვით შექმნა მონოსპექტაკლი „ჩემი გოლგოთა“ (რომელსაც მაყურებელი შეიძლება „საუკუნის კაცის აღსარების“ სახელწოდებითაც იცნობდეს), საქართველოში მოგზაურობა დაიწყო და ქართულ სოფლებში წარმოდგენების გამართვას შეუდგა. მას მხარში ამოუდგნენ და სამუშაო პირობები შეუქმნეს: ვაჟიშვილმა, მსახიობმა ვახტანგ ნოზაძემ, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობმა ვასილ ძონენიძემ და ოპერატორმა შოთა კომლაძემ.

თეატრის შექმნის უმთავრესი მიზანია, ჩავიდეს საქართველოს რეგიონებში, იქ, სადაც არსებობს თეატრი და სადაც არ არსებობს, სადაც ადამიანები არა მხოლოდ მსახიობს, თეატრალურ ხელოვნებას, ქართულ სიტყვას და სცენიდან ეროვნულ სატკივარზე დიალოგს არიან მონატრებულნი (ასეთი კი, ფაქტობრივად, მართლა მთელი საქართველოა), არამედ ელემენტურ ყურადღებას და იმის შესხენებას, რომ ისინი სამშობლოში ახსოვთ.

ამ მისიას პალიკო ნოზაძე, მოქალაქეობრივი მოვალეობიდან და პიროვნული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ასრულებს და როგორც ამბობს, რკინის ქალამნებსა და პატარა ფარდავით, მიდის ყველასთან (ვისაც ამის მოთხოვნილება აქვს), საქართველოს ისტორიაზე, მის სვე-ბედზე, ერის მიერ დაშვებულ შეცდომებზე თანამედროვეობასა და მომავალზე სასაუბროდ.

შარშან ზაფხულში თეატრმა სპექტაკლები კონფლიქტის ზონის (დიდი და პატარა ლიხვისა და ფრონის ხეობების) 14 სოფლის მაცხოვრებლებისთვის, ქართველი მეომრებისთვის (ვინც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მოსახლეობის უსაფრთხოებას იცავს), სრულიად უანგაროდ წარადგინა.

არსებობის განმავლობაში საუკუნის კაცის აღსარებას, სამაჩაბლოს გარდა მოუსმინეს – ქვემო ქართლში, სამეგრე-

ლოში, იმერეთში, კახეთში, ქვეყნის სხვა კუთხეებში, მოუსმინეს ვაზიანის სამხედრო ნაწილში, „კათარზისში“ და ა.შ. ამ აღსარებას უსმენენ ისინი, ვისაც მოთხოვნილება აქვს, საქართველოს ისტორიაზე, მის ბედისწერაზე, თანამედროვეობასა და მომავალზე მსახიობის ფიქრი გაიზიაროს.

„ჩვენი არის მოძრავი თეატრი, რომელიც პირველია საქართველოში, რომელიც ბორბლებზე დგას და რომელიც ყოველთვის მივა იმ ადგილებში, სადაც ჩვენს ხალხს ყველაზე მეტად უჭირს. ეს ლიტონი სიტყვები არაა. ჩემი სცენა დღევანდელ დღეს საქართველოა, სადაც პატარა ფარდავით, რეკვიზიტით მივდივარ, აუდიტორიას კი მთელ საქართველოს ვუნოდებ. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ძალიან ჭირს გასვლა. მე მაცვია რკინის ქალამნები და ყველგან დავდივარ, მაგრამ ხომ საჭიროა, იქამდე მივალნიო“ – აღნიშნავს მსახიობი.

მისი თქმით, ძალიან უნდოდა შეექმნა სპექტაკლი, რომელიც ეროვნულ იდეებზე იქნებოდა დამყარებული, სადაც იქნებოდა მონოდება – გაერთიანებისა და სიყვარულისკენ. ასეც მოხდა. „ჩემი გოლგოთას“ მეშვეობით, ერის ტკივილზე, ეროვნულ ფასეულობებზე გვესაუბრება და ჩვენი ქვეყნის ისტორიის გახსენებით მომავლის გაფრთხილებას გვაძლევს.

პალიკო ნოზაძე: „ჩვენ ყველა უნდა ვაკეთებდეთ იმას, რასაც ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ. ჩვენ უნდა ჩავადგოთ ხნულში მარცვალი, ჩვენ უნდა ვურტყათ ურო გრდემლზე. კარგია, როდესაც წვრთნას ამერიკელი ინსტრუქტორი ჩაგიტარებს, მაგრამ თუ თითოეული ჩვენგანი მესაზღვრედ და მეციხოვნედ არ იქცა, არაფერი გვეშველება... არ უნდა დაგვაყინყინდეს, რომ ჩვენი ფესვები იმ სოფლებში და რაიონებშია, რომლებიც ჩვენ დიდი ხანია მივატოვეთ, აუცილებელია, ყველამ ვიფიქროთ ამაზე და არ დავკარგოთ. სადაც ჩვენი ფესვებია, ჩვენი გულიც იქ არის.“

ზამთარში, როდესაც თბილისიდან გასვლა და მალაშვილი-ან თუ შორეულ რეგიონებში ჩასვლა რთულია, პალიკო ნოზაძეს პატარა პაუზა აქვს და „ჩემს გოლგოთას“ თეატრში „გლობუსი“ უჩვენებს.

სპექტაკლი მოხუცი კაცის მონოლოგზეა აწყობილი. ასწავლავს გადაცლილებული კაცი თავისი ცხოვრების შესახებ ყველა, იხსენებს იმას, რაც ჩვენ, ყველას, გადაგვხდა – 1018 წლიდან მოყოლებული, სტალინის რეპრესიებით, დაპატიმრებით, ათასობით ადამიანის ცხოვრების დანგრევით, დღემდე – ცხრა აპრილით, ჭუბერის ტრაგედიით, სოხუმის დაცემით, სამოქალაქო ომით და ა.შ. დამთავრებული. მისი პირობა თავგადასავალი ქართველი ერის ტრაგიკული თავგადასავალი მეტაფორად აღიქმება, ამბავი, მთელი ქვეყნის ისტორიად ზოგადდება. იგი ერის ტკივილსა და ეროვნულ ფასეულობებზე გვესაუბრება, წარსულის გახსენებით მომავლის გაფრთხილებას და, ამასთან, იმედს გვაძლევს.

წლების, განცდილისა და გადატანის სიმძიმით მხრებში მოხრილი, მაგრამ მაინც სულიერად მხნე და შეუდრეკელი მოხუცი პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვის, ყოველგვარი პათეტიკისა და სენტიმენტალობის, ყოველგვარი ყალბი ინტონაციის გარეშე საუბრობს და ქვეყნის ისტორიიდან უმძიმეს და სულიერი ტკივილებით გამსჭვალულ ფაქტებს აცოცხლებს. აქ არანაირ ცრუ ეფექტს, სამსახიობო ტრიუკს ადგილი არ აქვს, ყველაფერი იმდენად ცოცხალი, სახიერი და მეტყველია, იმდენად „ჩვეულებრივი“ და უშუალო, სადღაც იკარგება აღქმა, რომ სპექტაკლს უყურებ. გინდება შეგრძნება, რომ იმ ადამიანის – ბრძენი გლეხის ნამდვილ აღსარებას, რჩევებს უსმენ, ვინც ბევრი გადაიტანა, ვინც იცის, რა არის სამშობლო, როგორ უნდა გვიყვარდეს ის და რას უნდა ვაკეთებდეთ იმისთვის, რათა წარსულის შეცდომები თუ შეცოდებები აღარ გავიმეოროთ.

„სიმართლის გასაღები მარტო ჩვენ გვაქვს ჯიბეშიო, ამასაც ნურასოდეს ვიფიქრებთ. კაცს ფიქრის გაცხადების რომ შეეშინდება, ის კაცი ჩვენი ერთგული არ იქნება, ამიტომ მოვუსმინოთ იმასაც, გავარკვიოთ, იქნებ სიმართლეს ამბობს. გაღმერთება და გაბელადება, ვისიც არ უნდა იყოს, ამ ჩვენ დროში, მაინც სისულელეა და თუ შეგვაფერხებს, თორემ კარგს არაფერს შეგვმატებს“ - მიმართავს მოხუცი მაცურებელს.

სპექტაკლის წყობა ერთიან, ძლიერ ინფორმაციულ-ემოციურ ნაკადს ქმნის. არაფერია ზედმეტი, არც არაფერი აკლია. მსახიობი ზუსტად მუშაობს და მეტად გულწრფელია. რასაც აკეთებს, „თამაშის“ კატეგორიაში არ ჯდება. იგი საოცარი ძალით აცოცხლებს ისტორიის ნაცნობ თუ ქართველი ხალხის მიერ ცოტა ხნის წინათ უშუალოდ გადატანილ ფაქტებს; ყოველ სპექტაკლში ისევ და ისევ გადის გოლგოთას გზას, თავიდან იხსენებს, უღრმავდება, აანალიზებს, რაც ქვეყანაში მოხდა.

კულმინაცია მაშინ დგება, როდესაც თნობა-ალსარება უახლოეს ნარსულს უახლოვდება, მსახიობისა და მაცურებლის ემოცია უკიდურესი დაძაბულობის ზღვარს აღწევს და საოცარი ძალით ერთიანდება. პალიკო ნოზაძესთან ერთად საქართველოს ბედს, განადგურებულ ოჯახებს, სამშობლოს თავისუფლებასა თუ ტერიტორიულ მთლიანობას შეწირულ ქართველებს დარბაზში მჯდომი ყოველი ადამიანი დასტირის.

პალიკო ნოზაძის ყოველი სიტყვა, ფრაზა თუ დუმილი, უთქმელი თუ გამოვლენილი განცდა ძლიერად მუხტავს მაცურებელს და ჭუბერის გადასავალივით ტრაგიკულ, სახიფათო გზაზე მიუძღვება. ესაა უმაღლეს ხარისხში აყვანილი ოსტატობა, რაც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც „ალსარებას“ მსახიობი - პიროვნება, მოქალაქე, თავისი ქვეყნის „გულდამწვარი“ ჭირისუფალი“ ამბობს.

„კარგი ფიქრებით მოხვედით, ჩემმა ღმერთმა, გიყურებთ და მიხარია. გული იმაზე მწყდება, რომ მარტო გიყურებთ და მეტი არაფერი, - მიმართავს მოხუცი უხილავ მსმენელს (ვისი ფოტოს ჩარჩოც სცენაზე სპექტაკლის დასაწყისში გამოაქვს, ვისაც სანთლებს უნთებს და ვისკენაც მთელი მისი ყურადღებაა მიმართული), - მე, ას წელს გადაცილებული კაცი, მარტო სიტყვა-რჩევით თუ შეგენევით, თორემ ჩემი მარჯვენა რალაში გამოგადგებათ. არ დაიღალოთ და არ მოგწყინდეთ, ამ ერთს გთხოვთ, მხოლოდ.“

ძალიან იშვიათად ხდება, როდესაც მსახიობის ნამუშევარი არღვევს მისთვის „განკუთვნილ“ (სცენიურ) ჩარჩოებს და ცხოვრებისეულ რეალობასთან იგივდება. სწორედ ასეთ გამონაკლის შემთხვევასთან გვაქვს საქმე „ჩემი გოლგოთას“ შემთხვევაში.

„ჩემი გოლგოთას“ ხანგრძლივობა საათი და ოცი წუთია. ეს ხანი იტევს ჩვენი ქვეყნის მთელ ისტორიას, რომელიც სპექტაკლის დასრულებასთან ერთად არ მთავრდება. მასზე ფიქრი მოსვენებას გიკარგავს და თანდათან ხვდება, რომ ცოტა ხნის წინათ ის გითხრეს, რასაც ელოდი, რაც მუდმივად განვალებდა, განუხებდა, რასაც განიცდიდი და გინდოდა, ეს აღსარება ვინმეს ან ვინმესთვის გეთქვა, მაგრამ ცოტას თუ გახსენებია.

„კარგად დამიგდეთ ყური, - მიმართავს მოხუცი მაცურებელს, - ჩემს სულში და ჩემს ცხოვრებაში იმიტომ ჩაგახედეთ, რომ მეთქვა თქვენთვის, ქართველობა მარტოდენ წარმოშობას კი არ ნიშნავს, ქართველობა ბედისწერაა. ვინძლო არ შედრკეთ, არ შეშინდეთ, აღარ გათითოკაცდეთ, აღარ დაიფანტოთ, აღარ გაებათ უწმინდურთა აბლაბუდაში. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ჩვენ იმდენჯერ ვჭამეთ სირცხვილი, რომ ახლა ველარავინ დაგვძრახავს, ყველა ერთად თუ შევეუტევთ მრუდედ ნაქსოვ-ნაბურჯალს. ვაჟკაცობა იმას ჰქვია, გამბედაობა გვეყოს, ავდგეთ და ვთქვათ, სხვა გზას ვეწიოთ, არ გამოგვადგა ისტორიაში ნაუცბათევი ნახტომი. გახსოვდეს, ბაბა, შეცდომის დაშვებაზე დიდი ცოდვა იმ შეცდომის მონად დარჩენა“.


სპექტაკლის შექმნის მიზანს მსახიობი ასე განმარტავს: „თუ დღეს არ ვთქვით, აფხაზეთი და სამაჩაბლო მართლა დაგვეკარგება. ყოველ წუთს უნდა ვიდგეთ იქ, სადაც ხალხს უჭირს, ყოველ წუთს უნდა ვახსენოთ სამაჩაბლო და აფხაზეთი, რომლებიც ხელიდან გვეცლება. ხელიდან გვეცლება და მომავალ თაობას აღარც ემახსოვრება, ის თუ ვიბრძოდით და ის, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში 30000 მოხალისე ბიჭი დავკარგეთ. დავკარგეთ მართლა უთანასწორო ბრძოლაში, 300000 ქართველს კი ეთნიკური წმენდა ჩაუტარეს. დედა, შვილი, მოძმე ნაგვიბილნეს და სულში ჩაგვაფურთხეს. ეს არ არის ტერორი?! აი, სადაა ტერორიზმი, ქართველი კაცი კი ტერორისტი არასოდეს ყოფილა.“

ბრძოლა მარტო ავტომატით კი არ არის საჭირო, არამედ მას უნდა ახლდეს, დიდი აზროვნება და ინტერესი. როდესაც მიდიხარ შენს ძირძველ მიწაზე, სამაჩაბლოში, გაივლი ცხინვალს, ხედავ გადამწვარ ქუჩას და ბალახგადავლილ კარ-მიდამოს, გული გიკვდება და ძალაუნებურად, შენს თავს ეკითხები - ვის რა დავუშავებ? მტრის წინააღმდეგ, ჩვენ, ისტორიულად, იარაღი თვითონ არასდროს გამოგვიყენებია, ყოველთვის თავს ვიცავდით, ჩვენი ტერიტორიების შესანარჩუნებლად და მაინც, 300000 კვ.კმ.- და 45000 კვ.კმ.-მდე ჩამოგვიყვანეს. ერი განადგურების პირას მიიყვანეს.

ამიტომ, ჩვენ ყველა ქართველი ჭკუას უნდა მოვეგოთ, ძველი შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ, ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ, გავერთიანდეთ, აღარ გავიფანტოთ, აღარ გავითოკაცდეთ, აღარ გავებათ უწმინდურთა აბლაბუდაში. ყველა ჩვენგანი უნდა მეციხოვნედ დავდგეთ, თუ გვინდა, ერი გადავარჩინოთ. ქართველი ერი ყოველთვის გამორჩეული იყო აზროვნებითა და წინდახედულებით.

ჩვენ შეცდომებს მონად არ უნდა დავუდგეთ, გამოვასწოროთ ისინი და ვიაროთ იმ გზით, რასაც, ქართველი ხალხის გაერთიანება ჰქვია,“ - ამბობს პალიკო ნოზაძე და ამ გაერთიანებისთვის, რკინის ქალამნებასხმული, სოფელ-სოფელ, კუთხე-კუთხე, მთელ საქართველოში დადის და საქართველოსთან პირისპირ დგება.

„მე ვაკეთებ საქმეს, რაც ნორმალურმა ქართველმა კაცმა უნდა გააკეთოს. ამის გარეშე არ შემიძლია. ჩემი ქალამნები უკვე ნახევრად გაცვდა, რადგან ნახევარი საქართველო უკვე მოვიარე, 5- სპექტაკლი ვითამამე და გაჩერებას არ ვაპირებ. ალბათ,



პალიკო ნოზაძე („ჩემი გოლგოთა“)

კარგი იქნება, რომ ჩვენი ნათქვამი ფრაზა ყოველთვის იყოს ჩაბეჭდილი ჩვენს აზროვნებაში, რომ ადამიანი ისედაც ორი დღითაა მოსული ამ წუთისოფელში და ნუ გავამწარებთ. მოვეფეროთ, ვიყოთ მათ გვერდით და ხალხიც ჩვენს გვერდით იქნება, - ამბობს მსახიობი და აცხადებს, რომ ვიდრე ჩვენი ქვეყანა, ტერიტორიულ მთლიანობას არ აღიდგენს, იგი, როგორც პროფესიონალი მსახიობი გაჭირვებული, მაგრამ ყოველთვის მომღიმარე და იმედიანი ხალხის გვერდით იქნება, რადგან დღეს, როგორც არასდროს, მას სჭირდება მხარდაჭერა და გამხსნევება.

მას არ შეუძლია, აფხაზეთში დაღუპული ვაჟაკების ხსოვნისა და ვალდებულების მათი სულების წინაშე, თავისი სპექტაკლით, არ უთხრა ყველას, რომ ეს ომი მესამე ძალის ბრძოლა იყო და ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ. „ამავე დროს, - ამბობს მსახიობი, - იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზებმაც იგივე გადაიტანეს. კარგი ნათქვამი გვაქვს ქართველებს: „წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა შვილისა, იქნებ ვეფხისა დედაი ჩემზედ მწარედა სტირისა.“ აფხაზებიც ხომ ჩვენ დღეში არიან, მათაც ხომ დაკარგეს შვილები. ამას თავისებური გათავისება უნდა, სიყვარულისა და შერიგებისკენ უნდა მოვუწოდოთ ერთმანეთს. ეს უნდა გავიგოთ, რათა შეცდომა არ დავეშვათ, რაც წინა მთავრობისა თუ 70-წლიანი რეჟიმის

ბრალი იყო, არ უნდა გავიმეოროთ, თორემ ალბათ უარეს დღეში აღმოვჩნდებით.“

პალიკო ნოზაძე ოცნებობს გალის რაიონში ჩასვლაზე (რაც სერიოზულ სირთულეებთანაა დაკავშირებული), ძალიან უნდა ავიდეს სვანეთში, უნდა კოდორის ხეობაში შესვლა. უნდა იმუშაოს: ქარელის, ხაშურის რაიონებში, იქ, სადაც ქართული და ოსური სოფლებია. უნდა, ნახოს მოსახლეობა, აჩვენოს სპექტაკლი, მიიტანოს მათთან სიყვარული, უთხრას, რომ ჩვენ უდიდესი ნათესაური კავშირი გვაქვს და ჩვენს შორის გაუთავებელი ომი არაფრით შეიძლება, ომი, რომელსაც „მესამე ძალა“ აწარმოებს.

მალე „ქართული ნოველის თეატრი“ ახალი სპექტაკლის (ასევე რევაზ მიშველაძის ნოველების მიხედვით) პრემიერას წარადგენს, სახელწოდებით, „ცრემლები“ და ახალ მოგზაურობას შეუდგება.

„ჩემი გოლგოთა“ კი, ყველამ უნდა ნახოს. ყველამ უნდა ჩაიხედოს საუკუნის კაცის სულში (რომელიც ჩვენი ქვეყნის სიმბოლოდ წარმოსდგება), მოისმინოს მისი აღსარება, მასთან ერთად კიდევ ერთხელ განვივლოთ ეს ძძიმე და განმწმენდი გზა. ყველამ უნდა ჩაიხედოს წარსულში, დაფიქრდეს იმაზე, რაც მოხდა და ხდება, რათა მომავლისკენ გახედვა შეძლოს.

XX საუკუნის არაბი პოეტები

ნიზარ კაბანი

დაიბადა 1923 წლის 21 მარტს სირიის დედაქალაქ დამასკოში, თურქული წარმოშობის ოჯახში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაბული ლექსის თვისობრივი განახლების საქმეში და XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ არაბ პოეტად მიიჩნევა. პროფესიით ექიმმა კაბანმა საბოლოო სამოღვაწეო ასპარეზად საერთაშორისო ურთიერთობანი აირჩია და დიპლომატიური კარიერის მანძილზე მსოფლიოს ქვეყანათა დედაქალაქებში დიდი ხნით ცხოვრება უწევდა. სხვადასხვა დროს იგი ბეირუთში, კაიროში, მადრიდში, ლონდონსა და პეკინში ბინადრობდა. ამ ქვეყანათა კულტურის გაცნობამ კი კაბანის საშუალება მისცა საკუთარი პოეტური სამყარო ახალ-ახალი ელფერიითა და აქცენტებით გაემდიდრებინა.

პირველი პოეტური კრებული ჯერ კიდევ სტუდენტობისას, 1944 წელს დაბეჭდა, საერთოდ კი 35 წიგნის ავტორია. გარდაიცვალა 1998 წლის 30 აპრილს.

საფორტაპიანო კონცერტი

1
ყოველივე დასაშვებია...
ახლა, როდესაც ღამეს წვიმის ხმაური არღვევს.
ყოველივე დასაშვებია,
როცა კაცი განბანულია კონიაკით,
გათანგულია დარდებით და

იდუმალ გუმანს აუტანია.
როცა კაცს უნდა, რომ ქვად არ დარჩეს.
რატომ?
რატომ მკითხაობ ფინჯანებზე,
რად სვამ შეკითხვებს,
რად გაემართე მაშინ ზღვისაკენ,
მოგზაურობის თუ გემინოდა.

2
ყოველივე დასაშვებია...
ოქტომბრიდან და ნოემბრის თვემდე.
რაც ხდება შენი გულის წიაღში,
ბუნებრივია,
როგორც ის სიტყბო, ნაყოფის გულს რომ დასდინდება
მიენდე ღმერთს და... დაიძინე.
შენი მკერდი განგებითა და ბედისწერით მოვიდა ქვეყნად.
წავა იმსოფლად კვლავ განგებით და ბედისწერით.

3
სიყვარული თავის დროს მოვა...
ჩაიცვი შენი ეგვიპტური შესამოსელი
არ ვიცი, რატომ...
მახსენდება ნილოსის დელტის ბამბის ყანები...
და კაიროს მზე...
მოდი, დაჯექი, სადაც გასურდეს...
და კონცერტი საფორტეპიანო
გააქრობს დროს...
გაგაქრობს შენ,
გამაქრობს მე და
პირველ კომპლექსებს, დაბადებით თან რომ ვატარებთ.
თავის დროს მოვა სიყვარული,
თავდავინწყება მოვა თავის დროს...
საფორტეპიანო კონცერტი
ქაფურს და ზეთს სცხებს ყოველივეს,
გაადნობს ტბათა გაყინულ სარკეს...

და მოიყვანს უცხო ფარვანებს,
მოიტანს ყანებს...
დე, ყოველივე ბუნებრივი, იოლი იყოს.
ფორტეპიანო...
მერე წყალივით მოლივლივე დარბაზში გვიხმობს.
და აღარ ვიცი, იქ რას იტყვის.

4
ყოველივე დასაშვებია...
ამალამ, როცა ღამეს წვიმის ხმაური არღვევს.
ჩაიკოვსკი...
გამომართა მერცხალივით პეტერბურგის
სივრცეებიდან,
მოდის ალპების მთაგრეხილის გასასვლელებით,
მოედინება მონპარნასით მწვანე ზმანებად.
ჩაიკოვსკი...
მოდის ვარდების კვირტიბიდან,
ევროპის ტყეთა გაყვილებულ ფოთლებს დაუვლის
და აია სოფიაში ლოცვას ალაგვლენს.
ტირის დიადი ან-ნაჯაფის შემოგარენში,
სარკეებსა და... ოქროს თალებში.

5
ყოველივე დასაშვებია...
ახლა, როდესაც ღამეს წვიმის ხმაური არღვევს.
ჩაიცვი შენი ქურთული კაბა...
არ ვიცი, რატომ
მაგონდება გაზაფხულის დღენი მოსულში.
ალ-აჰვარის ლერწმის ტევრები.
არ ვიცი, რატომ...
გამიღვევს თვალწინ ბალდადის ბალნარებმა
არ-რუსაფაში,
ალ-აზამიას შადრევნებმა სანაპიროზე
და წარწერებმა, ალაჰი რომ წერს... ვარდით, ოქროთი.
მზის ჩასვლის წამს
შატ ალ-არაბის პალმების ზროზე.

6
დილა კეთილი... კარგადა ხარ?
საფორტეპიანო კონცერტმა
ცეცხლით აგვაგზნო და... გაიარა.

**არა არს ქვეყნად უძლეველი არარა,
ბარდა სიყვარულისა**

1
მიუხედავად გრიგალებისა, ჩემს თვალებში რომ
ბობოქრობენ,
მიუხედავად შენს თვალებში მთვლემარე სევდის,
მიუხედავად ამ ეპოქისა, ცეცხლს რომ უშენს
მშვენიერებას, სადაც კი არის,
და სამართალს, სადაც კი არის
და გონებას, სადაც კი არის,
ვამბობ: არა არს უძლეველი
არარა, გარდა სიყვარულისა.

და მილიონჯერ...
უძლეველია მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული
და გვალვისაგან ვერაფერი ვერ დაგვიფარავს
თანალმობის ხეების გარდა.

2
მიუხედავად ამ დროისა დაქცეულის,
მიუხედავად ეპოქისა, წიგნიერებას რომ განგმირავს
და მწერლებს რომ კლავს.
და ცეცხლს რომ უშენს მტრედებს... წყურგილეს...
მცენარეს, ბალახს...
რჩეულ კასიდებს რომ ასაფლავებს
ძალთა სამარხში.
მე ვამბობ, მაინც გაიმარჯვებს მხოლოდ იდეა;
იდეის გარდა ვერაფერი ვერ გაიმარჯვებს...
და არ მოკვდება ღამაში სიტყვა,
როგორი ხმალიც არ უნდა იყოს,
როგორი ციხე
და რა ეპოქა.

3
მიუხედავად მათი, ვისაც ალყაში ჰყავს შენი თვალები,
ჩემო ძვირფასო,
წვავენ ხეებს და მცენარეებს.
მიუხედავად მათი, ვისაც ალყა დაურტყამს
ყვავილებისთვის.
ვამბობ, რომ მაინც ვარდის გარდა, ვერაფერი ვერ
გაიმარჯვებს.

საყვარელო,
იმარჯვებს წყალი და ყვავილები.
მიუხედავად იმ გვალვისა, ჩვენს სულში რომ დგას,
და ესოდენ იშვიათია ღრუბელი, წვიმა,
მიუხედავად იმ ღამისა, თვალებში რომ გვაქვს,
უცილობელად დღე გაიმარჯვებს.

4
ამ დროებაში, როცა გული
ხის ჭურჭელივით გახვევებულა,
და სადაც ლექსი
ხის კასიდად გადაიქცევა
ეპოქაში არატრფობის... არაოცნების... არგაოცების...
და ფურცლების გაუქმების, კალამთა, წიგნთა.
მხოლოდ ამბოხი გაიმარჯვებს მემილიონედ.
ნავთობისა და ამ მაზუთის ეპოქის მერე
უთუოდ ოქრო გაიმარჯვებს.

5
მიუხედავად ამ დროისა, ანომალიებს რომ დაუხრჩვია,
ჰაშიმს...
ალკოჰოლს.
მიუხედავად ამ დროისა, სურათი რომ სძულს და
ქანდაკება,
ნელსურნელება,
უხვი ფერები...
მიუხედავად ამ ეპოქისა,
ღმერთს რომ გაურბის და სატანას რომ ემონება.
მიუხედავად იმათი, ვინც სიცოცხლეს გვპარავს,
და სამშობლო, ჯიბიდან რომ ამოგვაცალა,
ათასი ჯურის განვრთნილი მსტოვრის,

სახლის ამგებნი კედელშივე რომ აშენებენ,
მიუხედავად იმ ათასი დადგენილების,
ვირთხები რომ ვირთხებს უნერენ,
მე მაინც ვამბობ, უძლეველი მხოლოდ ხალხია,
ვამბობ – ვერავინ გაიმარჯვებს ხალხის გარდა
მემილიონედ.
მხოლოდ ხალხია ბედისწერის გამრიგე (ღმერთი)
ყოვლისმცოდნე... ერთადერთი... ძლევა მოსილი.

დედა

დავკარგე დედა
და დამეკარგა უკანასკნელი თბილი პერანგი
სინაზისა და სიბრალულის უკანასკნელი შესამოსელი
უკანასკნელი საჩრდილობელი,
წვიმისაგან რომ მიფარავდა.
მომავალ ზამთარს იხილავთ ალბათ, რომ ქუჩაში
განძარცული დავიარები.

მუჰამად აჰმად ჰამადი

მუჰამად აჰმად ჰამადი თანამედროვე ეგვიპტელი პოეტი.
დაიბადა 1941 წელს. არის კაიროს უნივერსიტეტის ინგლისუ-
რი ენის ლიცენციატი. ლექსებს აქვეყნებს სამოცანი წლები-
დან, ხოლო ლექსების პირველი დივანი „მთვარის მოწყვეტა“
დაიბეჭდა 1996 წელს. ამის შემდეგ ზედიზედ აქვეყნებს რამდე-
ნიმე წიგნს – დივანებს – „მბრწყინავ ღრუბელთა აფრები“
(1997), „სისხლის საფლავი“ (2004), და სხვ. ფრანგულიდან
თარგმნა ბოდლერის „პარიზის სპლინი“. იგი ბოდლერისა და
სიმბოლისტების თავყვანისმცემელი და, შეიძლება ითქვას,
მიმდევარიც არის.
„ამ დროში, როცა ცოტაა პოეზია და ბევრი, ვისაც თავი
პოეტი ჰგონია, საბედნიეროდ წავანყდი ჭეშმარიტ პოეზიას.“
– წერს მისი პირველი კრებულის გამოქვეყნების გამო ეგვიპ-
ტელი კრიტიკოსი მუნიმ ავად იუსუფი. ასევე მაღალი შეფა-
სება ხვდა წილად მის სხვა წიგნებსაც. მისი ლექსები ძირითა-
დად თავისუფალი ლექსითაა (შირ ჰურრ) შესრულებული.
თუმცა ზოგჯერ კლასიკურ სალექსო ფორმასაც მიმართავს
(ბეითი, მონორიმი).

დავინყება

მივალ ეული
თვალდახუჭულ ქალაქთა გზებით.
მივეხეტები ღია სავსე საგოდებელზე.
ნათელი ღამის სუდარაში გამოვეხვევი
და დავბორძიკობ დამუნჯებულ საფლავთა ქვებზე.
ვთრთი, როგორც მთვარე, ზამთრის ქარში
გამომწყვდეული.
მე მიცნობენ მესაფლავენი და მარიგებენ –
არ მივემატო პირდაბჩენილ ღია აკლდამებს.
იქ, ქვესკნელში
ძვლების ჩხრიალი კი არ მესმის,

ანდა ფუთფუთი ჭიებისა გამოხრული თავის ქალაში,
არამედ ვხედავ:
დასალიერში ჩნდებიან სულნი შესვენებულთა
ვერცხლის ფრთებით.
ბრწყინავენ თოვლის კრისტალებად ლევა ღრუბლებში.
მესმის მთვლემარე მდუმარებაში
მათი ხმები, წყნარი, ცისფერი.
ვესაუბრები ცხარე ცრემლით, ფარული ოხვრით.
და ამოდიან ჩემს წიაღში
გამჭვირვალე, ნატვრით სავსე, სევდის
თვალებით
და ჩქერვალებად ელვარებენ
მეხსიერების სამზოვოზე, მწუხარ გულის
სადინარებში.
შემფოთებული ვეკითხები იდუმალ საფლავს –
რას ნიშნავს მათი სამდურავი
ღამისეული.
ხომ მოისვენეს საზარელი წყლულებისაგან
და არ ეგების, დაუბრუნდნენ დღეების განგაშს.
მაგრამ აშინებთ – დავინყების ქვიშით დაფარავს
მათ არყოფნის უდაბნოს ქარი.
რა დამავინყებს შემოხედვას გამოსათხოვარს,
შენ მზერას – სევდის ყურეებში წასულ ხომალდებს.
ჩამავალი მზე რომ დახედავს,
სხივმილეული,
დაადენს ცრემლებს,
უდაბნოთა გადამშრალ ხეებს.

ღამის მოსახვევი

როცა მზე ოქროს ხომალდით
წყლის სიბნელეში ჩაიძირება,
ქალაქის გზებზე როცა ჩრდილი გადაიხრება,
ჩიტი ჩაუშვებს ღუზას ბუდის ნავსაყუდელში,
ქუთუთოებზე როცა რული მოეკიდება,
დღეთა გზებიდან, დღის ქალაქის ურიაშულიდან
შემოვებარუნებ სწრაფ ნაბიჯებს
მე საღამოს აბრეშუმისკენ.
შევიპარები მარტოდმარტო ღამის გუმბათში,
იქ აღმოვაჩენ ტალანს რასმე და მდუმარებას
ჩემი სევდის შესანიშნავ ვუძღვნი.
იქ, ცის ტატნობის დატოტვილ ხეზე
ბელურებად ჩანან ვარკველავნი
და საამურად ციმციმებენ.
ჩემ სისხლში ელავს მათი ჯუფთება.
მე სიმღერათა ხეებზე ვწყვეტ სურნელოვან ვაშლს,
კუტკალიების მჭახე ჭრიჭინი
როდესაც ლექსის გუმბათისკენ აისვეტება
და ცის კარვის ქვეშ ბელურები დადუმდებიან.
ღამეს აამღვრევს კაეშანი, ჩაქრება ლექსი
როგორც მამხალა ქარიშხალში –
და მდუმარება არ მიიღებს ჩემს შესანიშნავს.
ვაშლს შევექცევი,
კუტკალიები იმ ტკბილ სევდას
წყვდიადისფერ
კენჭებს ესვრიან.

ცეცხლის სიმღერა

მაქეზებს ცეცხლი, რომ დავეწაფო
 მის ბაგეებზე მილიონ ამბორს
 ამბობს – შეახე ჩემს ღანვს სახე, ღონემიხდილი
 და ჩემს დალალს გაეთამაშე.
 ამბობს – სამოსი გადაიღე
 და ჩემს გულმკერდზე დაიძინეო.
 ამბობს – დალიე ჩემი ღვინო,
 ჩემს წყაროებში განინმინდეო.
 რომ მერე ცეცხლი წაუკიდო უფსკრულის წიაღს,
 დამარხო გვამი, ხევის პირას ყვავ-ყორნებს რომ
 მოუტანიათ.
 და ნახშირად და კვამლად აქციო
 უსიერი ტევრები ტყეთა.
 რომ დაანგრიო ციხე-ბურჯები
 უკაცრიელი ციხეების მდუმარებაში.
 მერე შეჩერდე მდინარესთან –
 არ უყვართ ცეცხლის ქარაფშუტა ზვირთებს მდინარე.
 და შეინახო ის ქარები, რომ ზუზუნებენ
 გამხმარ ყანებში,
 და ნაკვერცხალთა ძველი ღვინო და გოლეული
 იქ, ნანგრევებში შემორჩენილ მცენარეებს დააღვივინო.
 მაქეზებს ცეცხლი და ცეცხლი კი სიმღერაა, ცეცხლი
 ფლირტია.
 მე მიყვარს ცეცხლის ცხელი ჩურჩული
 და არა ცემა დაფდაფებისა.
 მე ვეტრფი ძლიერ მთრთოლვარე წელს და
 ღვინოს, რომელიც იწურება ვენახებში
 ძუძუმკერდისა,
 მე მიყვარს ალთქმა სიყვარულისა
 და ვერ ვიტან ალთქმის დარღვევას.
 მაგრამ ცეცხლი მღვიმეშია გამომწყვდეული
 და ჩემსა და
 იმ ქვაბულს შესასვლელს შორის
 აღმართულან
 არჩვთა არვენი.

დუნია ალ-ამალ ისმაილი

ახალგაზრდა პოტი ქალი დუნია ალ-ამალ ისმაილი XX საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების პოეტთა თაობას ეკუთვნის. წარმოშობით პალესტინელია. დაიბადა 1971 წელს ღაზაში. სწავლობდა კაიროს უნივერსიტეტის არაბული ენის განყოფილებაზე. მისი ლექსების პირველი კრებული „ყოველი ცალკე“ გამოქვეყნდა 1996 წელს კაიროში. ოსლოს კონვენციის შემდეგ ის კვლავ ღაზაში ბრუნდება. წერს, ძირითადად, ლექსებს პროზად. მისი ლექსების, ერთი შეხედვით, მარტივ ფორმაში იგრძნობა ღრმა და მძლავრი ემოციური მუხტი.

პატარა სიმღერები

სიკვდილი

მე შენ მიყვარდი,
 შენც გიყვარდი.
 მერე... დავშორდით.
 დიდი ხნის შემდეგ, როცა ისევ შევხვდით ერთმანეთს,

ალარ გიყვარდი,
 არც მე მიყვარდი,
 რადგან უკვე...
 მკვდრები ვიყავით.

ამბოხი

უნივერსიტეტის საათი
 იუნყება, რომ... დროს ჩამორჩება
 სტუდენტები კი ამბოხებას იუნყებიან...
 და ხელიხელ გადაჭდობილი ჩუმად დრტვინავენ.

დახრჩობა

როცა ნილოსი გადაშლიდა თავის სამოსელს
 მოლივლივებდნენ მის კალთაზე მინიატურები.
 ასე გვეგონა მაშინ მე და შენ,
 ნილოსი ამას ჩვენთვის შერებოდა.
 მაგრამ, როდესაც შევეცადეთ მის წყალში შეჭრას,
 ჩვენ... ჩავიძირეთ.

თურმე ისევ მიყვარს

უკანასკნელად ზღვას რომ ვეწვიე,
 ზაფხული სადღაც მიმალულიყო.
 სადღაც შორს – ზამთრის მარმამის მიღმა.
 და გამახსენდა... ისევ მიყვარდა.
 არ ვიცი იმნამს რამ გამახსენა,
 მაგრამ ვიგრძენი, რომ ნეკნების ქვეშ
 ქარბორბალა ამოტრიალდა.

შეხვედრა

ერთმანეთს შევხვდით
 მერე, მთელი ამ წლების შემდეგ.
 მე გავიღიმე.
 იმანაც გაიღიმა.
 – როგორ ხარ? – მკითხა
 – კარგად, – მიუუგე... და შენ?
 – მეც კარგად...
 – რამე ხომ არ გინდოდა?
 – მადლობთ, – ვთქვი მე.
 ის ნავიდა
 და თვალებში ცრემლი ჩამიღდა.

სამშობლო

სამშობლო, რაიც დიდი ხანია მხოლოდ წიგნის
 ფურცლებზე ცხოვრობს,
 მეგონა... ერთ დღეს გამოვიდოდა
 და თავის ამბოხს განაცხადებდა... და სიამაყეს,
 მაგრამ დღეს ვხედავ, მისი ყოფა
 გაგრძელდება ძალიან დიდხანს
 მე მოვამზადებ ახალ ოცნებებს. და მწუხარებას
 ნიშანდობლივ თვისებად ვაქცევ.

**არაბულიდან თარგმნა
 ნანა ფურცელაძე**

უილიამ კაფი
ნაჯაფ დარიბანდარი

კლეოპატრა

ეგვიპტის დედოფალი კლეოპატრა VII პტოლემე VIII-ს ქალიშვილი გახლდათ. დედამისის სახელი უცნობია, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ქალი რომ პტოლემეს ცოლად გაჰყვება, ნათელია, რა შვილიც ბრძანდება.

ეს პტოლემე ცნობილი იყო „პტოლემე მესტირეს“ სახელით, ვინაიდან დილიდან ღამემდეგ სალამურს აკენესებდა. ეგვიპტელებმა იგი ქვეყნიდან გამოაპინტრიშეს, მაგრამ ვინაიდან ბუნებით რეაქციონერი გახლდათ, სასწრაფოდ თავის ადგილს დაუბრუნდა. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვ. წ.-აღ.-მდე 51 წელს გამოეთხოვა წუთისოფელს და ეგვიპტის სამეფო კლეოპატრასა და მის 14 წლის ძმისწულს პტოლემე მეთოთხმეტეს დაუტოვა.

ერთი ცნახოთ, როგორ მოხდა, რომ პტოლემე მერვედან ერთბაშად პტოლემე მეთოთხმეტეზე გადახტენ. მართალი გითხრათ, ამ საკითხში თავად ვერ გავრკვეულვარ. როგორც ჩანს, პტოლემეები ეგეთი ტიპები იყვნენ. ეს იქით იყოს, პტოლემეებს თავდაპირველად უმაღლესი ხარისხის სუფთა ბერძნული სისხლი უჩქეფდათ ძარღვებში, მაგრამ როცა საქმე კლეოპატრასა და მის ძმისწულზე მიდგა, მათ სისხლს უნებლიეთ მცირედი უსუფთაო სისხლიც შეერია. ეს როგორ მოხდა, რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტია, რომ იმხანად მათი სისხლი მეორეხარისხოვანზეც უფრო უარესი იყო.

კლეოპატრა და პტოლემე დიდად შეხმატკბილებულნი ვერ იყვნენ და ან რატომ უნდა ყოფილიყვნენ?! ჩანს, კლეოპატრამ სიტუაციას ალღო აუღო: იმხანად ეგვიპტის ფაქტობრივი მმართველი გახლდათ საჭურისი, ვინმე პონტიუსი. კლეოპატრას, მგონი, ვერ მოუხერხებია მისი გულის დაპყრობა (ისე, ჩვენშიც ვიკითხოთ და, როგორ უნდა მოეხერხებინა?), ამდენად კლეოპატრა ფრიად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა და ისლა დარჩენოდა, ტახტისა და გვირგვინის ნახევარი მიეტოვებინა და სირიისათვის შეეფარებინა თავი. მაშინ კლეოპატრა ოცდაერთი წლისა იყო და დარდი ღრღნიდა, რადგან გრძნობდა, რომ ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევდა.

ბედად, იმ ხანებში იულიუს კეისარმა (ჩვენს იულიუს ცეზარზე მოგახსენებთ), რომელიც, როგორც ამბობენ, ისტორიაში ყველაზე დიდი რომაელი¹ ბრძანდებოდა, გადაწყვიტა, ეგვიპტეში შეეგლო, რადგან იქ, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, ძალზე მნიშვნელოვანი საქმეები ელოდა. მაგრამ როგორც კი კეისარმა ეგვიპტის მიწაზე ფეხი დადგა, მეორე მხრიდან კლეოპატრა მოდგა, რათა კეისართან მიმდინარე საკითხებზე მოლაპარაკებები გაემართა.

კლეოპატრამ ბრძანა, თბილსა და რბილ საბანში გაეხვიათ იგი და კეისრისათვის მიერთმიათ. კეისარმა საბანი

რომ გაშალა, იქიდან კლეოპატრა გამოძვრა და ღამის დარჩენილი ნაწილი მათ ორი ქვეყნის მიმდინარე საკითხების თაობაზე მოლაპარაკებებში გაატარეს. ცხადია, არიან ისეთებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ როცა ორი ქვეყნის ურთიერთობების მიმდინარე საკითხებზე საუბარი მოსწყინდებოდათ, ეს ორნი მათ შორის არმიმდინარე საკითხებსაც გადასწვდებოდნენ. მაგრამ ჩვენ ამის თაობაზე საკუთარ მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

ასე იყო თუ ისე, კეისარმა ამ მოლაპარაკებების შედეგად კლეოპატრა ხელმეორედ დასვა ტახტზე, მაგრამ ამჯერად მის მეორე ძმასთან პტოლემე XV-სთან ერთად, ვინაიდან გაურკვეველია, რა მიზეზით მოხდა, რომ პტოლემე XIV კლეოპატრასა და პტოლემე XV-ს ტახტზე ასვლამდე ორი დღით ადრე, ჩვენდა სამწუხაროდ, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო კიდევ. რასაკვირველია, მხოლოდ მისი თავი ჩავარდნილიყო წყალში, დანარჩენი სხეული კი აუზთან გამოტილიყო. ეს აუზში დახრჩობის ყველაზე ბრყვეული გზაა, რადგან თუკი ადამიანი აუზში უნდა დაიხრჩოს, ბოლოსდაბოლოს, სხეული მთლიანად მაინც ხომ უნდა ჩახტეს აუზში, რათა მოხდეს ბანაობის ფაქტის დაფიქსირება.

ბედად, არც პტოლემე XV-ს სიცოცხლე აღმოჩნდა დიდად ხანგრძლივი, უფრო სწორედ, არ დაუშვეს მისი გახანგრძლივება, ვინაიდან კლეოპატრამ მას მცირეოდენი სანამლავი აგემა, რასაც ამ უკანასკნელის სიკვდილი მოჰყვა. (რასაკვირველია, ამის გამო კლეოპატრა არ უნდა დაძრახოთ, რადგან პტოლემეების გვარში ნესად ჰქონდათ, თითოეულ მათგანს, რამდენსაც შეძლებდა, ოჯახის იმდენი წევრი უნდა მოენამლა). სამაგიეროდ, კლეოპატრას საკუთარი დისთვის ორსინეასთვის სანამლავი თავად კი არ მიუცია, არამედ სხვას აიძულა მისი მონამვლა.

კეისარი 54 წლისა იყო, კლეოპატრა კი – 21. მაგრამ კეისარი ჯერ კიდევ საკმაოდ ქმედითუნარიანი გახლდათ: გამხდარი, ჩხირივით და, გავრცელებული ხმების სანინა-ალმდეგოდ, ჩია კაცი.

კეისარი იმ წლის შემოდგომის დამდეგიდან მომდევნო წლის შემოდგომის პირამდე ეგვიპტეში დარჩა და რეგულარულად აწარმოებდა მოლაპარაკებებს ორმხრივი ურთიერთობების საკითხებზე. მოლაპარაკებების შედეგი გახლდათ ვაჟი, რომელსაც „ცეზარიონი“ ანუ „პატარა კეისარი“ დაარქვეს. ამგვარად, კლეოპატრას უკვე ჰქონდა უფლება, საკუთარი თავი ოფიციალურად ეცნო კეისრის დანიშნულად.

კეისარი მის მოყვანაზე უარს არ იყო, მაგრამ საქმეს ის უჩმახებდა, რომ საკუთარ ქალაქში ერთი ცოლი უკვე ჰყავდა. როგორც წესი, საქმეები, ჩვენ რომ გვინდა, ისე არ ეწყობა ხოლმე, რაღაც ეტაპზე აუცილებლად იშლება. საოცარი ისაა, რომ უმეტესად ირკვევა ხოლმე, რომ კაცი ცოლიანია.

იულიუს კეისარს, მსგავსად ალექსანდრე დიდისა, რომელსაც ეთაყვანებოდა, სწამდა, რომ ღვთიური არსება იყო. უსათუოდ უნდა იცოდეთ, რომ ეს ბატონები ურჯულოები იყვნენ და დიდ ვერაფერიშვილი ღმერთები ჰყავდათ. ჰოდა, თუნდაც ღვთიური არსებები ბრძანებულყ-

ვენენ, შემდგომში, როცა მათი ღმერთები ყალბი აღმოჩნდნენ, მათ ღვთიურობასაც ნიადაგი გამოეცალა. ასეა თუ ისე, იმის თქმა გვინდა, რომ ადამიანი ამ ზომით საკუთარი თავით აღტაცებული არ უნდა იყოს.

რა დასამალია და, კეისარი თითქმის მელოტი იყო, მისი მეჩხერი თმა კი – ქათქათა თეთრი.² არც იმას დაგიმალავთ, რომ კეისარი ბნელიანიც გახლდათ.

სხვა მის ღვანლთაგან აღსანიშნავია ნიგნი, გალელი ხალხის გენოციდის თაობაზე რომ დანერა და, აგრეთვე, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გადანვა. რა თქმა უნდა, კეისარს ბიბლიოთეკის დანვა არ ნდომებია, მაგრამ, რადგანაც ეგვიპტე ზღვაზე ომში დაემარცხებინა, ბრძანება გასცა, ნაპირზე მდგომი ეგვიპტის საბრძოლო ხომალდები დაენვათ. იქიდან ნაპერწყალი მოხვდა ბიბლიოთეკაში და მასაც ცეცხლი მოეკიდა.

სულაც ალექსანდრიელი მეცნიერების ბრაღია, რადგან, უსაფრთხოების წესების გაუთვალისწინებლად, ბიბლიოთეკა გემების დასანვაი ადგილის სიახლოვეს ააგეს.

ჩვ.-აღ.-მდე 44 წელს, როდესაც კლეოპატრა რომს ეწვია, კეისარს ძმაკაცებმა შეთქმულება მოუწყვეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. კლეოპატრამ რომ დაინახა, რაც მოხდა, სულგრძელობა გამოიჩინა და იქაურობას გაეცალა.³

სამი წლის შემდეგ კლეოპატრამ ნახა მარკუს ანტონიუსი (ჩვენს მარკ ანტონიზე მოგახსენებთ), ჩაფსკენილი და წვერებიანი მამაკაცი. ესეც ასე! აბა, როგორ გეგონათ! სიმსუქნე ნაკლი სულაც არ არის, ან სიმელოტეს რა უშავს! კლეოპატრამ და ანტონიუსმა დაუყოვნებლივ მოძებნეს ერთმანეთი და ერთობლივი ძალებით აზიის დაპყრობა გადაწყვიტეს. აზიის დასამორჩილებლად აუცილებელი იყო საძინებლიდან გამოსვლა და რამდენიმე ფარსაგის გავლა. ესეც არ იყოს, აზია განა იდგა და ელოდა, მოვლენ და დამიპყრობენო. ეს კლეოპატრას ბრაღი უნდა იყოს, რადგან როცა კლეოპატრა კეისართან იყო, მაშინაც ორივეს იგივე ოცნება ჰქონდა. საკვირველი ქალი იყო პირდაპირ, არ აცლიდა კაცებს, გულდამშვიდებით ეკეთებინათ თავიანთი საქმეები.

ფაქტობრივად კლეოპატრასა და ანტონიუსის ურთიერთობა პარიტეტულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა იმ გაგებით, რომ კლეოპატრას ტახტისა და გვირგვინის შესანარჩუნებლად ერთი გავლენიანი მომხრე სჭირდებოდა, ხოლო ანტონიუსს ოქროს მონეტების ფლობის დაუოკებელი წყურვილი კლავდა. მაგრამ ყიამყრალმა ხალხმა უგულვებელყო ეს ფაქტი და მოჰყვა მათ ზურგს უკან ავსიტყვაობას. ილაპარაკეს, ილაპარაკეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ახლაც აგრძელებენ აუგის თქმას. დღემდეც – ორი ათასი წლის შემდეგაც! მაშინაც კი, როცა კლეოპატრამ ანტონიუსს ტყუპი ქალ-ვაჟი გაუჩინა, ხალხი მაინც არ დაეხსნა.

ტყუპებს ალექსანდრე-ჰელიოსი და კლეოპატრესლევი დაარქვეს. აი, ხედავთ, ბავშვების სახელებიც კი ვახსენ-

ნე, რათა ემანდ არ იფიქროთ, თითქოს ვიგონებდეთ რამეს. ბუნებრივია, კლეოპატრამ და ანტონიუსმა მალულად იქორწინეს და მაშინ ტყუპები მხოლოდ ოთხი წლისანი იყვნენ. მაშასადამე, უნდოდათ ერთმანეთი. ანტონიუსი თუმცაღა, კეისარისგან განსხვავებით, ღვთიურობას მოკლებული იყო, მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო, კლეოპატრასათვის მაინც ძალზე კარგ ინტიმურ მეგობრად ითვლებოდა.

არავის არასოდეს შეეძლო განეჭვრიტა, ეს ადამიანი ერთი წამის შემდეგ რას ჩაიდენდა. ცხადია, საკვირველი ამაში არაფერია, რადგან არც სხვა ადამიანების ქმედებების წინასწარ განჭვრეტა შეიძლება და, ვინც იტყვის, ამის უნარი მაქვსო, ძალიანაც მიჰქარავს. რაც შეეხება ანტონიუსს, საერთოდ არ ჰქონდა ამის უნარი ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კიდევ რომ წინასწარ განეჭვრიტა რაიმე, დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ მისი პროგნოზი მცდარი გამოდგებოდა. ასე იყო თუ ისე, ანტონიუსსა და კლეოპატრას ერთნაირი გემოვნება ჰქონდათ და ერთმანეთს კარგად უგებდნენ. მაგალითად, ზოგჯერ ღამ-ღამობით, როცა მოწყინდებოდათ, მათხოვრებად გადაიცვამდნენ (ფიქრობ, იმხანად მათხოვრების სპეცტანსაცმელი უნდა არსებულებოდა) და ქუჩებში დაეხეტებოდნენ. სახლების კარზე აკაკუნებდნენ და მერე გარბოდნენ, ფანჯრების მინებს რიყის ქვებით ლუნდნენ და ხარხარით იკლებდნენ იქაურობას. მოკლედ, ჩანდა, ერთმანეთი რომ მოსწონდათ. ადამიანები, რომელთაც ერთმანეთი მოსწონთ, ფიქრობენ, რომ სხვებსაც მოსწონთ ისინი და ამის გამო გატუტუცდებიან და გაბანძდებიან ხოლმე.

ტყუპების ქვეყნად მოვლინებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ანტონიუსი იძულებული გახდა აუცილებელ საქმეზე გამგზავრებულიყო. ეს აუცილებელი საქმე კი ის გახლდათ, რომ ომში მცირედი მარცხი უნდა ეგემნა და დაბრუნებულიყო.

ამ მოგზაურობამ სამ წელს გასტანა და მაშინ მოხდა, როცა ანტონიუსის ცოლმა ფულვიამ სული უფალს მიაბარა.⁴ მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ანტონიუსს ესარგებლა ამ შემთხვევით და ტყუპების დედა მოეყვანა ცოლად, რამდენადაც მისი ვარაუდი არასოდეს არ მართლდებოდა, ადგა და შეირთო ოქტავია – რომის ხელისუფლებაში მისი ორი პარტნიორიდან ერთ-ერთის – ოქტავიანეს ნახევარდა. მერე კი კვლავ კლეოპატრას დაუბრუნდა. იმ დროს მისი ჯიბე უკვე საფუძვლიანად გამოფხვილიყო და კლეოპატრასგან ნუგეშისცემა სჭირდებოდა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ოქტავია შეერთო, კლეოპატრაზე იქორწინა. რომ ამბობენ, კაცს თუ ცოლი ჰყავს, მეორეს ველარ შეირთავსო, – ტყუილია. რას ჰქვია, ვერ შეირთავს! მოკლედ, ანტონიუსმა კლეოპატრა კიდევ შეირთო და დარჩენილი ცხოვრებაც მათხოვრის სამოსის ჩაცმაში, ქუჩაში ხეტიალში, კარების მტვრევასა და ფან-



ჯრების მინების მსხვერველში და სხვა ამგვარ უხეირო საქმეებში გაატარა. ამასთან, ერთი ბავშვი კიდევ გააკეთა. ზოგჯერ, როცა სხვა საქმე არა ჰქონდათ რა, ანტონიუსი საუბრისას აზიის დაპყრობისა და მსოფლიო ბატონობის თემას წამოჭრიდა. ცხადია, ანტონიუსი ამ მიზნის მისაღწევად გარკვეულ ზომებს იღებდა. მაგალითად, მარჯვენა იდაყვს მარჯვენა მუხლს დააყრდნობდა, ხოლო ნიკაპს – ცერს და დიდი ხნით ფიქრს მიეცემოდა. მაგრამ საუბედუროდ, ამგვარ ქმედებებს მცირედი შედეგიც არ მოუტანია.

ანტონიუსმა ორმოცდაათს რომ გადააბიჯა, დღითიღ სულ უფრო მეტად სუქდებოდა, ყეყენდებოდა და ლოთდებოდა, იმდენად, რომ კლეოპატრამ გულში დასაკვნა, ჩვენი სიყვარული წმინდა წყლის გაუგებრობა იყო. რომაელებიც ალექსანდრიაში მიმდინარე პროცესებით უკმაყოფილონი იყვნენ და მოთმინება დაეკარგათ. სულ მალე იულიუს კეისრის შვილობილი და თავად ანტონიუსის ცოლისძმა ოქტავიანე წყობიდან გამოვიდა და საკუთარი სიძე აქტიუმში ისე დაამარცხა, რომ ანტონიუსი გაოგნებისაგან პირდაღებული დატოვა. ზოგიერთი ენაქართალა იმასაც ამბობს, კლეოპატრამ ოქტავიანესთან ანტონიუსი თავად გასცა, შუა ბრძოლის ორომტრიალში მიატოვა იქაურობა და ანტონიუსს ყალბი ინფორმაცია მიანოდა, რაც ამ უკანასკნელის თვითმკვლელობის საბაზი გახდა.

მაგრამ, როგორც უნდა ყოფილიყო, ჭეშმარიტება ის გახლავთ, რომ კლეოპატრა მხოლოდ ცდილობდა, დინების სანაღმარადეგოდ არ ეცურა.

სავარაუდოა, რომ ამ ამბების შემდეგ კლეოპატრა მზად იყო, საერთო ენა გამოენახა ოქტავიანესთან. მაგრამ, საუბედუროდ, ოქტავიანე პირქუში და უფური კაცი გახლდათ – ნვრილი, ცივი და უმეტყველო თვალებით, იცვამდა გრძელ შალის შარვალს და დღემუდამ პატიოსნებასა და უმანკობას ქადაგებდა. კიდევ უარესი – გადანყვიტა, კლეოპატრა რომში წაყვანა, გალიაში გამოემწყვდია და საყოველთაო სანახაობად ექცია. მიხვდა კლეოპატრა, რომ ამ საქმეს კეთილი ბოლო არ ექნებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ ოცდაცხრამეტი წლისა იყო, გადანყვიტა, თავადვე ეზრუნა საკუთარ სიკვდილზე.

უნდა გითხრათ, რომ შხამიანი გველისა და ლეღვის კალათის ამბავი გამონვლილვით შევისწავლე, მაგრამ ხელჩასაჭიდი ვერაფერი ვნახე. უნდა მომიტევეთ.

კლეოპატრა ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი გახლდათ. მის შემდეგ ეგვიპტე ოქტავიანეს მოსაწყენი სამფლობელოს ანუ რომის იმპერიის დანამატად იქცა.

მგოსნებმა, მეზღაპრებმა და დრამატურგებმა უსაზღვრო შური გამოიჩინეს კლეოპატრას მიმართ და რაღა არ დააბრალეს. თუ სიმართლე გნებავთ, არ მოიპოვება არც ერთი არგუმენტი იმისა, რომ ამ ყმანვილ ქალს იულიუს კეისრისა და მარკუს ანტონიუსის გარდა რომელიმე კაცთან დასაძრახი საქმე ჩადინოს. თუ მაინცდამაინც ასე გნებავთ, შეგიძლიათ მისი ცხოვრება წარმოიდგინოთ როგორც ხანგრძლივი და უსასრული განცხრომა და დროსტარება. ნება თქვენია.

მისი სახისა და მკერდის შესახებ სხვადასხვა აზრი და წარმოდგენა არსებობს. ასე გასინჯეთ, მისი კანის

ფერისა და ცხვირის ზომის თაობაზეც ვერ შეთანხმებულან. მე რომ კაცმა მკითხოს, კლეოპატრა ძალზე ლამაზი შავ თვალ-წარბა ქალი გახლდათ და ცხვირსაც არაფერი დაენუნებოდა. ერთი რამ უდავოა – როცა კეისარი მას ცხვირ-პირზე ხელს შეახებდა, თავზარი არ ეცემოდა.

მატიანეში ჩასანერად მოგახსენებთ შემდეგს:

- ანტონიუსისა და კლეოპატრას ვაჟი გაზარდა ოქტავიამ (ანუ ანტონიუსის ქვრივმა);
- ამ ვაჟის ტყუპისცალი და, კლეოპატრესლენი, შემდგომში ნუმიდიის მეფის ჯუიას ცოლი გახდა;
- ალექსანდრე-ჰელიოსთან რა არ ილონეს, არაფერი მისგან არ გამოვიდა;
- პტოლემე ფილადელფიუსის კვალი მატიანეებში დამეკარგა;
- კეისრის ვაჟი ცეზარიონი იმ უფმურმა ოქტავიანემ სიკვდილით დასაჯა, მაშინ, როცა მისთვის თავი რომ დაენებებინა, ამჟამად უმალესი ხარისხის ანტიკვარული ნიმუში იქნებოდა და კარგი ფასიც ედებოდა;

უეჭველად გეცოდინებათ, რომ შემდგომში ოქტავიანე იმპერატორ ავგუსტუსის სახელით ავიდა ტახტზე და ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული პიროვნება გახდა. რამდენიმე ფრიად უცნაური სნეულების მიუხედავად, რომლებმაც იმდროინდელი ექიმები განაცვიფრა, ორმოცი წლის მანძილზე მართავდა რომის იმპერიას.

მისი ერთ-ერთი დაავადება ამგვარი გახლდათ: ყოველ წელს გაზაფხულზე დიაფრაგმა ეზრდებოდა. მეორე – ჰყავდა რგოლოვანი ჭიები და, ჭიების შიშით, ბანაობას ვერ ბედავდა, რადგან წყალში ჭიები სულს ხდიდნენ და ტანჯავდნენ.

ამდენად უნდა ითქვას, რომ კიდევ კარგი, ამ კაცს კლეოპატრა არ შეუყვარდა, თორემ იმ უმანკო ბავშვს რგოლოვანი ჭიების გარეშეც პრობლემები არ აკლდა. ვინ იცის, იქნებ კლეოპატრამაც ოქტავიანეს რგოლოვანი ჭიების შიშით იყო, გველს რომ შეაფარა თავი.

სპარსულიდან თარგმნა თეა შურღანია

1 კეისარს ვალთა ქვეყანაში ერთი მილიონი ქალი, მამაკაცი და ბავშვი დაეხოცა და ერთი მილიონიც ტყვედ აყვანა. მანამდე არც ერთ რომაელს ამგვარი მამუტაბებისათვის არ მიუღწევია.

2 ამგვარი ფიზიონომიის კაცზე იტყვიან „სოლიდურიო“, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ბევრი ფული აქვს.

3 ისტორიკოსი ჯეიმზ ენტონი ფრაუდი აცხადებს, რომ კლეოპატრასა და კეისრის ამბავი ჭეშმარიტებას არ შეესაბამება და მოგვიანებით ხალხის მიერ არის შეთხულები; უცნობია, თუ რას ამბობს იგი ცეზარიონის შესახებ, რამეთუ ეს ერთი მაინც კლეოპატრამ და კეისარმა თავად შექმნეს და არა ხალხმა.

4 დიხ ბატონო, საყოველთაოდ გავრცელებული წესის შესაბამისად, ანტონიუსს მეუღლე ჰყავდა. ისე, კაცებმა ცოტა რომ მოითმინონ და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ცოლი არ შეირთონ, შესაძლოა, შემდგომ ასეთ შემთხვევებში მოიყვანონ ცოლი.

5 აქ „სულის“ მნიშვნელობა მთლად ნათელი არ არის.

* * *

პირველად რომ ვნახე ჯერომ სელინჯერის ფოტოსურათი, გამიკვირდა, ეს რა ცუდად დაუბეჭდავთ-მეთქი. არადა, ამერიკული გამოცემა გახლდათ და იმათ მაინც იციან უხარვეზო წიგნები. ამ ფოტოზე ასეთი რა დამართნოდათ? და თურმე არც არაფერი – ფოტოგრაფს გადაელო ისე, რომ ნახევარი შუბლი არა ჩანდა. ვინ იცის, რამდენი ფოტო გადაულო მანამდე – ხან აქედან, ხან იქიდან, ამ რაკურსიდანაც, ოლონდ მთელი თავი, მაგრამ გულს მაინც ვერ შეაჯერებდა და ბოლოს ასე გადაჰკვეთდა სახეს.

შთამბეჭდაობასაც ამით მიაღწევდა.

მერე და მერე ამ ფოტოს სად აღარ ვნახავდი – რუსულ გამოცემებზეც, ცალკეულ პუბლიკაციებზეც, „ათი ამერიკელის“ ანთოლოგიურ კრებულშიც სწორედ მას გავიმეორებდით.

ფრაგმენტი უფრო მეტს ღალადებდა ადამიანის ხასიათზე, ვიდრე უნაკლულო ფოტო.

ხელოვნებაც ეს ყოფილა.

პოეზიისათვის ასერიგად ნაცნობი:

სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობაო.

თითქოს გალაკტიონს ეს პოეტური ფორმულა სელინჯერის ფოტოზეც ეთქვას.

თითქოს თენგიზ გოგოლაძის იუმორისტულ ჩანახატებზეც? ორიოდ მტრისი პიროვნების ხასიათს ასე მკაფიოდ რომ მიგვანიშნებს.

თუმც ამჯერად ფოტოებს ვუკვირდებით ამ თვალთ.

ერთი შეხედვით ვინმეს შესაძლოა ისევე მოეჩვენოს უხარისხო ნაბეჭდის ბრალი პავლე ინგოროყვას გამოსახულება, როგორც მე სელინჯერის ფოტომ დამიტოვა უსიამოვნო განცდა.

ნამიერად... მხოლოდ ნამიერად... ვიდრე იდუმალი ხმა მის დაფარულ ეფექტს მიმახვედრებდა.

პავლე ინგოროყვა მაგიდას უზის და ხელნაწერს ჩაჰკირკიტებს.

ფოტოზე მოჩანს პროფილის სილუეტი – არსად კეფა, არსად შუბლის ზედა მხარე... და ხედები, რომ ასე, მართლაც მარჯვედ გამოკვეთილა მისი იშვიათი პროფილი, დანტეს პირგამეხებული სახის-თვისაც რომ შეუდარებიათ (რევაზ თვარაძე).

ერთი ასეთი ფოტოალბომიც, ფრაგმენტები რომ ღალადებდეს პიროვნების ხასიათზე – ჰა, რას იტყვით? ერთადერთი, რასაც არ ვუჩივით, იდეათა მოზღვავებაა.



ჯერომ სელინჯერი



პავლე ინგოროყვა

* * *

ლევან ბრეგაძეს ვერ აეხსნა, რატომ უნდა ყოფილიყო სულხან-საბა ორბელიანის 150-ზე მეტი არაკიდან და ანეკდოტიდან უფრო დიდი ნაწილი მივიწყებული და მხოლოდ ერთსა და იმავე ნიმუშებს ეტრიალათ ქრესტომათიებშიც და სამეცნიერო მიმოქცევაშიც, და შეეცდებოდა თანდათან წარმოეჩინა უმართებულოდ მიჩქმალულ მინიატურულ ქმნილებათა სიღრმეც და აქტუალობაც, მითუმეტეს, დროის ცვლილებისა და ცხოვრების გადასხვაფერების კვალობაზე ზოგიერთი არაკი, გუშინ ნაკლებ ყურადღებას რომ იქცევდა, დღეს სულ სხვა თვალთ გახლდათ წასაკითხი.

თუნდაც ეს ანეკდოტი, ერთი გლახაკი კაცი რომ გამდიდრდებოდა და შვილისათვის მდიდრის ქალს ითხოვდა. ის კაცი შეფიქრიანდებოდა, უარზე გადაემეტყრება და მიცემაც მეძნელეობაო. ამიტომაც ასეთ პირობას დაუდებდა: თუ ეგ შენი შვილი ერთ წელს სიგლახაკეს იწყებს და კარდაკარ მავალი და მათხოვარი შეიქმნება, თანახმა ვარო. ის ბიჭი კიდეც მოჰკიდებდა ხელს კარდაკარ სიარულსა და მათხოვრობას, და წელიწადი რომ გამოხდებოდა,

ისევე მიადგებოდნენ ქალისათვის. ის კი ახალ პირობას შესთავაზებდა: ახლა მავლობა და თხოვნა მოიკვეთოს, თორემ მავალს ქალი როგორ გავატანოო. შორს დაიჭერდა ბიჭი: ერთ წელიწადს ძლივს ვისწავლე და როგორღა მოვიკვეთოო. მავლობას არ გაუშვებდა და აღარც მდიდარი გააყოლებდა ქალს.

მათხოვრობის თემაზე ბევრი შესანიშნავი თხზულება შექმნილა, მაგრამ არ მეგულემა სხვა ტექსტი, თანაც ასე მცირე მოცულობისა, რომელშიც ასე საუცხოოდ იყოს წარმოჩენილი მათხოვრობის არსისათვის ნიშანდობლივი რამდენიმე მომენტი, „შეუიარაღებელი თვალისათვის“ ღრმად დაფარულიო, – დასძენდა მკვლევარი და უპირველესად იმ გარემოებაზე მიაქცევდა მკითხველის ყურადღებას:

– საბას კარგად ესმის ის, რაც უმეტესობამ დღემდე არ იცის, ან რაც უმეტესობას დღემდე არ სურს დაიჯეროს: მათხოვრობა პროფესიაა. მამასადამე, მცდარია აზრი, თითქოს ადამიანები უკიდურესი გაჭირვების გამო მათხოვრობენ, ანუ იმიტომ მათხოვრობენ, რომ სხვა საშუალებით თავის რჩენა არ შეუძლიათ.

და კიდევ, მეტი სიცხადისათვის:

– ამავე დროს ეს უძნელესი პროფესიაა. უმთავრესი სიძნელე აქ ის არის, რომ თავმოყვარეობაზე ხელის აღება საჭირო. ხატოვნად რომ ვთქვათ, მათხოვარი თავის თავმოყვარეობას ყიდის და ამით არსებობს.

ლევან ბრეგაძის ესეი „უძნელესი პროფესია“ მახვილგონივრული ნიმუშია კრიტიკულ-ესთეტიკური პროზისა და გაგულისანებს ამ თემას საფუძვლიანად მოჰკიდო ხელი და სწორედ ამ გადასახედიდან: მათხოვრობა პროფესიაა და თანაც უძნელესი, ნოდარ დუმბაძის ერთი ნოველის („დედა“) ერთი პასაჟისა არ იყოს:

– ეგ მსოფლიოში ყველაზე ძნელი პროფესია – მათხოვრობა რომ ავირჩევია...

ესეიში კიდევ ორი ნიმუშია მოხსენიებული ამ თემის მხატვრული გააზრებისა (პაოლო იაშვილის „ფერადი ბუმბუტები“ და ბერტოლდ ბრეტის „სამგრომინი ოპერა“) და სხვა უამრავი იგულისხმება. და თუ ვინმე მონოგრაფიულად შეისწავლის ამ უძნელესი პროფესიის არსს, დანიშნულებასა და საიდუმლოებებს, ცხადია, არ უნდა გამოიჩინოს ერთი პასაჟი ალექსანდრე ყაზბეგის რომანიდანაც „მამის მკვლელი“, ასე რომ ჩამოჰგავს სულხან-საბას იგავის პერსონაჟის მოქმედებას.

ძმის ოჯახს სტუმრებია მთხოვარა გლახა, ვისაც ზედვე ეტყობა, რომ ცხოვრებაში ბევრი გულდასათუთქი წუთები და მღელვარება გამოუვლია, იმის ტანსაცმელს კი შეადგენს უცნაურად დაფლეთილი და სხვადასხვა ფერის ნაკუნებით დაკონკილი ფარაჯა, რომელმაც სიცივისა და ავდრისაგან უნდა დაიფაროს მისი დაუძღვრებული სხეული და ჩავარდნილი გული.

ალბათ როგორ უნდა უჭირდეს, რომ კვლავაც მათხოვრობა უწევდეს?

ძმა საყვედურებით ავსებს, ის კი ასე იგერიებს ონისეს შემოტევას:

– შინიდან არა მიმაქვს-რა, არა გამიყიდნია-რა და არა შემიჭამია-რა... ჩემი სარჩო-საბადებელი თქვენთვის დამილოცნია, ცხო რაი-ლა გინდათ?.. დავდივარ ქვეყანაზედ, ვთხოვლობ და კეთილი ხალხის წყალობით ლუკმასა ვჭამ. რაი გაქვთ ჩემზედ სამდურავი?.. თუ ერთი-ორი გროში გადამრჩენია, ისიც თქვენთვის გამომიგზავნია.

მათხოვრის სიტყვებში თვალნათლივ მოჩანს, რომ უკიდურეს გაჭირვებას სულაც არ დაუყენებია ამ გზაზე. სარჩო-საბადებელიც ჰქონია და ერთიანად ძმისათვის გადაულოცავს, და ახლაც, რასაც შოულობს, ძმასა და მასთან შეკედლებულ თავის პატარა გოგონას უგზავნის.

ონისემაც იცის, რომ თხოვარა გლახა არამცთუ შიმშილით არ მოკვდება, შინ თუკი დარჩება, არამედ რიგიანადაც გაუძღვება ოჯახს. ამიტომაც ამუნათებს და არწმუნებს:

– შინ იყო და იუფროსო, ის არა სჯობს?

მაგრამ უფროს ძმას უკვე ისე შეუსისხლხორცებია ეს ხელობა, რომ ასე ადვილად ვეღარ გამოეხსნება. იგი იმ საიდუმლოს ზიარებია, რაც თავის წიაღში ჩაითრევს სულხან-საბას უსახელო პერსონაჟსაც და სრულიად გაუგებარია უმცროსი ძმისათვის, თუმცა გლახა უმტკიცებს, მენც კარგად იცით. არა, არ იცის ის, რაც „მამის მკვლელებში“ ასე გამოითქმის:

– თუ კაცი გარეთ სიარულს დაეჩვია, ის შინ ველარ გასძლებს...

„გარეთ სიარული“, რასაკვირველია, მოგზაურობის ჟინს სულაც არა გულისხმობს ამ შემთხვევაში. აბა, რომელი მოგზაურობის ტრფიალი მთხოვარა გლახაა. მისი მოგზაურობაც და გატაცებაც თავისი პროფესიაა და როგორღა მოიკვეთოს ძლივს ნასწავლი.

თითქოს სულხან-საბას პერსონაჟი მეტყველებდეს ახალ დროში, უკვე სიბერეს მიწვენილი და ძალიანაც კმაყოფილი თავისი გამოვლილი ცხოვრებით.

დარჩი, დარჩი!.. ღვთის მადლმა. ჩემი ბაღლები ეგრე შეგინახავენ, როგორც ბატონსა, – მის ცდუნებას ცდილობს ონისე და ვერ წარმოუდგენია, რომ მათხოვარ ძმას ვერავითარი საცდურის წინაშე ვერ დააყენებს.

პროფესია პროფესიაა და არ ეღალატება. ამიტომაც:

– დარჩენაც რომ მიწოდდეს, ვერ დავრჩები...

კარის ზღურბლისათვის გადაბიჯებაც ძალიან ეძნელება ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟს, განა არა, ვისთვის ყოფილა იოლი მშობლიური კერის დათმობა და არც ზღაპრულ პერსონაჟებს დაუთმიათ გულისჭიდილის გარეშე, მაგრამ ისიც სცოდნიათ, რომ ბედი და არჩევანი მხოლოდ კერიის მიღმა უნდა ექებნათ, ხელობაც იქ შეეთვისებინათ და სამყაროს საიდუმლოც იქ ამოეხსნათ.

მთხოვარა გლახაც თავისებური ზღაპრული პერსონაჟია ბედისწერის გზაზე ლალი, თამამი სვლით და ყველაზე ძვირფასი საუნჯის – თავმოყვარეობის – განირვით.

– ერთს ნელინადს ძლივ ვისწავლე, როგორღა მოვიკვეთო, – განცვიფრებულიყო ახალ პროფესიაში ფეხადგმული ჭაბუკი და იმეტებდა მდიდარ საცოლესაც და უზრუნველ ცხოვრებასაც.

მათხოვრობის გზაზე სრულქმნისათვის იმეტებდა.

... თითქოს ერთი პერსონაჟი იხატებოდეს:

სიჭაბუკისას სულხან-საბას კალმით, სიბერისას – ალექსანდრე ყაზბეგისა.



მხატვარი ზურაბ ნიყარაძე

ტრამვაი
დაეჯანა ცენზურას

იდეოლოგიური ცენზურა მარტოოდენ საბჭოთა კავშირში როდი არსებობდა, შეერთებულ შტატებშიც ფეხი ჰქონდა მოკიდებული.

საამისოდ ერთი მაგალითის დასახელებაც იკმარებდა. დიდებული ამერიკელი მწერლის ჰენრი მილერის პირველი რომანი „კირჩხიბის ტროპიკი“, გამოქვეყნებული პარიზში 1931 წელს, კარგა ხანს ელოდა მწვანე შუქს სამშობლოში, მაგრამ პორნოგრაფიულ ნაწარმოებად მიიჩნევენ და 1961 წლამდე არ გამოუშვიათ.

გასული საუკუნის 50-იან წლებში რომელიღაც ამერიკულ გაზეთში დაიბეჭდა საკმაოდ სენსაციური მასალა. ეს იყო ჰოლივუდის ერთი და იმავე ფილმიდან ამოღებული ერთი და იმავე კადრის ორი ვარიანტი. პირველზე ვხედავთ ქალ-ვაჟის ნებივრობას სანოლში; ორივენი შიშვლები არიან. კადრის მეორე ვარიანტზე ისინი იმავე სანოლში წვანან, ოღონდ შიშვლები აღარ არიან – ლამის ქურქები ჩაუცვამთ.

კადრის პირველ ვარიანტს შეიძლება ეწოდოს საექსპორტო საქონელი, რომელიც უნდა გასაღებელიყო მთელს ცივილიზებულსა და არაცივილიზებულ სამყაროში. მეორე ვარიანტი მხოლოდ შიდა ბაზრისათვის იყო განკუთვნილი. ევროპელთა თუ აზიელთა კდემამოსილებას აინუნშიც არ აგდებდნენ, მაგრამ ამერიკელთა უმნიკვლოებას ვერ შეზღავდნენ.

ერთსართულიანი, პურიტანული ამერიკა ჩაგრავდა ცათამბჯენების ამერიკას.

ტენესი უილიამსი – აი, ვინ შეიტანა პირველი ბზარი ამერიკული კინოცენზურის ბასტიონში.

1947 წლის 3 დეკემბერს ბროდვეიზე შედგა უილიამსის ახალი პიესის „ტრამვაი, სახელად სურვილი“ პრემიერა. სექტაკლი დადგა რეჟისორმა ელია კაზანმა. მთავარ როლებს ასრულებდნენ მარლონ ბრანდო და ჯესიკა ტენდი. სექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა და თითქმის ცხრაასჯერ იქნა წარმოდგენილი.

უილიამსს ამ პიესისთვის მიენიჭა პულიცერის პრემია და ნიუ-იორკის თეატრალურ კრიტიკოსთა ჯილდო.

1950 წელს გადაწყდა „ტრამვაის“ ეკრანიზაცია. მარლონ ბრანდოს პარტნიორად ფილმში შეარჩიეს ვივიენ ლი. რეჟისორი კვლავ ელია კაზანი იყო. გავისხენოთ პიესის მოკლე შინაარსი:

ნიუ-ორლეანის გარეუბანში წყნარად და უშფოთველად ცხოვრობს ერთი ჩვეულებრივი ამერიკული ოჯახი: წარმოშობით პოლონელი სტენლი კოვალსკი და მისი ცოლი სტელა. იგი, თავისი გვარიშვილობის მიუხედავად, უბრალო და უპრეტენზიო ქალია. არც მდიდრები არიან, არც ღარიბნი. ქმარი სამუშაოს შემდეგ პოკერის თამაშით იქცევს თავს მეგობართა წრეში; ცოლი ხან კინოში მიდის მეზობლებთან ერთად, ხანაც იმავე მეზობლებთან ჭორაობით ერთობა.

ერთ მშვენიერ დღეს პროვინციული იდილია ირღვევა. სტუმრად ჩამოდის სტელას დაი ბლანში – დახვეწილი და მომხიბლავი ქალი, რომელსაც უკან მოუტოვებია ანენილ-დანენილი ცხოვრება, სხვადასხვა გატაცებანი და ცდუნებანი. ახლა სწადია, რომ დროებით თავშესაფარი ჰპოვოს თავის დასთან და სული მოითქვას.

ბლანში და სტენლი თავიდანვე უპირისპირდებიან ერთმანეთს. ფაქიზი მანერებით აღჭურვილ ქალს არაფრად ეპიტნავენა სიძის ტლანქი ყოფაცქევა და უწმინური გამოთქმები.



ვივიენ ლი, ტენესი უილიამსი, ელია კაზანი

ამასთან ერთად, გულის სიღრმეში, ალბათ უკმაყოფილო რჩება, რომ გაუთლელი სიძე გულგრილად აღიქვამს მის სილამაზეს, აგდებულად ექცევა და ედავება კიდევ გაყიდული საგვარეულო სახლის თაობაზე – ნაპოლეონის კოდექსის თანახმად ქმარს ცოლის ქონებაში ნილი უდევსო.

ამასობაში ბლანში რომანს გააჩაღებს სტენლის ერთ მეგობართან, მაგრამ სტენლი ახერხებს ბინძური ინფორმაციის მოპოვებას ცოლისდის მშობლიურ ქალაქში და ყველაფერს დანვრილებით ჩაუკაკლავს ძმაკაცს: შენი უკარება სატრფოო თავის ქალაქში ხელიდან ხელში გადადიოდაო; ქალაქის მახლობლად განლაგებული სამხედრო ბანაკის ჯარისკაცებს მის სახლთან მიახლოებაც კი ეკრძალებოდათო; სკოლის მასწავლებლად მუშაობდა და გამოაძევეს, რადგან თავისი მონაფე, ჩვიდმეტი წლის ყმანვილი შეაცდინაო.

ბლანშის უკანასკნელი იმედიც იფერფლება.

დასასრულ, ბლანშის მედიდურობით, ჩვეულებით, პრანჭიაობითა და მისგან განუწყვეტლივ აბუჩად აგდებით გაღიზიანებული სტენლი შურს იძიებს თავისი ოჯახური მყუდროების დასაქცევად მოვლენილ ქალბატონზე. ცოლს სამშობიაროში რომ გაისტუმრებს, მარტონი რჩებიან სახლში და... აუპატიურებს სტუმარს. ამის ნიადაგზე ბლანში ჭკუიდან შეირყევა და მას ფსიქიატრიულ კლინიკაში ამწესებენ.

კინოცენზურამ თავიდანვე შორს დაიჭირა გაუპატიურების ეპიზოდი.

ტენესი უილიამსი გულდასმით უმტიციცედა ცენზორებს, რომ „ბლანშის გაუპატიურება სტენლის მიერ არის ცენტრალური და განუყრელი ნაწილი ნაწარმოებისა, ურომლისოდაც იგი კარგავს თავის დედაზრს – ესაა ნაზი, მგრძობიარე და ფაქიზი სულის გაქელვა თანამედროვე საზოგადოების გულქვა და მხეცური ძალებისგან“.

ცენზურა, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა, რომ გაუპატიურების ეპიზოდი დარჩენილიყო ფილმში, მაგრამ უნდა გადაეღოთ, არც შეიძლება, დელიკატურად. გარდა ამისა, პიესისგან განსხვავებით, უქველად უნდა დასჯილიყო საზარელი დანაშაულის ჩამდენი სტენლი.

ფილმი მთავრდება იმის მოლოდინით, რომ სტელა მიატოვებს სტენლის. ის ეუბნება ქმარს: „არ მომეკარო!“ და ხმამაღლა აცხადებს: აქ დაბრუნებას აღარ ვაპირებ, აქ აღარასოდეს დავბრუნდები! (პიესის ფინალში კი სტენლი ეალერსება სტელას და ამშვიდებს. ქალს უკვე ტკბილი ცრემლი მოსდისო, აღნიშნულია რემარკაში).

ორმხრივი კომპრომისის შედეგად ფილმმა დღის სინათლე იხილა.

უილიამსის „ტრამვაის“ მიიჩნევენ შემობრუნების პუნქტად კინოცენზურის ევოლუციაში.

ამერიკული ცენზურის მესვეურებმა შეიგნეს, რომ 30-იან წლებში ჩამოყალიბებული კანონები აღარ შეესაბამებოდა ახალ რეალობას, ვეღარ პასუხობდა ახალი დროის მოთხოვნებს.

ცენზურის ერთ-ერთი ჩინოსანი რამდენიმე წლის შემდეგ ამბობდა, რომ „ტრამვაიმ“ დაამსხვრია ბარიერი და მიგვახვედრა, რომ ილუმების გაკონტროლებისას ბევრი რამ უნდა გადაწყვიტოს არა მორალმა, არამედ ეკმოვნებმა.

აი, ასე დაეჯანა გამოჩენილი ამერიკელი დრამატურგის ქმნილება სალი კლდის მსგავსად აღმართულ ცენზურას და შეაჯანჯღარა.

ახსენელი მცნება

მამაცი და უბედური მეფეო – ასე უწოდებდნენ ევროპელი ავტორები თეიმურაზ პირველს. მშფოთვარე ცხოვრება ჰქონდა, თავდაუზოგავად იბრძოდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, სისხლისმღვრელ ომებს ენაცვლებოდა დროებითი მშვიდობა და მუზების სამსახური. მერე ისევ ამოვარდებოდა ქარი და დიდებულ მეფეს უპოვარ ხიზნად გადააქცევდა.

ასეა თუ ისე, ხანგრძლივი თუ ხანმოკლე ინტერვალებით თეიმურაზ პირველმა ოცდაათ წელიწადზე მეტხანს იმეფა. გაცილებით უარესი ხვედრი ერგათ მის შთამომავლებს. უფროსი შვილები შაჰ-აბასმა დაუსაჭურისა, მომდევნო – დათუნა ბატონიშვილიც ვერ მოესწრო მეფობას, სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლაში. თეიმურაზის შვილიშვილებსაც არა სწავლობდათ ბედი. ჯერ კიდევ ყრმა ერეკლე რუსეთში გახიზნა, რუსხელმწიფის იმედი ჰქონდა, საქართველოს საქმეებში ჩაერევაო. მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა.

ერეკლე ბატონიშვილმა თითქმის ოცი წელიწადი უნაყოფოდ გაატარა რუსეთში და როდესაც სეფიანთა სამეფო კარზე მიიწვიეს, არ შეეყოყმანებულა და ირანის გზას გაუდგა.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „ერეკლეს დაჰჰატიყეს და თავისის ჯარით, ქართულათ მოკაზმულნი, ყველანი ახალგაზდა ვაჟკაცნი, ტურფანი და შვენიერნი, ნამეტნავად ბატონისშვილს ერეკლეს წვერულვაში ახლა ეხვევოდა და ტანად ყველას უმაღლე იყო...“

ქართველი ბატონიშვილის ამაღლა 250 კაცს ითვლიდა. ფარსადანი განაგრძობს: „ხემნიფემ კარგის თვალთ ნახა და შიეყვარა, თავად დიდის გვარის კაცობისათვის და მერმე შვენიარობისათვის“.

წელიწადში ორი ათასი თუმანი თეთრი და დღეში თორმეტი ჭიქა მირაზული ღვინო დაუნიშნეს, სხვა მრავალი წყალობაც უბოძეს და ხუთასი თუმანი შემოსავალი რომელიღაც ალაგინდნენ.

რა თქმა უნდა, მისი გვარიშვილობა და სიტუირფე როდი ხიზლავდა სეფიანთა სამეფო კარს. ისპაანში მშვენივრად იცოდნენ, რომ ერეკლესათვის კახეთის დაბრუნება დაასუსტებდა ქართლის მეფეს, რომელსაც კახეთიც ეჭირა. მოსკოვში მყოფი ქართველი ბატონიშვილი სწორედ ამიტომ მიიწვიეს ირანში.

მაგრამ რჯულის გამოუცვლელად ვინ რას მიაშავებდა კახეთის სამეფო ტახტის მამიებელს. გამაჰმადიანება მოსთხოვეს და ამან ცივი უარი სტკიცა.

თოთხმეტი გრძელი წელიწადი უძლებდა ცდუნებას. ბოლოს მსლებლები დაჟინებით შეუჩნდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველაზე მეტად აქტიურობდა მისი მოძღვარი, მონაზონი ნაცვლიშვილი.

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „ესენი იტვირთვიდნენ ცოდვასა მას, რათა დაუტეოს ქრისტი“. სხვა რა გზა ჰქონდა და გამაჰმადიანდა. უწოდეს ნაზარალი-ხანი და წარმოავლინეს

ქართლის მეფედ. დიახ, დიახ, ქართლის მეფედ!

ყიზილბაშთა ვერაგობა სწორედ ამით გამოიხატა, რომ კახეთის ბაგრატიონი დასვეს

ქართლის სამეფო ტახტზე და ქართველები კიდევ ერთხელ დაუპირისპირეს ერთმანეთს.

ქართლში ორმეფობა წარმოიქმნა. ქართლის კანონიერი მეფე გიორგი XI და უნებური უზურპატორი ერეკლე I სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ. ხან ერთი სჯობნიდა, ხანაც მეორე (კახეთს კი ყიზილბაში ხანი განაგებდა).

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, ერეკლე „იყო ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი; ლირნთა და უშვერთა მოუბარი, სმისა და შვება-ლხენის მოყვარე“, მაგრამ ამავე დროს: „მცირეთა ყურის მიმწყრობი და დიდთა დამამდაბლებელი“.

ქვეყნის საქმენი დიდმოხელეთათვის ჩაუბარებია და „თვით მარადის იბეებდა და იხარებდა და ნადირობდა“.

მშობლიური კახეთი კი ვერა და ვერ ამოეგლო გულიდან. დღენიდაც ეზმანებოდა და ესიზმრებოდა.

უმიძიდა შექმნილი ვითარება. ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს ერეკლე I-ის გულისნადებს: „სწადა, რათა აქენდეს კახეთი თვით და ქართლი გიორგი მეფესა“. სავესებით ბუნებრივი ნადილი იყო. ერთხელაც მოუირგდა ამაზე გიორგი XI-ს, ირანის შაჰისათვის უკვე უნდა ემცნოთ, მაგრამ თავკერძა ფეოდალებმა ჩაშალეს ეს წამოწყება.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ქართლის მეფედ დასმულ ერეკლეს კახეთის ბედი უფრო აწუხებდა!

XVII საუკუნის დამლევეს წვირლ-წვირლი ომებითა და არეულობებით ქართლი უფრო მოოხრებული იყო, ვიდრე კახეთი.

და ერეკლე I ქართლის შეჭირვებულ გლეხკაცობას ასე მიმართავდა: „განვედით, აჰა კახეთი მშვიდობისა. და აღივსებოდა კახეთი ესრეთ“.

ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც კეთილსინდისიერი ისტორიკოსი, კიდევ ერთხელ გვიხატავს ამ პარადოქსულ სურათს: „აღივსებოდა ქართლიდამ კაცით კახეთი და აშენდებოდა მრავალნი უშენნი დაბნები და აგარაკები“.

მთელი სიცოცხლე კახეთის ტახტს ნატრობდა და 1703 წელსა აღირსეს კუთვნილი ჯილდო: „მისცა ყენმან ერეკლე მეფეცა კახეთი და ყულარალასობა თვისი“.

ირანის ყულარალასი ანუ მეფის გვარდიის სარდალი, რასაკვირველია, ფეხმოუცვლელად უნდა მჯდარიყო ირანის სატახტო ქალაქში. ასე რომ, ერეკლეს მხოლოდ სახელი ერგო კახეთის მეფისა. მცირე ხნით მოინახულა თავისი სამეფო და თავის მოადგილედ უფროსი შვილი დატოვა – დავითი ანუ იმამყული-ხანი.

სამარეში ისე ჩავიდა, რომ ის სანუკვარი ოცნება, მთელი სიცოცხლე რომ მოჰყვებოდა და ულაშაზებდა ცხოვრებას, აუხდენელ ოცნებად დარჩა.

ქრონიკა

1 ივნისს დუშეთის კულტურის სახლის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ცნობილი ფოტოხელოვანის ბაბუა ალუდაურის ფოტოგამოფენა სახელწოდებით „რაქვისა ციხე ავაგე“ – ცალკეული სურათები ქართული კულტურის, ისტორიისა და მითოსის სამყაროდან.

ეს არის თავისებურად უნიკალური ციკლი, რომელსაც ენიჭება არა მარტო ესთეტიკური და შემეცნებითი მნიშვნელობა, არამედ უთუოდ მოჰყვება საზოგადოებრივი რეზონანსიც. აუცილებელია ეს გამოფენა იხილონ თბილისშიც, გორშიც, თელავშიც, ქუთაისშიც, ბათუმშიც, ზუგდიდშიც, მესტიაშიც, ბორჯომშიც, ახალციხეშიც, ახალქალაქშიც, ცხინვალშიც, სოხუმშიც... ერთი სიტყვით, საქართველოს ყველა ქალაქსა და დაბაში.

სიტყვებით გამოვიდნენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი რამინ რამიშვილი, არქეოლოგი ვერიკო ჩიხლაძე, ექიმი ნანა ჭიკაიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები ნინო ვახანია და როსტომ ჩხეიძე, ფოლკლორისტი ტრისტან მახაური, მხატვარი კარლო ფაჩულია, ვინც უშუალოდ მოამზადა გამოფენის ექსპონიცი.

ბაბუა ალუდაურმა მადლობა გადაუხადა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციას, როგორც ამ გამოფენის თაოსანს, ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ სასიკეთო საქმის ორგანიზებაში და განსაკუთრებული სიხარული გამოთქვა, რომ გამოფენას ესწრებოდა დიდძალი ახალგაზრდობა.